

# ყოველთვიური დიხანატურულ-საზოგადოებრივი ჟურნალი

## მარტი 2016

მთავარი რედაქტორი ამირან გომართელი

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ბალათერ არაბული, სოსო გოლიაძე

რედაქტორები: ანდრო ბუაჩიძე, თამარ გელიტაშვილი, ელია მეტრეველი

დაკაბადონება: ქეთევან მერკვილაძე, ნანა ყანდაშვილი

**სარედაქციო საბჭო:** ანდრო ბედუკაძე (თავმჯდომარე), ივანე ამირხანაშვილი, ნაირა ბეპიევი, ლევან ბრეგაძე, დავით თედორაძე, ზვიად კვარაცხელია, ესმა კოკოსკერია, გიორგი ლობჟანიძე, ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ნინო სადლობელაშვილი, თამაზ ტყემალაძე, თემურ ჭკუასელი, ბესიკ ხარანაული

### ღომის ავტორები:

ჯემალ ქარჩხაძე (1936-1998) მწერალი, დრამატურგი, ესეისტი

თამარ მესაბლიშვილი (დაბ. 1997 წ.) პოეტი

ბაჩანა ბრეგვაძე (1936-2016) მწერალი, მთარგმნელი, მკვლევარი

მანანა პაიჭაძე (დაბ. 1959 წ.) ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გერმანისტი, მუსიკათმცოდნე

რატი ქართველიშვილი (დაბ. 1972 წ.) პოეტი, დრამატურგი

დიმიტრის დიმიტრიადისი (დაბ. 1944 წ.) ბერძენი მთარგმნელი, პროზაიკოსი

ბექა ბარქაია (დაბ. 1969 წ.) პუბლიცისტი, მთარგმნელი

ჯანო ჯიქიძე (დაბ. 1958 წ.) ექიმი, მწერალი

ნატალია ქადაგიძე (დაბ. 1962 წ.) უურნალისი, პუბლიცისტი

ჯუმბერ ხანთაძე (დაბ. 1933 წ.) პროზაიკოსი

ალექსანდრე თავაძე (დაბ. 1968 წ.) მთარგმნელი-პუბლიცისტი

გიუნტერ აიხი (1907-1972) გერმანელი პოეტი

პაულ ცელანი (1920-1970) ავსტრიელი პოეტი

ააიპ „ცისკარი-1852“

უურნალი გამოდის თბილისის მუნიციპალიტეტის თანადგომით



მისამართი: თბილისი, ხიდის ქ. №1, ტელ.: 2-98-36-43

ciskari1852@gmail.com; <https://www.facebook.com/ciskari1852>

# სარჩევი

|                      |     |   |
|----------------------|-----|---|
| ჯემალ ქარჩხაძე       | 3   | ენერგონი<br>ახალ თაობათა გადასარჩენად                                     |
| ბექა ბარქაია         | 5   | ესეი<br>ფერხულის შესახებ  |
| თამარ მესაბლიშვილი   | 15  | პოვიტი<br>ლექსები   |
| ბაჩანა ბრეგვაძე      | 20  | ნაზრევი<br>ჩანაწერები   |
| ჯანო ჯიქიძე          | 31  | მოთხოვა<br>ტურაჲ!   |
| მანანა პაიჭაძე       | 56  | პიროვნეულობრივი<br>პიტერ შეფერის და მილოშ ფორმანის „ამადეუსი“             |
| დიმიტრი დიმიტრიადისი | 62  | უცხოეთის ლიტერატურა<br>ვკვდები, როგორც ქვეყანა. თარგმნა თათია მთვარელიძემ |
| სოსო გოლიაძე         | 77  | მხატვრი<br>ამბავი ვეფხვისა და მხატვრისა                                   |
| რატი ქართველიშვილი   | 83  | პოვიტი<br>ლექსები   |
| ანდრო ბუაჩიძე        | 87  | თანამედროვეობის რაյუნი<br>ლირიკული ხედვის თვალსაწიერი                     |
| გიუნტერ აიხი         | 91  | უცხოეთის ლიტერატურა   |
| პაულ ცელანი          | 97  | გერმანულენოვანი პოეზია. თარგმნა დათო ბარბაქაძემ                           |
| ნატალია ქადაგიძე     | 101 | აბსურდის თეატრი<br>მარადი სიახლე, ანუ გოდოსა და გივის „გასაუბრება“        |
| ალექსანდრე თავაძე    | 108 | რეცენზია<br>მარკესის „ერთი ტყვეობის ამბავი“                               |
| ჯუმბერ ხანთაძე       | 110 | მონალის ჩანაწერი<br>პატარა ლიახვი   |
| ქართული კინო         | 118 | ხალი პიროვნება  |

**უურნალის გარეკანის დიზაინი –** სოსო გოლიაძე, ბრიგიტა ვალნერი გამოყენებულია ფოტოები მერაბ აბრამიშვილის საოჯახო ფოტოარქივიდან

**ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი –** სოსო გოლიაძე

ხელმოწერების გასაფორმებლად დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომრებზე: 595 45 20 50; 591 20 25 40; 599 56 56 44.

## ჯემალ ქარჩხაძე

### ვუზვალოთ მომავალ თაობას

თუ ლეგენდას კარგად ჩავუკვირდებით, კერძოდ, მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ლვთისმშობელს თავისი წილხვედრი ქვეყანა არასოდეს უნახავს, საფიქრებელია, ეს უფრო სიმბოლო-ლეგენდაა, რომლის მიხედვითაც საქართველო ლვთისმშობლის წილხვედრი ჯერჯერობით მხოლოდ პოტენციურადაა, გახდება თუ არა რეალურად, ეს ჩვენზე და მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული. ამ თვალსაზრისით ჩვენი ბედის ჩარხი ჩვენს ხელთ არის. ლმერთი არც გვსჯის და არც გვცდის. ეს ლმერთის ფუნქციაში არ შედის, თუკი ჩვენი ლმერთი ახალი აღთქმის სიკეთე-ლმერთია და არა ძველი აღთქმის შურისმაძიებელი დემიურგი.

„ნაკლებ რელიგიურად“ რომ ვთქვათ, ლმერთი ორიენტირია, რომელიც მატერიის სამგანზომილებიანი სამყაროდან გასასვლელ და ახალი ცნობიერებისაკენ მიმავალ გზას გვიჩვენებს. სხვა დანარჩენი ჩვენი საქმეა. ბედის ჩარხს ჩვენ თვითონ ვატრიალებთ და ვატრიალებთ ისე, როგორც ჭკუა და სინდისი გაგვიჭრის. თითქმის მთელი ჩვენი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, სამწუხაოდ, ჭკუაცა და სინდისიც ისე გვიჭრიდა, რომ ერთავად უკულმა ვატრიალებთ. ორი ათასი წელი ინურება მას აქეთ, რაც თავს ლვთისმშობლის წილხვედრ ქვეყნად ვთვლით (ხოლო ამ სიმბოლოში, უნდა ვიფიქროთ, ეროვნული მისიის გასაღებიცა ჩადებული), და ორი ათასი წლის განმავლობაში ერთი ნაბიჯითაც კი ვერ მივუახლოვდით მაღალ არსს. პირიქით, ჯიუტად და შეუპოვრად სულ იმას ვცდილობთ, უკან-უკან ვიაროთ; იმ ზომამდე, რომ დრო-

დადრო სულიერი თვითმკვლელობის მცდელობაც კი გვაქვს.

მე არ ვიცი, არის თუ არა დღეს ჩვენს შორის ლვთისმშობლის მადლი და სიყვარული, მაგრამ მოდით ერთი წუთით პატარა რელიგიური სასწაული წარმოვიდგინოთ: ლვთისმშობელმა „თავისი“ ქვეყნის ხილვა მოისურვა. რას ნახავს? ნახავს მონობის სენით შეცყრობილ კერპთაყვანისმცემლებს, რომელთაც თავისუფლება ბატონის გამოცვლა ჰგონიათ; ნახავს მდიდარ ფარისევლებს, რომლებიც საჩვენებელ და გამოყენებით ქველმოქმედებას ეწევიან იმ დროს, როდესაც მათ გვერდით ნამდვილი ადამიანები ნამდვილი სიკედილით ნამდვილად იხოცებიან; ნახავს სიხარბისგან სახედაკარგულ კაცუნებს, რომლებისთვისაც სიხარბე უკვე იმ ზომის იდეალისტური თვითმიზანია – რომ შეეძლოთ ორ-ორ საფლავში ჩაწვებიან; ნახავს ცრუ ადამიანებს, რომლებიც რელიგიურობანას თამაშობენ და, რაკი რწმენის ორგანო ატროფირებული აქვთ, რწმენაც აღებ-მიცემობის საგნად უქცევიათ, როგორც ფართალი, როგორც სპილენძი, როგორც სინდისი, როგორც პოლიტიკა, როგორც მოყვასის ბედი. წმინდა ლვთისმშობელი ასეთ ქვეყანაზე, გარწმუნებთ, უარს იტყვის. ლეგენდაც დამთავრდება და სიმბოლოც წაიშლება.

სულიერი სიჯანსაღე უწინარესად თავისუფლებისაკენ ლტოლვაა და თუკი საერთოდ გვინდა სულიერად ჯანსაღები ვიყოთ (მონობა დიდი ცდუნებაა), ისე უნდა მოვიქცეთ, ვითომ გამოცდა გვაქვს ჩასაბარებელი და, თუ ჩავაბარებთ, ლვთისმშობლის წილხვედრი შევიქნებით. ამისათვის კი სა-

ჭიროა განვითარების სტიქიური კალაპოტიდან, სადაც დღემდე ვმყოფებით, ცნობიერ კალაპოტში გადავინაცვლოთ. პირველ რიგში, ობიექტურად და უშიშრად უნდა განვსაზღვროთ ჩვენი დღევანდელი სულიერი დონე, ვინაიდან ცნობიერი განვითარება სწორედ ამით იწყება. უნდა განვსაზღვროთ რეალურად. ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ ჩვენ ბუნებით შემოქმედი ხალხი ვართ და რეალობას და წარმოსახვას ადვილად ვურევთ ერთმანეთში. ვიდრე თავს არ დავალნევთ ილუზიას და არ შევიგნებთ, რომ ჩვენს მრავალ ისტორიულ ნაკლს უკანასკნელ ათწლეულებში სერიოზული სენიც დაერთო, მანამ ადგილიდან ვერ დავიძვრებით. ამიტომ დიდი სიფხიზლე და ნებისყოფის დიდი დაძაბვა გვმართებს. საკუთარი თავის წინააღმდეგ გმირული ბრძოლა გვმართებს, რასაც ალბათ კიდევ უფრო გააძნელებს ის გარემოება, რომ მალე, ეტყობა, შიმშილის ერა დამთავრდება, სიმაძლრე კი ჩვენი სულიერი განვითარების ძლიერი შემაფერხელი ფაქტორი იქნება. ვიპოვით ასეთ ვითარებაში საკუთარ თავში ბრძოლისათვის საჭირო ძალას? კომუნიზმის მეტასტაზებს, როგორც აღმოჩნდა ძალზე ღრმად გაუდებამს ფესვი ჩვენს ეროვნულ სხეულში.

დღეს მოქმედ თაობებს, მე ვფიქრობ, აღარაცერი ეშველება (ცხადია, გამონაკლისებს არ ვგულისხმიბ). ისინი განწირული თაობებია. ხსნის ერთადერთი იმედი კი ისაა, რომ ჩვენი მრავალნახნაგოვანი სენი გენეტიკურ კოდში – ჯერჯერობით მაინც –

არაა ჩადებული და მემკვიდრეობით არ გადაეცემა. ამიტომ ჩვენი ბავშვები – ვთქვათ, ათი წლის ასაკამდე – სუფთა და ჯანმრთელი არიან და მათი დასწეულება მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია. ჩვენვე შეგვიძლია – ოლონდ ეს ძნელია – დასწეულებისაგან დაცვა. ასე რომ, თუ განწირული თაობები იპოვიან ძალას, თავგანწირულ თაობებად იქცნენ, საქართველო ოც-ოცდათ წელიწადში ისეთი გახდება, როგორიც საუკეთესო ოცნებებში გვიხილავს.

მაგრამ ვიპოვით ძალას, რომ საკუთარი თავი უარვეოთ? თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, როგორ ვმალავთ ცოდვებს, როგორ „ვიუმჯობესებთ“ ბიოგრაფიებს და როგორ ვაყრით მინას საკუთარ წარსულს, საფიქრებელია, ძალიან გვიჭირს თვალთმაქცობაზე უარის თქმა, ძალიან გვეშინას თავისუფლების ნემსის და შესაბამისად, ქვეყნის ხვალინდელ დღესაც თავზე დიდი და ეჭვიანი კითხვის ნიშანი ჰკიდია. არადა, სხვა საშველი არ არის. ერთადერთი საშველი ისაა, მომავალ თაობას ვუშველოთ. მათ ბევრი არაფერი სჭირდებათ ჩვენგან, მხოლოდ ის, რომ ჩვენი მოწამლული ფსიქიკა არ გადავდოთ და ჩვენი მღვრიესული არ ჩავუდგათ.

დანარჩენს თვითონ იზამენ, ვინაიდან მრავალი ძარღვი (მათ შორის ნიჭი) ჯერ კიდევ ცოცხალი და ჯანსაღი გვაქვს. მაგრამ ვიპოვით კია ჩვენ – ძალიან ხარბები, ძალიან ფარისევლები, ძალიან უგუნურები და ძალიან მორჩილები – საჭირო ძალას? არ ვიცი...



## ბექა პარქაია

### ფერხელის შესახებ (პოპულარული ესაკი)

1.

სანახაობრივად რაოდენ მძიმეც უნდა იყოს თანამედროვე საქართველოში შექმნილი კულტურული რეალობა, ამ რეალობის შინაარსობრივი მხარე იმდენად მარტივი, ყოფით-სოციალური ასპექტები კი, საერთოდაც, იმდენად პრიმიტიულია, რომ მისი ყველა ელემენტი შორეული ხალხური რიტუალების ფენომენოლოგიაში ერთიანდება. მაინც და მაინც ლევი-სტრონსის მიერ



ბოროროში და ნამბიკვარაში წარმოებული ინტელექტუალური დღიურების ციტირებას თუ არ შევუდგებით, ჩვენი რეალობის დასახასიათებლად, ვფიქრობ, წარმატებით შეიძლება ფერხულის ფენომენის გამოყენება. ამ სიტყვის საბასეული არასრული განმარტების კონცეპტუალიზებით მრავალთა წრიული როკვა მიიღება. ხელიხელ გადაბმული ადამიანების ასეთი ცეკვა-როკვა ყოველთვის გუნდური სიმღერებით და შეძახილებით ყოფილა თანხლებული. ფერხულში ჩაბმა მეცნიერებს ხელოვნების სახეობათა პირველყოფილ ერთობადაც მიაჩ-

ნიათ. ნებისმიერ შემთხვევაში, ფერხულის სახით საქმე გვაქვს ადამიანური კულტურის განვითარების იმ საფეხურთან, როცა ხალხურის მოღუსიდან ინდივიდუალურის გამოყოფა ჯერ არ არის მომხდარი, ხოლო რაკი ინდივიდუაციის ამგვარი გამოცდილება ჯერ არ არსებობს, შესაბამისად, არც ინდივიდუალური ფასობს და არც მისი ფუნქციაა რაციონალიზებული (ანუ ასეთი ფუნქციის მაფუნქციონირებელი სულიერი კონტექსტი ჯერ არ ჩამოყალიბებულა). ეს მდგომარეობა ყველაზე უფრო გამჭვირვალედ, ყველგან და ყოველთვის, სადაც ფერხული ზეიმობს, ხელისუფლების – როგორც ხალხის ორგანული და ინდივიდუაციას ჯერაც არდაქვემდებარებული ნაწილის – პოზიციაშია წარმოდგენილი: ხელისუფლება არ დაუშვებს ფერხულის დაშლას; ის იცავს სტრუქტურის მთლიანობას, რითაც ადასტურებს, რომ თავად ის ხალხური (მაგიური) და არა ინდივიდუალური (რაციონალური) ცნობიერების წარმომადგენელია: ფერხულის თითოეული წევრი ვალდებულია, ისე „იაზროვნოს“, როგორც მის მიერ არჩეული ხელისუფლება „აზროვნებს“. ერთი შეხედვით, ასე მოდელირებული რეალობის განმსაზღვრელი ძალა ხელისუფლება გამოდის და არა ხალხი, მაგრამ სინამდვილეში პირი-ქით არის; ხელისუფლება მხოლოდ ხალხის უხილავი და ქაოსური შინაგანი მოძრაობების რეალიზატორია; ის, ერთგვარად, ფერხულში ჩაბმული ხალხის ქვეცნობიერია, სააშკარაოზე გამოტანილი.

## 2.

ასე რომ, თუ თანამედროვე ქართულ საზოგადოებრივ ყოფას წარმოვიდგენთ, როგორც ფერხულს, რომლისთვისაც ინდივიდუაციის საიდუმლო ჯერჯერობით უცნობია, მაშინ ისიც გასაგები უნდა იყოს, თუ რატომ არ ფასობს ასეთ გახანგრძლივებულ თემურ „საზოგადოებაში“ ინდივიდუალური, ანუ ცალკეული ინდივიდები პერიოდულად ჩნდებიან და, უდიდესი ძალისხმევის ფასად, თავიანთი მეტაფორების შექმნასაც ახერხებენ, მაგრამ ინდივიდუალობის კულტურა ჯერ არ არსებობს. ასეთ დროს ბერი მართლაც ისეთია, როგორიც ერთ და მათ შორის სრული ჰარმონია სუფეს. სხვათა შორის, ამითაც აიხსნება ის ლოკალური „ბოროტება“, როცა ხალხი ვერ უგებს თავის ხელისუფლებას, რომელიც პრინციპულად იცავს ფერხულის კანონზომიერებას: ხალხმა ისე უნდა „იაზროვნოს“, როგორც ხელისუფლება „აზროვნებს“ და – პირიქით. მათ შორის წინააღმდეგობას აქ მხოლოდ ერთი არსებითი ნიუანსი ქმნის: ხელისუფლება, როგორც ფერხულის ნაწილი, თავის ქმედებებში ბევრად უფრო თანმიმდევრულია (თუნდაც თავის არათანმიმდევრულობაში!), ვიდრე ხალხი. შესაბამისად, ერთგულების ობიექტია არა აზროვნება ან აზროვნების შინაარსები, არამედ თვით ფერხული ანუ ხალხური, არაინდივიდუალური არსებობის წესი და ყველაფერი, რაც მის ძლიერებას განამტკიცებს. მაგალითად, არსებითი მნიშვნელობა იმას კი არ ენიჭება, საქართველოს მთავარ მტრად რუსეთი გამოცხადდება, თურქეთი, ირანი, ზიმბაბვე, ჩინეთი თუ ამერიკა, არამედ იმას, რომ მოსახლეობა ცვალებადი პოლიტიკური ამინდის მიმართ მუდმივი მზადყოფნის და მობილურობის მდგომარეობაში იმყოფებოდეს და არ დაირღვეს ხელისუფლებისა და ხალხის ინსტინქტებსა და მოთხოვნილებებს შორის ჰარმონია. ამიტომ ყოველთვის არასწორია მეტაპოზიციაში ამა თუ იმ ხელისუფლების ჩაყენება. ეს ისეთივე შეცდომაა, როგორსაც ხელისუფლება სჩადის, როცა ის ხალხის მიმართ არისტოკრატული

პოზიციის დაკავებას ცდილობს. სინამდვილეში მთავრობის ნებისმიერი წევრი, ნებისმიერი მაღალჩინოსანი მოხელე სხვა არავინ არის, თუ არა სახალხო ფერხულში ჩაბმული, ხალხურიდან წარმოჩენილი, ხალხურობის ერთგული და მასში გაუჩინარებისთვის პატიოსნად (ან უპატიოსნოდ) მშრომელი ერთი რიგითი წევრი, ის ხალხის ორგანული ნაწილია, მეტიც, ის თავად არის ხალხი. სხვათა შორის, ამითაც აიხსნება ხალხურ ხელოვნებაზე, ისევე, როგორც საერთოდ ყოველივე ხალხურზე, საქართველოს ნებისმიერი ხელისუფლების ხაზგასმული და უწყვეტი ზრუნვა. იგივე ითქმის მედიასა და პრესაზე: უსაგნოა ნებისმიერი სახის შემსრულებლობაში ხელისუფლების მიერ ორგანიზებადი (და არა კონტროლირებადი) მედიასა და პრესის უურნალისტების დადანაშაულება. ეს უურნალისტები ხალხის, ფერხულის ორგანული ნაწილია და ისინი პატიოსნად ასრულებს იმას, რასაც უწყინარი სიტყვათშეთანხმება „ხალხის დაკვეთა“ ჰქვია (ფორმალურად განსხვავებული მოდიფიკაციით: „მაყურებლის დაკვეთა“, „მკითხველის დაკვეთა“). თუ ეს სიტყვათშეთანხმება ორაზროვანი შინაარსის შემცველია, მხოლოდ, როგორც უურნალისტების უწყინარი პატიომყვარეობის დასაკმაყოფილებლად მოგონილი, და არა, როგორც ხალხის აზრის „მართვა-მანიპულირებით“ კონტრიებული: ჯერ ერთი, „ხალხის აზრი“ სხვა არაფერია, თუ არა სოციალური მითოლოგება; მეორეც, ნებისმიერი ხელისუფლების მიერ ორგანიზებული კოსმოსის ერთგული უურნალისტები მხოლოდ ხალხური ექსპრესიონიზმის შემკრები, მომწესრიგებელი, გამაძლიერებელი და არქივატორი მუშაკები არიან და არა უმეტესი. რა თქმაუნდა, ამ უურნალისტებისთვის გულსატკენია, როცა მათ რაღაც დიდი პოლიტიკური თამაშების განდობილებად ან სულაც (ძალაუნებურად და, ცხადია, გაუცნობიერებლად) განმანათლებლებად წარმოიდგენება. იქიდან გამომდინარე, რომ ისინი ხალხის ნაწილი არიან, მათი შესაძლებლობებიც შეზღუდულია (უსაზღვროა) და ვერაფერს

მოიმოქმედებენ იმაზე მეტს, რასაც ხალხი სჩადის. ხალხი კი, დიდი ანგარიშით, როგორც ვიცით, არაფერს სჩადის.

### 3.

არაფრისმთქმელია მტკიცება, რომ ავტორიტარული კონტექსტის გაძლიერებას ემსახურება ყველა, ვინც მოქმედებს პრინციპით: „თემს რაც სწადია, მას იზამს თავის თემობის წესით“. ამ ფორმულის ჩემთვის ცნობილ (და ყველთვის სტერეოტიპულ) ინტერპრეტაციებში ისეთი სურათი იხატება, თითქოს ეს წინადადება მხოლოდ პირველი ნაწილისგან შედგებოდეს. არადა, მასში არსებითია არა მრისხანების გამომხატველი შეხსენება, რომ „თემს რაც სწადია, მას იზამს“, არამედ მანიფესტაცია, რომ თემი ყველთვის თავისი „თემობის წესით“ მოქმედებს და არა თვითნებურად და განუკითხავად; თემი მოქმედებს სისტემურად, მისი მოქმედება რეგულირდება წესებით, რომლებიც ავტორიტარული ცნობიერების კი არა, ხალხური კონტექსტის დაცვა-განმტკიცებას ემსახურება. თემის იდენტურობა გენერირდება არა სტიქიურად, არამედ „წესით“, რომლითაც თემის წევრთა წესიერებაა ნორმირებული; თემის თითოეული წევრი ამ „თემობის წესის“ ფუნქციაა და არა უმეტესი. ასე რომ, პიროვნება ურთიერთობას არკვევს არა თემთან, არამედ მის წესთან. დიდი ანგარიშით, მას თემთან საერთოდაც არაფერი აქვს გასარკვევი (განსხვავებით ფსევდოინდივიდუალურის დემონსტრირების ურიცხვი თანამედროვე ფორმისგან), როცა თემთან პიროვნების დაპირისპირების ფარსი თამაშდება, სინამდვილეში კი საქმე ეხება მხოლოდ ერთ თემობივთან მეორე თემობრივის სახელით დაპირისპირებას: ავტორიტარულთან – ლიბერალურის, მემარჯვენესთან – მემარცხენის, ფაშისტურთან – დემოკრატიულის და ა. შ., რასაც, როგორც წესი, მხარს უმაგრებს მატერიალური ან სიბილური სარგებლის მოლოდინი, სხვა ტიპის დაცულობის მოლოდინი, დაცულობის სასურველი ფორმის ფარგლებში მოქმედება ან არასა-

სურველი ტიპის თემობრივზე იმ ტერიტორიიდან შეტევები, რომელზეც თემობრივის სხვა – მეპრძოლისთვის სასურველი – ტიპია გაბატონებული და „მეპრძოლი“ უპირობოდ არის დაცული, და ა. შ.).

### 4.

(ცხადია, რომ) საქართველოში, საბჭოური კონსერვაციის ეპოქის დასრულების მერე, ანუ პოსტსაბჭოთა საქართველოში, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ნიშნები, ჯერჯერობით მაინც, უმნიშვნელოა. ეს არის ერთგვარი წინარესაზოგადოებრივი და წინარეკულტურული მდგომარეობა და იმ შემთხვევაში, თუ სტაბილურობა და მშვიდობა არ დაირღვევა, ისინი ისევე შეიცვლება, როგორც სახელმწიფოებრივი ორგანიზმი, ანუ საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების რომელიმე უცხოური მოდელის იმპორტირება, დამონტაჟება და გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა ისევე მოხდება, როგორც ეს სახელმწიფოს სტრუქტურული მოდელის შემთხვევაში ხორციელდება. იქაც ხომ ეს მოხდა. რაკი არსებულის მოდერნიზება უფრო მეტ ცოდნას და ენერგიას, უბრალოდ, კომპეტენტურ შრომას მოითხოვს, ეს გზა უარიყო, სანაგვეზე გადაიყარა ყველაფერი, რაც აქამდე არსებობდა და დაიწყო ახალი მოდელის დამონტაჟება. ეს პროცესი თითქმის იდენტური აღმოჩნდა კომპიუტერში ახალი პროგრამის დაინსტალირების. მსხვილი ოპერაციული სისტემების ბევრი საინსტალაციო პაკეტი ორი ტიპის მომხმარებელზე გათვლილი – გამოცდილზე და გამოუცდელზე. პროგრამის დაინსტალირების დროს საინსტალაციო პაკეტი გვთავაზობს ორივე გზას და გვირჩევს ტიპურის და არა შერჩევითის დაინსტალირებას, თუ ჩვენი კომპეტენცია შერჩევის ცოდნას აღემატება. საქართველოშიც ასე მოხდა: პოლიტიკური ბიზნესის და თანამედროვე პოლიტიკური თამაშების ყველა წესის დაცვით ორივე გზა შემოგვთავაზეს, თუმცა, მესამე სამყაროს სხვა ქვეყნების მაგალითზე დაგროვილი მდიდარი გამოცდილების კარნა-

ხით, დასავლეთმაც და ამერიკამაც იცოდა, რომ არც ჩვენი ცოდნა, არც ისტორიული გამოცდილება და არც ბევრი სხვა ფაქტორი ძლიერი ანალიტიკური ქმედების შესაძლებლობას არ მოგვცემდა, ამბიციების და პატივმოყვარეობის გამო კი მაინცდამა-ინც იმ თამაშის წამოწყებისკენ გაგვიწევ-და გული, რომელსაც ჩვენი რესურსებით ვერ ვითამაშებდით. ცხადია, თანამედროვე სამყაროში დრო ძვირი ღირს და მოლოდინის და მოთმინების დროც ლიმიტირებულია. ეს დრო სწრაფად ამოინურა და და-სავლეთმა დაიწყო სახელმწიფოს ტიპური პაკეტის დაინსტალირება. ცხადია, ამბიციები და პატივმოყვარეობა ადამიანის გაჩენის დღიდან არსებობს და მათი მართვის ხელოვნებაც ათასწლეულებს ითვლის. პე-დაგოგიკის ყველა სახალხო სახელმძღვა-ნელო შეიცავს ბავშვებთან, მოსწავლებსა და სტუდენტებთან მუშაობის ამ მეთოდის აღნერას. მისი არსი მოკლედ იმაში მდგო-მარეობს, რომ მოსწავლე ისე უნდა მოიქ-ცეს, თითქოს იგი მასწავლებელი იყოს. მან ერთგვარი ავტომორენინგი უნდა ჩაიტაროს და თავი დაირჩინოს, რომ თავისი ნებით და ანალიტიკური უნარებით ქმნის იმას, რაც სინამდვილეში სხვის მიერ უკვე მო-დელირებულიც არის, ამოქმედებულიც და კარგად აპრობირებულიც. ეს საკითხისად-მი შემოქმედებით მიდგომად იწოდება. ანუ, შენ, თუ სარეცს მანქანას, მაციგარს ან ყო-ფითი მოხმარების სხვა ტექნიკას შეიძენ, ინგლისურენოვან ინსტრუქციაშიც ფიც-ხლად გაერკევი და ტექნიკასაც ჭკვიანუ-რად გამოიყენებ, ამბიციის და პატივმოყ-ვარეობის ონები იმის გააზრების საშუა-ლებას არ მოგცემს, რომ შენ ამ ტექნიკის ერთი ჩვეულებრივი მომხმარებელი ხარ და მეტი არაფერი; რომ, შენ თუ მომწოდებლის ინსტრუქციას სწორად ასრულებ, ეს შენი ინტელექტის განსაკუთრებულ უნარებზე სულაც არ მეტყველებს; რომ შემოქმედე-ბას სხვა კანონზომიერებები განსაზღვრავს და რომ მათი კარი შენთვის, როგორც მესა-მე სამყაროს სტანდარტული მოხელისთვის, სტანდარტული მმართველისა და ელექტო-

რატის სტანდარტული წევრისთვის, დახუ-რულია. მოკლედ, დასრულდება თუ არა საქართველოში სახელმწიფოს ტიპური მო-დელის გამართვა და მისი ყველა სექტორის დატვირთვა, საზოგადოებრივი ცხოვრების, სახელმწიფო ცხოვრების და სხვა სექ-ტორების სტანდარტების მთელი სიკეთეც უკეთ გამოიკვეთება და პატივმოყვარეობის და უკავდო ამპარტავნობის ონებიც ძალას დაკარგავს. აი, ასე, სპინოზას გენიალური სიტყვები, რომ თავისუფლება შეცნობილი აუცილებლობაა, დედამიწის ამ ლამაზ კუთ-ხეშიც გამარჯვებას კიდევ ერთხელ იზეი-მებს. „კი, მაგრამ რეფორმებს ხომ ჩვენივე ინიციატივით ვახორციელებთ?“, მაგრამ ეს უკვე პატივმოყვარეობის სხვა ეშმაკობაა და მისი ცოცხალი პერსონიფიკაციები ის ადა-მიანები არიან, რომლებიც მოსახლეობას „გულწრფელად“ არწმუნებენ, რომ თუნდაც ყველაზე სუსტი ეკოლოგიური ინიციატივე-ბი ან სხვა აქციები მათი პირადი ძალის-ხმევის შედეგია. „გულწრფელად“ იმიტომ, რომ აქაც პატივმოყვარეობის პერფორმან-სთან გვაქვს საქმე (შეგნებულად ვუვლი გვერდს რეფორმების და ევროამერიკული მილიონების ინტიმური ურთიერთობების დიალექტიკას). უცხოური მითითებები და ბრძანებები მეტად თავაზიანი და სათუთა, არ ახასიათებს ძველიჭი დედების მიერ გამოზრდილ-გამოწაფული გოგონებისთვის დამახასიათებელი უხეშობა, ვულგარუ-ლობა და აგრესიულობა, ანუ დასავლუ-რი მითითებები ესთეტიკის გრძნობითაც და მაღალი გემოვნებითაც გამოირჩევა და მომხმარებლის შემოქმედებით უნარებსაც სწორ მიმართულებას აძლევს: მომხმარე-ბელმა თავად უნდა გაიაროს ის გზა, რომე-ლიც მას თავისი არარაობისა და სიცარიე-ლის ლაპირინთში გზას გააგნებინებს. მერე რა, თუ ეს გზა ია-ვარდით არ არის მოფე-ნილი და მოსახლეობა და მისი ლოკალური ბელადები ერთად, თუმცა კი თვითშეგნების უკიდურესად დაბალი ხარისხით ცდილობენ ამ სევდიანი ლაპირინთის გავლას (გასაგე-ბია, რომ ადამიანურობის მიმართ მგრძნო-ბელობის ამაღლება და ამ მიმართულებით

პირობითი რეფლექსების გამომუშავება ფულის და სიმდიდრის მიმართ გამომუშავებული პუნქტით რეფლექსების მართვით ხორციელდება). ეს პროცესი რომ თემის წევრების მიერ ერთმანეთის დამკირებით, ერთმანეთზე ძალადობით, ერთმანეთის მოტყუებით და ყველა სხვა ტრადიციული სათნოებით არის თანხლებული, ამაში არა-ბუნებრივი არაფერია. ბუნებრივია ისიც, რომ ეს შრომა სამუშაო იარაღების სახით თვალთმაქცობას, ფლიდობას, ვერაგობას და საუკუნეების განმავლობაში ნაწრთობი სხვა მსგავსი რესურსების გამართულ მუშაობას მოითხოვს.

## 5.

ყველა სოციალურ-კულტურულ კონტექსტს ისეთივე რიტორიკა ახასიათებს, როგორც ინდივიდს (ვგულისხმობ, როგორც სამეტყველო, ისე სამოქმედო რიტორიკას). საერთოდ, ხელოვნებასა და ხელოვნების „ადგილზე“ ხალხურობის უსაზღვრო დომინირებას მრავალი მოდუსი აქვს, მაგრამ ფერხულის ცნობიერების ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოვლინებაა მწერლობის მიმართ ხალხის, ლიანგის, მასების ფამილარული დამოკიდებულება. ხალხური ცნობიერება ტექსტს ალიქვამს, როგორც თავისი გრძნობადი სიამოვნების ფუნქციას და ამ დროს თავისთავად იგულისხმება, რომ აღნიშნული ფუნქციის დასაკმაყოფილებლად ტექსტის ვარგისიანობის, გამოსადეგობის განმსაზღვრელი კრიტერიუმი თვით ამ მკითხველის როგორც სიამოვნების მისაღებად მზადმყოფი ბოლო ინსტანციის, გონიერივი უნარები და შესაძლებლობებია (ამ უნარებს შორის ყველაზე „სასტიკია“ პედაგოგიური ჩამორჩენით დალდასმული „პრინციპული პოზიცია“: რომ ტექსტის აღქმის მისმიერი შესაძლებლობები გადამოწმებას არ საჭიროებს). თუ ასეთი შესაძლებლობებით წაკითხული ტექსტი გაუგებარია, უცხოა, სიამოვნების მისაღებად უვარგისა, ეს უპირობოდ ბრალდება ტექსტს და არა მკითხველს, მაგრამ ეს მხოლოდ ჩამოსაწერად განწირული ტექსტის ცხოვრებაში

დაწყებული ჯოვანხეთის პირველი წრეა (თორემ ტექსტის ხარისხი მისი სირთულით სულაც არ განისაზღვრება და არც ინტელექტუალურად მომზადებული მკითხველის სისუსტეზე მეტყველებს, მაგალითად, მის მიერ სასიამოვნოდ საკითხავი რომელიმე დეტექტივის სასარგებლოდ რომელიმე რთული ტექსტის გვერდზე გადადება). საქმე ის არის, რომ ფერხულის დომინირებით, ფერხულის მიერ დაპყრობილი ცნობიერებით განსაზღვრულ მკითხველს სოლიდარობის განცდა აქვს ხალხთან, რომლის ნაწილსაც ის ნარმოადგენს და რომელიც მას ყოველთვის გაუგებს, ვინაიდან ამ მკითხველის „პრინციპული პოზიცია“ ემთხვევა ფერხულში ჩაბმული თითოეული წევრის „პრინციპულ პოზიციას“: ტექსტი, რომელიც მას არ ესმის, უსარგებლოა (იმპლიციტურად: რაც უსარგებლოა, ის უნდა მოიკვეთოს და ცეცხლს მიეცეს). გაუგებარი ტექსტის მიმართ აგრესია კი ფერხულის ცნობიერების, მართლაც, რომ თანმობილი ინსტინქტია. საერთოდ, რაც უფრო მეტად ინდივიდუალიზებულია ტექსტი, მით მეტად აგრესიულია მის მიმართ ფოლკლორული ცნობიერება, რომელიც ინდივიდუალურის მიმართ სანქციებს სწორედ ინდივიდუალურობის ხარისხის შესატყვისად აწესებს, ამ ხარისხს კი ფერხულის სისასტიკე კომპიუტერულ გამოთვლებზე ათასჯერ უფრო ზუსტი ინსტინქტური „გამოთვლებით“ დაადგენს, ისევე შეიგრძნობს მას, როგორც – ზვიგენი სისხლს.

## 6.

აქ თავს იჩენს ორი სახალისო გარემოება: 1. აგრესია, რომელიც ფერხულს უჩნდება გაუგებარი ლიტერატურული ტექსტების მიმართ, არ უჩნდება მისთვის აბსოლუტურად გაუგებარი მათემატიკური ფორმულების მიმართ (მიზეზი: მათემატიკური ფორმულებით აგებული ტექსტი არაკითხვადია. ამიტომ ფერხულის პატივმოყვარეობას ის პრობლემებს არ უქმნის; ლიტერატურული ტექსტი კითხვადია, ფერხულისთვის კი შეურაცხმყოფელი, როცა მისგან იმაზე

მეტს მოითხოვენ, ვიდრე მან „იცის“, მისი ეს „ცოდნა“ აუცილებლად უნდა იყოს მატერიალისტური, სემსუალისტური, წინააღმდეგ შემთხვევაში ფერხულის წევრები ერთმანეთთან კომუნიკაციას ვერ დაამყარებენ და ერთმანეთს ვერ გაუგებენ: აი, რატომ ცდილობენ მისი წევრები, კომუნიკაცია მის უმდაბლეს საფეხურზე შეინარჩუნონ და არ დაუშვან მისი გართულება; ამ საფეხურზე კი, სულ მცირე, შესაძლებელია ის, რაც არ არის შესაძლებელი გაურკვეველ მათემატიკურ ფორმულებთან დაკავშირებით – საკუთარი აზრის გამოთქმა! „აზრის გამოთქმა“ კი ამ დროს საზღვრების დაწესების სინონიმური ხდომილებაა: იმას, რაც ამ „აზრის“ უნარებში არ ეტევა, არც იმ ტერიტორიაზე ფუნქციონირების უფლება ეძლევა, რომელსაც ფერხული აკონტროლებს; ეს ტოტალური დიქტატი „აზრის“ წარმოების დღემდე არნახული სიჭარბის ფონზე ხორციელდება: ფერხული მოითხოვს „აზრის“ ფლობასაც და გამოთქმასაც იმ ყველაფერთან დაკავშირებით, რაც ადამიანებს თვალში უვარდებათ, რასაც მათი ვიზუალური საცეცები სწვდება; „აზრის“ წარმოების ინდუსტრია უკვე დღითიდღე კი არა, საათობით ფართოვდება და ის აუცილებლად მისწვდება გაუგებარ მათემატიკურ ფორმულებსაც, ეს მხოლოდ დროის საკითხია; რაც უფრო ვინოვდება ინდივიდუალურის საარსებო სივრცე, მით უფრო მატულობს ყველას დასანახად და გასაგონად „აზრის“ მწარმოებელ ადამიანთა სიმრავლე. „მათემატიკურ ფორმულებთან“ დაკავშირებით, გაუგებრობის გამოსარიცხად, დავაზუსტებ, რომ ფერხულის პერსონიფირებული წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი სპეციალისტ-მათემატიკოსიც ან სხვა დარგის ნებისმიერი სპეციალისტიც, რომელსაც მათემატიკური ფორმულების ან სხვა, მაგალითად, ფიზიკის, ეკონომიკის და ა. შ. ფორმულების წაკითხვა მხოლოდ იმიტომ არ უძნელდება, რომ სპეციალისტია და არა იმიტომ, რომ ფერხულის წევრი არ არის; ასე რომ, შეიძლებოდა, მაგალითად, თქმულიყო: „მისთვის აბსოლუტურად გაუგებარი ჩინური იეროგლიფების მიმართ“,

„მისთვის აბსოლუტურად გაუგებარი რომელიმე ვინორ დარგის ენის მიმართ“ და ა. შ. უფრო მეტიც, ფერხულის იდეალური მანქანების შექმნაში სპეციალისტების როლი განსაკუთრებულია); 2. მიუხედავად იმისა (და, შესაძლოა, სწორედ იმიტომ), რომ ხალხური აზროვნება, ფოლკლორული ცნობიერება თავისი არსით მაგიური, შამანური და ხაზგასმულად დაფარულია, მისთვის უცხო და მიუღებელი, საშიში და საგანგაშოა ლიტერატურული ტექსტის სიბრძლე და, საერთოდ, მხატვრული ნაწარმოების მაგია (მიზეზი: ტექსტის მაგია ინდივიდუალური მაგია და ის შეურაცხყოფს და უტევს, გაძევებით ემუქრება ხალხურ, ფოლკლორულ, არაინდივიდუალურ მაგიას; მიუხედავად იმისა, რომ ხალხური რიტუალების – კალენდრულისაც და არაკალენდრულისაც – ბნელი შინაარსები ფოლკლორული ცნობიერებისთვის ინტელექტუალურად შეუცნობელია, იგი ასეთი შინაარსების მიმართ გაუცხოებას არ განიცდის, მას ამ მიუწვდომელ შინაარსებთან მშობლიური დაცულობისა და სოლიდარობის შეგრძნება აკავშირებს). ორივე ამ ასპექტის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ფერხულისთვის მხატვრული ტექსტი ერთადერთ შემთხვევაშია გასაგები და მისაღები: თუ ის, ჯერ ერთი, აზრობრივად ღატაკი ტექსტია; მეორეც, თუ ის შიშველი ემოციური შეგრძნებების გამოსაწვევად უხვი ტექსტია. სხვათა შორის, ჰოლივუდის ფილმებისთვის დამახასიათებელი ფსევდოინტელექტუალური კოდების სიჭარბე სწორედ ასეთი შეგრძნებების გაძლიერების ფუნქციად და გულგრილად აკონტროლებს ფერხულს, მას ინდივიდურისკენ გაუზონვისგან იცავს; იგივე ითქმის სხვადასხვა სამიზნე ჯგუფის მოთხოვნილებათა დასაკამაყოფილებლად წარმოებული სერიალების ფუნქციაზეც: ჩემთვის ცნობილი უკანასკნელი მოხდენილი აქცია იყო ფერხულის კვალიფიცირებული, სპეციალიზებული წევრების (და არა განათლებულის, ვინაიდან კვალიფიცირებული მუშახელობა, უმაღლესდამთავრებულობა და სპეციალისტად ყოფნა განათლებულობას არ

ნიშნავს, რაც ჯერ კიდევ ორტეგა-ი-გასეტ-მა ამომწურავად აჩვენა), ანუ შედარებით „მოზრდილთა“ დასაკმაყოფილებლად მო-ფიქრებული სუპერმენი ექიმი ჰაუსის, იმავე ბეჭმენის, ადამიანი-ობობას, შვარცნეგერის გმირების, ბრიუს ლის გმირების, ინტელექ-ტუალური ვერსია.

## 7.

აქ კი უკვე პეგელის ღიმილიც არ აყოვ-ნებს: ფოლკლორული ცნობიერების და ფერხულის სიძლიერე, პირველ რიგში, სწო-რედ ინდივიდუალურთან მიმართებით უნ-და გაიზომოს. ფერხული რომ გამარჯვებას ზეიმობს, ეს ეჭვგარეშეა. ასე რომ, დადგა დრო, როცა ინდივიდუალურმა, პოეტურმა, ფილოსოფიურმა, ერთი სიტყვით, მაღალი ხელოვნების თაურნებარომ მისი გამარჯვე-ბა უნდა აღიაროს და მის სამსახურში ჩად-გეს. მაგრამ სწორედ ამ მომენტში ხდება ის, რაც ფერხულის ყველა მოსალოდნელ მოლოდნენს აღემატება და კოლაფსს წარ-მოქმნის: ფოლკლორული ცნობიერება სა-კუთარ თავს შეტყვებული აღმოჩნდება არა იმიტომ, რომ მისი თანასწორი არ არის დამარცხებული მხარე, რომელმაც მისი გა-მარჯვება უნდა აღიაროს (კლასიკური სცე-ნარი), არამედ, უბრალოდ, საქმე აქამდე საერთოდ არ მიდის: ინდივიდუალური არ მარცხდება და, შესაბამისად, მასზე ფოლ-კლორულის გამარჯვებასაც არ აღიარებს (აღიარებს ფოლკლორულის გამარჯვებას, მაგრამ არა – მასზე!). შედეგი: ფერხულის განტვირთვა, მისი ძალაუფლების ნების დაცხრობა არ ხერხდება; ის იძულებული ხდება, არსებობა განაგრძოს დაურკებელი აგრესის უწყვეტ და თანაბარ მოდუშში, რომელსაც დასასრული არ უწერია, ინდი-ვიდუალური კი პერმანენტულად აცნობიე-რებს, რომ ფერხული მხოლოდ პერმანენ-ტულად მისი რეალიზებისა და თვითდამ-კვიდრების სალესი ქვაა.

## 8.

როგორც ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ისე განსხვავდება ერთმა-

ნეთისგან თითოეული მათგანის დრო და ყველა ეს დრო თანა-დროულია მხოლოდ იმ აზრით, რომ ერთმანეთისგან მათი განსხვა-ვებულობა მათ ერთდროულობას უზრუნ-ველყოფს. თითოეულ ჩვენგანს ისევე გააჩ-ნია საკუთარი ერთადერთი და განუმეორე-ბელი დრო, როგორც კიდურები, ხერხემა-ლი, მხედველობის ორგანოები. როცა ჩვენ ერთმანეთთან ვკომუნიცირებთ, ამ დროს ერთმანეთთან კომუნიცირებენ ჩვენი დრო-ებიც, ანუ ერთმანეთთან კომუნიცირებენ სხვადასხვა დროში მცხოვრები ადამიანები. ეს სულაც არ უშლის მათ ხელს, რომ ერ-თმანეთთან იმეგობრონ, ერთმანეთს დაუ-პირისპირდნენ, ჰყავდეთ საერთო შვილები, საერთო მეგობრები და ა. შ. ფილოსოფიუ-რი და პოეტური აზრით აბსურდული, მაგ-რამ ფსიქოსოციალურად კანონზომიერია ინტელექტუალურად და კულტურულად უმნიფარი ადამიანის სწრაფვა, მეორე ადა-მიანს მისი დროის ექსპლუატაციის ხარჯზე „გაუგოს“ და მისგანაც ასეთივე „გაგება“ მოითხოვოს. ხალხურ კულტურაში ადამია-ნები ყოველთვის ცდილობენ სხვათა ერთა-დერთ და განუმეორებელ დროთათვის სა-კუთარი ერთადერთი და განსაკუთრებული დროის შერწყმა-მიერთებით რაღაც საშუა-ლო დროის მიღებას, რაღაც ისეთის, რაც მათი და სხვების ერთდროული მოხმარების საგნად შეიძლება იქცეს. ასეთი საშუალო დროის გამოყვანა-მიღების მცდელობები (ანუ თვით პროცესი) ქმნის კომუნიკაციის განსაკუთრებულ, ხალხურ-ფოლკლორულ ტიპს, თვით პროცესის შედეგად კი მიიღე-ბა ერთად გატარებული დრო (ანუ, ენობ-რივ გამოცდილებას თუ ვენდობით, ეს არის დრო, რომელსაც ადამიანები ერთად ატა-რებენ; ისინი, ერთგვარად, ერთობლივი ძა-ლისხმევით გადგებიან განზე, რათა დროს ხელი არ შეუშალონ და მათ გარეშე ჩავ-ლის შესაძლებლობა მისცენ, იგი უპრობ-ლემოდ გაატარონ). ისეთ კულტურებში, რომლებშიც ხალხური, ფერხულისმიერი ტოტალურად დომინირებს (საქართველო კი, ბუნებრივია, სწორედ ასეთი კულტურე-ბის სიმრავლეში უნდა მოვიაზროთ), თემ-

სა და პიროვნებას შორის კონფლიქტის ერთ-ერთი არსებითი მომენტი სწორედ ის არის, რომ პიროვნება ცდილობს, საკუთარი ერთადერთი და განუმეორებელი დრო ერთადერთი და განუმეორებელი შინაარსით დატვირთოს, თემი კი მას უბირისპირდება და ამის შესაძლებლობას არ აძლევს; თემი მისგან დროის გატარებას, დროის ხელშეუხებლობას, სულიერი შინაარსით დროის ავსებაზე უარის თქმას მოითხოვს. აი, სწორედ ამიტომ არის მცდარი შეხედულება, თითქოს თემის უკმაყოფილებას და აგრესიას მავანის განსხვავებული, არაკონვენციური ან ფუნდამენტურად ნოვაციური სათქმელი და მოქმედება იწვევს; ეს ყველაფერი მხოლოდ საბაბია, აგრესის რეალური მიზეზი კი შემოქმედებითი, გონითი, სულიერი საწყისის მიმართ ხალხური ცნობიერების ტოტალური შიშია, იმის შიში, რომ დროს, რომელსაც ფერხული საკუთარი უძლურების გამო „ატარებს“ და თავად განზერება, ვიღაც არ გაატარებს, ცარიელს არ დატოვებს და გაანაყოფიერებს. ასე რომ, თვით სათქმელის და მოქმედების შინაარსი აქ არაფერ შუაშია, არსებითია ინდივიდუალური მეტაფორის შექმნის გაბედულებასა და ასეთი გაბედულების განეიტრალების ხალხურ მოთხოვნილებას შორის არსებული დაძაბულობა (ბოლოს და ბოლოს, ფსევდოინდივიდუალურით ინდივიდუალურის, ასლით ორიგინალის, იმიტაციით ნამდვილის ჩანაცვლება, ყოველმხრივი ფალსიფიკაცია და ამ გზით ძალაუფლების ხალხური ნების დაკმაყოფილება რომ ძნელი არ არის, ეს ჩვენმა დრომ საუკეთესოდ დაამტკიცა).

## 9.

ფერხულის ერთპიროვნული დომინირების პირობებში ასლი უარს ამბობს თავის უწყინარ „სტატუსზე“ და ორიგინალს აძევებს (მისი ადგილის დაკავების სრულიად გაცნობიერებული გეგმით შეიარაღებული). ორიგინალად ასლის გასაღების, ანუ ფალსიფიკიის ბიზნესი, საერთოდ, ფერხულის კულტურპოლიტიკის ნაწილია. ეს მოვლენები განსაკუთრებული სიმწვავით იჩენს თავს

მწერლობაში, განსაკუთრებით იქ, სადაც ლიტერატურული სისტემა ჯერ არ არის ჩამოყალიბებული. ასეთი ადგილია საქართველოც. ვინაიდან ქართული კულტურა ჯერჯერობით განვითარების მაგიურ-ტასტიკურ, შამანურ სტადიაზე იმყოფება, აյ ინდივიდუალურის მარგინალიზების, იგნორირების, მითვისების, მასზე პარაზიტირების პროცესი ფოლკლორული კულტურის ბუნებრივი, ორგანული ელემენტია და ის, შესაბამისად, არც ფერხულში ჩაბმული ადამიანების (რომლებიც იწოდებან პოეტებად, მწერლებად, მეცნიერებად) მიერ აღიქმება უცხო და უჩვეულო მოვლენად. საქმე რომ ინდივიდუალური კულტურის დაკინების სტადიას ეხებოდეს, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა მის მიმართ შესატყვისი რიტორიკის უპირობოდ გამოყენება (მოპარვა, მითვისება, პლაგიატორობა და ა. შ.), მაგრამ ხალხურის ყოვლისმომცველი დომინირების სტადიაში ასეთი რიტორიკა უსაგნოა. ფოლკლორულ კულტურაში ინდივიდუალურს მხოლოდ იმდენად აქვს არსებობის უფლება, რამდენადაც ის კოლექტიურის შეუფერხებელი მუშაობის ფუნქციაა, ანუ ის მხოლოდ ფსევდოინდივიდუალურად არსებობის ბედნიერებას უნდა დასჯერდეს, ფოლკლორი კი მკაცრად აკონტროლებს მის ამ ფუნქციას; „ინდივიდუალური“ იმპლიციტურად ენერება ფოლკლორულში. ასე რომ, ინდივიდუალურის მიმართ მგრძნობელობა მხოლოდ ამგვარი კონტროლის მოთხოვნილებით არის მოტივირებული. სამწერლო საქმიანობის ბიზნესში ჩაბმის მსურველი ნებისმიერი ინდივიდი, რომელიც უკვე მომწიფებულია ასპარეზზე გამოსასვლელად (ვუწოდოთ მას, ფართო გაგებით, შეგირდ), ამ დროს ნარმოადგენს სწორედ ინდივიდუალურ კულტურასა და ხალხურ კოსმოსს შორის გახლეჩილ შეგირდს, რომელიც გადამწყვეტი არჩევნის გასაკეთებლად ემზადება: ინდივიდუალური კულტურის კანონები მას მიუთითებენ, რომ ის, როგორც შეგირდი (ვგულისხმობ არა მაინც და მაინც საშუალო ან უმედო, არამედ ნიჭიერ, გემოვნებიან და ერუდირებულ

შეგირდს), ჯერჯერობით დიდი ოსტატების გადმოხატვის სტადიაში იმყოფება და მისი ტექსტები ტიპობრივი და აუცილებელი სავარჯიშოებია, ფერხული კი მას თავს ახვევს თავის კანონებს („თემობის წესს“) და ინდივიდუალურის იგნორირებისკენ, დაუყოვნებლივ საფერხულო ცეკვაში ჩაბმისკენ მოუწოდებს, ანუ შეგირდს უპირობო აღიარებას ჰპირდება. როცა შეგირდი, ფოლკლორულისგან ასე იოლად მისაღები აღიარების იმედით, ინდივიდუალურს თმობს და ფერხულის წევრობაზე თანხმობას აცხადებს, ფერხული მას ლეგიტიმირებულ-ჰყოფს, როგორც ოსტატს და შეგირდის მიერ დამზადებული ასლებიც უმაღლ თრიგინალის „სტატუსს“ იძენენ. მაშინ, როცა ცრუინდივიდუალურში ნიჭიერი შეგირდის ნახტომი ფერხულის საზღვრებში აღიარების გარანტი ხდება, ამ აქტის განხორციელებით შეგირდი საბოლოოდ უუცხოვდება ინდივიდუალურ კულტურას, კულტურულ-ისტორიულ მეხსიერებას და ის ფოლკლორული დრო-სივრცის ნაწილი ხდება; ამრიგად, მისი ტექსტები უკვე „აღარ არის“ ასლი, გამეორება, არანჟირება, ვარიაცია, არამედ ისინი მშობლიური ან (განსაკუთრებულ შემთხვევებში) ინტერნაციონალური ფერხულის ფუნქციის ფარდას მისი, როგორც ფოლკლორული კონტექსტის ერთგული წევრის „სტატუსიც“. ამ აქტით იწყება ფერხულის მიმართ მისი ერთგულების ფოლკლორული ბიოგრაფია. ამის მერე, შესაბამისად, ინდივიდუაციის წებისმიერი მცდელობა ფერხულის მიერ აღქმული იქნება, როგორც ღალატი, თუმცა, აქვე უნდა დავძინოთ, რომ ფერხულში ჩაბმული ადამიანის ამა თუ იმ მიზეზით „გამოფხილება“ არცთუ ისე იშვიათი ხდომილებაა, ხოლო ასეთ „გამოფხიზ-

ლებულთა“ მიერ ინდივიდუაციის მიღწევა – უკიდურესად იშვიათი მოვლენა.

## 10.

კულტურის მიმართ დამოკიდებულების კულტურა, როგორც წესი, ამა თუ იმ საზოგადოების და მისი შემადგენელი წევრების ინტელექტუალური განვითარების უტყუარსურათის იძლევა. საქართველოში, როგორც საბჭოეთის ტიპობრივ „პოსტ“-კოლონიურ ქვეყანაში, გაბატონებულია კულტურის ცალმხრივი აღქმა, მისი ფუნქციონირების მექანიზმების მიმართ ზერელე დამოკიდებულება. ეს უკანასკნელი ყოველთვის კულტურის ჰუმანიტარულ საწყისებზე აქცენტირებს, მაგრამ ვერ ხედავს მათემატიკურს, ზუსტს, რაოდენობრივს, გამოთვლადს, ამ ორერთობის გაუთვალისწინებლად კი კულტურა არ არსებობს. შესაბამისად, არ არსებობს არც საპრიორიტეტო ხედვის მიმართ მგრძნობელობა, საპრიორიტეტო აზროვნების კულტურა. საქართველო ამის საუკეთესო მაგალითია. ასეთი ზერელობაც ხალხურ და ინდივიდუალურ



კულტურებს შორის განსხვავების მიმართ განურჩეველი დამოკიდებულებით არის გამოწვეული, უარეს შემთხვევაში კი ხალხურის მიმართ მიზანმიმართულად უპირატესობის მიმნიჭებელი ქმედებებით. ხალხურ

კულტურაში, ფოლკლორულში, გონი არ არსებობს, არ არსებობს მეტაფიზიკური სიმაღლე. გონი შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ ინდივიდუალურსა და იმ ტრადიციაში, რომელსაც ინდივიდუალური ქმნის. კოლონიური მოდელები ამ ცოდნის გაუთვალისწინებლად არასდროს არსებულა. იგივე ითქმის რუსეთზეც. მართალია, მისი კოლონიზატორული პოლიტიკა ყოველთვის არარაციონალური, სისტემურობას მოკლებული და ფიზიკური ძალადობის პრიმატზე დამყარებული იყო, მაგრამ, როგორც ნებისმიერი კოლონიზატორი ქვეყანა, ხალხურის, ფოლკლორულის აღზევებას და ინდივიდუალურის ჩახშობას ისიც დიდ ყურადღებას უთმობდა. ახლა, როცა საქართველო ნაწილობრივ მაინც არის დამოუკიდებელი, კოლონიური პოლიტიკის დანატოვარი მასში ისევ წარმატებით განაგრძობს მუშაობას და ერთ დროს ინდივიდუალურის პერმანენტული კასტრირების პროცესი პერმანენტული თვითკასტრირების პროცესით არის ჩანაცვლებული. ასეთ დროს დამოუკიდებლობა ყოველთვის არის ფიქციური და თავისუფლების სტადიაში გადანაცვლებისგან საიმედოდ დაცული. კოლონიზატორზე უკეთ ვერავინ ხედავს, მის ყოფილ კოლონიაში თავისუფლების ხარისხი მართლაც იზრდება თუ ეს მხოლოდ ფიქციური დამოუკიდებლობის ონებია, ყველა თავისი კლასიკური ატრიბუტით. თავისუფლების ხარისხის უტყუარი მაჩვენებელი კი ხალხურსა და ინდივიდუალურს შორის თანაფარდობის ხარისხია. დღესდღეობით რუსეთი თუნდაც იმიტომ არ შეუშლის ხელს საქართველოს „განვითარებას“ და „გაძლიერებას“, რომ ვერც ერთი ქვეყანა, რომლის ხელისუფლება, საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით, უწყვეტად ხალხუ-

რის გაძლიერებით და ინდივიდუალურის დათრგუნვით არის დაკავებული, ვერც განვითარდება და ვერც გაძლიერდება. რუსეთისთვის საგანგაშო სიგნალი შეიძლება აღმოჩნდეს მხოლოდ საქართველოს ნებისმიერი ხელისუფლების მიერ ინდივიდუალურის, ანუ კულტურულის და რაციონალურის გასაძლიერებლად აღებული კურსი და მაშინ არც რეაქცია დააყოვნებს. ჯერჯერობით კი რუსეთი მხოლოდ კმაყოფილებით, მინიმალური დანახარჯებით ადევნებს თვალს საქართველოში კულტურული რესურსების პერმანენტული ფლანგვის პროცესს.

## 11.

ათასიდან ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტ შემთხვევაში: ის, ვინც ინდივიდუალურის დაცვის მანიფესტაციებით გამოდის და ფერხულის წინააღმდეგ ილაშქრებს, თავად არის ფერხულის (რეალურის ან მისთვის სასურველის) შეგნებული ან შეუგნებელი ადეპტი.

ასიდან ოთხმოცდაცხრამეტ შემთხვევაში: ის, ვინც ინდივიდუალურის დაცვის მანიფესტაციებით გამოდის და ფერხულის წინააღმდეგ ილაშქრებს, ამას ინდივიდუალურთა სიურრეალისტური ფერხულის სულისკვეთებით, ანუ გაცნობიერებული ან გაუცნობიერებელი ტოტალიტარიზმის ნიშნით სჩადის.

ათიდან ცხრა შემთხვევაში: ის, ვინც ინდივიდუალურის დაცვის მანიფესტაციებით გამოდის და ფერხულის წინააღმდეგ ილაშქრებს, მანიფესტების მეტს არაფერს ტოვებს, ანუ მეტაფორის არათუ შექმნის, არამედ შექმნის მცდელობის სიხარულსაც კი მოკლებულია.

თამარ მესაბლიშვილი



•

ვისაც გული შესტკივა, ის არ მიდის.  
ვისაც გული სტკივა, ის შენთან უნდა რჩებოდეს.  
მე ასე მჯერა.

მაგრამ, რადგან კენტად ვზივარ ბაღში,  
სადაც არავის ეყინება უთათმანო ხელები  
და ლოყებიც მარტო მე მიწითლდება,  
ვხვდები, რომ ერთადერთი, ვისაც გული სტკივა, მე ვარ.

უსიტყვოდ ვაყოლებ თვალს გადამფრენ ფრინველებს,  
რომელთაც ჩემი სულის ის ნაწილი მიაქვთ,  
უკან რომ აღარ დამიბრუნდება გაზაფხულზე.

ვისაც გული სტკივა, არ მიდის...  
ვიმეორებ ჩემთვის და თმიდან ფიფქებს ვიპერტყავ.

რა იქნებოდა,  
მოგონების მოშორებაც ასე ადვილი ყოფილიყო,  
მოფრენილიყო ციდან,  
გაელამაზებინა ჩემი ულიმლამო ცხოვრება,  
მერე კი უმტკივნეულოდ, უკვალოდ გამქრალიყო.

რა იქნებოდა...  
მაგრამ მოგონებები არ დნებიან და  
მეტიც, როცა პელურებს საკენკად ვუყრი,  
ცივად მეუბნებიან,  
რომ არ სურთ, კიდევ ერთხელ იგემონ იმედგაცრუება.

აქვს თუ არა იმედგაცრუებას გემო – არა,  
მაგრამ სამაგიეროდ ის ვიცი,  
რომ სხვისი ტკივილის ნამცეცის ზიდვაც კი არ შეგვიძლია.

ამიტომაც ვამბობ – ვისაც გული შესტკივა,  
ის შენ გვერდით უნდა რჩებოდეს,

სანამ თოვლი გაზაფხულად არ გადაიქცევა,  
ბალში გაშლილი ყვავილები კი  
ყველა იმ ღიმილად, შენ რომ ვერ გაიღიმე.

## TIME FORGETS

როცა ამბობენ, მე არ მჯერა, თითქოს ლოტოსი  
სამოთხეს ჰგავსო. წარმოვიდგენ ხოლმე ასეთად:  
ვზივარ, ვკითხულობ მე შენს წერილს, როგორც ფოტოში –  
ჭიქა ჩაი მაქვს, ზეპელინის ძველი კასეტა.  
გადაიღალნენ, ალბათ, ჩემი სახლის კედლებიც,  
ხედავ? რუტინას უქსოვია აბლაბუდები...  
მე მივეჩვიე უშენობას. არ გევედრები  
უკვე არაფერს. თუ არ გინდა, ნუ დაბრუნდები.  
რაც შენ წახვედი, მივიჩვიე ერთი ბელურა,  
ფრთამოტეხილი (ჰო, ჩემსავით). ნეტა, რას შვრება?  
მზეზე გავფინე ოცნებები, შენ რომ გეხურა  
და მე არ ვიცი, რამდენ ხანში, მაგრამ გაშრება.  
როცა ამბობენ, მე არ მჯერა, თითქოს ლოტოსი  
სამოთხეს ჰგავსო, წარმოვიდგენ ხოლმე ასეთად:  
ზიხარ, კითხულობ შენ ჩემს წერილს, როგორც ფოტოში –  
ჭიქა ჩაი გაქვს, ზეპელინის ძველი კასეტა.

## შენ რომ არ მყავდე

შენ რომ არ მყავდე, ვიქნებოდი ჩვეულებრივი,  
შენ რომ არ მყავდე, ვიცხოვრებდი ისე ადვილად,  
ალბათ, თაროზე დაწყობილი რვეულებივით  
გამათავებდნენ და დადებდნენ სხვას ჩემს ადგილას.  
შენ რომ არ მყავდე, ყოველ დამე ვინ მიმღერებდა  
ან ვინ შეთხზავდა ახლა ზღაპარს ყველა საღამოს,  
მაშინ სიკვდილიც მუქარით მუშტს მომიღერებდა,  
არ იქნებოდა ჩემი ტვინი ფიქრის მაღარო...  
შენ რომ არ მყავდე... შემძულდება (მოწმე ღმერთია),  
ვისაც უკვირს, რომ ჩემს სიცილს და ტირილს ვერ არჩევს,  
ვისაც არ ესმის, ღიმილი და ცრემლი ერთია  
ან ჰგონია, რომ აქვს მიზეზი ამქვეყნად დარჩეს,  
რადგან არსებობს...  
მარტოობას ხარკივით ვიხდი,  
მსურს გავამართლო არსებობა ჩემი ამქვეყნად.  
მე, განსხვავებით სხვებისაგან, ადრევე მივხვდი,  
ჩემი ლანდი რომ სულ ბოლომდე თან არ გამყება.  
თვითონაც მსურდა და უფალმა ასეც ინება,  
რომ მე ვიარო სამუდამოდ გიუის დამლით და  
მერქვას პოეტი (ამ სახელზე მეც მეცინება)...  
მანამ ვიცხოვრე, ეს ცხოვრება სანამ დამღლიდა.  
ალარაფერი ალარ დამრჩა დასაკარგავი.

ვკითხულობ წიგნებს... ვსვამ ყოველდღე ერთ ფინჯან ყავას.  
რადგან დღეები ჩემს ოცნებებს სულაც არ ჰგავდნენ,  
თავს მილიონჯერ მოვიკლავდი, შენ რომ არ მყავდე...

## LA MAISON EN PETITES CUBES

მოგონებები  
შენ რა, გგონია,  
ისევე ნავლენ, როგორც ყველა სხვამ მიგატოვა?  
ისინი შენთან იქნებიან,  
სულ შენთან, შენში,  
შენს კუბიკებიან სახლში,  
შენს ძველ ჩიბუხში,  
ფოტოებში,  
ოთახის კუთხეებს შეეკედლებიან,  
როგორც მკვდარი პეპლები.  
შენ რა, მართლა გგონია,  
რომ დამთავრდება ეს ტკივილი  
ან რომ ოდესმე დასასრული ექნება ამ სახლს?  
ან, იქნებ, ფიქრობ, სიზიფეზე მეტი ხარ რამით?  
განა არ იცი,  
ყველაფერი იმისთვის შენდება,  
რომ დაინგრეს  
და შენთვის აუტანელი გახდეს მისი არარსებობა.  
შენ რა, გჯერა,  
რომ ლია კარებს არავინ ამტვრევს,  
რომ არარსებულს არ ებრძვიან  
ან ოდესლაც ყველა ტკივილი ყუჩდება?  
განა შეიძლება რამის დავიწყება,  
როცა ახლაც ყურში ჩაგესმის მისი ფეხის ხმა,  
ისე მკვეთრად გახსოვს,  
ზოგჯერ კარს აშტერდები:  
თითქოს უნდა გაიღოს და შემოვიდეს.  
შენ რა, მართლა ფიქრობ,  
რომ სიყვარულია ადამიანის ცხოვრება?  
განა, შენ იმ ზღაპრისაც გჯერა,  
რომ ერთ დღეს ყველაფერი კარგად იქნება  
და ბეჭინიერებაც ჩვეულებად გადაიქცევა  
შენს აგურ-აგურ შეკონინებულ სახლში?  
ადამიანი ხომ მარტოობისთვის იბადება,  
რომ ბოლოს ტკივილიანი მოგონებები  
სარდაფში ჩაკეტოს  
და საკუთარ თავს უკან მოუხედავად გაექცეს.  
შენ კი გგონია, რომ ცხოვრება უფრო რთულია,  
ვიდრე კუბიკებით სახლის აშენება  
და რომ ბევრი რამ გეკუთვნის ამქვეყნად,  
როცა მარტოობის და მოგონებების მეტი  
არაფერი გაგაჩნია  
სინამდვილეში.

## აკოლინერის ლაქა მერის

ლრუბლები ცაზე, მე ვიტყოდი, ლაქები უოლოს,  
ჰო, ორი კოვზი ჩამიყარე, გმადლობ, გეთაყვა.  
როგორც მზეები ილექება ჭიქაში ბოლოს,  
უანგი ედება გრძნობებსაც და სიტყვას „მიყვარხარ“.  
მიირთვი ჩაი, მარტოობას წუ აქცევ დარდად,  
გინდა, შენთვის დრო გავაჩერო პოლაროიდით,  
რომ დაინახო, კადრში შენი ღიმილის გარდა,  
ყველაფერი და, დამიჯერე, ყველა მოიცდის.  
გუშინდელ წვიმას შეუძლია, ქუჩა მონამოს,  
თუ გაშინებენ ის ღმერთები, ადრე რომ გწამდა,  
მაგრამ ზედმეტად ჭკვიანი ხარ ახლა, mon amie,  
რომ ჩაიძირო იმ თვალებში, რომლებიც გწამლავს.



ყოველ საღამოს, შინ მისვლისას, ყველაფრით დაღლილს  
გინდა, რომ ვიღაც გხვდებოდეს და გიღებდეს კარებს.  
რომ იყოს ზღურბლი – მის ერთ მხარეს ერქმევა „სახლი“,  
მეორე მხარეს, პირობითად, იქნება „გარეთ“.

არ გეშინოდეს მარტოობის წაჩეუბებისას,  
არც მის თვალებში ჩახედვისას, ასე რომ გასცემს,  
რადგანაც იცი, რომ იპოვი ზაფხულებიდან  
შემორჩენილი სითბოს თუნდაც პატარა ნამცეცს.

გინდა, რომ ერთხელ ცხოვრებაში არ იყო ცუდად,  
გაუცხოებას, თუ არსებობს, გაგიგებს ღმერთი,  
რადგან ძნელა, რომ გიყვარდეს ყველა და მუდამ,  
თუკი არ გიყვარს კონკრეტულად ახლა და ერთი.

და განა რამე? კარგად იცი, რომ არის კლიშე,  
ქარს გაატანე სიყვარულის ყველა წერილი...  
და მაინც გინდა, რომ შენც ვინმე გელოდეს სადღაც –  
შენთვის უსაზღვრო სამყაროში ათვლის წერტილი.



ამდენი ხნის,  
ამდენი ხნის მერე მივხვდი:  
განა მარტო მე,  
ჩვენ ყველას გვაკლია სეირნობა წვიმიან ამინდში,  
უფლება, ვიყოთ ჩვეულებრივები,  
საყვარელი ჯგუფის კონცერტი,  
საინტერესო მეგობრები,  
იდეალური გარეგნობა,

შესაძლებლობა, ჩავიცვათ ახალი კაბა ყოველდღე,  
შეგვეძლოს, მივატოვოთ ყველაფერი  
და დედამიწის გარშემო ვიმოგზაუროთ,  
გვქონდეს იასამნისფერი თმა  
და ფილმებში რომაა, ისეთი ცხოვრება.  
ამდენი ხნის მერე მივხვდი  
და ახლა არ ვიცი,  
ვის მიმართ ვიგრძნო სიბრალული:  
საკუთარი თავის თუ ყველა დანარჩენის,  
არაფრის დანაკლისს რომ არ განიცდიან.

●

თუ მზეს დიდხანს მივეფიცხები,  
დავიწვები.  
რა მოხდება, თუ შენთან დავრჩები?  
ალბათ, სული დამინახშირდება...  
არ ვიცი...

რა გითხრა? მე არ ვარ სულელი ფარვანა,  
რომელიც სინათლისკენ მიიღწვის.  
თუ სინათლე დაღუპვაა,  
ბინდპუნდშიც ვისწავლი საგნების გარჩევას  
მათი კონტურების მიხედვით.

თუ მზეს დიდხანს მივეფიცხები,  
დავიწვები...  
მაგრამ შენ მზე არ ხარ:  
გამუდმებით თავს არ დაიწვავ,  
მე რომ გამათბო,  
არც ყოველთვის ჩემ გვერდით იქნები,  
გზა რომ გამინათო.

მე მაშინებს იმაზე ფიქრი,  
რომ არ არსებობენ მზეები  
და მაინც:  
მე მჯერა თვითგადარჩენის,  
მე მჯერა თვითგანადგურების,  
მე მჯერა მარტოობის...  
უმზეობის...

შენ მზე არ ხარ...  
მე არ მეშინა შენთან დარჩენის.

### ბაჩანა ბრეგვაძე

### ჩანაწერები

#### დუმილი

ერთხელ კონფუციმ ბრძანა – ლაპარაკი აღარა მსურსო.

– მოძლვარო, – უთხრეს მონაფეებმა, – თუ ლაპარაკს აღარ ინებებ, რაღას გადავ-ცემთ, ან რას დავუტოვებთ მომავალს?

კონფუციმ პასუხად თქვა:

– კი მაგრამ, განა ცა ლაპარაკობს? წელიწადის დროები კი თანმიმდევრულად ცვლიან ერთმანეთს და ყოველივე ცოცხა-ლი იზრდება. განა ზეცა ამბობს რაიმეს?

#### კულტურა

გამორიცხეთ კულტურა ისტორიიდან და მიიღებთ ზოოლოგიას.

თუ მთავრობის ამნაირი პოლიტიკა კვლავაც გაგრძელდა, ჩვენ მალე ისტორი-ულის ნაცვლად ზოოლოგიურ სინამდვილე-ში ამოვყოფთ თავს.

#### ისტორია

სანაგვეში ჩაპნეული პატიოსანი თვლე-ბი.

#### თავისუფლება


სხვა არა არის რა, თუ არა პატიმრის გადაყვანა ვიწრო საკნიდან ცოტა უფრო ფართო საკანში.

#### ზოოპარკიდან ჯუნგლებამდე

კინორეჟისორი ფორმანი ეროვნებით ჩეხია, ამერიკაში საკმაოდ გვიან ემიგრი-რებული. ასე რომ, კარგად იცნობს ე. ნ. „სოციალისტურ ბანაკში“ შემავალი ქვეყ-ნების ყოფა-ცხოვრებას (საკუთარ ტყავზე აქვს ნაწვნევი). როდესაც სსრკ და მასთან ერთად „სოციალისტური ბანაკიც“ დაიმა-

ლა, მაგრამ უკეთესი მომავლის მოიმედე ხალხების – კომუნიზმის ყოფილი მშენებ-ლების მდგომარეობა უნინდელზე უფრო აუტანელი გახდა, ფორმანს უთქვამს: „ჩვენ გამოგვრეკეს ზოოპარკიდან და პირდაპირ ჯუნგლებში გვიკრეს თავი“.

(მაგრამ ყველამ კი მიაღწია „საოცნებო“ ჯუნგლებამდე? მახსოვს, საბჭოთა გაზეთე-ბი იუნიებოდნენ: ზოოპარკის დარაჯს ვეფ-ხვის გალია დარჩენია ჩაუკეტავი. ნადირი გარეთ ჯამოსულა, კამარა შეუკრავს, რომ



რკინის ღობეს გადავლებოდა და... უსუ-ლოდ დასკდომია მიწას: ინფარქტს მოუკ-ლავს ვიწრო გალიაში დიდხანს ყოფნით და-კუტებული).

#### „პოსტსაბჭოური სივრცე“

„ნითელი ხარის ნაწლზე ბალახი აღარ

ამოვა“. მით უმეტეს, რომ ეს ხარი არსადაც არ წასულა, იქვე წევს და არხეინად იცობნის... მხოლოდ ფერი იცვალა. ესაა და ეს.

#### ფითრი

გინახავთ ვაშლის ან მსხლის ხეზე ამოსული ფითრი, გაჯალებული რომ ჩაჰურია, ჩაჰურენია ხორკლიან ტანს და ხარბად ისრუტავს ფესვებიდან დაძრულ მაცოცხლებელ წვენს? საბრალო ხე ციებიანივით კანკალებს, თრთის, ღონე ელევა, ნელ-ნელა ჭკნება და ხმება. ნელ-ნელა და თანდათან: ფითრმა თითქოს „იცის“, რომ მთელი სისხლი ერთბაშად არ უნდა ამონოვოს, თორემ ხესთან ერთად ისიც მოკვდება. ხისა და პარაზიტის ურთიერთობას ინსტინქტის დონეზე არეგულირებს ბუნება. მაგრამ ორფეხა პარაზიტში ეს ინსტინქტი უკვე აღარ მოქმედებს. ფითრად ქცეულმა ადამიანმა აღარ იცის, რაც „იცის“ ფითრმა. აღარ იცის და არც არავინ ასწავლის.

#### აპოთეოზი

რომის იმპერატორის გარდაცვალების შემდეგ იმართებოდა საზეიმო-სამგლოვიარო ცერემონიალი – „აპოთეოზი“. ცერემონიალის დასასრულს მიცვალებული ღმერთად ცხადდებოდა და „კეთილმოწყალე ღვთაებათა“ (dii propitii) ხომლში იკავებდა ადგილს.

ერთ რომაელ იმპერატორს (არ მახსოვს, რომელს) მძიმე სენმა დარია ხელი. ავადმყოფის სანახავად მეგობარი მივიდა და ჰკითხა, როგორა ხარო.

რაღა როგორაო, ამოიგმინა ავადმყოფმა, მგონი ღმერთი ვხდებიო.

საბჭოთა ლიდერები კი მხოლოდ სიცოცხლეში იყვნენ „ღმერთები“.

#### კონსილიუმი

ოჯახის უფროსს მძიმე სენმა დარია ხელი.

შეშფოთებულმა ოჯახის წევრებმა სასწრაფოდ მოიწვიეს კონსილიუმი.

სახელოვანი ექიმები საფუძვლიანად „ჩასხდნენ“ ოჯახში.

დღედაღამ ჭამენ, სვამენ, ღრეობენ.

მადა ჭამაში მოდისო და დღითი დღე სულ უფრო და უფრო მეტს მოითხოვენ.

გაღატაკდა ოჯახი. ვალს ვალზე იღებს.

ექიმებს მართლაც რომ მგლის მადა აქვთ.

სნეულისთვის ვის სცალია: არა, ჩემი დიაგნოზი უფრო სწორია და არა, ჩემიო, – თავ-პირს ამტვრევენ ერთმანეთს.

თუმცა ხანდახან, ოჯახის წევრების გასამხევებლად, სიმღერასაც შემოსძახებენ: „არ მოქვდარა, მხოლოდ სძინავს“...

ავადმყოფი კი სულს ღაფავს.

ქართული პოლიტიკური სპექტრი.

#### სულის დისციპლინა

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, თითქმის იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც გაგრძელდა ომი, გერმანიაში არც ერთი მწერალი არ ყოფილა, – წერს ჰაინრიხ ბიოლი.

გასაგებია, რატომაც.

ცოტა ხნის წინათ – მსოფლიოს ერთერთი ყველაზე მოწინავე ქვეყანა, თავმომწონე თავისი ანტყოთიც და თავისი წარსულითაც, თავისი დიადი კულტურით; მომავალიც თითქოს სიკეთის მეტს არას უქადის (ალორძინების ეპოქა იტალიელებისა იყო, XVI ს. – ესპანელების, XVIII ს. – საფრანგეთის, XIX – ინგლისის, XX კი გერმანელებისა უნდა ყოფილიყო, – ამბობს პოლვალერი).

დღეს – დამარცხებული, ფეხვეშ გათელილი, სერხემალგადამსხვრეული, წანგრევებად ქცეული. გოთური ტაძრებისა და სასახლეების ჩონჩხები, ჩონჩხადვე ქცეული ადამიანები, უფრო სწორი სწორად, ადამიანთა ლანდები. საყოველთაო ზიზლი და სიძულვილი („რა ბედნიერი იქნებოდა კაცობრიობა, გერმანიის ადგილას „გერმანიის ზღვა“ რომ ყოფილიყო“, – წერდა იმხანად კიდევ ერთი ევროპელი მწერალი).

შეძრწუნებული სული თვალს ვერ უსწორებს გრანდიოზული ისტორიული კატაკლიზმის თავზარდამცემსა და გამაოგნებელ შედეგებს.

ადამიანი გაქვავდა და დამუნჯდა.

სისხლთან ერთად მელანიც გაშრა...

მაგრამ გერმანელი უტეხია. თვით სასოწარკვეთილებაც და დათრგუნვილობაც მოქმედების სტიმულად იქცა. ერთ მუშტად შეკრულმა შემართებამ, შრომისმოყვარეობამ, მოქალაქეობრივმა შეგნებამ, შესამურმა ენერგიამ, სულის უმკაცრესმა დისციპ-

ლინამ და ერის მძღვანელობაში თავისი პოლიტიკური განვითარების მიზანია ქვეყნის მაღალი განვითარების და მთელი სახელმწიფო მიზანი.

ამასობაში კი:

**გამარჯვებული**, მთელი თავისი პოლიტიკური განვითარების მიზანი უნდა იყოს ეფექტური, თანამდებობა მარაზმში... პიროვნეული გამარჯვება... სადაც სულს კლავენ, სულის დისციპლინაზე ლაპარაკიც კი სასაცილოა. „ბოროტების იმპერია“, „ევროპის უანდარ-მი“ – ამ ეპითეტებით ამკობენ მას და თინების ფეხებზე შემდგარი კოლოსის თავგასულობით შეშფოთებული მსოფლიო უკვე ფიქრობს:

„რა პედნიერი იქნებოდა კაცობრიობა, რუსეთის ადგილას „რუსეთის ოკეანე“ რომ იყოს“.

#### ყურმოკრული ფრაზა:

„ღმერთი მოდაში აღარ არის“.

#### დიდი ერები

„დიდი ერი“ ისაა, ვინც „აიძულებს“ მსოფლიოს ყველა ქვეყნის განათლების სამინისტროებს თავიანთ სასწავლო პროგრამებში ჩართონ და მსუყე დაკვეთისა და საზღაურის მომლოდინე ისტორიკოსებს საუნივერსიტეტო თუ სასკოლო სახელმძღვანელოებში რაც შეიძლება ვრცლად განახილვინონ მისი „სახელმოვანი წარსული“.

„განათლებული კაცობრიობა“, არსებოთად, სულ რაღაც ათიოდე ქვეყნის ისტორიას აიგივებს „მსოფლიო ისტორიასთან“.

ჩვენ?

თითო-ოროლა საილუსტრაციო მაგალითად არვის უზნდივართ.

თუმცა, არა: შევარდნაძე, სტალინი! მო!

#### რუსთაველი?

„ვერ ვუპატრონეთ“.

#### „შური“

„შური არს მწუხარებად სხვისა კეთილ-სა ზედა“, – ასე განმარტავს სულხან-საბაო მობელიანის „სიტყვის კონა“ ადამიანის ამ ერთ-ერთ ყველაზე უკეთურ გრძნობას.

დიდი ლექსიკოგრაფი სულაც არ იყო ვალდებული, მკითხველისათვის მიეთითებინა ამ სიტყვების წარმომავლობა, რომ-

ლებიც, ვინ მოსთვლის, რამდენჯერაა ცი-ტირებული ქართული მწერლობის, მეცნიერებისა თუ პერიოდული პრესის მიერ.

სამწუხაროდ, ეს ზუსტი და სხარტი დეფინიცია სულხან-საბაო მობელიანის არ ეკუთვნის.

მისი ავტორია ბასილი დიდი.

(იხ. დიდი თეოლოგის პატარა ტრაქტატი „შურისათვის“).

#### „EGREGIUS“

Egregius ლათინურად „საუცხოოს“, „შე-სანიშნავს“, „დიდებულს“, „ბრწყინვალეს“ ნიშნავს.

ამ სიტყვის ძირია grex (ნათეს. ბრუნვა – gregis) – „ჯოგი“; „ბრბო“.

საწყისი ხმოვანი ე წინდებულ ეხ-ის სახესხვაობაა (ქართულად ითარგმნება თან-დებულით „გან“, „დან“, ან ზმის რთული წინსართით „გამო“).

ასე რომ egregius-ის პირდაპირი მნიშვნელობა არის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „გამოჯოგებული“, ე. ი. „ჯოგიდან გამოყოლი“, „ჯოგიდან გამორჩეული“, მოკლედ, „რჩეული“.

ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი სიტყვაა. მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით.

სინამდვილეში, შინაგანი წინააღმდეგობა მის ძირია (grex, gregis) და მნიშვნელობას (egregius) შორის იმდენად კოლოსალური ძალისაა, რომ ამ ძალის საბეჭისერო გარეგნული გამოვლენა, მისი მდევნივარება კაცობრიობის ისტორიის მთელ მანძილზე მხოლოდ ატომური ბომბის დამანგრეველ მოქმედებას ან სტიქიურ კატასტროფას თუ შეიძლება შევადაროთ.

ინდივიდისა და სახელმწიფოს, პიროვნებისა და საზოგადოების დაუსრულებელი კონფლიქტი. ნოვატორობისა და რუტინის მარადიული ანტაგონიზმი.

„ჯოგი“ ვერასოდეს ვერ იტანდა „რჩეულს“.

„თეთრი ყვავი“ ანომალიური მოვლენაა და ის ჩაქოლილ უნდა იქნეს.

ასე იყო, ასე არის და მომავალშიც ასე იქნება.

კულტურისა და ცივილიზაციის ნარეკლიანი გზა მოფენილია ცხედრებით.

სოკრატეს სანამლავი, ჯორდანო ბრუ-

ნოს კოცონი, ლავუაზიეს გილიოტინა, პუშკინის დუელი, ილიას სისხლმდინარი შუბლი... ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

ისტორია ყველაზე დაუნდობლად სწორედ თავის ჭეშმარიტ შემოქმედთა კოჰორტებს მიერეკება სასაკლაოსკენ.

Ave, Caesar, morituri te salutant!<sup>1</sup>

### ანტინომია

„Мысль изреченная есть ложь“, „წარმოთქმული აზრი სიცრუეა“, – ამბობს ტიუტჩევი თავის შესანიშნავ ლექსში „Silentium!“ („დუმილი!“).

ისე კატეგორიულად ამბობს, რომ, ეტყობა, ჭეშმარიტებად მიაჩნია, რასაც ამბობს.

მაგრამ ეს მშვენიერი სტრიქონი ციდან ხომ არ ჩამოვარდნილა?

პოეტის მიერ იქნა წარმოთქმული.

„წარმოთქმული აზრი სიცრუეა“ თვითონვეა წარმოთქმული აზრი და, მაშასადამე, ის სიცრუეა.

სადღაა ჭეშმარიტება?

### აზიელები

პლუტარქეს ცნობით, სპარტის მეფე აგესილაოსი ამბობდა თურმე: აზიელები თავისუფალ მოქალაქეებად ღმერთს არ უქნია, მაგრამ საუცხოო მონები კი არიანო („საუცხოო“ მართლაც რომ მეფური ეპითეტია). ჩვენ კი ვამტკიცებთ ევროპელები ვართო.

### „გონიერი ცხოველი“

„საზოგადოებრივი ცხოველი“, „იარაღის მკეთებელი ცხოველი“, „პასუხისმგებელი ცხოველი“...

შეურაცხმყოფელიც კია ამდენი „ცხოველი“.

მაგრამ ეს შეურაცხყოფა არ არის. ეს ლოგიკური დეფინიციის წესია:

„განსაზღვრება უახლოესი გვარისა და სახეობითი განსხვავების მემკეობით“ („Definitio per genus proximum et differentiam specificam“)

„ადამიანი გონიერი ცხოველია“.

„ცხოველი“ უახლოესი გვარია „ადამიანის“ მიმართ, ხოლო „გონიერი“ სახის, ე. ი. „ადამიანის“ განმასხვავებელი ნიშანი გახლავთ, რომელიც თვით გვარს, ე. ი. „ცხოველს“ კი არა, არამედ მის სახეს – „ადამიანს“ ახასიათებს.

რა იქნება, პირიქით რომ ვცადოთ?

გვარი განვსაზღვროთ სახის მიხედვით. განმასხვავებელი ნიშანი კი მისი ანტონიმით შევცვალოთ:

„ცხოველი უგუნური ადამიანია“.

თუცი, არსებული წესის თანახმად, გვარს მისთვის უცხო ნიშანს მივაწერთ, ვითომ რატომ არ შეიძლება სახეს მისი ნიშანი საპირისპირო ნიშნით შევუცვალოთ?

„ადამიანი გონიერი ცხოველია“ ვითომ რითი სჯობს გამოთქმას – „ცხოველი უგუნური ადამიანია“?

მით უმეტეს, რომ, რაც დრო გადის, ადამიანი სულ უფრო და უფრო უგუნურად იქცევა, ასე რომ, ღმერთს კი არა, თანდათანობით უახლოვდება ცხოველს.

ცოტაც და, თამამად შეგვეძლება იგივე-ობის ნიშანი დავსვათ მათ შორის.

### ენტროპიის პრინციპი

ნებისმიერი წესრიგის დამყარება გარკვეულ ძალისხმევას მოითხოვს, მაშინ როდესაც უწესრიგობა თავისთავად მყარდება.

### ძნელი და ადვილი

მიზანში მორტყმა ძნელი, თორემ აცილებას რა უნდაო, – ამბობდა არისტოტელი.

### განსაზღვრება

„დრო – ღმერთების ქოფაკი“.

ეს მშვენიერი დეფინიცია XX ს. I ნახევრის ცნობილ ირლანდიელ მწერალს ედვარდ დანსეინის ეკუთვნის.

### ავტობიოგრაფები

შექსპირის ერთადერთი ბიოგრაფი თვით შექსპირია, – ამბობს ემერსონი.

რამდენად უფრო მეტი უფლებამოსილებით შეგვეძლო გვეთქვა, რომ „რუსთველის ერთადერთი ბიოგრაფი თვით რუსთველია“, და ეს მაქსიმა არა მარტო „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მსოფლმხედველობის,

<sup>1</sup> ოცოცხლე, ცეზარ, სასიკვდილოდ მიმავალნი მოგესალმებიან შენ! (ლათ.).

არამედ მისი პიროვნების იდუმალ სამყაროში წვდომის მეთოდოლოგიურ პრინციპად გვექცია.

ჩემი გამოკვლევა „პლატონი და რუსთველი“ სწორედ ამ მეთოდის მომარჯვების ერთ-ერთი ყველაზე სრული ცდაა.

თუ გამოქვეყნება ელირსა, მკითხველი, ალბათ, დაინახავს, რომ სწორი მეთოდით წარმართულმა კვლევა-ძიებამ საკმაოდ მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო.

თუმცა, არა, როგორც ჩემი მრავალ-ნლაინ გამოცდილება მარწმუნებს, „ვერა-ფერსაც ვერ დაინახავს“.

### მომავალი

გერმანელი მწერალი კრისტიან ფრიდ-რიხ ჰებელი თავის დღიურში წერს: „ჩვენ ყოველთვის მომავლის ხარჯზე ვცხოვ-რობთ, და რა გასაკვირია, რომ ის კოტ-რდება?“

ქართული „სახელმწიფო“ ისე გაშმაგებით იღებს ვალებს, რომ მომავალ თაობებს ალბათ სანატრელი გაუხდებათ ჩვენი უბადრუკი ყოფა.

### განსაზღვრება

„მოვლენები საგნების ქაფია“.

ამ მშენებირ დეფინიციის ავტორი პოლ ვალერი გახლავთ.

### მიზანი

ადამიანი მიზანია და არა საშუალება.

კანტის ეს დიადი დევიზი დღემდე მხო-ლოდ იდეალისტური მაქსიმა და არა რე-ალობა.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ დღემდე მხოლოდ ამ მაქსიმით იზომება სახელ-მწიფო პოლიტიკის მორალურობისა თუ ამორალურობის ხარისხი, მხოლოდ ამ მაქ-სიმით მოწმდება, ეს პოლიტიკა მიზნად – თუნდაც თავის შორეულ მიზნად მიიჩნევს ადამიანს თუ მარტოოდენ საშუალებად?

ამ თვალსაზრისით, რა კრიტერიუმი შეიძლება მიესადაგოს ქართული „სახელ-მწიფოს“ პოლიტიკას, რომელიც, ეტყობა, მხოლოდ იმას მიელტვის, რომ მათხოვრად აქციოს მოქალაქეთა აბსოლუტური უმრავ-ლესობა?

### „ბიუჯეტი“

რუსულმა გაზეთებმა გვამცნეს და ქარ-თულმა გაზეთებმა გადმობეჭდეს – ინგლი-

სის საფეხბურთო კლუბის „მანჩესტერ იუ-ნაიტედის“ წლიური შემოსავალი საქართვე-ლოს ბიუჯეტის ტოლფარდია.

ყოველწლიური სეკვესტრის წყალობით ჩვენი ბიუჯეტი მაღე გაცილებით უფრო სუსტი საფეხბურთო კლუბის შემოსავალ-საც ვეღარ გაუტოლდება.

ამ „ბიუჯეტით“ კი ისევე ვერ ამუშავებ თუნდაც ყველაზე უბადრუკ უბადრუკ სახელ-მწიფო მანქანას, როგორც უდაბნოს ვერ მორწყავ რუთი.

„ერის მამები“ კი გვარწმუნებენ, დემოკ-რატიულ სახელმწიფოს ვაშენებთო.

თუ საკუთარი სასახლეების შენება სა-ხელმწიფოს მშენებლობაა, უნდა ვერწმუ-ნოთ.

### „წრის კვადრატურა“

ვინა ვარ მე? რა ადგილი მიჭირავს სამ-ყაროში? საიდან მოვედი და სად მივდივარ? რა არის თვითონ სამყარო? მოკვდავია სუ-ლი თუ უკვდავი? და სხვა მისთანანი მარა-დიული კითხვებია.

კითხვები, რომლებიც დასაბამითვე ის-მის კაცთა მოდგმის წინაშე და ადამიანიც გაჩერის დღიდან ცდილობს პასუხი გასცეს მათ.

ყოველი საუკუნე, ყოველი თაობა თავი-სებურ პასუხს იძლევა ამ კითხვებზე.

მირიადობით პასუხი.

ერთი მაინც ამომწურავი რომ ყოფი-ლიყო, მირიადობით ხომ აღარ მოიყრიდა თავს.

არც ყოფილა და არც არასდროს იქნება.

სასრული გონება ვერასოდეს ჩასწედება უსასრულობის ენიგმურ არსს. „გონება უძ-ლურია აზრით მისწვდეს, აზრით მოიცვას უსასრულობის მთელი თვისობრივი თუ რა-ოდენობრივი მრავალფეროვნება: – ვწერდი დიდი ხნის წინათ პასკალის „აზრების“ კო-მენტარებში, – საბრალო მეთევზე, ამაოდ რომ ცდილობს ანკესით დაიჭიროს ვეშაპი, რომლის სახელია ჭეშმარიტება“.

მართებულად შენიშნავს ვივეკანანდა:

თვით აბსოლუტი, სასრულ გონებაში გატარებული, უკვე აღარ იქნება აბსოლუ-ტი, რადგანაც რელატიურობისა და სასრუ-ლობის ნიშნით აღიბეჭდება.

## ორი ჭეშმარიტება

„ჩვენ ვიცნობთ ბევრ ჭეშმარიტებას, რომლებიც არ მოიცავენ მთელ ჭეშმარიტებას; – წერდა პასკალი, – რატომ არ შეიძლება არსებობდეს ყოვლისმომცველი, სუბსტანციური ჭეშმარიტება?“

XIX საუკუნის ცნობილი ამერიკელი ფილოსოფოსი ჯოშუა როისი, თითქოს რელატიური და აბსოლუტური ჭეშმარიტების პასკალისეულ კონცეფციას ავითარებსო, თავის შრომაში – „ფილოსოფიის რელატიური ასპექტი“ ამბობს:

„როგორც ჩემი აზრი ნებისმიერ დროს... აერთიანებს რამდენიმე ფრაგმენტულ აზრს გარკვეული ცნობიერი მომენტის ერთიანობად, ზუსტად ასევე, ჩვენი მტკიცებით, უნივერსალური აზრი აბსოლუტურ ერთობად აერთიანებს ჩვენს აზრებს მთელი ობიექტებითა და აზრებით ამ ობიექტების შესახებ, რომლებიც არიან, ყოფილან ან იქნებიან სამყაროში. ეს უნივერსალური აზრი არის ის, რასაც ჩვენ, გავტედთ და... ღმერთი ვუწოდეთ“.

## „მასების ამბოხი“

„ადამიანი-მასა“ – ორტეგა ი გასეტის მიერ დამკვიდრებული სოციოლოგიური ტერმინი.

„ერთისა“ და „მრავლის“ უჩვეულო შერწყმა; თვისებად გარდაქმნილი რაოდენობა; ათასხმიანი და ათასასახიანი ბრძოლის პერსონიფიცირებულ სიმბოლოდ ქცეული ადამიანი.

„მასების ამბოხი“ – უდიმდამობისა და უბადრუკობის ჯანყი მაღალი კულტურისა და სულიერი არისტოკრატიზმის წინააღმდეგ.

როგორც უახლესი ისტორია გვიჩვენებს, არსებობს არა მარტი „ადამიანი-მასა“, არამედ „ერი-მასაც“.

თუ XX საუკუნე „ერი-მასების“ ნამდვილი ინკუბატორი იყო, XXI საუკუნე მათი ზრდის, დაფრთიანებისა და თვითდამკვიდრების ხანა იქნება.

მსოფლიო ისტორიის წინაშე დიდებული პერსპექტივა იშლება.

სულიერების კვდომა, კულტურის „ბაბილონის ტყვეობა“.

## ანტინომია

„როცა ცრუ ამბობს, ვცრუობო, ცრუ-ოს თუ მართალს ამბობს იგი?“

მეგარელი ფილოსოფოსის ევბულიდეს (IV ს. ძვ. ნ. ა.) ამ სოფიზმში ისეა ალუფ-ხული სიმართლე და სიცრუე, რომ მისი გადაჭრის ნებისმიერი მცდელობა დღემდე აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. აქ ყველაზე მარტივი ვარიანტით შემოვიფარგლებით:

დავუშვათ, რომ ცრუ სიმართლეს ამბობს, მაგრამ მაშინ თავის თავს ენინააღმდეგება, რადგანაც თვითონვე აღიარებს, ვცრუობო.

ხოლო თუ დავუშვებთ, რომ ცრუობს, მაშინ მისივე აღიარების თანახმად („ვცრუ-ობა“) სიმართლეს ამბობს.

ასე რომ, მართალსაც ამბობს და კიდევაც ცრუობს, რაკიდა მისი სიმართლე სიცრუედ აღიქმება, სიცრუე კი – სიმართლედ.

კაცმა რომ თქვას, ეს პარადოქსი უფროა.

## პარადოქსი

პარადოქსი „წინააღმდეგობრივს“, „უჩვეულოს“, „წარმოუდგენელს“ ნიშნავს ბერძნულად.

თუმცა ძველი სტოას ერთ-ერთი უთვალსაჩინოები წარმომადგენლის – კლეანთეს (III ს. ძვ. ნ. ა.) აზრით, პარადოქსი გონებას კი არ უპირისპირდება, არამედ წარმოდგენას, შეხედულებას (paravdoxo οὐj paravlogo).

თავის ბრწყინვალე წიგნში „მათემატიკა. განსაზღვრულობის დაკარგვა“, რომელსაც თამამად შეიძლება ენოდოს მათემატიკის ფილოსოფია, ცნობილ ამერიკელ მეცნიერს მორის კლაქს პარადოქსის ასევე ბრწყინვალე ნიმუში:

შეუძლია თუ არა ყოვლისშემძლე არსებას (ლერთს) შეუმუსვრელი საგნის შექმნა? – საგნისა, რომლის მოსპობაც და განადგურებაც შეუძლებელია.

რა თქმა უნდა, შეუძლია. რომ არ შეეძლოს, ყოვლისშემძლეც აღარ იქნებოდა. მაგრამ რაკი ყოვლისშემძლეა, ცხადია, მის მიერვე შექმნილი შეუმუსვრელი საგნის შემუსვრა და განადგურებაც შეუძლია.

## ცრემლი და ლიმილი

პოეტი აკვირდება მატლს.

სიმახინჯეში მატერია ქვითინებსო, —  
ამბობს გაბრიელა მისტრალი.

მეორე პოეტი კი მატერის ლიმილს  
უწოდებს ყვავილს – ეს მორის მეტერლინ-  
კია.

## მეტათეზისი

ლანდი იგივეა საგნისათვის, რაც ექო –  
ბგერისთვის.

თუ ადგილს გავუცვლით ორ გრძნო-  
ბას – მზერას და სმენას, შეიძლება ითქვას,  
რომ

ლანდი საგნის ექოა, ექო კი – ბგერის  
ლანდი.

## ლმერთს – ლმრთისა

ლმერთს – ლმრთისა, კეისარს – კეისრი-  
სა, ხალხს – ბუს კვერცხები.

## სიზმარი

**მარკუს ავრელიუსი:** „გამოფხიზლდი და  
გონს მოეგე, ხოლო რა გამოფხიზლდები  
და შეიცნობ, რომ სიზმრები გტანჯავდნენ  
მხოლოდ, ხელმეორედ გამოფხიზლდი და  
უმზირე ამქვეყნიურ ამაოებას, როგორც  
წელან სიზმარეულ ჩვენებებს უმზერდდ.“.

**კალდერონი:** „ცხოვრება სიზმარია და  
სიზმარიც, თავის მხრივ, სიზმარია მხო-  
ლოდ“.

**შექსპირი:** „ჩვენ იმავე მასალისაგან  
ვართ ნაგები, რომლითაც ითხზვიან ზმანე-  
ბები,<sup>1</sup> და ჩვენი მყიფე სიცოცხლე მოცუ-  
ლია სიზმრით“.

## „არცოდნის ცოდნა“

„დაივიწყე ცოდნა და ყოვლისმცოდნე  
გახდები“, – ლაო-ძი.

ჯუან-ძი კი ამბობს:

„იცი თუ არა, რაშია ყოველივე არსებუ-  
ლის ჭეშმარიტება?“

მე ვინ მომცა მაგისი ცოდნა?

იცი თუ არა ის, რაც არ იცი?

მე ვინ მომცა მაგისი ცოდნა?

მაშ, არაფერი შენ არ იცი?

მე ვინ მომცა მაგისი ცოდნა?

მაინც ვეცდები მოგახსენო:

აბა, რა ვიცი, რაც მე ცოდნა მგონია, რა  
არის, თუ არა არცოდნა?

აბა, რა ვიცი, რაც მე არცოდნა მგონია,  
რა არის, თუ არა ცოდნა?“

## „პროფესიონალი პატრიოტები“

ეს „მშვენიერი“ ტერმინი, თუ არა ვცდე-  
ბი, ბორხესს ეკუთვნის.

პროფესიონალი, საერთოდ, გაცილებით  
მეტს ნიშნავს, ვიდრე დილეტანტი.

იგივე ითქმის „პროფესიონალ პატრი-  
ოტზედაც“, დილეტანტ პატრიოტთან მი-  
მართებით?

ვაი იმ ერს, სადაც პატრიოტიზმი პრო-  
ფესიად არის ქცეული.

როგორ მოგწონთ: „პროფესიონალი დე-  
და“ ან „პროფესიონალი შვილი“?

## სიბერე

სიბერის ორიგინალური დეფინიცია  
ეკუთვნის XVI•ს. სახელგანთქმულ იტალი-  
ელ მათემატიკოსსა და ექიმს ჯიროლამო  
კარდინოს:

„სიბერის მგმობელთ მე ვეუბნებოდი:  
ბებერი ისაა, ვინც მიატოვა ლმერთმა“.

თუ კარდანო სწორია, კაცობრიობას უკ-  
ვე მიხრნილების ასაკი უდგას.

„ელი, ელი! ლამა საბაქთანი?!“

## „არცოდნის ცოდნა“

„რაც მეტი ვიციოთ, მით მეტის ცოდნა  
გვჭირდება. ცოდნასთან ერთად იზრდება  
არცოდნაც, ანუ არცოდნის ცოდნა“, – შე-  
ნიშნავს ერთგან ფრიდრიხ შლეგელი.

## ისტორიკოსი და წინასწარმეტყველი

„ისტორიკოსი წარსულის მიმართ მიქ-  
ცეული წინასწარმეტყველია“, – ეს დეფი-  
ნიცია ფრიდრიხ შლეგელს ეკუთვნის.

პოლ ვალერი კი ცოტა სხვანაირ კონ-

<sup>1</sup> მართებულად შენიშნავს მიგელ დე უნამუნო: აქ თვით ადამიანიც სიზმართანაა გაიგივებული;  
დიდებულია სიზმარი, რომელიც ხედავს სიზმარსო...

ტექსტში აკავშირებს ერთმანეთთან ამ ორ „პროფეტს“:

„ისტორიკოსი და წინასწარმეტყველი ერთსა და იმავე ჭურში სხედან. გაუშვი, ისხდნენ.“.

### მკვდარი წიგნები

„წიგნებს იგივე მტერი ჰყავს, რაც ადა- მიანებს, – ამბობს პოლ ვალერი, – ცეც- ხლი, წყალი, დრო და მათივე საკუთარი ში- ნაარსი“.

ამათგან ყველაზე საშიში მტერი „მათი- ვე საკუთარი შინაარსია“.

### შოპენპაუერი წერს:

„პეროდოტეს ცნობით, ერთხელ, თავის უზარმაზარ ლაშქარს რომ ათვალიერებდა, ქსერქსეს ერთმა აზრმა გაუელვა თავში და უეცრად ატირდა თურმე: ამდენი ხალხიდან ასი წლის შემდეგ ერთიც არ დარჩება ცოც- ხალიო.«

ვის არ მოჰვერის თვალზე ცრემლს ბა- ზარზე გასაყიდად გამოტანილი წიგნების სქელი კატალოგის დანახვა, როცა გაიფიქ- რებს, რომ მთელი ამ სიმრავლიდან ათი წლის შემდეგ ერთიც არ დარჩება ცოცხა- ლი!“

ან ათი წელი რად უნდა? წიგნების უმ- რავლესობა მკვდრადშობილია.

### ინფარქტი

რაც თავი მახსოვს, სიკვდილი გარედან მიკაუნებდა კარზე.

ახლა კი შიგნიდან მეძახის.

ესაა და ეს.

### ხმა მღალადებლისა

ტელევიზორს ვუყურებ. ვუსმენ პაპის საშინაო სიტყვას. იტალიურიდან ლათი- ნურზე გადადის, ლათინურიდან – იტალი- ურზე.

დაჩაჩანაკებული ბერიკაცი, წელში მობ- ლუნული, თავჩაქინდრული. პირიდან ნერ- წყვი ჩამოსდის; უსიამოვნო სანახავია.

კომუნისტების მიერ მიგზავნილი მკვლე- ლის მსხვერპლი.

ხორცის გარსი შემოსცვეთია. სულილა ფეთქავს და ცოდვილ კაცობრიობას კურ- თხევასავით აფრქვევს დაუვიწყარ სიტ- ყვებს, რომლებსაც ხვალვე დაივიწყებნ:

“Non è pace senza giustizia, non è giustizia senza perdono”.

(„არ არის მშვიდობა სამართლიანობის გარეშე, არ არის სამართლიანობა მიტევე- ბის გარეშე“).

### რემინისცენცია

პაპის ეს სიტყვები მე რატომლაც ინდუ- რი „დჟამაპადას“ ერთ პატარა პასაჟს მა- გონებს:

„ამქვეყნად სიძულვილი არასოდეს არ წყდება სიძულვილით, არამედ მხოლოდ სი- ძულვილის უქონლობით წყდება. ესაა და- საბამიერი დჟამა“.

ბერნარდ შოუს პიესაში „კეისარი და კლეოპატრა“ რომის მბრძანებელი ეუბნება ეგვიპტის დედოფალს:

„გესმის? ახლა რომ სასახლის კარს გიმ- ტვრევს, იმ ხალხს სწამს შურისგება მკვლე- ლობისათვის. შენ მოკალი მათი ბელადი, და ისინი მართალი იქნებიან, თუ სამაგი- ეროდ მოგკლავენ შენ. თუ არა გჯერა, ამ შენს ოთხ მრჩეველს დაეკითხე. მაშინ კი მე, იმავე სამართლის ძალით, უნდა გავულიტო ისინი, რაკიდა თავიანთი დედოფალი მოკ- ლეს, და მეც, ჩემი მხრივ, მოკლულ ვიქენე მათი თანამემამულეების მიერ, იმის გამო, რომ ჩემი ლაშქრით მათ სამშობლოში შე- ვიჭრი. მაშინ რომესაც სხვა რა გზა ექნე- ბა, გარდა იმისა, რომ მუსრი გაავლოს ამ მკვლელებს, რათა მსოფლიოს უჩვენოს, რომ შურს იძიებს თავისი შვილებისა და თავისი ლირსებისათვის? და ასე გაგრძელ- დება უკუნისამდე, ვიდრე ღმერთები არ დაიღლებიან სისხლით და არ შექმნიან ადა- მიანთა ახალ მოდგმას, რომელიც შეძლებს გონების ხმას მიუგდოს ყური“.

ეტყობა, ღმერთები ჯერ კიდევ არ დაღ- ლილან სისხლით.

„გიყვარდეს მტერი შენი“, – „ახალი ალ- თქმის“ ეს შეგონება შორეულ მომავალში განსახორციელებელ იდეალად რჩება (თუ- კი საერთოდ უწერია ხორცშესხმა).

დღევანდელ სინამდვილეში კი კვლავინ- დებურად მბრძანებლობს „ძველი ალთქმი- სეული“ „სისხლი სისხლისა წილ“.

„პუნებისათვის კაცისა“

„დჰამაპადიდან“:

„ძვლებითაა ნაშენი ეს ციხე-სიმაგრე, სისხლითა და ხორცით ნალესი; სიცრუე და ორპირობა, სიბერე და სიკვდილი ჩაკირულია მის კედლებში“...

„ღმერთი იყო და მოკვდავ კაცს ქმნიდე?“ – ირონიულად კითხულობს დასავლელი ბრძენკაცი.

ისევ „დჰამაპადიდან“:

„როგორც მწყემსი სახრით მიდენის ჯოგს საძოვრისკენ, ისე სიბერე მიერეკება ცოცხალ არსებებს სიკვდილისაკენ“.

სიკვდილის შიში

სიკვდილის შიში, უნინარეს ყოვლისა, ცნობიერების ჩაქრობის, მისი სრული გაქრობის შიშია.

ნეტავი როგორ ხვდებიან გიუები სიკვდილს?

განსაზღვრება

„სიბერე – სიკვდილით გარშემორტყმული კუნძული“.

ეს სხარტი დეფინიცია XIX ს-ის ეკვადორელ მწერალს, ხუან მონტალვოს ეკუთვნის.

**SI CONTRAVERSIM? – თუ პირიქით?**

(speculari ratione – სარკისებურად)

Homo homini lupus – ადამიანი ადამიანისათვის მგელია.

Lupus lupo homo – მგელი მგლისათვის ადამიანია.

კორუმპირებული ხელისუფლების დევიზი

სხვას ნუ დაუტოვებ შესაჭმელად იმას, რაც შენ თვითონ შეგიძლია შეჭამო.

გამონაკლისი

„ – ეს მე არ მომნონს.

– რატომ?

– ჯერ კიდევ არ ავმაღლებულვარ აქამდე.

ოდესმე ერთ კაცს მაინც თუ უპასუხნია ასე?“ – კითხულობს ნიცშე.

სხვისი რა მოგახსენოთ და, ყოველ შემთხვევაში, ერთ კაცს მაინც უპასუხნია:

„რაც გავიგე, დიდებულია, ხოლო რაც ვერ გავიგე, ალბათ, კიდევ უფრო დიდებული იქნება“, – უთქვამს სოკრატეს ჰერაკლიტეს თხზულების – „ბუნებისათვის“ – წაკითხვის შემდეგ<sup>1</sup>.

(ამ თხზულებიდან მხოლოდ ასიოდე მოკლე ფრაგმენტმა მოაღწია ჩვენს დრომდე).

ატომური ენერგია

„ძნელი იყო ატომის სამყაროში შეღწევა, მაგრამ ადამიანმა მაინც შეძლო ეს.

უფრო ძნელი იქნება იქიდან გამოლწევა“.

ეს სიტყვები პოლ ვალერის ეკუთვნის, რომელსაც კვერს უკრავს ინგლისელი მწერალი კვენტინ რეინოლდსი:

„სწავლულებმა გახლიჩეს ატომი. ახლა ატომი გაგვხლეჩს ჩვენ“.

„მაინც რა არის ყოფა ჩვენი?“...

ქრისტესი არ იყოს, ბუდაც იგავებით ელაპარაკებოდა ხოლმე თავის მონაფეებს.

ტრიალ მინდოოში ქარივით მიჰეროდა კაცი.

უკან გავეშებული ვეფხი მისდევდა.

გულგახეთქილმა მიირბინა უძირო ხრამის პირას, იქვე ეულად მდგარ უსურვაზს ჩაებლაუჭა და უფსარულში ჩაეკიდა.

თავს ვეფხი დაჰლმუდა.

კლდიდან ორი თაგვი გამოძვრა და ვაზს დაუწყო ღრღნა.

ერთი თაგვი თეთრი იყო, მეორე – შავი.

შეძლნუნებულმა ძირს ჩაიხედა.

იქ, საკბილოს მოლოდინში, მეორე ვეფხი ბრდდვინავდა.

მოშივდა.

ოდნავ განზე მსხმოიარე მარწყვს მოჰკრა თვალი.

ნაყოფი წითლად ლუოდა.

ცალი ხელით ლერწს ჩაფრენილმა მეო-

<sup>1</sup> ჰერაკლიტეს „პნელს“ (skoteinov) უნიდებდნენ თანამედროვენი, მისი სტილის „ბუნდოვანების“ გამო, თუმცა ამ „პუნდოვანების“ მიზეზი სინამდვილეში მისი აზრის სიმაღლე და სიდიადე იყო.

რეთი მარწყვს დაუწყო გლეჯა.  
აჲ, რა ტკბილი იყო!

### მე მაღლ წავალ

წასვლით კი წავალ, მაგრამ ყოველთვის  
რატომ ვერძნობდი, რომ არც მოვსულვარ?

### დავიწყებული სიტყვა

ძველი ჩინელი მოაზროვნისა და პოეტის  
ჯუან-ძის ლექსი.

პროზაულად გადმოღებული დაახლოე-  
ბით ასეა:

ბადით იჭერენ თევზს. თევზს რომ დაიჭე-  
რენ,

### ბადეს ივიწყებენ.

მახით იჭერენ კურდლელს. კურდლელს  
რომ დაიჭერენ,

### მახეს ივიწყებენ.

სიტყვებით გამოხატავენ აზრს. აზრს რომ  
მოიხელოთებენ,

### სიტყვას ივიწყებენ.

ნეტა ეს დავიწყებული სიტყვა მანახა  
და მასთან მალაპარაკა.

### თეატრალური სამყარო

ალარ მახსოვს, ვის ეკუთვნის ეს „წავ-  
ვესი“:

თეატრში რეჟისორი ღმერთია, მაგრამ  
მსახიობები ათეისტები არიანო.

### გრიგალზე ძლიერი

კასტილიაში (ესპანეთი) პატარა დაბის –  
სეგობრიგის განაპირას „ყოვლისმმუსვრე-  
ლი დროის“ მიერ დაბზარულ მარმარილოს  
ვეება ლოდს დღესაც ამშვენებს წარწერა:

„შეხედე, მგზავრო! აქ ჩაიარეს ავგუს-  
ტუსის ლეგიონებმა. შეხედე და დაიხსომე:  
ჩვენ გრიგალზე სწრაფად დავქრივართ!“

გრიგალმა დიდი ხანია გადიგრიალა.  
წარწერა კი დარჩა და სევდიანად შეახსე-  
ნებს გამვლელ-გამომვლელს რომის ოდინ-  
დელ დიდებას.

ვინ იცის, ვისი ჯერია?

### უნივერსალიზმი

სულერთია, საიდან იღებ წყალს პატარა  
თასით – გუბიდან თუ ოკეანიდან: ორსავე

შემთხვევაში თანაბარი მოცულობის წყალი  
ამოგაქვს.

მთავარი ის კი არ არის, თუ სად ვეძებთ  
ჩვენი გონების წინაშე მდგარი მტანჯველი  
და თავსამტვრევი კითხვების პასუხს, არა-  
მედ ის, თუ რითი ვეძებთ.

ამიტომაც უნდა ვცდილობდეთ სულ  
უფრო და უფრო მეტად გავაფართოვოთ  
ჩვენი ცნობიერების ფარგლები, რათა, შეძ-  
ლებისდაგვარად, მეტის მომცველი გავხა-  
დოთ იგი.

„არის უფრო ფასეული რამ, ვიდრე  
ორიგინალობა, – ამბობს პოლ ვალერი, –  
სახელდობრ, უნივერსალურობა.

ეს უკანასკნელი მთლიანად მოიცავს  
პირველს და, საჭიროების მიხედვით, იყე-  
ნებს ან არ იყენებს მას“.

### სისხლის აღება

პირველყოფილი თემური წყობილებიდან  
მომდინარე ეს სისხლიანი ჩვეულება არ-  
ცუუ შორეულ წარსულამდე საერთო იყო  
მთიანეთში მობინადრე ბევრი ტომისთვის.

შევიცარიელ მთიელებს ძველად ასეთი  
წესი ჰქონდათ:

როდესაც სისხლი იყო ასაღები, თოფის  
სასხლეტს თოქს გამოაბამდნენ, რომელიც  
ათ და ზოგჯერ ას კაცსაც შეეძლო თავი-  
სუფლად ჩაებლუჯა ხელში.

ამ გზით ინანილებდნენ დანაშაულს და,  
შესაბამისად, პასუხისმგებლობასაც.

ეს თოკი „საბჭოეთის დიად ქვეყანაში“  
წარმოუდგენლად დაგრძელდა.

სისტემას დამნაშავეები სჭირდებოდა.

ასეულები და ათასეულები ალარ კმარო-  
და, მიღლიონები იყო საჭირო.

არა მარტო პირწავარდნილი კაცის-  
მკვლელები, არამედ სულისა და სულიერე-  
ბის ჯალათებიც.

სიცოცხლის ფასი ჩირად იქცა.

ამიტომ ერთნიც და მეორენიც „მშობლი-  
ურ სტიქაში“ ლალად გრძნობდნენ თავს.

სისტემა შეიცვალა, სიტუაცია, არსები-  
თად, უცვლელი დარჩა.

გაუქმდა მშობლოდ „ხალხის მტრის“ სო-  
ციალური სტატუსი.

მაგრამ „დემოკრატიის“ უნიათობამ და  
სახელისუფლებო სტრუქტურებისა და კრი-

მინალური სამყაროს სიმბიოზმა არნახული გასაქანი მისცა მასობრივ ხოცვა-ულეტას.

დაუსკელობის სინდრომი.

დღემდე ამაოდ შეღალადებს ზეცას ურიცხვი მსხვერპლის სისხლი.

ყრუა ზეცა, მიწაზე კი კვლავაც გრძელდება სისხლიანი ორგის თავაწყვეტილი თარეში.

#### ოქსიმორონი

- რამდენი მეგობარი გყავს?
- არც ერთი; ამ მხრივ, მართლაც რომ,
- ლატაკი ვარ.**
- მტერი?
- ოო, აქ კი – **მილიონერი!**

#### ეპიგრაფი

„ჩემზე ამბობენ: „რატომაა, რომ სიბრძნის ეს ტრიიალი უარს არ ამბობს ფუფუნებაზე? ან რატომ გვმოძლვრავს, სიმდიდრე უნდა გძულდეთო და თვითონ კი

ხარბად ეპოტინება მას? რატომაა, რომ სიცოცხლე სძულს და ცოცხლობს, ხოლო ავადმყოფობა ზიზღის ღირსადაც არ მიაჩნია, მაგრამ თვალის ჩინივით კი უფრთხილდება და თავს დაჰკანკალებს ჯანმრთელობას? რატომაა, რომ განდევნა თითქოს ჩირადაც არ უჩანს, მაგრამ, თუ შეძლო, სამუდამოდ სამშობლოში დარჩება და სულსაც აქვე დალევს?“

ძალა რომ მყოფნოდა და ოდესმე დამეწერა ჩემი უსაყვარლესი მწერლის, შინაგანი წინააღმდეგობებით გათიშულ-განაწამები და ჯვარცმული კაცის – ლევ ტოლსტოის „ცხოვრება“, ერთ-ერთ თავს ეპიგრაფად უთუოდ სენეკას ამ სიტყვებს წავუმძღვარებდი (სენეკა მისი ერთ-ერთი კუმირი იყო).

#### VITA-SUICIDA<sup>1</sup>

„სიცოცხლის პირველი საათი ერთი საათით ამოკლებს სიცოცხლეს“ (სენეკა)<sup>2</sup>.

<sup>1</sup> სიცოცხლე – თვითმკვლელი (ლათ.).

<sup>2</sup> სენეკამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.



## ტუიაჲ! ჯანო ჯიქიძე

იყავით გონიერნი, ვითარცა გველნი და  
უმანქონი, ვითარცა ტრედნი.  
სახარება მათესი, 10. 16.

•  
მტერმა ბავშვობაშივე დამაობლა.  
ჩემმა გვარტომმა შურისმაძიებლად აღმზარდა.  
მოვიწიფე თუ არა, მეც ხელი გამოვიღე.

ვიდრე უცოლო ვიყავი, ვომობდი, ვარბევდი,  
ვკლავდი და ამას ვაკეთებდი იმიტომ, რომ მტერი  
აქეთ არ მომხტომოდა, არ დავერბიე, არ მოვეკალი...

ბოლოს ის მტერი სულ დავჭაბნეთ, დამარცხე-  
ბულებს ავდიეთ ბოლომდე. მაღალმთის სოფლის კა-  
ცები მედგრად დაგვიხვდნენ, გზა შეგვიკრეს, ბევრი  
გვაზარალეს, ბევრი დაგვიხოცეს, მაგრამ სიმრავლით  
დავჭაბნეთ, ხმალდახმალ გადავერიეთ – გავულიტეთ  
ერთიანად; მერე სოფელში მივუვარდით; ერთმანეთზე  
ტერასებად შეფენილი სახლები დავირბინეთ – მათი  
ქალების და ქონების ხელში ჩაგდება გვინდოდა. ქო-  
ნება მოვიალაფეთ, საქონელი წამოვასხით, ქალებისა  
კი რა მოგახსენოთ – ვერ შევიპყარით, რადგან ერთიც  
არ დაგვევედრია. ვიფიქრეთ, სადმე თუ გაიხიზნენო.

ახლომახლო ტყის გაჩხრევა მოვიწადინეთ, მაგრამ  
აღარ დაგვჭირდა. ვნახეთ, სოფლის განაპირას, კლდის  
ძირში ეყარნენ დაჩეჩქვილები, დალენილები; თურმე  
ქარაფიდან გადაჭრილან ხელიხელჩაკიდებულები – ქა-  
ლები და ბავშვები – ოცდათორმეტი სული...

ნანახმა შემძრა.

თანამებრძოლებისთვის არაფერი მითქვამს. ჩემს თავთან და მაღალ ღმერთთან ალთქმა დავდე: ალარასოდეს მიუწეტებოდი, აღარ დავარბევდი, არ მოგვლავდი, აღარ ვიძალადებდი...

უკუქცევის წინ ჩვენი უხუცესის – „ჯვარი და გველის“ გვარტომის პატრიარქის – ლოცვად და წყევლად ნათქვამი ხმამაღლა და ერთხმად გავიმეორეთ – მადლობა ვუთხარით ღმერთს, რადგან მტრის ძლევის ძალა მოგვცა; დავლოცეთ ჩვენი მარჯვენა, ხოტბა შევასხით ომში დაღუპულებს; დავწეველეთ მტრის ჯიში, ჯილაგი და საცხოვრისი... გული ვიჯერეთ.

წამოვიდეთ ალაფი, წამოვიყვანეთ დაჭრილები, წამოვასვენეთ ჩვენი დალუპული თანამებრძოლები და დაგბრუნდით შინ.

სიცილ-ტირილში გავატარეთ შემდგომი დღეები და თვეები: დავიტირეთ და დავკრძალეთ ჩვენი მიცვალებულები, ვიტრაბახეთ ჩვენი საქმენი საგმირონით...

•

მას შემდეგ ათი წელი გავიდა.

რადგან მტერი აღარ გვყავდა, მშვიდობიანი დროება გვედგა, ეს კი ჩემი ალთქმის შესრულებაში ხელს მიწყობდა. სამი ცოლი შევირთე, ექვსი შვილი შევიძინე; ლალი ვიყავი – არავისი მშურდა, არც ვინმეს ვეტოქებოდი; ამპარტავნობა და „მჯობნის მჯობნი“ საბოლოოდ უკუგადე – აკი ვთქვი, ლალი ვიყავი-მეთქი...

ერთი ყრუ სიმი მაინც გაიუდერებდა ხსოლმე ჩემს სიმღერასავით ცხოვრებაში – დროდადრო თავს მახსენებდა ის მტრის სოფელი, უფრო სწორად – ნასოფლარი...

მე ჩემსას ვცდილობდი – მიყვარდა, ვხნავდი, ვთესავდი, ვმკიდი, ვმწყემსავდი; როგორც შემეძლო, ვახმაურებდი შრომის და სიყვარულის სიმღერას, რათა სხვა ხმა ჩემს ყურთასმენას არ მოწვდენოდა, მაგრამ ამაოდ – დროდადრო იმ ყრუ სიმის ყალბი ბგერა ჩემს გემოზე სიმღერას მიშლიდა, მორევდა, მრევდა...

ზოგჯერ მზერა გამირბოდა მთისკენ, იმ ნასოფლარისკენ, სადაც ფეხი არავის დაგვიდგამს მას შემდეგ, რაც იქაურობა მოვაოხრეთ. არც გვჭირდებოდა – სათიბიც

საკმარისი გვქონდა და საძოვარიც, სახნავიც და სათესიც... ეგ კია, ნადირობისას, ჩვენ (ანუ „ჯვარი და გველის“ გვარტომის მონადირეებს) ზოგჯერ მაინც დაგვჭირვებია გეზის შეცვლა და მტრის (ანუ „ბუ და ჯვარის“ გვარტომის) ნასოფლართან მიახლოება, მაგრამ გზიდან არ გადაგვიხვევია; მხოლოდ შორიდან შეგვითვალიერებია ის სიმწვარეში ჩაფლული ნასახლარი ტერასები; არც კი გვიცდია ასვლა-მისვლა და ახლოდან თვალის შევლება. ეს მაფიქერებინებს, რომ სხვასაც ანუხებდა სინანულის გრძნობა; ანუ სხვასაც ახსოვდა დაუმორჩილებელი თვითმკვლელების – ქალების და ბავშვების – გვამების გროვა, ყვავ-ყორნების საჯიჯგნად რომ დავტოვეთ მაშინ, ათი წლის წინათ...

•

დრო გადიოდა. ჩემიანებთან თითქოს ყველაფერი რიგზე მქონდა.

განმარტოების სურვილი თანდათან მერეოდა და ფიქრს ვეძალებოდი – სანადიროდ მარტო დავდიოდი, სათევზაოდ მარტო დავდიოდი... ხელცარიელი არასდროს ვბრუნდებოდი, მაგრამ ჩემი ცოლების უხმო წყრომას მაინც ვიმსახურებდი. მონადირეებისგანაც წყრომას ვიმსახურებდი. ჩემი განდეგილობა ლალატს ჰგავდა, მაგრამ, რადგან მტერი აღარ გვყავდა, ხმამაღლა არავინ მსაყვედურობდა...

ბოლოს, როცა გულჩათხრობილობაც დამჩერდა, ცოლ-შვილს ალერსი მოვაკელი, ჩვენი გვარტომის უხუცესმა თავისთან მიხმო და მამაშვილურად ამიხსნა, რომ ასე არ შეიძლება, ჩვენი ხალხის ტოტემი – „ჯვარი და გველი“ – მავალდებულებს, რომ მამაპაპური რწმენით და სიბრძნით ვიცხოვრო... მოკლედ, გონს უნდა მოვეგო; თუ ამას თვითონ ვერ შევძლებ, დამეხმარება – შემიღოცავს-გამომილოცავს და ცხოვრების ხალისს დამიბრუნებს, არადა... ქვეყანა დიდია – ჯობს, გადავიხვენო... თუ ამას ვიზამ, დარდიც არ უნდა მქონდეს – ჩემს ცოლებს თავის ვაჟებს შერთავს და ჩემს შვილებსაც მათვე მიაშვილებს; სახლ-კარს და საქონელს თვითონვე უპატრონებს... აი, ასე – ყველაფერი მარტივად მოგვარდება, თუ მევე არ გავართულებ...

ვერ ვიტყვი, რომ ასეთი შინაარსის ნათქვამს არ ველოდი. პატრიარქის სიტყვებს არ დავუზაფრივარ, სასოწარკვეთაში არ ჩავუგდივარ. იმასაც ვერ ვიტყვი, რომ, ჩემს წესილს თუ გულახდილად გამოვთქამდი, გვარტომის მეთაური ჯეროვნად გამიგებდა. ჯვარდაგველური ცოდვების გამოსყიდვა რომ მინდოდა, მთელი სიცხადით ჯერ მეც არ ვიცოდი. ამიტომ მთავარზე დუმილი ვარჩიე, მამაშვილური დარიგება-შემოთავაზებისთვის მადლობა ვთქვი და მოსაფიქრებლად დრო ვითხოვე. ვუთხარი: ცოტა ხნით სანადიროდ განვმარტოვდები; თუ მალე დავბრუნდი, სულით და ხორცით თქვენი ვიქები და... თუ ერთ თვეში არ გამოვჩნდი, იყოს ნება თქვენი!

ხელი ხელს დავკარით, გადავეხვიეთ; მხარზე ვეამბორე, დავემშვიდობე და დავშორდი.

თითქოს გულიდან ლოდი ამეცალა – ამ-სუბუქებული წამოვედი.

მრცხვენოდა, მაგრამ ჩემს თავს გამოვუტყი, რომ ყველაფერზე მეტად მინდოდა მოხილვა იმ ადგილისა, სადაც სხვასთან ერთად ცოდვა-ბრალი მეც დავატრიალე, სადაც, თვითმკვლელობის გარდა, სხვა გამოსავალი არ დავუტოვე მთის სოფლის მოსახლე ბუდაჯვრელ ქალებს და ბავშვებს.

ჩემს სახლეულს ისე გამოვემშვიდობე, თითქოს უკანასკნელად ვხედავდი. ორმა ცოლმა და ექვსმა გოგომ სლუკუნით მომდინეს გასაცილებლად სოფლის ბოლომდე. მესამე ცოლი ფეხმძიმედ იყო, ბიჭი ეჯდა მუცელში (ერთ თვეში უნდა გაეჩინა) და... იმ ჩემმა ჯერარმობილმა ვაჟმა გასაცილებლად არ გამოუშვა – შეუძლოდ გახადა...

ზურგზე საგზლით აბგა მოვიგდე; მშვილდი და კაპარჭი, ქამარ-ხანჯალი მეომარივით შევისწორე, ცხენზე უარი ვთქვი და დავიბარე:

თიბვამდე დავბრუნდები, დანარჩენი პატრიარქმა იცის.

გული დამწყდა, გულში რაღაც ჩამწყდა, მაგრამ უკან აღარ მიმიხედავს, გზას ისე გავუდექი.

იქნებ, არც იყო საჭირო, თუმცა სოფ-

ლიდან მომზირალთა თვალის ასახვევად გეზი ზეგნისკენ ავიღე; თვალს რომ მივეფარე, მთისკენ ავუხვიე. მონადირეს ვგავ-დი, მაგრამ ნადირობას არ ვაპირებდი – ჯერ იქამდე უნდა მიმელნია, ი-ქამ-დე...

●

მუხლამდე მდინარეში გავედი, მთის ფერდს ავუყევი. ადრინდელი გზა-ბილიკი წაშლილიყო – ეკალ-ბარდს და ჯაგნარს დაეფარა. უგზონბის აღმართი ძალით ავარღვიე, ცოტათი გავივაკე და საკმაოდ ახლოდან დავინახე ბუდაჯვრის მთის ნასოფლარი.

შევისვენე და ირგვლივ მიმოვიხედე: სიმწვანე, ნაკრძალივით ხელუხლებელი ბუნება, ადამიანის სამკვიდრო – დამცრობილი და ტყე – შეტევაზე; მდელოზე ტყის ბინადრები დაკუნტრუშობენ – ირმები, შვლები მხედავენ, მაგრამ დაფეთბულები არ გარბიან, თუმცა არც ახლოს მიკარებენ და, ცხადია, არც ჩემკენ მოეშურებიან, რომ ფეხებზე მომელამუნონ და საალერსოდ განვდილი ხელები ამილოკონ...

მაიც მონადირის ჟინმა მძლია. ვიფიქრე: ერთ შველს მოვინადირებ, დროებით აქ დავრჩები, ლამეს ბუდაჯვრის ნასოფლარში გავათევ, დლისით ამ სილამაზები ვისუნთქებ, ვიფიქრებ ჩემს საფიქრალს, მოვიფიქრებ და მერე შინ დავბრუნდები...

მდელოზე წელამდე ბალახში წელ-წელა ჩავიმუხლე, გველივით მოქნილად გავისარჯე – მშვილდი მხრიდან ჩამოვიღე, კაპარჭიდან ისარი ამოვაცოცე, მშვილდ-ისარი გავმართე, მოვზიდე და ოციოდე ბიჯის მოშორებით შველს დავუმიზნე. ცალთვალ-მოჭუტულმა ნადირს მზერა გავუშტერე, თუმცა შველი სამიზნედ მაინცდამაინც არ ვარგოდა – თავ-კისრით საძოვრად წახრილი, ირიბად იდგა; მერე სულაც შებრუნდა და ჩემკენ ზურგით დადგა; უფრო სწორად, ლამაზად მოხატული უკანალი მიჩვენა – თითქოს აქეთ დამიმიზნა...

არ უნდა მესროლა.

მაიც ვესროლე.

იმ თვალის დახამხამებისოდენა დროში, როცა მშვილდის ლარს თითები ვუშვი და ისარი ვისხლიტე, მარჯვენა მხარში, უკ-

ნიდან, ისეთი უეცარი ტკივილი ვიგრძენი, თითქოს ჩემგან მძლავრად გატყორცნილი ისარი მევე მომხვედროდეს...

შევყვირე და პირდაღმა ჩავემხე ბალახში. ხელი გავისვი – ისარი მართლა მომხვედროდა. კიდევ ორი ისარი მომხვდა ფერდებში, მაგრამ ღრმად ვერ უწია... პირველისგან კი იმდენი სისხლი ამოჩექფდა, კისერზე გადმომდიოდა... ადგილიდან დაძვრა ველარ მოვახერხე – უკვე თვალთ მიბნელდებოდა, გონებას ვკარგავდი, მაგრამ იმდენი კი შევძელი, რომ მარცხნათი მხარუულმა ისარს მივწვდი, გადავტეხე და ფრთიანი ნატეხი მზერადაბინდულ თვალებთან ახლოს მივიტანე – მტრის ტოტემი ეხატა – ბუ და ჯვარი. მაშინვე ხანჯალს ვეცი. ყელს გამოვილადრავ და ტყვედ მაინც არ ჩავვარდები, – ფიქრობდა გონება, მაგრამ სხეული ქმედებით ვერ მიყვებოდა. ახია შენზე! – ბოლო აზრმა მანჭვა-გრეხით ჩაიარა და დავიბანგე...

•

ჩემივე ხმამ გამომაფხიზლა – ვლრიალებდი.

თვალები ვჭყიტე – გულალმა ვეგდე სადლაც მინურში – ჭერი ცხვირზე მედო – შანთების სიმხურვალს ვგრძნობდი მხარში, ფერდებზე. „მანამებენ“, – გავიფიქრე და ისევ დავიბანგე.

გონს რომ მოვედი, ვერაფერი დავინახე – რაღაც ჭინჭით მქონია აკრული თვალები – ახელა ვერ შევძელი; ხელ-ფეხით დაბმული ვყოფილვარ...

მერე ისევ ტკივილმა შემომიტია, დაშანთული ფერდები ამენვა და წამომაყვირა. პირში ჩამტენეს ჩვარი, რასაც კბილებით ფლეთა დაუუწყე... უფრო მეტზე ჩამტენეს, უფრო ღრმად ჩამჩარეს – ლამის დავიხრჩე. რაღაც სუნი ვიყონსე – ნაცნობი იყო – თრიაქს ჰეგვადა. გავყუჩდი, მივხვდი: არ მელავენ, ცოცხალი ვჭირდები. ისევ დავიბანგე...

ხელახლა რომ მოვედი გონს, არ შევიმჩნიე; ტკივილს ვძლიე და რადგან მხედველობა დახშული მქონდა, სმენა დავძაბე – ხმებს მივაყურადე, გავფაციცდი... ჩემ გარდა მინურში რამდენიმე სული იმყოფებოდა.

უკბილო ქალის პირი ხმადაბლა ჩიფრიფებდა ბუდაჯვრულ ენაზე. იმ წამს მე არ მელაპარაკებოდა – სხვას უხსნიდა რაღაცას. მე მტრის ენა არ ვიცოდი, მაგრამ რამდენიმე სიტყვა მეცნო: კაცი, მტერი, ხაშხაშამასტა, თესლი, სიკვდილი, ქვები, სიცოცხლე... შემდეგ უკვე დაშანთული ხორცის ტკივილმა მძლია და გმინვა დავიწყე...

უკბილო პირმა ჩიფრიფე შეწყვიტა. იმ პირის ხელებმა, ძარღვიანმა თითებმა ჩვარი ამომართვა და წყალი შემასვა.

მეამა.

წყლიანმა ჭურჭელმა ჩემი ტუჩის მიტოვება რომ დააპირა, თავ-კისერი წამოვწიე, მივემთხვიე, ხარბად დავეწაფე. უკბილო პირს გაეცინა და ჩემს ენაზე მითხრა: მშვიდად, ურჯულოვ, არ დაიხრჩო, სიცოცხლე ხომ გინდა?!

მინდოდა.

პირმა შიგ ყურში ჩამჩიფრიფა: ნუ გეშინია, არ მოკვდები. ხაშხაშამასტიანი ისრებით ხარ გაბრუუბული. ცოტა ხანში გონება დაგენმინდება და პასუხიც მოგეთხოვება.

დავრწყულდი და თავი მივდე. იმავე პირის ხელმა სასთუმალი შემისწორა. პირს გრილი სუნთქვა ჰქონდა. თითქოს ალმურმა გამიარა, თითქოს შვება ვიგრძენი. არ მომჩენებია – უკეთ ვგრძნობდი თავს – ტკივილი ტანის სიღრმიდან აიკრიფა და ზედაპირზე გაიძნა.

– მითხრეს, სანაქებო მონადირე ყოფილხარ. შველისთვის შიგ ბუთაბუბუნში გაგირჭვია ისარი, – ჩაიცინა პირმა. – რატომ, მდედრების მოქულე ხარ?

„ჩემი ენა სცოდნია, მაგრამ მაინც არ ვუპასუხებ – დუმილი ოქროა“.

– რა თქმა უნდა, არა! – თქვა პირმა და ნერწყვის შხეფი ყურის ბიბილოზე მომაწუნა. – ვიცი, „ჯვარი და გველის“ კაცები ავხორცები ხართ, მდედრი კალიების გარდა, ყველა სულიერზე ძალადობთ.

„მაგისებს. არ ავყვები – ჩემი დუმილი უკვე ოქრო აღარ არის, მაგრამ მოოქრულს კი ჰეგავს“.

– მე ჩიორომანა ვარ – ბუდაჯვარის მატრიარქი. შენ ვინ ხარ, შერისხული? შენი ტომისგან განდევნილი ხარ? – ამბობს პირი და თვითონვე პასუხობს დასმულ შეკით-

ხვას. – რა თქმა უნდა, შერისხული ხარ. მტერი შემოგებლიათ და ახლა ერთმანეთს მტრობთ, ჩვეულებისამებრ.

აქ უკვე ჩემი გაუფასურებული დუმილი აღარ გამომადგა და სვენებ-სვენებით ამოვ-თქვი სათქმელი: სამი ცოლი მყავს, ექვსი შვილის მამა ვარ, მეშვიდეს – ვაჟს, გვარის გამგრძელებელს, ამ ზაფხულში შევიძენ მე-სამე ცოლისგან. მე ჩემი სახლეული მიყვარს და ჩემი გვარტომის ერთგული ვარ.

პირი გაკვირვებულივით, დამცინავად წელაპუნებდა:

– რას მეუბნები, ნნ, ნნ!.. აბა, რა!.. ნნ, ნნ!..

ბოლოს შემომიტია კიდეც:

– მორჩი ლუდლულს, სი-მართლე თქვი, აქ რამ მოგიყ-ვანა?!

პირი სიმართლეს არ დაი-ჯერებდა. მაღალ ღმერთან დადებული ალთქმის გამხე-ლას ისევ დუმილი ვამჯობი-ნე.

– სამუდამოდ ტყვედქმნი-ლი ხარ! – დასკვნასავით გა-ნაცხადა პირმა. – შენიანებ-თან ვეღარ დაბრუნდები, და-ივინყე!..

ძარღვიანმა თითებმა ვი-თომ თვალსახვევი გამისნორა და აქთ-იქით წარბებზე გა-ისრიალა. პირმა დაიჩიფიფა: ჩვენს კაცებსაც ასეთი ხში-რი წარბები ჰქონდათ. ასეთი ცხვირის კეხი, ასეთი ნესტო-ები, ტუჩები, ასეთივე წვერ-ულვაში...

ძარღვიანი თითები ჩემს სახეზე დას-რიალდნენ, ყელზე დაცურდნენ, მკერდზე ხელისგულებად იქცნენ. „ჩვენს კაცებსაც ასეთი ძლიერი მკერდი ჰქონდათ“. ჩიფიფა: პირმა ხელისგული გულთან დამაჭირა; მის-მა ხელმა ჩემი გულის ცემა მაგრძნობინა. თითქოს ჩემი გული იმის პეშვში ფეთქავდა, თითქოს ჩემი სიცოცხლე იმის ხელში იყო. „ჩვენი ტყვე ხარ და ამას არაფერი ეშველე-ბა. გირჩევნია, შენი ნებით დაგვმორჩილ-დე“. ხელისგულებმა ფერდებზე ჩაისრია-

ლა, თითებად იქცა, მობოშილი ქამარი და შარვლის სათავე კანკალით გახსნა. ავწრი-ალდი. თვალახვეულს უფრო მრცხვენოდა, რომ ჩემს სარცხვინელში ვიღაც ურცხვად იცქირებოდა.

პირმა ბუდაჯვრულად რაღაც ხმამაღლა ბრძანა. გავიგონე ტანსაცმლის შარიშურის, ფრთხილი ნაბიჯების, სუნთქვაშეკრული ჩაცინების, კარის გაჭრიალების და ყრუ-ბაგუნა დახურვის ხმა.

ხელისგულები ამოსრიალდა მკერდამ-დე, კისრამდე; ძარღვიანმა თითებმა ყურის ბიბილო მომისრისა. ჩიფიფა: პირი ზედ ყურთან აჩურჩულ-და: ერთი მამაკაციც აღარ დარჩა ჩვენს გვარტომში, რომ სიცოცხლე გაგრძელდეს – გა-დაშენება გვემუქრება. დაი-ვიწყე, რომ ჩვენი მტერი ხარ და გაგვამრავლე. შენი და-ნიშულება დათესვაა და არა მოსავლის ალება. დაგვემორ-ჩილე.

– ჩემი ენა საიდან იცი? – ვკითხე გაგულისებულმა.

– გრძელი ამბავია, ოდესმე მოგიყვები, – ვითომ გაიცინა პირმა და უცბად მუქარაზე გადავიდა. – ახლა თესლი შე-ნივე ნებით მომეცი... თუ არა-და, ძალით ამოგართმეც!..

გავიტრუნე. ტყივილიც თითქოს სადღაც გაქრა. ასეთ განსაცდელში ყოფნას არავის ვუსურვებ.

– ვიცი, რასაც ფიქრობ, მაგრამ არა ხარ მართალი, – თქვა დედაბრის პირმა. – ოდესლაც თქვენც გაგიჭირდათ და გადაშენებას ისევ მტრის თესლით გადაურჩით.

– არა! – მომაფიქრდა სათქმელი. – მე მტერს არ გავამრავლებ. ამას სიკვდილი მირჩევნია.

– სიკვდილს მოესწრები, ნუ ჩქარობ! – დამიბეჯითა პირმა. – შენი თავი რას ფიქ-რობს, სულაც არაა მთავარი. მე შენი ტანი დამიჯერებს...

ყველაფერი თავიდან დაიწყო: „ჩვენს კა-



ცებს ასეთი შუბლი და წარბები ჰქონდათ... ჩვენს კაცებს სწორედ ასეთი ძლიერი მკერდი ჰქონდათ და...“

არა! – ვიყვირე, თავი წამოვქაჩე, დავიძაგრე, ხელ-ფეხი დავჭიმე და არტახების გარღვევა უცადე, მაგრამ სუნთქვა სურნელოვანი ჩვრით ლამის დამეხშო... უგ კი არადა, ვიგრძენი: თანდათან გამიპატონდა ტანი და გამეყარა გონიერება... „ჩვენს კაცებსაც ასეთი ადრეკილა ჰქონდათ“. – თითქოს სლუკუნებდა პირი და ენით ჩემს სარცხვინელს ნერწყვავდა, მერე სულაც ჩაყლაბვა დაუწყო. უკვე ცეცხლი მეყიდა... ძარღვიანი თითები ადრეკილას წველავდა და ჩემდა უნებურად, ამ ყველაფერს ისე ვგრძნობდი, თითქოს ხაფანგში ვიყავი გაბმული სწორედ იმ ასო-ნაკვთით, რომელიც მანამდე სხარტად მოჩიფრიფე პირს სანახევროდ ჩაეყლაპა და კიდევ თავისკენ ექაჩებოდა...

როცა ჩემმა გაშმაგებამ მწვერვალს მიაღწია და თესვა ვიწყე, მართლა ხაფანგში მოქცეული მხეცივით ავძაგძავდი, პირმა გამიშვა და ჩაილულულა: დამახრჩო ამ ურჯულომ. ადრეკილას ხელი არ გაუშვა, ვითომ სადმე გაექცეოდა და უსაყვედურა, ჭერი რატომ წამიპილნეო, შეამშრალა და მოსავლელად სხვას გადაბარა.

– აი, ასე! – არხეინად დაიჩიფრიფა პირმა. – თუ ნებით არ მოგვცემ, ძალით ავიღებთ იმას, რაც გვჭირდება და ამაში შენი გონება-გონიერება სულაც ვერ დაგეხმარება.


– გარყვნილი დედაბერი ყოფილხარ და მეტი არაფერი! – ჩვრით ამოტენილი პირი-დან ამოვიბუყბუყე მე.

– ეს გარყვნილება ოდესლაც ერთმა თქვენებურმა ბატონმა მასწავლა, – ჩაიცინა პირმა. – აზრადაც არ მქონდა, რომ ოდესმე გამომადგებოდა, მაგრამ აგე – გამომადგა! შემეძლო ეს ყველაფერი შენთვის სასიამოვნოდ გამეკეთებინა, მაგრამ არ იმსახურებ. მორჩი კვნესას, თავს ნუ მაცოდებ!.. ახლა მთავარი ისმინე. თუ ჯანმრთელი ხარ, მეც გადავრჩები, თუ არადა... შენგან თუ სნება შემეყარა, სიცოცხლეს გამოგასალმებ!.. სამ დღეს ჩემი რძლები მოგივლიან, მეფესავით

დაგბანენ და გაჭმევენ. თუ ამ სამ დღეში შენგან სენი არ შემეყარა, იცოცხლებ და სიცოცხლესაც გააგრძელებ!



მეფისა რა მოგახსენოთ, თუმცა, დაჭრილი მტრის პირობაზე, მართლა კარგად მივლიდნენ – ცოტ-ცოტაზე მშანთავდნენ, მალამოს მადებდნენ, ნახვევებს მიცვლიდნენ, ჭრილობაში ჩარჩენილი ისრის ბუნიეს ნამსხვრევებისგან თანდათან მათავისუფლებდნენ, მბანდნენ, მზელდნენ, მიმღეროდნენ,




მაგრამ არ მენდობოდნენ – ისევ თვალაკრულს არტახებს არ მხსნიდნენ. ერთმანეთს რაღაცას თავის ენაზე ემუსაიფებოდნენ, შიგადაშიგ ჩაიცინებდნენ; მერე უცბად ცოტა ხნით „დაბრძენდებოდნენ“, ერთხმად დაიძახებდნენ: ამირანი!.. ამირანი!.. მერე ჩაბჟირებამდე იცინოდნენ, დამცინოდნენ – არ ვიცოდი, სად წაესულიყავი (უფრო სწორად, კი ვიცოდი, სად წავსულიყავი, მაგრამ ამის თავი არ მქონდა)...

●

სამი დღის შემდეგ ჩორომანამ გამომიცხადა, რომ თურმე იმ ამბავში ჯანმრთელი ვყოფილვარ და არ მჭირს: არც ცხენის ძუოზი, არც ცხვრის დუმოზი, არც ჯილეზი და ხარის ორპირა. ერთ კვირასაც დაელოდება ჩემ სრულ გამოჯანმრთელებას და მერე დანარჩენი საქმით უნდა დავამტკიცო.

ვხვდებოდი, რომ რაღაც განსაცდელი მელოდა და ჩემს მომვლელებს, თამამ ქვრივებს, ვკითხე: რას მერჩის-მეთქი ეს



მოხუცი, რა უნდა.

ჩემი ენა იმათ არ ესმოდათ, მაგრამ შეკითხვას მიმიხვდნენ და საპასუხოდ კესანეს დაუძახეს.

●

კესანე ლამაზი და მკაცრი, საშუალოზე მაღალი, ახალგაზრდა ქალი იყო; როგორც მოგვიანებით თვითონ ამიხსნა, ჩორომანას შემდეგ ის უნდა გამხდარიყო „ბუ და ჯვარის“ მატრიარქი...

და ამას წინასწარ იფერებდა.

— ყველაფერი ძალიან მარტივადაა, — მითხრა მაშინ კესანემ. — ჩემ გარდა, ყველა ახალგაზრდა ქალს გაანაყოფიერებ. ჩორომანას რიგი შედგენილი აქვს; ჯერ თამამი ქვრივები გესტურებიან, მერე — გასათხოვარი ქალები, ბოლოს — ჯიუტი ქვრივები; სულ, სულ ბოლოს ჩორომანა სიცოცხლის თესლს ამოგართმევს მორცხვი ქალებისათვის.

— სულ, სულ, სულ ბოლოს? — სიმწრის სიცილით ვკითხე მე.

— ჩაგქოლავთ, როგორც მტერს! — ამიხსნა კესანემ და დამტოვა თამამი ქვრივების გარემოცვაში.

●

ის ქალები ჩემს გემოზე არაფერს მაცდიდნენ, რადგან დაბორკილი, უფრო სწორად, ტახტზე არტახტით დაბმული ვიყავი; ისინი კი დილა-სალამოს მოდიოდნენ და ჩემზე მანამდე ბუქნავდნენ, ვიდრე სიცოცხლის თესლს ბუთაბუბუნში არ შეინთხევდნენ. მერე ჩემ გვერდით იწვნენ და თავის ენაზე მიხსნიდნენ, რომ ესეც საჭიროა — კაცის გვერდით წოლა განაყოფიერებას უზრუნველყოფს.

ზოგს არ ვეთმობოდი, წასვლას აჭიანურებდა, მაგრამ ესეც ჩორომანასგან განსაზღვრული და სანთლის წვის ხანგრძლივობაზე დამოკიდებული იყო.

მიწურში დღისითაც სანახევროდ ბნელოდა, სალამოს კი, თავისთავად, მზის შუქი არ აღწევდა. ყველაფერი, ჩემს თავს გადასახდენი, სანთლის შუქზე ხდებოდა:

დედაკაცები სათითაოდ, წყლიანი ჭურჭლით და საკუთარი ხელით ჩამოქნილი, ანთებული ცვილის სანთლით შემოდიოდნენ. წყალს შემასმევდნენ, მერე სანთელს შანდალზე დაამაგრებდნენ და იმდენ ხანს რჩებოდნენ, რამდენი დროც სანთლის ბოლომდე დაწვას სჭირდებოდა.

ქალებს მათსავე სანთელზე ეტყობოდათ, ჩემკენ მოუხაროდათ თუ მხოლოდ მდედრის ვალის მოსახდელად მოდიოდნენ: ზოგის სანთელი დიდხანს იწვოდა, ზოგის — მალე ჩაილვენთებოდა, ზოგის სურნელოვა-

ნი იყო, ზოგისაც უშნოდ, ჭრაქივით პარპალებდა და ხრჩოლავდა...

მე კი, არტახებით შეკრული, თვალებაკრული ცრუ ამირანი, თითოეულ მათგანს მათსავე სანთელზე ვცნობდი; მათსავე ქცევაზე, მიქცევა-მოქცევაზე, წაქცევა-წამოქცევაზე ვცნობდი... გაბეზრებულიც ვიყავი. ზოგჯერ ვყვიროდი, რომ ჩორომანასთვის ხმა მიმენვდინა; ვცდილობდი, იმისთვის მაინც გამეგებინებინა ჩემს ენაზე ნათქვა-მი, რომ... გამასპინძლება დამთავრდა და „სტუმარი“ უკანვე, თავისთან გაეწვია, მაგრამ არა...

შემოვიდოდა ჩორომანა, იშვიათად – კე-სანე; ნახავდნენ სანთელს და, თუ ბოლომ-დე დამწვარი არ იყო, კარს უსიტყვოდ გა-იხურავდნენ.

პირიქითაც მომხდარა: დღლაზას, რომელიც სულ არ მომწონდა მისი ზორბა ნაკვთების გამო, მგონი, კიდეც შევუყვარდი. მიუხედავად მისი სისქე-სიგანისა, უზომოდ ნაზად მექცეოდა და ბუმბულივით მსუბუქად თრთოდა; მერე კი ჩემს მკერდზე თავ-მიდებული თვლემდა ჩორომანას ყივილამ-დე; გამოფხიზლდებოდა თუ არა, გარბოდა, რადგან ლია კარში გახირული მატრიარქი ყველას გასაგონად ამუნათებდა: დაიწვა სანთელი, დაგეწვას გჩინა!.. ძილისგუდავ, გაიღვიძე და გარეთ გამოეთრიე!..

გამხდარ სევდაპს მასავით ნირნამხდა-რი სანთელი მოჰქონდა. ალბათ კი არა-და, ნამდვილად თავიდანვე ვეჯავრებოდი – ზურგს მაქცევდა და უკუღმა ბუქნავდა. ნებით თუ უნებლიერ, სწორედ ჩემი მიმარ-თულებით აფუჭებდა ჰაერს; ბოლოს წალმა გადმოჯდებოდა და სახეში მაღორბლებდა: მე რომ შენგან შვილი გამიჩნდება, ის მოგი-ღებს ბოლოს!.. აი, ასე! აი, ასე (ეს სიტყვე-ბი იმდენჯერ გამიმეორა, რომ ბუდაჯვრული ენის შესწავლა სწორედ მისი წყალობით დავიწყე)!! ყველაფერს უკუღმა აკეთებდა: ბუქნებს რომ მოჩებოდა, ჩორომანას და-რიგების თანახმად, ჩემ გვერდით, ტახტზე კი წვებოდა, მაგრამ თავშექცევით გადაიქცეოდა გულაღმა; მდუმარედ იწვა – ღმერ-თმა იცის, რას ფიქრობდა – დროდადრო უადგილო ადგილზე მწარედ მჩქმეტდა და ამავე დროს, კრინტი რომ არ დამეძრა,

ქუსლით ყბის ქვეშ სულისხუთვამდე მან-ვებოდა... როცა ადგებოდა, გავა-თებოს საგანგებო ნახვევით დაითბუნებდა, ჩაიც-ვამდა... ბოლოს, წასვლის წინ, სასანთლეს აიღებდა, განგებ ჩემკენ გადმოაყირავებდა, რომ გამდნარი ცვილი ტანზე დამსხმოდა და გავმწარებულიყავი...

გასათხოვარი ქალების კვირეული რომ დამიდგა, ვიგრძენი, არც ერთი ქალნული არ იყო. როგორც შემდეგ კესანესგან შე-ვიტყვე, მატრიარქის ბრძანების თანახმად, ხის ადრეკილათი წინასწარ ყოფილან და-პობილები, რომ ჩემთან სტუმრობა გაიო-ლებოდათ.

ზოგს მართლა აინტერესებდა, რასაც ჩემთან აკეთებდა; ზოგი წამით თვალსახ-ვეს მხსნიდა, რომ ლამაზი სიშიშვლისათ-ვის თვალი მომეკრა; ზოგს ვეზიზლებოდი და არც ეგ მიკვირს – მე ხომ მათი მტერი ვიყავი...

მორცხვი ქალების კვირეული რომ დად-გა, ისევ ჩორომანა შემომიჩნდა – ჩემგან გამოძალულ სიცოცხლის თესლს აგროვებ-და და იმათ უნანილებდა...

ერთი თვეს შემდეგ მომეშვნენ და დაინ-ყეს ლოდინი.

მეფესავით ალარ მივლიდნენ – საკუთარ შეგრძნებებს იყვნენ მიუურადებულნი.

●

უკუღმართი სევდაპს გარდა, ყველა დაორსულდა. ამის გამო მთელი თვე მარ-ტო ის მსტუმრობდა, მაგრამ ისევ ძველე-ბურად – ნირს არ იცვლიდა... და წასვლის წინ ცხელი, გამდნარი ცვილის პკურებით მანამებდა...

იმას არაფერი გამოუვიდა, მე კი სამი თვის შემდეგ მეშველა.

●

როცა დღის სინათლეზე გამომიყვანეს, თვალები ამიქრელდა, მაგრამ დასანახი მა-ინც დავინახე – შემოდგომა შემომდგარიყო, ხეებს აქა-იქ ფოთლები გასცვენოდა; შორს, სამხრეთისკენ, ჩემი სამკვიდროს მხარეს, წითლად ღუოდა თრიმლი და ნეკერჩალი...

ვიცოდი, იქ არ წამესვლებოდა. იქ მომ-ხდარის ნახვას ვერ გადავიტანდი: ჩემი

ცოლები უხუცესის ვაჟებს ეყოლებოდათ შერთული და ჩემი შვილები – მათვე ნაშვილები; ჩემი ქონება უხუცესის ქონების ნაწილად იქნებოდა გადაქცეული...

არც აქ, ბუდაჯვარში, დამედგომებოდა, მაგრამ არჩევანი არ მქონდა – ტყვე ვიყავი. ჯვარდაგველური ცოდვების გამოსყიდვა მსურდა; ამავდროულად, სიცოცხლე მიყვარდა და სხვასაც მინდოდა იგივენაირად ეფიქრა.

●

ბორკილდადებული ყოფნა აუტანელია. ბორკილით თუნდაც სუფთა პაერზე გასეირნებაც ვერაფერი სიამოვნებაა, თუმცა, შეიძლება, ერთობ საინტერესოც კი გამოდგეს, თუ ლამაზ ქალთან ერთად ხარ დაბორკილი.

მე მარჯვენა ფეხზე დამადეს ბორკილი, კესანეს – მარცხენაზე; ორი ადლის სიგრძის ჯაჭვით გადაგვაბეს ერთმანეთს; მერე ხელები გამითავისუფლეს, ნაჯახი მომაჩინების და აჯაბაჯა ბაჯბაჯით გაგვიშვეს ტყეში.

თუ გაქცევას მოვინადინებდი, კესანე ხელში უნდა ამეყვანა და ისე გავქცეულიყავი. ამას რომ ვერ შევძლებდი, მატრიარქმა კარგად იცოდა და გულდამშვიდებულად გაგვიშვა.

სოფელს კაი მანძილით დავშორდით. შევედით ტყეში. კესანემ წინასწარ ამორჩეული და მონიშნული ხე მომაჭრევინა და მიბრძანა, რომ მისგან ოთხი ადლის სიგრძის და ციდა-ნახევარი სისქის, როგორც თვითონვე თქვა, „სვეტი“ გამომეთალა.

დავალება რთული არ იყო, თუმცა მალევე გაირკვა, რომ შემდეგ ის სვეტი მხარზე უნდა გამედო და ისე ჩამეტანა სოფელში. რომ ვთქვი, დღესვე ამას ვერ მოვასწრებ-მეთქი, კესანემ დამაიმედა: არ გაჩერებ, მაგრამ ყველაფერი პირველი თოვლის მოსვლამდე უნდა მოასწროო.

დავყაბულდი.

●

ასე, ერთმანეთზე ჯაჭვით გადაბმულება, თითქმის მთელი კვირა ვიარეთ ტყეში; ორჯერ თაფლზე ვიყავით წასულები. ფუტ-

კრებს ეძინათ, მაგრამ მაინც დაგვებინეს. ამის გამო თავ-პირი ისე დაგვისივდა, სამი დღის განმავლობაში ერთმანეთს და-ძმა ტყუპისცალებივით დავემსგავსეთ და... ველარ გავიმეტე; მანამდე ბოროტი განზრახვა მქონდა ჩაფიქრებული: მეთქი, იმ ხის ჩირკნისა და თლისას უეცრად მოვუბრუნდები, ჩემზე ჯაჭვით მობმულ მტრის გვარტომის მომავალ მატრიარქს ნაჯახით სულს გავაფრთხობინებ, მის ბორკილიან ფეხს დავანაფოტებ, მოვიშორებ. ხელში ავკრეფ ჯაჭვს, კესანეს ბორკილიანად, და ასკინკილით ჩავალ ჩემი ტომის სამკვიდროში...

მაგრამ არა – კესანე არ მოვკალი – და-დებული აღთქმის დაცვა ამჯერად შევძლი...

●

ტყისკენ რომ მივბორკილობდით, მე ნაჯახი მიმქონდა, კესანეს – თუნგი.

წყალს იმ თუნგიდან ვსვამდით ხოლმე – მე პირდაპირ ვისხამდი ხახაში, რადგან კესანესგან გაფრთხილებული ვიყავი, თუნგის ტუჩის ტუჩით არ შევხებოდი; თვითონ კი ლამის ცხვირპირიანად შიგ ძვრებოდა და გულისპირი მუდამ დანამული ჰქონდა. მერე წაქცეულ ხის მორზე დაჯდებოდა, მე კი იმ მორს სიგრძეზე ვთლიდი. კესანე ჩირვა-ჩირვით მომყვებოდა და ამგვარად „მხელ-მძღვანელობდა“.

ნაჯახის ქწევით დალლილს ვითომ დასვენებისას მაინც არ მასვენებდა; განზე გამიტყუებდა, მოშორებით – ვითომ ასკილის-თვის, ვითომ კუნელის საკრეფად – ჩემს ზურგს ამოეფარებოდა და ჩაცუცქდებოდა.

რამდენზედაც ჯაჭვის სიგრძე დაბორკილებს დაშორიშორების საშუალებას გვაძლევდა, იმდენზე, ანუ ორი ადლის მოშორებით, ჩვენ-ჩვენს პატარა საქმეს ასე მოვითავებდით ხოლმე. კესანე უცბად მოითავებდა და მერე მე მიყურებდა. მისი მზერა მეუხერხულებოდა, თან, თითქოს მეთათუნებოდა, ადრეკილაც მეურჩებოდა, ამასობაში ჯაჭვიც მექანიზმით და კესანეს აჯაბაჯა მიყვებოდი სამუშაოდ. მე არ ვურჩინდი – ჩემი ჯვარდაგველური ცოდვების გამოსყიდვას ჩემებურად ვცდილობდი და ამის შესახებ არავის არაფერს ვეუბნებოდი.

●

მანამდეც კარგად ვიცოდი, მაგრამ კე-სანესთან ურთიერთობისას კიდევ ერთხელ აღმოვაჩინე, რომ შემოსილი ქალი უფრო ლამაზია, ვიდრე შიშველი.

კესანეს კესანესფერი თვალები, სადღაც გაქცეული წარბები ჰქონდა, ცხვირი კიდევ ისეთი სიფრიფანა, თითქოს სუნთქვისთვის გამოუსადეგარი იყო და მხოლოდ სილამა-ზისთვის არსებობდა. მისი ტუჩ-კბილი ისე შეფერებოდა ერთმანეთს, რომ ავხორცო-ბისკენ არ მიბიძგებდა. მისი თალხი თავსა-ფარი მკვეთრად გამოკვეთდა შუბლის და კეფის კოხტა მოყვანილობას. დახურული გულისპირის ქვეშ უთუოდ ქალიშვილური, ხელუხლებელი მკერდი ექნებოდა.

შოლტივით იყო – მოძრაობა ძალიან უხდებოდა. მიხრა-მოხრისას მისი გრძელი, თალხი კაბა ხან თეძოს სიმრგვალეს ხატავ-და, ხან წელნვრილობას, ხან კოხტა მუხ-ლისთავს, ხან წვივის სიმაღლეს...

●

ერთხელ, ძალიან რომ დავიღალე, მეც რომ მორზე ჩამოვჯექი (უფრო სწორად – გვერდით მივუჯექი), თავი ჩავკიდე, ბორ-კილით დაბორკილ ჩემს მარჯვენა და მის მარცხენა ფეხებს დავხედე და ვუთხარი:

– კესანე, ასეთი ლამაზი, ასეთი ჭკვია-ნი უშვილოდ უნდა გადაეგო? ყველას უნდა შვილის ყოლა, შენ კი ერთი სანთელიც არ ჩამოგიქნია ჩემთან სასტუმროდ. იქნებ, გე-ზიზლები კიდეც და თუ ასეა, რაღა მაინცა-დამაინც შენ წამომიყვანე ამ ოხერი მორის გასათლელად?

– ეს მორი ოხერი არ არის! – მწყრალად მიპასუხა მან.

– რაც არის, არის! რატომ მაინცდამა-ინც შენ დამყვები? წამოსულიყო დღლაზა

– შეზე ძლიერიც არის და მხიარულიც. ეჭ-ვი არა მაქვს, მასთან ერთად უკეთესადაც ვიმუშავებდი და არც მოვიწყენდი.

– გეყოფა დასვენება! – გაგულისდა კე-სანე. – ადექი და იმუშავე. დღლაზამ მეტი არაფერი იცის – დედაკაცია სწორედ. ყვე-ლამ რომ შვილები დაბადოს, სული ხორცში გაიპარება და გვარტომობა მოიშლება. „პუ-

და ჯვარი“ სიბრძნეს და რწმენას ნიშნავს. დღლაზას სიბრძნე-გონიერება აკლია; არც რწმენა ექნებოდა, რომ არა – ჩორომანა, რომ არა – მე. ამასთან, დღლაზამ მხოლოდ მშობლიური ბუდაჯვრული ენა იცის – ვე-რაფერს გაფაგებინებს.

– როცა ცერის სიმსხო სანთლით მსტუმრობდა, ძალიანაც კარგად გვესმოდა ერთმანეთის.

– ეგ ენა ტანის ენაა. ეგ ენა ყველამ იცის.

– შენც?

– აიღე ნაჯახი და საქმეს შეუდექი!

– ჩემი ენა რატომ ისწავლე? მითხარი და საქმეს შევუდგები.

– თუ გინდა, გადარჩე, მტრის ენა უნდა ისწავლო.

– ჩორომანას ნათქვამს ჰგავს.

– ჩორომანამ მასწავლა სწორედ.

– იმას ვიღამ ასწავლა?

– არავინ. თავისით ისწავლა ბავშვობა-შივე, თქვენთან ტყვეობისას – თქვენებუ-რად ქსოვასთან, თქვენებურად ხატვასთან, თქვენებურ კალენდართან, თქვენებურ გარყვნილებასთან ერთად!..

– როგორ დააღწია თავი მონობას?

– ვითომ მორჩილი მაინც დაუმორჩილე-ბელი იყო. ავხორცი ბატონი თავის ადრე-კილაზე რომ მიიხუტებდა, ჩორომანა – მო-ნა-გოგო კბენდა... მერე, როცა სცემდნენ და შანთავდნენ, პატიებას ითხოვდა, ვნების დროს ჭკუას ვკარგავ და არაფერი მახსოვ-სო... ბატონს მისი მორჩილებაში განვრთნა სურდა, არ ეშვებოდა, კბილები დასთხარა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა – მონა ქალი ბატონს მაინც კბენდა... ბოლოს, როგორც ველური და დაუმორჩილებელი, ცხენის აღ-ვირში გაცვალეს ზეგნის ბაზრობაზე. ბუ-დაჯვრელმა მწყემსებმა გამოისყიდეს და შინ დააპრუნეს.

– მაინც ვერ ვიტან შენს ჩორომანას, თუმცა კი მეცოდება – ბევრი უტანჯია ბე-ბერს.

– ჩორომანა არც ისეთი მოხუცია, რო-გორც შენ გგონია. ახალგაზრდების კარგად ესმის. ბრძენია. თქვენი თავდასხმისას საი-დუმლო გვირაბში გადაგვმალა, სიცოცხლე შეგვინარჩუნა... თუმცა ბრძენსაც მოსდის

შეცდომა. გმირი მზეჭაბუკის გამოჩენას გვპირდებოდა და აგე, სინამდვილეში რა გამოვიდა – ხელთ შეგვრჩია ცრუ-ამირანი, ვისაც ქალების ეშინია და შრომაც ეზარება. ადექი და საქმეს შეუდექი, თორემ წყეპლას მოგცებ!

- მე ერთი რამის მეშინია მხოლოდ.
- რის?

– მაღალ ღმერთან აღთქმა მაქვს და-დებული: არ მოველა, არ ვიძალადო, ცოდ-ვას ვერიდო... მარტო იმის მეშინია, ეს აღ-თქმა არ დავარცლვიო.

– თუ დაიღალე, მეტს ნუღა იმუშავებ! – თქვა კესანემ. ადგა, ბორკილის ჯაჭვი აკ-რიფა და ხელებით ააჩხრიალა. – დანარ-ჩენს ხვალაც მოასწრებ!..

•

დადგა ის ხვალეც.

საქმეს ბოლომდე მაინც ვერ მოვრჩი.

გათლილი ძელის ბოლოს რომ მივადექი, კესანემ შემაჩერა და მითხრა: გვიანდება. თუ ახლავე არ წავალთ, ძელის სოფელ-ში ჩატანას დღის სულით ვერ მოასწრებ. გაიდე მხარზე და წავიდეთ. სამუშაოს იქ დაამთავრებ – თავ-ბოლოს წათლას იქაც შეძლებ.

უცბად ბრაზი მომერია და შევძახე: ასე-თი სისულელე არასდროს მიკეთებია. ვის რაში სჭირდება თავ-ბოლონათლილი ძელი.

– ჩორომანას! – მშვიდად მიპასუხა კე-სანემ. – ესე იგი, ყველას, ვინც ბუდავვრის ტომიდან გადარჩა. „სისულელე“ აღარ ახ-სენო. მე ხანჯალი მაქვს. შენი სულელური სიტყვებისთვის თავი არ მომაკვლევინო.

არც შიში მქონდა, არც რიდი. ჩემი გა-საჭირი მაწუხებდა. ტყეში წაყინვა შემოპა-რულიყო, რადგან მზეს თავისი გზა-სავალი საშემოდგომოდ შეემცირებინა და ირიბი სხივები ჩემამდე აღარ აღწევდა. ციოდა. ოფლიანი ტანსაცმელი ზურგზე ცივად მე-ნებებოდა.

ვიფიქრე, ტვირთის თრევაში გავხურდე-ბი-მეთქი, დავავლე ხელი ოთხი ადლის სიგ-რძის ძელს და გავიდე მხარზე. ატაცებული დიდხანს ვერ ვზიდე – მძიმე იყო. ერთი ბო-ლო ძირს დავუშვი, მეორე ბოლო მხარ-ილიაში ამოვიდე და წამოვაფხოკიალე.

არც ეს იყო იოლი საქმე – აქეთ ძელს ვიყავი მოჭიდებული, იქით ბორკილი უნდა მეთრია...

რამდენჯერმე ჯაჭვით კუნძზე გადა-ვეხლართე. რამდენჯერმე ძელის დაშვება, ჯაჭვის გამოთავისუფლება, ძელის ისევ აზიდვა დამჭირდა.

აღარ მციოდა. გახურებულიც ვიყავი და გადახურებულიც; კესანე კი მორიგი შე-ფერხებისას ჩემ გვერდით იყო ჩამუხლუ-ლი, გახლართული ჯაჭვის კუნძის ფესვე-ბიდან გამოთავისუფლებაში მშველოდა, ხმას არ იღებდა, არც მამხნევებდა, მაგრამ მართლა გულიანად მეხმარებოდა – ლამის შუბლი შუბლზე ჰქონდა მოდებული და ჩემ-სავით აღმური ასდიოდა...

ვეღარ მოვითმინე და ჩავბლუჯე, მოვებ-ვიე, ხანჯლიანი ხელი გავუკავე და კუნძზე გადავაწვინე.

– არა! – მითხრა მტკიცედ, – შენ არ გაქვს უფლება, ჩვეულებრივ ქალად მაქ-ციო. კაბა არ დამიხიო, გონს მოდი!

– კაბის კალთები შენით აიკრიფე და დამნებდი! – ვუთხარი, ხანჯალი ხელიდან გავაგდებინე, ყელში კოცნა დავუწყე და კუნძზე ზურგით დაწოლილ ზედ გადავა-წექი.

– მე სხვა ვარ, – გარკვევით მითხრა კე-სანემ. – გონს მოდი!

საკინძე გავუხსენი, ლამაზი მკერდი გა-მოუნათე, ძუძუსთავები დავუკოცნე, და-ვუდორბლე, დავუშლიმე და დავძახე: რით ხარ განსხვავებული?! აგე ორი ძუძუ – ერ-თმანეთზე უკეთესი! რით ხარ განსაკუთრე-ბული, რით ხარ სხვა ქალისგან განსხვავე-ბული?!

– ბევრი რამით, მაგრამ ამას შენ ვერ გაიგებ!

– ერთი მაინც მითხარი და მოგეშვები!

– ერთი?

– ჰო, ერთი!

– ერთი და ისეთი, შენ რომ მიხვდე და გაიგო?

– ჰო! – ვითომ დავეთანხმე, კაბა ავხადე და საწმერთულის ხვანჯარს ჩავაფრინდი.

– მე უთმო ვარ!

– რაო, რაო? – ვითომ ვეკითხებოდი და თითებით ხვანჯრის გასახსნელს ვეძებდი.

— მე უთმო ვარ! — მშვიდად გაიმეორა კესანემ, თავსაფარი გადაიძრო და ტიტველი თავი მაჩვენა.

— გადაპარსული გაქვს! — ერთი თვალის შევლებით დავაზუსტე სათქმელი და ისევ ხვანჯარს ვეცი — ერთიანი და გადაგრეხელი იყო, გასახსნელი ადგილი არ ეტყობოდა და არც იხსნებოდა.

— მიცქირე! — მითხრა კესანემ და ტიტველი მხარ-ილლია მაჩვენა. — ხომ ხედავ, არც აյ მაქვს თმა!

— გაპარსული გაქვს! — არ დავიჯერე მე და კუნძის იქით გადაგდებული ხანჯლის თვალთამზერით მოხელობა ვცადე. ქოშინ-ქოშინით გონებაში სწრაფი აზრი გავატარე: თუ ხანჯალს ვერ მივწვდი, ხვანჯარს კბილებით გადავდრღნი.

— რადგან არ გჯერა, დანარჩენი შენ თვითონ ნახე, — წყნარი ხმით მითხრა კესანემ, მსუბუქად მიბიძგა, ვითომ მომიშორა, ფეხები ასწია, მხრებზე შემომაწყო, აქეთ-იქიდან ორივე ხელი წელზე გაისვა, ერთი მოძრაობით უკრიდან ხვანჯარი შეისხა... მერე საწმერთულიდან ცალი ფეხი ნელა ამოასრიალა და ტიტველი ბუთაბუნი მაჩვენა. ისე ალალად გადამიშალა, რომ მომეჩვენა, არ ვძალადობდი...

— დარწმუნდი?.. დარწმუნდი?.. — მე-კითხებოდა ჩურჩეულით, მაგრამ... მე მისი შეკითხვა აღარ მესმოდა — უკვე ჩემს ხვანჯარს ვიხსნიდი, რომ კესანეს შევრწყმოდი...

შევერწყე.

— მხეცო! — ჩაიდუდუნა თავისთვის, ხელები მომხვია, ენით ამილოკა ყური და ყურშივე ჩამჩურჩულა: — არ დამთესო... თორემ შენი შვილის მოკვლა მომინევს!.. არ დამთესო!.. დრო რომ მოგივა, ჩემში არ დაათხიო... თესლი ტყეში დააბნიე!..

კესანეს უფრო მჭიდროდ შევენასკვე — გონიერება სიამოვნებაში დავაკარგინე, თუმცა ბოლომდე მაინც ვერ ავიყოლიე...

ჩემმა ვნებამ დროებით უკან დაიხია. დაბრმავებისგან გამოვერკვიე, უკვე აქეთ-იქით მიმოხედვა შემეძლო და რაღაცებსაც ჩემით ვხვდებოდი: კესანე ქალწული არ იყო. ტყეში ციოდა, კუნძს ბარძაყებით ვეხლებოდი და დაღუმებულ კესანზე ვძა-

ლადობდი... ვიდრე „ბნედა“ მომერეოდა, ქალის ტანს გამოვენასკვე, დროზე გამოვასწარი და თესლი ტყეში გავაპნიე...

კესანე ისე მიყურებდა, მგონია, ვეცოდებოდი.

ხენგშას რომ მოვრჩი, „ბნედამ“ რომ გამიარა, გონება მაინც არ დამიბრუნდა. დამავიწყდა, რომ დაბორკილი ვიყავი და საითკენლაც წავპოდიალდი. რაღაც ხელს მიშლიდა, მაგრამ არ ვეპუებოდი — დათვივით მივარღვევდი სიციისგან ფოთოლგაცვენილ, შიშველ ხე-ბუჩქებს...

კარგა ხანს ვათრიე ჩემზე ჯაჭვით გამობმული კესანე.

ისევ იმან იყოჩალა, წამიერად ფეხზე წამოდგომა მოახერხა, გადამასწრო, პირისპირ შემეჩება, ყელზე ხანჯლის წვერი მომაბჯინა, ამომძახა: „გონს მოდი, გონს მოდი!“

შევდექი.

დავდექი.

კესანემ ხელის ბიძგებით შემომაბრუნა და ზურგში ბიძგებით იმ ადგილზე დამაბრუნა, სადაც თესლი დავაპნიე. ძელზე მიმითთა, ვითომ ანევაში მომებმარა... მერე ზურგზე წევეპლა დამკრა და გამწევი, ცალულელა ხარივით დამძრა ადგილიდან...

— ამიტომ არ მინდა ეს, რასაც სხვა დედაკაცები აკეთებენ, გაიგე? — მეუბნებოდა კესანე; მე კი ჩემს დარდს ვდარდობდი: აღთქმა დავარღვიე — ვიძალადე — ჩემი საშველი არ არის...

ვიდრე სოფლამდე მივაღწევდით, დალლისგან ქანცი გამწყდა.

კესანე მდუმარედ მეხმარებოდა. უგუნებოდ იყო. მანამდე ჩემ ყველა შეკითხვაზე პასუხი გაცემული ჰქონდა: ქალწული იმიტომ არ არის, რომ ჩორომანას ხის აღრეკილათი არის გაპობილი წლების წინათ; ჩემამდე კაცთან ყოფნა არ უგემია; თმა არასდროს ჰქონია; უნდა, რომ საკუთარი თავი ღმერთის სამსახურს მიუძღვნას; ის ჯობს ჩემი და მისი გვარტომის ყველა ქალს, თუმცა ამით არ ტრაბახობს; მანამდე ზალონგე ჯობდა ყველას; ზალონგე მისი უფროსი და იყო — ოქროცურვილი თმა ჰქონდა; დაუმორჩილებელი იყო — ჩორომანას უარი უთხრა, საიდუმლო გვირაბში

დამალულიყო და თავის მომხრეებთან ერთად, ხელიხელჩაკიდებული, ცეკვა-ცეკვით გადაფრინდა კლდიდან – ათი წლის წინათ; მანამდე ზალონგე ახალ, ჯვარდაგველურ კალენდარზე გადასვლას მოითხოვდა; ჩორომანა წინააღმდეგი იყო და ამას ღალატის ტოლფასად მიიჩნევდა; ახლა თვითონ კესანე მტრის კალენდარს სწავლობს და აუცილებლად მივა აუცილებელ დასკვნამდე; წინასწარმეტყველებაც შეუძლია – ამ ხის ძელს ჭია შექამს, რადგან ახალ მთვარეზე მომაჭრევინა; ჩემს ალსასარულამდე ერთი წელიც აღარ დარჩა...

სოფელს რომ მივაღწიეთ, ძელი დავაგდე და არაქათგამოცლილი ზედვე მოცელილივით დავეხეთქე, მაგრამ...

კესანემ არ დამაყენა. ამ ძელზე ჯდომა არ შეიძლება, ვინმე დაგინახავს და სასჯელი არ აგცდებაო.

მე კიდე დასჯა მინდოდა?!

ტყეში ამ ძელზე ვმჯდარვარ; ეგ კი არა, ბევრჯერ გადამილაჯებია და მხედარივოთაც ვმჯდარვარ, გაჩორქინისას, ნაჯახით ხელში... ბოლოს და ბოლოს, კესანესთან ერთად ვმჯდარვარ, მაგრამ... ეს იყო ტყეში. სოფელში მიტანილ ძელს კი რაღაც ჩემთვის გაუგებარი, მაგრამ მნიშვნელოვანი დანიშნულება შესძენოდა.

დილიდან საქმეს შევუდექი, ძელი ნაჩორქინი ხინვებისგან გავათავისუფლე, თითქმის გავაპრიალე. ადვილი მეგონა. არ ყოფილა ადვილი – მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც თავს ჩორომანა დამადგა; მან კი ყველაფერი ზედმიწევნით მოსინჯა: ძელი თითით ზომა, ხელისგულით ხაოგბი ამონმა, გლუვ და მოწონებულ ადგილებს ეთათუნა... მანამდე მამუშავა, ვიდრე ორივე ბოლოდან წათლილი ძელი კესანეს კანივით არ გამასალუქებინა.

მერე სოფლის შორიახლოს, კედელივით კლდესთან, ერთი ადლის სიღრმის ორმო ამოვთხარე, ის ძელი შიგ ჩავარჭე, ირგვლივ ქვები შემოვუწყე, გავჭედე და სვეტივით დავდგი. ვერაფერი სანახავი იყო, ჩორომანას კი ძალიან მოეწონა; ალბათ, იმიტომ, რომ, ჩემგან განსხვავებით, ცუდად ხედავდა

– ხუთ ნაბიჯზე მტერს და მოყვარეს ერთმანეთისგან ვერ არჩევდა...

●

ამასობაში ზამთარი გვეწვია.

ყველასათვის სასიხარულოდ, სევდაჰიც დაორსულდა და, როგორც იქნა, ისიც მომეშვა, თუმცა ჩემთან ყოფნისას ბოლო სანთელი რომ დაწვა, გამდნარი ცვილი სასანთლიდან მკერდზე რომ გადამაქცია, კიდევ ერთხელ გამიზიარა აკვიატებული აზრი: მუცელში გაზრდის მტერზე შურისმაძიებელ შეილს, ვისაც ვერსად დავემაღები...

არაფერი მიპასუხია; ჩემი ჯვარდაგველური ცოდვების გამოსასყიდად ტანჯვას უსიტყვოდ ვიტანდი – ველოდი, ცხელი ცვილის ფენა როდის გაგრილდებოდა, რომ მერე, კუნთების დაჭმვით, მომწვარი კანის ზედაპირიდან თანდათან ამეშრევებინა...

●

ჩორომანამ ჩემი, როგორც მთესველის, დანიშნულება ამონურულად მიიჩნია და ცალულება ხარის მოვალეობა დამაკისრა.

ტყიდან შემაა გამოსატანი. ვინაიდან თვითონ მოხუცია, ყველა ქალი ფეხმძიმეა, სევდაჰი ჭკუა არ მოეკითხება, ისევ კესანე იქნება ჩემი შემწე...

შეშა კი იყო მოჭრილი, მაგრამ შორიდან იყო მოსატანი. მორჩილად ვმსახურებდი – არ მენდობოდნენ მაინც.

●

კესანემ თვითონ შემაბა ბორკილი, თავისი ფეხიც დაბორკა და წავჩლახუნდით ტყეში – ჯაჭვი ხელით ავიკალთავეთ, რომ სწრაფად გვევლო...

გვინდოდა თუ არ გვინდოდა, ერთად ვშრომობდით – გვერდიგვერდ, მხარდამსარ – აკი ჯაჭვით ვიყავით გადაბმულები...

შრომით რომ დავიღლებოდი, შესვენების ნაცვლად ალერსის დრო დგებოდა – კესანეს ვეფერებოდი, ვკოცნიდი და მის იარაღს არ ვეპუებოდი... ისიც ნება-ნება, ხანჯლის წვერით მჩხვლეტდა: ხან ფერდში, ხან მხარში; ხან შუბლზე კანს მიკაწრავდა... კი მიძალიანდებოდა, სატევრით თავს იცავდა, მაგრამ ბოლომდე არ მიმეტებდა – თავს

მაინც მაფერებინებდა... ღირსად მთვლიდა, რომ მივალერსებოდი – მოსაფერებელ ნაკუთებს მოწყალებასავით მთავაზობდა და თვალებით მეუბნებოდა: მებრალები, მებრალები!.. ო, როგორ მებრალები!..

შეშას ზურგით ვეზიდებოდით.

დღეგამოშვებით თოვდა და ყინავდა. თოვლი ფენა-ფენა იმატებდა სიმაღლეში. ჩვენი ბორკილებით გაკვალულ ბილიკს დროდადრო ნამქერი შლიდა და გზას გვირევდა.

ერთხელ შუა გზაში ჩავრჩით და კინალამ გავიყინეთ. შეშა ზურგიდან მოვიხსენით, ჩავჯექით და ამოვეფარეთ. არ გვეშველა მაინც. გასაქცევიც არსად იყო, ბორკილები გვამძიმებდა – ერთად უნდა დავლუპულიყავით....

ქარის მხრიდან შეშის ნაჭრები გვქონდა აკოკოლავებული და თითქოს გვიცავდა. ჩახუტებულები ვისხედით; უფრო სწორად, ეს მე ვიხუტებდი კესანეს, ჩაძვრენილი მყავდა ტყაპუჭის ქვეშ, ყელში; კესანეს მხარე თბილი მქონდა, მეორე მხარეს კი წვერზე ფიფქი ჭირხლად მედებოდა....

ქარი ღმუოდა. კესანეს ყურში ხმამაღლა ჩაგდახოდი. ვყვიროდი: მომეცი გასაღები, ავიხსნათ ბორკილები, ზურგზე მოგიყიდებ, სწრაფად ვივლი და სიკვდილს ორივე გადავურჩინდით.

– არ მაქვს! – მპასუხობდა კესანე და ეძინებოდა – უეჭველ სიკვდილს უნებლიერ ეგებებოდა, მე კი ამის ნებას არ ვაძლევდი – ვფხიზლობდი და ვაფხიზლებდი....

იმედი რომ გადამეწურა, ქარიც ჩადგა.

სული მოვიბრუნე, გავცოცხლდი, ხელახლა დავიბადე.

კესანე დავზილე, დავჟღლიმე და მოვაცოცხლე; აღმართზე ზურგით ავიყვანე, დაღმართზე ზურგით ჩავასრიალე.

ბუდაჯვარს დაღამებამდე მივაღწიეთ – ის-ის იყო, ჩორომანა და დღლაზა ჩვენს საძებნელად წამოსვლას აპირებდნენ...

ქალებმა ერთმანეთის ნახვით ძლიერ გაიხარეს; უფრო სწორად, კესანე ისე მაგრად ჩაიხუტეს, რომ კინალამ მეც ზედ მიმაყოლეს, რადგან მასზე ჯაჭვით ვიყავი გადაბმული...

კესანეს ეტყობოდა, რომ იმ ნამქრის სიცივისგან ავად გამხდარიყო.

ჩორომანამ გასაღები მისცა სევდაჲს, მან კი კესანეს ბორკილი სხარტად გაუხსნა და თვითონ შეიბა. ყველანი ფეხმძიმეები იყვნენ, სევდაჲს კი ორსულობა არ ეტყობოდა. ყველანი სავსეები იყვნენ, ეს კი ზეზეურად ხმებოდა. ბორკილი აშკარად ემძიმებოდა, მაგრამ იხტიბარს არ იტეხდა – რიხიანი კოჭლივით მიჩლახუნობდა და ჩემი სადგომისკენ მიმიძლოდა; მეც მივყვებოდი – ერთი სული მქონდა, როდის გავიშოტებოდი დასაძინებლად და არტახებით დამაბამდნენ თუ არ დამაბამდნენ, სულაც ადრეკილას კენწეროზე მეკიდა.

რა დროს ხულის იყო – იმავე ღამეს სევდაჲმა დანით დამჭრა...

●

მანამდე, მთელი თვე, ცალკე სადგომში ჰყავდათ დამწყვდეული, რადგან შემლილივით იქცეოდა.

სევდაჲ ქალებს არწმუნებდა, რომ მუცელში მტერი ჰყავდა ჩასახული. მებრძვის, მებრძვის! – გიუვით ყიოდა და რასაც ასმევდნენ, ყველაფერს აღებინებდა; რასაც საჭმელად მიართმევდნენ, ხელს აუკრავდა და ლენავდა.

ამის შემდეგ სევდაჲმა დააბეს, დაბანგეს... ბალახების ბოლქვების ნახარშებს ასმევდნენ; მძინარეს აჭმევდნენ, მძინარეს უცვლიდნენ ტანსაცმელს... ლახტს ხან მელაზე წაუჭერდნენ, ხან ბარძაყზე, ხან წვიზზე, ხან მაჯაზე და ამგვარად, სისხლს ხანგამოშვებით ულელვებდნენ და უწყნარებდნენ...

როცა სევდაჲმა დამოუკიდებლად ჭამა-სმა და თავის მოვლა ხელახლა ისწავლა, განკურნებულად მიიჩნიეს, აუშვეს, ჩაკეტილი კარიც გაუხსნეს და გამოუშვეს.

შეცდნენ.

შეცდომას მეც კინალამ მიმაყოლეს...

იმ ღამეს სევდაჲმა ჩემსას მოვიდა. ცალხელში წყლიანი ჭურჭელი ეჭირა, მეორეში – მისივე ხელით ჩამოქნილი სანთელი. ასეთ ქცევას ახსნა არ სჭირდებოდა, ყველაფერი ისედაც გასაგები იყო – სევდაჲს ჩემ-

ზე ბუქნაობა მოსურვებოდა, ჩორომანასგან ნებართვა აეღო და წინ ვერაფერი აღუდ-გებოდა, რადგან ის აშვებული იყო, მე კი დაბმული.

ვითომ წესი დაიცვა – წყალი შემასვა, თვალსახვევი მომხსნა, უპადრუებად ჩამოქ-ნილი სანთელი სასანთლებზე დაამაგრა, წა-მოილო და თავს დამადგა. ვიფიქრე, გამ-დნარი ცვილის წვეტ-წვეთად წვეტებით წამებას დამიწყებს-მეთქი და ასეც იყო თა-ვიდან...

სასოფუძულო დამიჯდა, მზერა გამიშ-ტერა და მტირალა ხმით მითხრა: – მიყვარ-სარ!.. – მერე ცალი ხელით გული გადამი-ღედა, მეორე ხელით შანდალი გადმოხარა და გამდნარი ცვილის ცხელი ნალვენთის ჩემს მკერდზე წვეტება იწყო... დავიგმინე. ჩემს გმინვას სანთელიც აჟყვა და აპარპალ-და... უცბად სევდას ხელში დანა აღმოაჩ-ნდა. დამკრა მკერდზე, მაგრამ ვერ ჩამცა... იმ წამსვე ყელის გამოჭრა რომ დამიპირა, დანიან ხელში მხეცივით ჩავავლე კბილე-ბი და მანამდე ვაკივლე, ვიდრე დედაკაცე-ბი უფროს-უმცროსიანად არ მოცვივდნენ მკვლელის შესაპყრობად...

სევდაპი ისევ გამოკეტეს.

●

კესანე რომ მომჯობინდა, ეს იმას ნიშ-ნავდა, რომ შემის ზიდვაც უნდა განახლე-ბულიყო.

ტყეში წასვლის წინა დღეს ჩემთან შემო-სული ქალი, ვიდრე ხმას ამოიღებდა, სუნზე ვიცანი და გულს შემომეყარა.

შემოსულმა თვალსახვევი ამინია და და-მენახვა. არ შევმცდარვარ – ჩორომანა იყო, მისივე ხელით ჩამოქნილ სანთელს შანდალ-ზე ამაგრებდა უკვე. გავიფიქრე, ამის ბებ-რულ ხრიკებს რა გაუძლებს-მეთქი და არ-ტახებით შეკრული ადგილზევე ავნრიალდი.

ჩემს ქცევაზე ჩორომანას ჩაეცინა და შანდლისკენ მიათითა. სანთელი ერთი ციც-ქნა იყო, ძლივს ბუუტავდა. ცოტა გულზე მომეშვა, მივხვდი, „სტუმარს“ ხანმოკლე „სტუმრობა“ ჰქონდა ჩაფიქრებული.

ჩორომანა სასოფუძულო დამიჯდა და მითხრა:

– გონება მოიკრიბე!

მოვიკრიბე.

– ვატყობ, რომ სიბერე დღითი დღე მე-რევა. მალე საპყარი შევიქნები... მისმენ?

რა თქმა უნდა, ვუსმენდი.

– კესანესგან გავიგე, რაც მაშინ თავს გადაგხდათ. ცოტაც და, ქარი რომ არ ჩამ-დგარიყო, ორივენი დაილუპებოდით. არადა, ჩემთვის კესანე ყველაზე ძვირფასია – ბუ-დაჯვრის გვარტომის გაძლოლა მას უნდა დაევალოს. ეს დრო შორს არაა... ახლა მზე-რა ამაზე მომართე, რაც ხელში მიჭირავს.

მაჩვენა. სანთლის შუქზე რაღაც მაჩვე-ნა. ერთი უშნო, დაჯღანული რეინა იყო, თუმცა ბოლოში, ნამდვილი გასაღებივით, რგოლი კი ჰქონდა.

– ეს ბორკილის გასაღებია. თუ გან-საცდელი დაგემუქრათ, უფლებას გაძლევ, ბორკილი გახსნა, მაგრამ...

– რა მაგრამ?

– გასაღებს, ცხადია, შენ ვერ განდობ. კესანეს ექნება შენახული.

– რა თქმა უნდა. ეგ ისედაც ვიცოდი.

– კესანე გასაღებს ნებით არ მოგცემს. ძალით უნდა წაართვა.

– რატომ?

– იმან არ იცის, რომ მე შენ გაგენდე.

– მერე რა აზრი აქვს ყველაფერ ამას?

– ნუ იკრიჭები. ეს მისთვის გამოცდა იქნება. თუ ნებით დაგითმობს, გვარტომის გაძლოლის ძალაც არ ექნება და მე... მომი-ნევს აღიარება, რომ არჩევანში შევცდი; ეს კი ბუდაჯვრისთვის აღსასრულის ტოლფა-სი იქნება.

წინათგრძნობა მკარნახობდა, რომ ჩო-რომანა ახალ განსაცდელს მიმზადებდა, მაგრამ თავს მოვერიე და როგორც შემეძ-ლო, მშვიდად ვკითხე: ძალით როგორ წა-ვართვა? თმით ვითრიო? გავჩერიკო, ტან-საცმელი შემოვახიო?.. ყელზე ექნება ჩამო-კიდებული, ჯიბეში ექნება შენახული?.. სად ექნება გასაღები?

– იქ! – მიპასუხა ჩორომანამ. მერე შან-დალს გახედა. სანთელი დამდნარიყო, თით-ქმის ბოლომდე ჩამწვარიყო, ალი გამდნარ ცვილში იხრჩობოდა. მატრიარქი წასასვლე-ლად წამოიმართა.

— სად „იქ“? — ვკითხე მე, თუმცა კი რა-  
ლაცას ვხვდებოდი უკვე.

ჩორომანამ თვალსახვევით სულ დამიპ-  
ნელა მზერა, ლოყაზე ხელი მომითათუნა  
და თქვა:

— იქ, სადაც კაცები შედიან და ბავშვები  
გამოდიან... ბრიყვო!

•

ჩორომანას ნათქვამი ადრე გაზაფხულ-  
ზე გამომადგა.

„ბუდაჯვრის“ ქალები ბოლოსწინა თვე-  
ში იდგნენ. სევდაპის გარდა, ყველას მუც-  
ლები ჰქონდათ დაბერილები; თავისებურად  
ბედნიერები, მარგამ უსუსურები იყვნენ –  
სციოდათ.

შემის მარაგის შეესება აუცილებე-  
ლი იყო. კარგი ამინდის ლოდინს აზრი არ  
ჰქონდა.

კესანე და მე დავიბორკეთ და ტყეში წა-  
ვედით.

ავდარი იდგა.

გზადაგზა საყვედურებს არ ვიშურებ-  
დი. სულ იმას გავიძახოდი, ის ოხერი მო-  
რი მთელი კვირა რომ არ მეჩორკნა, საკმარ  
შეშას ჩამოვზიდავდით და ამდენი ფეხმძიმე  
განსაცდელში არ ჩავარდებოდა-მეთქი.

კესანე აქეთ მსაყვედურობდა, მიმტკი-  
ცებდა, რომ ყველაფერი ის, რაც ვახსენე,  
ჩემ გამო ხდება და ამგვარად, თუ ვინმეა  
დამნაშავე, ეს ისევ მე ვარ...

ასე დაძაბულად ვიკამათეთ შუა გზამდე,  
შემდევ კი სულ უბრად ვიყავით.

ერთმანეთისთვის არც მაშინ გაგვიცია  
ხმა, როცა შეშა ზურგზე მოვიკიდეთ და  
აქეთობას დასაბრუნებელ გრიგალიან-თავ-  
ქარიან გზას დავადექით. გამოლაპარაკება  
დავაპირე, მაგრამ გადავიფიქრე. კესანეს  
ისეთი შუბლშეჭმუხვნილი, შეწუხებული სა-  
ხე ჰქონდა, უთუოდ ჩორომანას მიცემული  
გასაღები ანუხებდა...

უარესად გაავდრდა. ნამქერმა ბილიკი  
წაშალა და გზა აგვიბნია. ქარაფს ზედ რომ  
მივადექით, მაშინდა მივეცვდით ამას.

უკან გამოვბრუნდით.

რადგან კესანეს ის ადგილი ეცნო,  
კლდესაც მივაგენით; კლდეში გამოქვაბუ-  
ლი ეგულებოდა. ისიც ვიპოვეთ. ცეცხლი

დავანთეთ, გავლლვით, გავთბით... მერელა  
შევნიშნეთ, რომ ჩვენთან ერთად გამოქ-  
ვაბულის მეპატრონე, მარტოხელა მგელი  
თბებოდა... უცბად გავმხეცდით ორივე,  
ალმოდებული ხის ნაჭრებს ხელი წამო-  
ვალეთ, გიუებივით ვიქნიეთ, ვიხტუნეთ,  
მთელი ხმით ვიღრიალეთ. მგელი გამოქვა-  
ბულიდან გავაგდეთ.... ცოტა ხნის შემდეგ  
უკან მობრუნებული არ შემოვუშვით, არ  
ვენდეთ, გავნირეთ და ასე დავბინავდით  
გამოქვაბულში.

დაველოდეთ გამოდარებას.

არ გამოიდარა.

საგზალი გამოგველია.

„ნეტა, ის მგელი არ გაგვეგდო“, – ვფიქ-  
რობდი ჩემთვის. – ბატკანივით დავკლავდი

და გავატყავებდი. შევწვავდი და შევჭამ-  
დი... კესანეს? კესანეს თუ შევჭამდი, ნეტა?

– შიმშილობისას ვინ უფრო ადრე კვდე-  
ბა: კაცი თუ ქალი? – ვკითხე კესანეს.

– არ ვიცი! – მიპასუხა მან.

– რაღა ბევრი გავაგრძელო, – აქ სიმ-  
წრის სიცილი წამსკდა, – შენ უფრო ადრე  
მოკვდები თუ მე?

კესანემ თითქოს პასუხს თავი აარიდა,  
მარგამ ბოლოს მაინც თქვა სათქმელი: –  
შენ!

– არაფერი არ იცი და გვარტომის გაძ-  
ლოლას კი აპირებ, – დავცინე მე და... უცებ  
ბრაზი მომერია. – მომეცი გასაღები!

– არ მაქცი! – ჩაილაპარაკა თავისთვის  
კესანემ.

– სტყუი! – ბრაზი უფრო მომერია მე.

– დიახაც, ვტყუი! – მიყვირა და თვალე-  
ბით ისე გაკვესა, რომ თვალწინ უნებლი-  
ეთ მარდმა აზრმა ჩამიქროლა. – რამე რო  
იყოს, ეს ქალი შემჭამს!..

– კესანე, შენ ტყუილი არ გეხერხება,  
მომეცი გასაღები! – ვუთხარი დაბეჯითე-  
ბით და ჩემდა გასაკვირად, ჩამეძინა...

•

რომ გამეღვიძა, თავი ბოროტ სიზმარში  
მეგონა. ყელი მტკიოდა, სისხლი მდიოდა,  
კესანეს ქვითინი მესმოდა... თვალი გავახი-  
ლე, გასისხლიანებულ კისერზე ხელი ჩამო-  
ვისვი-ჩამოვინმინდე, კესანეს გავხედე. ჩემ-  
გან ორი ადლის მოშორებით, რამდენზეც

ჯაჭვის სიგრძე ეყო გასაქცევად, პირქვე ეგდო; ჩემს მოსაკლავად მოქნეული ხანჯალი ჯერაც ხელში ჰქონდა ჩაბლუჯული და თავის ენაზე ხმამაღლა მოთქვამდა...

გარეთ ავდარი სისინებდა.

რადგან გადავრჩი, მოვიფიქრე: კესანე ისეთ დღეში იყო, ჭკუა აღარ მოეკითხებოდა. გადაწყვეტილება მე უნდა მიმეღო, თუნდაც მისი ნების საწინააღმდეგოდ და საკუთარი თავი დავარწმუნე, რომ არ ვძალადობდი.

კესანეს მივუჩინდი, ხანჯალი ხელიდან წავგლივე და განზე მოვისროლე. ქალმა მოთქმა შეწყვიტა, პირალმა ამობრუნება სცადა, მაგრამ არ დავანებე, რადგან ვიცოდი, საწმერთულის ხვანჯარი ზურგის მხრიდან ეხსნებოდა. კაბა წამოვხადე, ხვანჯარს ჩავაფრინდი, შევუხსენი, მოვუბოშე. კესანე გამიძალიანდა, ზურგით მომარვა, ოდნავ ამობრუნდა, უკნიდან ალერსის მოყვარულივით მომეტმასნა, მაგრამ საწმერთულს კი ორივე ხელით ჩააფრინდა, რომ არ დაეკარგა... დაუგვიანდა – ჩემი ხელი უკვე უთმო მუშტუკს უსინჯავდა. კესანემ თითებზე ბარძაყები მომიჭირა, ფეხი-ფეხს გადააჭდო და უფრო ღრმად აღარ გამიშვა.

სიტყვის ძალას ვენდე და ყურში საიდუმლოსავით ვუთხარი:

– მე ყველაფერი ვიცი, მომეცი გასაღები!

ჰასუხად ფეხები ჩემს თითებს ისე მოუჭირა, კიდევ ერთხელ მაფიქრებინა, რომ დანებებას არ აპირებდა.

მანც სიტყვის ძალას ვენდე და დავძახე:

– მომეცი, თორემ იძულებული გავხდები, მოგყლა და უკვე მკვდარს წაგართვა გასაღები!

არა, მომავალი მატრიარქობის ერთგული იყო – ნებით არაფრის დათმობას არ აპირებდა.

– დამნებდი, უჭკუო ქალო! – ვთქვი მრისხანედ და ვიგრძენი, თვალებში სისხლი მომაწვა. – ჩორომანას ვეტყვი, რომ გასაღები ძალით წაგართვი.

– „ჯვარი და გველი“ ვერ აჯობებს „ბუდა ჯვარს“, – მითხრა კესანემ და... ჩემი მოთმინების ფიალაც აივსო...

ვაჯობე, ცხადია.

გასაღები წავართვი, ზედ მისსავე კაბაზე შევაწმინდე; ყოველი შემთხვევისთვის, ხანჯალი ზურგს უკან გადავმალე, ჩავუჯე-ქი ჩემს ბორკილს და გასაღებით ჩხიკინი დავუწყე. ვერ მოვარგე...

მოვარგე კი არა, ისე თავისუფლად ჩამივარდა საკეტში, აშკარად სხვა ბორკილი-სა იყო.

– რა ქენი, ვაჟკაცო, აიხსენი ბორკილი?

– დამცნავად მკითხა კესანემ. წამომჯდა-რიყოდა და დაკვირვებით მიცქერდა.

– მომატყუა იმ ბებერმა! – კბილების კრაჭუნით აღმომხდა მე.

– შენთვის ჩორომანას ტყუილი არ უთქამს, – „დამამშვიდა“ კესანემ. – მან მე მომცა ბორკილის გასაღები, მაგრამ ეგ ჩე-მი ბორკილის გასაღებია და არა შენის.

მეორედ გავშტერდი.

მერე უკვე გადავირიე: ისე, რომ ზეზე არც წამოვმდგარვარ, კესანე (მიუხედა-ვად მისი თავგანწირული წინააღმდეგობი-სა) ჯაჭვით ჩემკენ მოვქაჩე, მერე ფეხით დავითრიე, გასაღებით ბორკილი ავხსენი, ქალი გვერდზე მივაგდე, გამოქვაბულში მივატოვე; შევიარალდი კესანეს ხანჯლით; ავკრიცე ჯაჭვი, კესანეს ბორკილიანად მხარზე გადავიგდე და გარეთ გამოვედი თავისუფალივით... წავჩლახუნდი, ჩემი აზ-რით, სამხრეთისკენ, სადაც ჯვარი და გვე-ლის სამკიდრო მეგულებოდა...

●

შუა გზამდე მეყო გაშტერება.

დაღლამ თავისი გაიტანა. შევდექი. დავ-ჯექი და ჯაჭვი გველივით შემოვიხვიე. მი-ვიხედ-მოვიხედე. გამოდარებას არ აპირებდა... სადღაც, ჩემში, მაინც გამოიდარა. ვფიქრობდი: იქ, სადაც მივდიოდი, ზედმეტი ვიყავი – ჩემი ცოლები გათხოვილები იქნებოდნენ, ჩემი შვილები მათ ქმრებს ეყოლებოდათ ნაშვილები, ჩემს ქონებას უხუცესი დაეპატრონებოდა.

ვისაც გამოვექცი, იმათ ვჭირდებოდი: აქეთ – უიარაღო კესანე გამოქვაბულის მეპატრონე მარტოხელა მგლის ლუკმა უნდა გამხდარიყო; იქით – ბუდაჯვერის სოფელში ორსული ქალები და მათ მუცლებში

მსხდომი შვილები სიცივით უნდა დახოცილიყვნენ...

მოკლედ, შუა გზაზე გაჩერებული კი არა, გაჭედილი ვიყავი. მე – ცდომილი „ჯვარი და გველიდან“, მე – ცდომილი „ბუდა ჯვარიდან“... უკვე საკუთარი თავიდან ცდომილი ვხდებოდი და...

ამას სიკვდილი მერჩივნა.

●

მიგბრუნდი.

ქარბუქი ტრიალებდა. გონიერებისა და ცოდნისთვის არ მიხმია. თავისთავად მივყავდი ფეხებს.

ჩემდა გასაკვირად, გზა არ შემშლია: არც მაშინ, როცა გამოქვაბულისკენ მივდიოდი და არც მაშინ, როცა ზურგზე მოკიდებული კესანე შინისკენ მიმყავდა...

მივდიოდი ნახევრად დაბორკული და დაღლას არად ვაგდებდი, რადგან ჩემი ტვირთი ცოცხალი და მსუბუქი იყო...

ვიცოდი, ბუდაჯვრის ადგილს ძლიერი ქარბუქი გვერდს უქცევდნენ და ერთმანეთს, სათარეშოდ, სხვაგან მიერეკებოდნენ. როცა ქარბუქი ცოტათი მიწყნარდა, ქარის მიმართულებით მივხვდი, რომ სოფელს მივუახლოვდი. შესვენება მჭირდებოდა. ჩავიმუხლე და ცოცხალი ტვირთი თოვლზე დავაწვინე.

კესანე – თოვლზე.

თანდათან გონის სიფხიზლე მიბრუნდებოდა და ზედიზედ ვუშვებდი შეცდომებს. კესანეს ფეხი დავითორი და ბორკილი ჩავაცვი, მისგან ძალადნაშობი გასაღებით საკეტი საიმედოდ ჩავეტე; ამის შემდეგ მინდოდა, ის ოხერი გასაღები სადმე გაურკვევლობაში გამეტყორცნა, მაგრამ გადავიფიქრე – კესანეს ტყაპუჭი გადავუწიე და ჯუბის ჯიბეში ჩავუცურე.

მეგონა, ჯერაც არ იყო გონსმოსული და მოძრაობაც არ შეეძლო...

მოძრაობა კი არა!

იკვნესა, იკვნესა, იკვნესა და ვიდრე გასაღები ისევ ჩორომანასგან ნაბრძანებ ძველ ადგილზე არ მოათავსა, არ მოისვენა... მერე სისხლიანი თითები თოვლით გაიწმინდა და მითხრა: ნუ მიყურებ. ამას არასდროს გაპატიებ. დღეიდან შენი მტერი

ვარ, იცოდე!

– ახალი ამბავი! – სიმწრით გამეცინა მე. – აქამდეც ასე არ იყო?!

– არა! – შემეპასუხა გაავებული კესანე.

– აქამდე შენ იყავი მტერი!

ვერაფერი გავუგე.

ვინანე, რომ სიკვდილს გადავარჩინე.

მერე ვინანე, რომ ვინანე.

ამასობაში მივედით.

დამშეულები, ხელცარიელები.

ჩორომანას სიტყვა არ დასცდენია სასაყველუროდ.

დამბანეს.

დამაბეს, იავნანა მიმღერეს. მახსოვს, არტახებიანი ჩვილივით, ძილშიც მეღიმებოდა.

●

შეშას გაზაფხულზეც ვეზიდებოდით. ნამქერის, უამინდობის და გზის აბნევის აღარ გვეშინოდა. ბორკილის გასაღებს ჩორომანა აღარ იძლეოდა და კესანესაც სახიდან გადაეწმინდა ტანჯვის ღრუბელი.

დარიან დღეებში, ნაშუადღევს, დედაკაცები თავს იყრიდნენ ამირანის სვეტან. მინდვრის ყვავილებით დაწნულ გვირგვინებს თავიდან იხსნიდნენ და, როგორც რგოლს, ისე ესროდნენ, რომ სვეტზე ჩამოეცვათ. იყო ერთი ხორხოცი და ერთმანეთის გამასხრება. მუცელი მართლა ხელით ეჭირათ. „მიზნიანები“ „უმიზნოებს“ დასცინოდნენ და ესენიც თავიანთ თაიგულებს მანამდე ისროდნენ, ვიდრე, ბოლოს და ბოლოს, ამირანის სვეტს არ ჩამოაცვამდნენ.

წინდანინ ვიტყვი: როცა ჩამქოლეს, ჩემი გათლილი ის ხის სვეტი ბოლომდე იყო ასხმული გამჭკნარი ყვავილების თაიგულებით...

●

აპრილში ქალებმა ზედიზედ, ერთიმეორის მიყოლებით იმშობიარეს. ჩორომანა და კესანე ყველას პატრონები იყვნენ. ახალდაბადებულ ბავშვებს ჭიპლარებს უკვანძავ-დნენ და ჭრიდნენ, ამშრალებდნენ... მერე თვალის ახელაში ეხმარებოდნენ, ნათლავ-დნენ და სახელებს არქმევდნენ.

მე, ცხადია, ისევ არტახებით დაბმული

ვიყავი. სევდაჰი მსტუმრობდა და მანამებ-და, მაგრამ ხმას არ ვიღებდი; ჩემი დარდი მკლავდა: ცოტა ხანში „ბუ და ჯვარს“ აღარ დავჭირდებოდი. დანიშნულებას ვკარგავდი.

სევდაჰი მანამებ-და და საშინელებებს მიყვებოდა: რომ დღლაზამ ბავშვის მაგიერ გველი შობა; რომ ქამომილა მშობიარობას გადაჲყვა, ფსევდომონამ კი კოპიტის კუნძი შვა; რომ დობრამ ერთმანეთზე გადაბმული ტყუპები დაბადა, ფანდურამ კი, წყლები რომ დაღვარა, ამის შემდეგ მხოლოდ მყრალი მტვერი გამოაბნია; დაქნესამ კუნაპეტი სამფეხა შვა; ნანოს და ბალიშიკას კი ერ-

●

სევდაჰის თვითმკვლელობამ ჩემი ჩა-ქოლვა დააჩქარა.

კესანეს აზრით, საქმე სხვაგვარად იყო. სევდაჰი ორსულობამ მოკლა, უფრო სწორად, მტერმა, რომელიც მუცელში ეჯდა.

ჩორომანამ მითხრა, რომ ჩემი სულისა და სხეულის ბრძოლა უნდა დამთავრდეს; მალე მიშველის, სასტიკი იქნება, მაგრამ ასე ჯობს. ჩემი მონანიე სული ცოდვიანი სხეულის ტყვეობისგან უნდა გაათავისუფლოს, რადგან (თურმე) მე ვიმსახურებ



თმანეთი უყვართ და სულაც არ არიან დე-დობის ღირსნი. სად არის სამართალი...

ვხვდებოდი, იმას თავისი დარდი სჭამდა, შვილი მუცელში უკვდებოდა და ამ ტყუილებით სატანჯველს იმსუბუქებდა.

ყველას უმტკიცებდა ორსულად არ ვარო. კვირაში სამჯერ სანთელს ქნიდა და ჩემთან შემოდიოდა. ფრჩხილებს საგანგებოდ იზრდიდა და იღესავდა, რომ ერთ მშვენიერ ლამეს ჩემთვის ყელი გამოელადრა.

არ დასცალდა.

უსაზღვრო ბედნიერებას...

მე კი მეგონა, რომ სევდაჰიმა თავი მოიკლა და მისმა თვითმკვლელობამ ჩემი ჩა-ქოლვა დააჩქარა.

●

შემოდგომის ბუნიობა ისედაც მწუხარების დღედ მიაჩნდათ ბუდაჯვრის ტომში.

იმ დღეს თრიაქით დამბანგეს, ზედმინევნით მჭიდროდ შემკრეს, გამომასვენეს, ჩამიტანეს კედელივით კლდის ძირში, ამირანის სვეტზე მიმაყუდეს და ზედ მიმაბეს.

როცა მაბამდნენ, გამოვფხიზლდი. ჩორომანამ ყველას თანდასწრებით გა-მომიცხადა:

— ამირან, შენი ტყვეობა დასრულდა, გი-საროდეს!..

მისივე ნათქვამიდან გავიგე, რომ ჩემი მოვალეობა შემისრულებია და ამიერიდან მზად ვარ, ცას ვესტუმრო; მიწაზე საკე-თებელ საქმეს კი ბუდაჯვრის დედაკაცე-ბი თვითონ მიხედავენ; შეშასაც დაჩეხსავენ, საქონელსაც დამწყემსავენ და დაზრდიან შეიღებსაც: გოგოებს დედობას ასწავლიან, ბიჭებს – მხედრობას... .

ამის შემდეგ ქალებმა თოთო ბავშვები ძუძუდან მოიწყვიტეს, ბალახზე მიაგორეს; ნინასნარ მოგროვილი ქვებიდან თოთო-თი-თო მოიმარჯვეს და მოემზადნენ. ძუძუს მიჩვეული ჩვილები ხმამალლა ატირდნენ, მერე აჩხავლდნენ...

პირველმა ვინ უნდა მესროლოს?

რა თქმა უნდა, ჩორომანამ, მაგრამ...

მოხუცს თვალი არ უჭრის, ათი ნაბიჯი-დან ვერ გამარტყამს.

რომ მოვიდეს, მომადგეს და ქვა თავში ჩამცხოს, არ შეიძლება. წესი წესია.

ჩორომანას კესანე მარჯვნიდან უდგას. ეხმარება.

მატრიარქი ცაცია ყოფილა (არასდროს შემინიშნავს). ყოველთვის ნიღბავდა თავის ცაციობას, მაგრამ ახლა ისეა მონდომებული, აღარაფერი ახსოვს, ერთის გარდა – ქვა მიზანს არ ააცილოს...

ისეთი თვალსახვევით მაქვს აკრული თვალები, რომ ჩამქოლავებს ვხედავ და ვძ-რნი, ისინი კი ჩემს თვალებს ვერ ხედავენ და ასე... ამგვარად ჩაქოლვა ეიოლებათ...

– ჩემი ხალხის სახელით ვძრძანებ: ჩემი მტრის სული და ხორცი ერთმანეთს გაეყაროს! – დაიჩიფრიფა ჩორომანამ თავის ენა-ზე და კესანესგან მომართულმა მესროლა. ამაცილა.

უფრო სწორად, ქვა ჩემ წინ დახტა, ახ-ტა, ფეხში მომხვდა, წვივს ჭახანი გააღები-ნა და შეშინებულივით უკუიქცა...

ჩორომანას მეორე ქვა მიაწოდეს. კესა-ნემ მათსავე ენაზე ურჩია: – ზევით და მარ-ცხნივ!..

მოხუცმა მეორედაც ამაცილა, მაგრამ

ქვამ ისე ახლოს ჩამიზუზუნა, დაფეთე-ბულს ყელიდან ხრიალი აღმომხდა.

– მოხვდა? – იკითხა ჩორომანამ.

– მოხვდა, მოხვდა! – დაამშვიდეს მატ-რიარქი კესანემ და სხვა ქალებმა, განზე გაიყვანეს, ქვაზე დასვეს; მერე მომიბრუნ-დნენ და... ჩამქოლეს.

ვიდრე თავი გამიტყდებოდა, ყველაფე-რი მესმოდა, ყველაფერს ვხედავდი: ჩვილე-ბი ჩხაოდნენ, ქალები კიოდნენ, ქვითინებ-დნენ, მაგრამ მაინც მწყევლიდნენ და ქვებს მიბაგუნებდნენ...

მერე ვეღარაფერს ვხედავდი, მაგრამ მესმოდა, „ამირანის ჭიანაჭამი სვეტი შე-შად ვაქციოთ და ცეცხლს შევუკეთოთ!“ – კესანეს ხმა იყო ან, შეიძლება, არც იყო... მე უკვე მიწა მეყრებოდა და ადამიანის ხმის ცნობა კი არა, დღის ღამისგან გარჩევა აღარ შემეძლო...

ზემოდან დამაყარეს ქვები: ზოგი ცოდ-ვიან-სიხლიანი, ზოგიც – უბრალო ქვები. დამახვავეს და დამტოვეს.

ღირდა ამად!

•

ლამე სრულიად გაუსაძლის მდგომარე-ობაში გავატარე. ნადირმა ჩემი სუნი იკრა. ტურის კივილი ჯერ შორიდან მესმოდა, მერე სულ ახლოს – ყურთან. ალყაში მო-მაქციეს, დამესივნენ, ქვებქვეშ შემოძრომა იწყეს; მთლიანად ვერ დამითრიეს, მაგრამ, რასაც მოსწოდნენ, გადაღრღნეს და წამა-ჭამეს.

გამთენისას ქალების ხმები გავიგონე. ვიფიქრე, ჩემს საშველად გული მოიბრუ-ნეს-მეთქი. ერთგვარად ასეც იყო. დამატე-ბით ქვები მოზიდეს და დამაყარეს; ერთი, ყველაზე დიდი, ლოდივით ნაჭერი იქ დამა-დეს, სადაც ჩემი თავი და მკერდი ეგულე-ბოდათ, მეორე კი გადაღრღნილ ფეხებზე დამაფარეს. ზევიდან წვრილი ქვებით მომ-კენჭეს და წავიდნენ – ტურების საჭმელად არ გამიმეტეს...

მას შემდეგ ყოველ ლამე ვცდილობდი, ამ ტანჯვისთვის თავი დამეღწია.

ქვებისა და ლოდების სიმძიმისთვის რომ მეჯობნა, ყოველდღე ვისვენებდი და ყოველ ლამეს, ქვევიდან, მთელი ძალით ვაწვებო-

დი. ჩემი წადილი ისეთი ძლიერი იყო, მე-გონა, მკერდიდან ლოდს გადავაგორებდი...

●  
მთელი ზამთარი და კიდევ ორი თვე მო-ვანდომე ამოსვლას. ვიდრე ქვები ზედ მეყა-რა, საკუთარ თავს ვერ ვხედავდი. ვერც კი წარმომედგინა, როგორ გამოვიყურებოდი.

თავი რომ ამოვყავი, მზის სხივი რომ მომხვდა, ირგვლივ ქვებიც რომ გათბა, ავ-ფორიაქდი. მზერა შორს არ მიმიწვდებოდა, მაგრამ, რასაც ვხედავდი, მნარედ ნაცნობი იყო: მარჯვნივ – ტყე, მარცხნივ – ხეობა, უკან – კედელივით კლდე, წინ და ზევით – მტრის სოფელი (უფრო სწორად – ნასოფ-ლარი)...

ყველაფერი ღვთის ნებაა, მაგრამ წი-ნასწარჭვრეტის სურვილი არ მასვენებდა. ყოველივე იმის შემდეგ, რაც გადამხდა, რა უნდა ვიყო: მაჟალო, პანტა, მაყვალი?..

გაზაფხულის გასრულებამდე წამოვი-ზარდე, გავიფიოთლე და დავრჩმუნდი, ეკ-ლები არ მაქს და არც არასდროს მექნება. ეს კარგიცაა და ცუდიც. ცუდია იმიტომ, რომ შეიძლება კანჯარმა შემჭამოს. კარგია იმიტომ, რომ მე თვითონ არ მინდა ვიყო მაყვლის ბუჩქი. არც ჩვეულებრივი და არც ალმოდებული... არც მაჟალო მინდა ვიყო, არც პანტა, რადგან აქ, ამ უკაცრიელობა-ში, მყნობაც რომ იცოდეს ვინმემ, ჩემგან მაინც არ გამოვა გულაბი, არც, მით უმე-ტეს, თურაშაული...

●  
შემოდგომამდე ორი წლის ბავშვისოდე-ნა გავიზარდე.

გვიან შემოდგომაზე, როცა ირგვლივ ყველას გასცვივდა ფოთოლი, მივხვდი, რომ მარადმწვანე ვარ.

ზამთარში, ყველა რომ ძილში წავი-და, მაინც ვფხიზლობდი. თავ-კისერსა და მხრებზე თოვლი მედო, ჩრდილოეთის ქა-რებისგან გვერდზე ვიყავი გადახრილი, შუ-აწელი მტკიოდა, მაგრამ ვითმენდი...

დავითმინე გაზაფხულამდე. რომ ჩა-მოთბა, ზრდა განვაგრძე და ათი წლის ყმაწვილისოდენა გავხდი. ირმები და შვლე-ბი, ჯიხვები და ქურციკები გემოს მისინ-

ჯავდნენ და მალევე თავს მანებებდნენ – არ ვეგემრიელებოდი.

ზაფხულამდე ადამიანი არ მინახავს.

თიბათვეში თიბვა არავის უკვირს, მე კი გამიკვირდა... ქალები, ბუდაჯვრელი ქალე-ბი თიბავდნენ...

შემამჩნიეს, მოვიდნენ, დამაკვირდნენ, მოვეწონე, გაკვირდნენ და ერთმანეთს ჰკითხეს: – ლვია?

ადგნენ და ბლომად მიწა მომაყარეს ძირში – იფიქრეს, მოუხდებაო.

იმ სალამოსვე რონინით ჩამოიყვანეს ჩორომანა ჩემს სანახავად. მოხუცს თვალის ჩინი იმდენი კი ჰქონდა, რომ კარგად და-ვენახე-დავეთვალიერებინე, მაგრამ დანა-ხულს არ ენდო, ხელით მომსინჯა, მომითა-თუნა იმ ადგილზე, სადაც ჩემი სიმაღლის ბიჭებს გოგონებისგან განმასხვავებელი ასო-ნაკვთი უნდა ჰქონდეთ.

დარცხვენილი ავილანძე, ჩორომანამ კი ბრძანა: – წყალი დაუსხით ტუიას!

მომრწყეს, გულუხვად მომრწყეს ისე, რომ მინიან-ძირიან-ფესვიან-ძვლებიანად გავნამტბილარდი...

შემოდგომამდე ტანი ავიყარე და მხე-დარზე მალალი შევიქენი. უკვე ექვსი დო-ინჯი მერტყა და არემარეს თავმომწონედ გადავყურებდი.

იმ ზამთარს თოვლი ისე მომიხდა, თით-ქოს თეთრი ჯუბა-ხამლი მცმოდეს; თით-ქოს თავზე თეთრი ბოხოხი მხურებოდეს და ვერცხლის ქამარ-ხანჯალი სარტყლად შემომსალტვოდეს.

საოცრება.

ადრე ზამთარში მტრის ქალებმა მომ-რთეს. ჩორომანამ ბრძანა:

– სიცოცხლის ხე! – დედებმა შემა-ბეს ზიზილ-პიპილები, მომგვარეს თავიან-თი შვილები-ჩვილები – სათითაოდ, ცოტა ხნით ჩამახუტეს, ისევ წამგლიჯეს და თვი-თონ მიიხუტეს...

ჩორომანა კი მიყურებდა ცალთვალმო-ჭუტული. ეგონა, სანახევროდ დაბრმავებას ასე დამიმალავდა...

●

ზამთრის ქარების დადგომამდე გზააბ-ნეულმა მონადირემ მიპოვა, გაკვირვებით

ამხედ-დამხედა და თითქოს ჩემი მარად-მწვანეობის შეშურდაო, კაი მოზრდილი ტოტი მომატება; უფრო სწორად, ხელით რომ ვერ მოერია, ხანჯლით ჩამომათალა (ჩემთვის უკვე ფრჩხილისოდენა) ანაფცევენი, წინვები დასრისა, დაუწისა, წავიდა და თან წაილო...

ზურგი რომ მიჩვენა, მაშინდა მივხვდი, ვინც იყო. ზურგზე ჩვენი ტოტემი ეხატა – ჯვარი და გველი. ჩემზე უფროსი იყო, მაგრამ მაინც ვერ ვიცანი. გვარტომის ყველა უფროსს ვიცნობდი, ის კი ვერ ვიცანი.

ერთი კვირის შემდეგ, უკვე პირველი თოვლი მედო მხრებზე, როცა ჩემი ტომის უხუცესმა-პატრიარქმა (სამი მონადირის თანხლებით) მომინახულა. დიდხანს მიყურა და თქვა: – სიცოცხლის ხე!

ხმადაბლა ილოცა. მერე ხმამაღლა მოუნდა თანმხლებ პირებს, მე კი მისი ნათქვამის შინაარსი აღარ მესმოდა.

ვპრაზობდი, რადგან მშობლიური ენა მავიწყდებოდა.

შუა ზამთარში კიდევ ერთხელ ამომაკითხეს. ცეცხლი დაანთეს, ხაშლამ-ყაურ-მა მოხარშეს, მწვადები შეწვეს, მაშალები აანთეს, ღვინიანი სასმისები აწიეს და ერთხმად შესძახეს: – ახალი წელი!

სალამოს სიმღერ-სიმღერით წავიდნენ.

ლამით ტურებმა იქეიფეს მათი ნასუფრალით.

●

წლიდან წლამდე „მტერი“, როგორც ცნება, დამავიწყდა. ამიტომ უბრალოდ ვიტყვი: ბუდაჯვრის სოფლიდან ჩამოდიოდნენ ქალები, ჩამოჰყავდათ შვილები, მეხებოდნენ ხელებით – ვითომ მეფერებოდნენ, მერე უმწიფარ გირჩებს მანინკნიდნენ, ერთმანეთს ესროდნენ და ამით ერთობოდნენ.

პატრიარქის მეთაურობით ამოდიოდნენ ჩემი გვარტომის კაცები. მე ადამიანთა ენა ნაკლებად მესმოდა, მაგრამ ის, რაც განმეორებით მესმოდა, არ მავიწყდებოდა.

– ბუნიობა! – იტყოდა „ჯვარი და გველის“ პატრიარქი, ყველა მისიანი ეთანხმებოდა და მეც ჰქვდებოდი, რომ დღელამ-სწორობა აღინიშნებოდა. გაზაფხულზე დღეს უნდა ეჯობნა ლამისთვის.

ორი კვირის შემდეგ ჩამოდიოდნენ ბუდაჯვრელი ქალები ჩორომანას მეთაურობით.

– ბუნიობა! – ბრძანებდა ჩორომანა და ყველა მისიანი კვერს უკრავდა.

შუა ზამთარშიც, ორი კვირის განსხვავებით, იყრიბებოდნენ ჩემ გარშემო, საზეიმოდ მომრთავდნენ და გაიძახოდნენ: – ახალი წელი, ბედნიერება!

გვიანმოსულები ადრემოსულების სამკაულებს აღარ მხსნიდნენ და აღარ გმობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ამ სამშვენისებს მტრის ტოტემი ზედ გარკვევით ეხატა.

შერიგება მწიფდებოდა. ადრე თუ გვიან უნდა მომხდარიყო, მაგრამ იმ შემთხვევამ, რაც მართლა მოხდა სინამდვილეში, მოსახდენი დააჩქარა.

●

თერთმეტი წლისა უკვე ბრგედ ვიდექი და ოცდათორმეტი დოინჯი მერტყა. საერთოდ შვიდი ვიყავი, მაგრამ თავქარი რომ მომივლიდი, მეც კაი შრიალი ვიცოდი. ქარი არასდროს მყვარებია, მაგრამ ეგეც საჭირო ყოფილა თურმე. ზაფხულში, მით უმეტეს, ერთი სული მქონდა, როდის დაუბერავდა და... როცა დაუბერავდა, დოინჯებს განზევშლიდი, მხარ-ილლიებს ვინიავებდი და აბლაბუდებისგან ვითავისუფლებდი... შემოდ-

გომაზე კი მწიფე გირჩებიდან თესლს ვაბნევდი, რომ ჩემისთანები გამემრავლებინა.

ახალი წლიდან ახალ წლამდე თითქოს ყველას ვავიწყდებოდი.

ბუნიობიდან ბუნიობამდე თითქოს ყველას ვავიწყდებოდი.

თითქოს.

●

ერთი მარტოხელა მგელი მომეჩვია-შემომეჩვია; ჩემი სამყოფელი თავისად მიიჩნია და ამას ისე ურცხვად ამტკიცებდა, რომ იმის მაგივრად სირცხვილისგან მე ვილანძებოდი. კვირა არ გავიდოდა, რომ ორჯერ, ზოგჯერ სამჯერაც, თავისი სამკიდროს სამანი არ მოენიშნა: ერთს აღმა, მდელოს განაპირას მდგარ ურთხელს მიაფსამდა, ერთს დაღმა – დაბალ კოპიტს, ერთს კი...

ვითმენდი, მეტი რა ჩარა იყო. ნადირს ჰგონია, რომ ხე მარტო „მოსანიშნად“ არსებობს.

რადგან ცნება „მტერი“ დავივიწყე, უბრალოდ ვიტყვი: ბუდაჯვრის მთის სოფლელ პატარა ბიჭს თუნგით წყაროს წყალი ამოპქონდა, დამისხამდა ძირში, ფესვებამ-დე გამატანდა, გამაურეოლებდა... ისევ წყაროზე დაბრუნდებოდა და მეორეჯერ ამოსულს წყალი თუნგით უკვე შინ, სოფელში აპქონდა. ვატყობდი, ჩემი სისხლი და ხორცი იყო. ისე ბეჯითად ასრულებდა ამ საქმეს, როგორც ოდესლაც მე, ბავშვი, უფროსის დავალებას...

არ მგავდა, უღალი იყო, ჭორფლიანი. დღლაზას შვილი იქნებოდა. მის მამობას არ ვიჩემებ, დასამტკიცებლად ძალა არ მეყოფა. დაბეჯითებით მხოლოდ ის ვიცი, რომ საკუთარ ძვლებზე ვარ ამოსული და ვიდრე ვინმე არ ამომძირკავს, მანამდე ამას არ დაიჯერებს. რაც შეეხება იმ ათიოდე წლის ბიჭს, მგონია, რომ ჩემთან სიახლოვეს გრძნობდა და ამას ვერაფრით ახსნიდა, თუ არა დედის მონათხრობით...

ასევე მგონია მეორე ყმაწვილის ამბავიც, რომელიც ჯვარიდაგველის მხრიდან დროდადრო ამოივლის ხოლმე. ეს იმაზე ოდნავ უფროსია, ნაკლებად ბავშვურია; ვითომ ულვაშიც აქცს, მშვილდ-ისარიც იცის, მარტო ხეტიალი უყვარს, ჩემი ალი-კვალია,

მესამე ცოლის მეორე შვილი უნდა იყოს – ჩემი გადახვენისთანავე დაბადებული. რა უნდა უჭირდეს? ალბათ, არც არაფერი, მაგრამ მგონია, რომ იმას აქ ვეგულები, აქ გრძნობს ჩემთან სიახლოვეს, თუმცა არ იცის და არც უნდა იცოდეს, რომ საკუთარ ძვლებზე უნდა ამოხვიდე, რათა მტრობა დაივიწყო და მართლა გაიხარო.

მას, ცხადია, ამდენი არ ესმის და ცოტა არ იყოს, მავნებლურადაც მექცევა – უმწიფარ გირჩებს მანიწკნის და.. მევე მესვრის; ანუ ერთი ხელის მუშტში გირჩებს მოიგროვებს, განზე გადგება, მეორე ხელის თითებით გირჩს გამოაძრობს; ხაზგასმულად ნელა, მძიმედ აწევს ხელს და მერე მოწყვეტით, მთელი ძალით მესვრის ისე, რომ გირჩი ჩემს დოინჯებს შორის ძვრება, სადღაც უხერხულად მეხირება ან ჩემ ქვეშვე ცვივა და მერე სულაც უაზროდ ხმება...

●

ამ სამეულის შეკრებას განსაკუთრებული დრო-ჟამი დასჭირდა და როცა ის დღე დადგა, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც უნდა მომხდარიყო...

იმ დღეს მარტოხელა მგელმა რომ მომაფსა, ჩვეულებრივ დავითმინე. კი მინდოდა, ქარი ამოვარდნილიყო. ტოტებს მოვიქნევდი, იმ უზრდელს გავაზე წამოვარტყამდი; კარგიც იქნებოდა. ამის გამო, იქნებ, სულაც გადახვენილიყო კუდამოძუებული... მაგრამ არა! ყველაფერი ისე მოხდა, როგორც უნდა მომხდარიყო:

ზაფხული იყო ცხელი. ქარი კი არა, სიოც არ იძროდა.

მგელმა მომაფსა, ტანი შეიბერტყა და წაძუნძულდა კოპიტისკენ.

წყაროს მხრიდან სავსე თუნგით ამოვიდა და დღლაზას ბიჭი. წელში წყდება ტვირთის თრევით, მაგრამ ამას არად აგდებს. ნებისყოფიანია ჩემსავით, არ ეპუება აღმართს.

დამართზე ნაჯახით ხელში მოდის ჩემი ვაჟი, რომელიც მესამე ცოლისგან მეყოლა, გადმოცემით მიცნობს, სინამდვილეში კი – არა.

მგელმა ერთიც დაინახა და მეორეც, ამათ კი ნადირი არ შეუნიშნავთ. მე სამივეს ვხედავ, მაგრამ ოდნავი ნიავიც არ ქრის,

რომ გავიშრიალო, ბიჭებს საშიშროებაზე მივანიშნო...

ეს ბიჭები ისეთი გეზით მოდიოდნენ, ზედ ჩემი მეორე-მესამე დოინჯის დონეზე შეხვდნენ ერთმანეთს, ჩემი ძვლებიდან ერთი ადლით ზემოთ...

ცნობისმოყვარედ, უცხო თვალით ახედ-დახედეს ერთმანეთს. არ იციან, ძმები რომ არიან.

შედგნენ და ისე დადგნენ, რომ უმცრო-სი ზურგით მიექცა კოპიტისკენ, უფრო სწორად, მგლისკენ. უფროსმა იყოჩალა და გაცნობა დააპირა. დღლაზას ბიჭმა თუნგი ძირს დადგა; ფერდობზე რომ არ წაქცეო-და, ფეხი მიუდგა და შეაკავა. უფროსმა ნა-ჯახი ბალახში მიაგდო და პატარას ხელი გაუწინდა გასაცნობად. დღლაზას ბიჭმაც გაიწინდა ხელი, მაგრამ უცებ დაიმორცხვა, ისევ თავისკენ წაილო მარჯვენა და თით-ქოს კრუნჩხვა დაემართაო, ხელი მოგრი-სა, თავისკენ შეატრიალა, მტევნის ზურგი მკერდზე მიიჭირა, ლამის მიიჭყლიტა...

რა დროს მორცხვობა იყო!

უფროსმა დაინახა, რომ მგელი უკვე ამათკენ მორბოდა; იყვირა: – მგელი!.. – დასტაცა უმცროსს ხელი და ჩემკენ გამო-აქცია...

ტუიაზე შეხტომა ნებისმიერ სხვა ხეზე შეხტომაზე ადვილია.

მაინც მივეშველე ორივეს. ქვედა დოინ-ჯი მაგრად შევერრი, რომ ბიჭებს ამოცოცე-ბა სწრაფად შეძლებოდათ, მაგრამ...

უფროსი მარდად შემახტა, სხარტად ამომაცოცდა და მერელა ჩახედა პატარას; იმას კი ცოცვა დაუგვიანდა, მგელმა პირი ჩავლო, ცალი ფეხით დაითორია და წამარ-თვა...

უფროსი მთელი ხმით იძახდა: – გვიშ-ველეთ, მგელი!.. მგელი, მგელი, გვიშვე-ლეთ!..

მე კი გახევებული ვიდექი და შველა არ შემეძლო... შრიალიც კი არ შემეძლო...

მგელმა პატარა წაქცია, მგლურად ეცა, რომ მსხვერპლისთვის ყელი გამოელადრა. დღლაზას ბიჭი, ნებით გადაკოტრიალდა თუ თავისთავად, დაგორდა ფერდზე. იმ სა-ბედისწერო წამს ამგვარად გადაურჩა. მგე-ლი, ცხადია, არ მოეშვა...

ამის მნახველს, ჩემსას, ჩემზე შემოფა-რებულს, ჩემს ნაადრევად დაკაცებულ ბიჭს ალარ უყოფმანია; როგორც მარდად შემო-მახტა, ისევე მარდად ჩასრიალდა, მიწაზე დახტა, ბალახში მიგდებულ ნაჯახს ხელი წამოავლო და იქით მიუხტა მგელს. ზურ-გიდან დაუარა და ისე დაჰკრა გავაზე, რო-გორც შემსა დაჰკრავენ დასაპობად.

მგელმა დაიღმუვლა და განზე გახტა, მობრუნდა და ახლა ამას შეუტია, მაგრამ მეორედ მოქნეული ნაჯახი ყუით ყურის ძირში მოხვდა, მესამედ მოქნეული – მხარ-ში და... დაფრთხა-გაიქცა, თვალს მიეფარა – თავის მიფსმულ კოპიტს იქით, დალმა ხე-ობისკენ დაეშვა ღრენა-ყმუილით...

დაჭრილი უმცროსი გონზე არ იყო. თვალდახუჭული, პირმოდლეზილი ბლაო-და. უფროსი, მისი გადამრჩენი, თავს დას-ტრიალებდა და, თუმცა კი არ იცოდა, რა ელონა, თავისას მაინც ცდილობდა – თავ-პირდაკანრულ, დასისხლიანებულ პატარას ბალახის ბლუჯით ჭრილობებს მალიმალ უმშრალებდა...

ესენი რას დაინახავდნენ შორიდან, მე კი მალალი ვარ და დავინახე: ზევიდან, ბუ-დაჯვრის სოფლიდან დედები მორბოდნენ, მთის ფერდზე ამორძალებივით მოქროდ-ნენ, ხელკეტებით და ფარ-შუბით შეიარა-ლებულები...

ვიდრე ისინი ბავშვებს მოეშველებოდ-ნენ, მე ჩემი დამემართა. ვიდექი ალანძუ-ლი, მკვახე გირჩებიც მცვიოდა და ჩემს თავმომწონე უსუსურობას ამაო შრიალით ვებრძოდი.

დედებმა დღლაზას ბიჭს უშველეს – თავ-კისერი, მხარ-იღლია გადაუკონეს, სისხლდენა შეუჩერეს, დაუყვავეს, დაამშვი-დეს... მერელა მიაპყრეს ყურადღება ჩემს ნაადრევად დაკაცებულ ბიჭს, უცხოს, ვინც ფერდზე დაგორებულ თუნგს იქვე, ახლოს დასწეოდა და ჭურჭელში ჩარჩენილ წყალს თან სვამდა, თან სახე-კისერზე ისხამდა...

– ვისი ხარ, ბიჭო, შენ! – ერთხმად ჰკით-ხეს ქალებმა.

– .....ისი! – თავმომწონედ თქვა ბიჭმა მამინაცვლის სახელი და ცარიელი თუნგი ძირში ჯიბრიანად შემომიკოტრია-ლა.

მერამდენედ ავილანძე. ასეთი ბიჭი ტყუილს არ იტყვის. მართალია. მაში, ჯვარიდაგველის გვარტომის პატრიარქი პირიანი კაცი ყოფილა. ჩემი სახლეულისთვის ისე მიუხედავს, როგორი პირობაც მაშინ დამითქვა: ჩემი ცოლები თავისი ვაჟებისთვის შეურთავს, ჩემი შვილები მათთვისვე მიუშვილებია, ქონებას თვითონვე დაპატრონებია...

ამასობაში, დიდი უარის მიუხედავად, ნაჯახიანი ბიჭი დედებმა სტუმრად წაიყვანეს...

ისტუმრეს და საღამოხანს გამოისტუმრეს...

ნაჯახიანი ბიჭი, ჩემკენ ჩამოვლილი, ლამის ველარ ვიცანი. ჩორომანას ტომის ჩამომავალი მეგონა, რადგან თავზე ნაჩუქარი ქუდი ერქვა, ტანზე ნაჩუქარი ჯუბა ემოსა, ფეხზე კიდე – ბუდაჯვრული წვივსაკრავები.

შეჩერდა, ნაჯახი მომიღერა, შორიახლოდან დამიძახა: – ჰე-ჰე-ე!.. ნახე, რაები მაჩუქეს!

დატრიალდა, რომ კარგად დამენახა ჯუბის ზურგზე ნაქსოვი „ბუ“ და „ჯვარი“.

ნავიდა ამსუბუქებული და სიხარულით ატაცებული.

იმას უხაროდა, მე კი დარდით კინალამ გავხმი. ვიფიქრე: შინმისულს მტრის ტოტემის ტარებისთვის დაძრახავენ და შერისხავენ-მეთქი.

თურმე ვცდებოდი!..

რა კარგია, რომ შევცდი!

●

მეორე დღეს, დილით, ჩორომანას მთის სოფელი – დედები და ბავშვები – ყველანი ჩამოლაგდნენ ჩემთან. კიდეც მაქეს, კიდეც გამკილეს, კიდეც მეხუმრნენ...

ამის შემდეგ მოშორებით დასხდნენ, ერთმანეთში ისე ისაუბრეს, ნათქვამი რომ ჩემს ყურთასმენას არ მოსწვდენოდა... გაყუჩდნენ და ჩაფიქრდნენ...

მათი ფიქრისას გამოჩდნენ უკვემოფიქრებულები. ჩემი ხალხი მოედინებოდა, როგორც ჯარი. წინ კაცები მოდიოდნენ ზე-

აღმართული დროშით „ჯვარი და გველი“, უკან მოჰყვებოდნენ ქალები და ბავშვები, ასჯერ მეტი, ვიდრე „ბუ და ჯვარის“ ტოტემის მტარებელი დამხვდურები...

მატრიარქი და პატრიარქი ერთმანეთს შეხვდნენ და ყველას თვალშინ მოილაპარაკეს. დამსწრებს ყველაფერი ესმოდათ, მე – არა, მაგრამ მაინც უზომოდ მიხაროდა და მსიამოვნებდა, რომ ისინი ჩემ შორიახლოს ყოფნას გრძნობდნენ; უფრო მეტიც, ზოგჯერ დაბეჯითებით ხმამაღლა ნათქვამის დასამტკიცებლად ჩემკენ იხედებოდნენ, ჩემზე უთითებდნენ და ჩემით მოწმობდნენ...

დარწმუნებული ვარ, იქ იყვნენ ყველანი: ერთი მხრივ, ჩემი ყოფილი ცოლები, მათი ახალი ქმრები, ჩემი შვილები, მათი მამინაცვლები; მეორე მხრივ – ჩემი ჩამქოლავი ქალები, მათი შვილები... ჩემს აღარარსებობაში დარწმუნებულები, დაბრძენებულები, გულითადები. ზიარი ახალი წლის, ზიარი ბუნიობის, ზიარი შობის, ჯვარცმის და აღდგომის შვილები...

მე ისინი მიყვარდა, თუმცა ვერც ერთ მათგანს ველარ ვცნობდი, რადგან კენეროდან ყველანი ერთმანეთს ჰგავდნენ... მერე, უფრო შორიდან, პატარებად მომეჩვენენ და მივხვდი: ჩემი ტუიობაც დამთავრდა. მე მაპატიეს, მეტჯერ აღარ ჩამქოლავენ, აღარც მომჩეხავენ, რადგან...

მინაზე იმდენი ვიარე, რამდენიც მეკუთვნოდა.

შევქმენი და ვცოდე, რამდენიც შემეძლო.

მინაში იმდენ ხანს ვიყავი, რამდენიც მეკუთვნოდა.

მიწიდან, საკუთარი ძვლებიდან, ჩემი ჩამქოლავი ქვებიდან ამოვიზარდე, გავიზარდე, ცრურნენები და ჩვევები დავკარგე, ენა და წონა დავკარგე, კენწეროს ავცდი, ჰაერივით მსუბუქი გავხდი, ჰაერს შევენივთე, მასშივე გავიცრიცე, უჩინარი გავხდი, არარა გავხდი და...

მივხვდი, რომ ვუწიე უსაზღვრო ბედნიერებას. ამიერიდან, დღეის ამას იქით, ვისაც სუნთქვა არ დაეზარება, ჰაერთან ერთად მეც ჩამისუნთქავს...

### მანანა პაიჭაძე

#### „აგადეუსი“ ოსტატურად შერწყმული ფიქცია და ისტორიული სინამდვილე (პიტერ შეფერის და მილოშ ფორმანის „ამადეუსი“)

ინგლისელი დრამატურგის პიტერ შეფერის (დაიბადა 1925 წლის 15 მაისს ლივერპულში) პიესა „ამადეუსი“ 1978 წელს დაიწერა, პირველად დაიდგა 1979 წელს ლონდონის ეროვნულ თეატრში (რეჟისორი პიტერ პოლი).

1984 წელს მილოშ ფორმანი იღებს ფილმს „ამადეუსი“. ცნობილი გერმანელი ლიტერატურისა და მუსიკისმცოდნე ფოლკმარ ბრაუნბერენსი მონოგრაფიაში „მოცარტი ვენაში“ წერს: „ვისაც ეს ფილმი უნახავს, ძნელად იჯერებს, რომ აქ არც ერთი სიტყვა, არც ერთი ეპიზოდი, არც ერთი მოქმედების ადგილი, რომ აღარაფერი ვთქვათ ამ ფილმის გმირების ქცევებსა და მოქმედებებზე, არ შეესაბამება ისტორიულ სიმართლეს“.

ფილმის ზემოქმედება მაყურებელზე იმდენად დიდია, რომ იგი მის სიუჟეტს, როგორც რეალურ მოცემულობას, აღიქვამს. ამიტომ მისი ნახვისას დიდი სიფრთხილეა საჭირო ისტორიული სინამდვილისა და ფიქციონალური თხზულების გასამიჯნად. დიდა, რა თქმა უნდა, პიესის ზემოქმედების ძალაც, მაგრამ ეს ზემოქმედება ვერ უტოლდება ფორმანის ფილმის მაგიურ ეფექტს.

ფილმის სცენარის ავტორი თავად დრამატურგია, მაგრამ რეჟისორის ინტერპრეტაციის საფუძველზე ის ცვლის ლიტერატურული ტექსტის გარკვეულ რაკურსებს და ფოკუსირებას ახდენს იმ მოვლენებსა

და მომენტებზე, რომლებზედაც ფორმანი მიუთითებს.

პიესის დასაწყისი:  
მოცარტის გარდაცვალებიდან გავიდა ოცდათორმეტი წელი. ვენა, 1823 წლის ნოემბერი. პიესის პირველი სიტყვაა „სალიერი“, რომელსაც წარმოთქვამს ორი პერსონაჟი – Il Venticelli – მეჩურჩულებები / Whisperers, ანუ თავქარიანები და აქვე იკვეთება ნაწარმოების მთავარი ინტრიგა – salierim აღიარა, რომ დამნაშავეა მოცარტის სიკ-




ვდილში. ამაზე მთელი ვენა ჭორაობს, მაგრამ, ერთი თავქარიანი თუ ინფორმციას გვაწვდის, მეორე, ანტიკური ქოროს მსგავსად, გამუდმებით იმეორებს: არ მჯერა, არ მჯერაო.

ფილმში მოხუც სალიერის თვითმკვლელობის მცდელობა აქვს და აღიარებს: „მოცარტ! შენი მკვლელი პატიებას ითხოვს! შემიბრალე!“ „Perdonami, Mozart! Il tuo assassino ti chiede perdono! Pieta!“

საგულისხმოა კომენტარი სალიერის იტალიურ მეტყველებასთან დაკავშირებით: „როცა ნერვიულობს ან დელავს, იტალიურად ლაპარაკობს, დამშვიდებული – გერმანულად“ (პიტერ შეფერი. „ამადეუსი“. ქართული თარგმანი თამაზ გოდერძიშვილისა. უურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1991 წ. №10, გვ. 34), რომელიც შეიცავს ირონიის გარკვეულ დოზას და ეს განწყობის მონაცვლეობა – სერიოზულის და ირონიულის, იუმორისა და გროტესკის ქმნის განსაკუთრებულ ეფექტს, რომელიც მკითხველ/მაყურებელს განტვირთვის საშუალებას აძლევს, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია ლიტერატურულ ტექსტსა და პირველ ყოვლისა, თეატრში. ტექსტი იყითხება ერთი ამოსუნთქვით. ასეთივე მომნესხველ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე ფილმიც, რომელიც თითქმის სამი საათი გადის ისე, რომ მაყურებელი ვერც კი ამჩნევს რამხელა დრო გავიდა.

პიტერ შეფერი XX საუკუნის ბრიტანული დრამატურგის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი ნარმომადგენელია, თუმცა ის არ არის ისეთი რადიკალური სიახლის შემომტანი და დამნერგავი, როგორც ჰაროლდ პინქერი ან სემუელ ბეკეტი. დავასახელებ მის სხვა ცნობილ პიესებს: „სავარჯიშო ხუთი თითისათვის“ –



Five Finger Exercise, „კერძო ყური და საჯარო თვალი“ – The Private Ear and The Public Eye, „სამეფო ნადირობა მზეზე“ – The Royal Hunt of the Sun, „შავი კომედია“ – Black Comedy, „ეკვუუსი ანუ ბრმა ცხენები“ – Equus.

პიესისა და ფილმის ტექსტოლოგიური შეპირისპირებითი ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი სემანტიკურად და დრამატურგიულად რელევანტური მსგავსება-განსხვავებები<sup>1</sup>:

პიესაში სალიერი იძახებს მომავალ, ჯერ დაუბადებელ მაყურებელს და უცხადებს, რომ მან მოკლა მოცარტი. სწორედ ამ მაყურებელს უყვება იგი მთელ სიუჟეტს და არა მღვდელს, რომელიც მოსულია მისი აღსარების ჩასაბარებლად;

1. პიესაში მარშს უკრავს სალიერი და არა იმპერატორი;
2. მოცარტი არ იზომავს პარიკებს;
3. სალიერის მამა არ კვდება თევზის ფხის გადაცდებით;
4. პიესაში სალიერი პაქტს დებს კრუციფიქსთან.

5. მოცარტს წვეულებაზე სერენადის სადირიჟოროდ მოსვლა არ უგვიანდება;

6. სალიერის ცოლს, ტერზას, ტექსტი არა აქვს;

7. უ ტ ყ ვ ი პერსონაჟია კატარინა კავალიერიც;

8. „მეტისმეტად ბევრი ნოტი“ –

ამ სიტყვებს ამბობს გრაფი ფრანც ორსინი-როზენბერგი მოცარტის „იდომენეოზე“ და არა იმპერატორი ოპერაზე „გაქცევა სერალიდან“;

9. პიესის მოქმედება იწყება 1823 წელს და ეხება მოცარტის ვენაში ყოფნის 1781-1791 ნლებს;

10. პიესას აქვს სანოტო დანართი;

<sup>1</sup> იხ. მ. პაიჭაძე. პიტერ შეფერის „ამადეუსი“, მილოშ ფორმანის „ამადეუსი“. კრებულში: XX საუკუნის ხელოვნება. დრო, ხელოვანი, ხელისუფლება. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, 2014. გვ. 245–251.

11. პიესაში არ არის კონფლიქტი არქიეპისკოპოსთან;
12. სალიერისთან მარტო დარჩენილი მოცარტი მარშს უკრავს;
13. პიესაში არ არის კატარინა კავალიერისთან სიმღერის გაკვეთილი;
14. კარნავალზე ნაძლევს აგებს კონსტანცია, ლეოპოლდ მოცარტი ამ სცენაში არ მონაწილეობს; სალიერი კონსტანციას უნიშნავს პაემანს;
15. პანკაში მყოფი სალიერი ცდილობს, შეაცდინოს კონსტანცია;
16. ნოტები სალიერისთან რჩება ერთი ლამით;
17. დაბრუნებული კონსტანცია თავს სთავაზობს სალიერის; სალიერი უხეშად ეპყრობა, უბრუნებს პარტიტურას;
18. სალიერის საყვარელი ხდება კატარინა კავალიერი;
19. სალიერი არ უგზავნის მოცარტს მოახლეს;
20. ფიგაროს პარტიტურიდან საბალეტო ნომრის ამოღებისას,, მოცარტი ამბობს: „ეს შეთქმულებაა! სალიერის ონეგინია ეს ყველაფერი!“
21. მოცარტი სალიერის კი არ სთხოვს იმპერატორთან შუამდგომლობას „ფიგაროში“ საბალეტო ნომრის ჩასასმელად, არამედ თავად სთხოვს იმპერატორს, და-ესწროს რეპეტიციას;
22. პიესაში არ არის სცენა, სადაც მოცარტი იმპერატორს უხსნის „ფიგაროს“ დასაწყისს;
23. პიესაში მოცარტი გულს გადაუშლის სალიერის: „საიდუმლო უნდა გაგანდოთ! ლეოპოლდ მოცარტი ბებერი, შურიანი და ბენტერაა: მეზიზღება!“
24. ამ დროს გაისმის ხმა: „ლეოპოლდ მოცარტი გარდაიცვალა!“ მოცარტი: „მოკვდა?! რა მეშველება, უიმისოდ როგორ ვიცხოვორ?!. როგორ? ვინდა გამიგებს?!“
25. სალიერი მას მოყვარული მამასავით ხელებს გადაუშლის, გულმი რომ ჩაიხუტოს; მოცარტი უკანასკნელ მომენტში თავს შეიკავებს (ისმის „დონ უუანის“ აკოდები);
26. მოცარტის ოპერა „ყველა ქალი ასე იქცევა“ (ჩოსი ფან ტუტტე) ფილმში – არ არის;
27. პიესაში სალიერი ამბობს: „ის ჩვეულებრივს ლეგენდად აქცევდა... მე კი... მე კი ლეგენდებს უფერულებად...“
28. კრ. ვ. გლუკის გარდაცვალების შემდეგ სამეფო კარზე კამერმუსიკოსის ადგილს იმპერატორი, სალიერის რჩევით, მოცარტს აძლევს, მაგრამ, მისივე რჩევით, 2000 ფლორინის ნაცვლად მას 200 ფლორინს უნიშნავენ;
29. პიესაში მოცარტი ავადაა, სიზმრებში ეცხადება ნიღბიანი, თალხნამოსასხამიანი აჩრდილი. ამის შესახებ მოცარტი სალიერის უამბობს;
30. პიესაში მოცარტი ბინას იცვლის, ფილმში – არა;
31. სალიერი ურჩევს, ოპერაში მასონები გამოიყვანოს;
32. პიესაში მოცარტი ეუბნება სალიერის: ცოლმა მიმატოვაოდა უყვება, რომ აჩრდილი გამოეცხადა (ამჯერად ცხადში) და რეკვიემი შეუკვეთა; ფილმში – არა;
33. პიესაში აჩრდილი პასუხობს მოცარტს კითხვაზე, თუ ვისთვის არის განკუთვნილი ეს რეკვიემი, ფილმში კი პასუხი არ არის;
34. „ჯადოსნური ფლეიტის“ პრემიერას ესწრებიან: ვან სვიტენი, სალიერი და კავალიერი.
35. პიესაში ლეოპოლდი და ზარასტრო გაიგივებულია; სალიერის შეფასებით, მოცარტი იყო ღმერთის ჯადოსნური ფლეიტა.
- პიესაშიც და ფილმშიც ძირითად ინტრიგას ქმნის ის იდუმალებით სავსე მითქმა-მოთქმა თუ ლეგენდები, რომლებიც მოცარტის გარდაცვალების ირგვლივ შეიქმნა:**
- პირველი ლეგენდის თანახმად, მოცარტი მასონებმა მოკლეს. მეორე ლეგენდის თანახმად, ეს ჩაიდინა სალიერიმ. პიესაში გვაქვს მითითება ორივე ლეგენდაზე. რაც შეეხება მასონების თემას, მოცარტი თავად იყო მასონური ლოჟის წევრი, ისევე, როგორც ბარონი ვან სვიტენი. მასონების წყრომა მოცარტის მიმართ გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მან თავის ზინგშპილში „ჯადოსნური ფლეიტა“ სცენაზე მოქმედ გმირებად მასონები გამოიყვანა და აჩვენა მათი საიდუმლო რიტუალები. მაგრამ ყოველივე ეს მოცარტმა სალიერის რჩევით

გააკეთა, ანუ სალიერი არის ამ კონფლიქტის წამქეზებელი. გარდა ამისა, სალიერი „ჯადოსნური ფლეიტის“ პრემიერაზე პატიუებს ბარონ ვან სვიტენს, როგორც მასონების ლოუის წარმომადგენელს. ვან სვიტენის ანგარიშის შედეგად მასონები მოცარტს ყოველგვარი ფინანსური დახმარების განევას შეუწყვეტენ. ეს ფილმში არ არის შეტანილი და იგი ჩანაცვლებულია სალიერის შურიანობით. გავიხსენოთ თუნდაც ფრაგმენტულად მისი მონოლოგი: „განჭვრიტე ბედი ჩემი! პირველად ვიხილე და ვიგრძენი სიცარიელე, როგორც ადამიანთაგან ბევრს არ ხელენიფება! შემდეგ კი არ დაგვიწყდათ და იზრუნეთ, ყოველთვის მეგრძნო ჩემი არასრულფასოვნება! რატომ? რისთვის მექცევით ასე? რა დავაშავე?..

Dio ingiusto! უსამართლო ღმერთო! დღეიდან მტერი ხარ ჩემი! ახალ სახელს გარქმევ – ნემიკო ეტერნო! საუკუნო მტერი ხარ ჩემი! ვფიცავ, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე შეგებრძოლება შენ ჩემი სული!“ (პიტერ შეფერის „ამადეუსი“. ქართული თარგმანი თამაზ გოდერძიშვილის. უურნალში „თეატრი და ცხოვრება“, 1991 წ. №10. გვ. 61-62.).

სამაგიეროდ, ფორმანის ფილმის სცენარში ყურადღება გამახვილებულია „შავ კაცზე“, რომელიც პირველად მოხსენიებულია პუშკინის ტრაგედიაში „მოცარტი და სალიერი“ (A. C. Пушкин. Полное собрание сочинений в 10-ти томах. Том V. 1950. С.365. „Мне день и ночь покоя не дает мой черный человек“). ჩემმა მიღოშ ფორმანმა პუშკინის შემოქმედება გაცილებით უკეთ იცის, ვიდრე ინგლისელმა პიტერ შეფერმა და ამიტომ სწორედ მან გადაწყვიტა ამ ხაზის თანმიმდევრულად გატარება. პუშკინთან სალიერის ანუხებს ის აზრი, რომ, შესაძლოა ის სულაც არ არის გენიოსი, რადგან მან მონამდა მოცარტი და ამით ჩაიდინა დანაშაული. გავიხსენოთ პუშკინთან მოცარტის სიტყვები: გენიოსი და ბოროტმოქმედება ორი „ურთიერთგამომრიცხავი ცნებაა“. პიესის ფინალშიც სალიერის სწორედ ეს აზრი ანუხებს: „მაგრამ, იქნებ, ის მართალია და მე გენიოსი არ ვარ?!“

„Но ужель он прав,  
И я не гений? Гений и злодейство  
Две вещи несовместные.“ (А. С. Пушкин.  
Полное собрание сочинений в 10-ти томах.  
Том V. 1950. С. 368.).

ასევე პუშკინის გავლენით არის ნაკარნახევი ის პასაჟიც, სადაც სალიერი მოცარტს რეკვიემის ჩანერაში ეხმარება და მდივნობას უწევს (პუშკინთან მოცარტი სალიერისთვის რეკვიემის ფრაგმენტს უკრავს). ასევე პუშკინისგან არის ნასესხები „შავი კაცის“ გამოჩენა, რომელიც მას უკვეთავს რეკვიემს. თანაც ფორმანთან ამ შავ კაცს იგივე შავი საკარნავალო კოსტიუმი აცვია, რაც მოცარტის მამას, ლეოპოლდს ეცვა კარნავალზე, როდესაც მოცარტმა, მისგან მოითხოვა მისთვის სასჯელის დაწესება, ანუ სალიერიმ, რომელმაც იცოდა, როგორი დამოკიდებულება ჰქონდა მოცარტს მამამისთან, ესეც გამოიყენა იარაღად თავისი მეტოქის დასამარცხებლად და საბოლოოდ გასანადგურებლად.

პასუხი კითხვაზე, თუ რატომ დაკრძალეს მოცარტი საძმო საფლავში, რომლის ადგილი ვერავინ დაიმახსოვრა, ძალიან მარტივია:

საქმე ის გახლავთ, რომ მასონებმა ამჯობინეს, თანხა მოცარტის ქვრივისათვის გადაეცათ, ვიდრე იგი პომბეზურ დაკრძალვაში გადაეხადათ, ხოლო საძმო საფლავი კი იმიტომ შეირჩა, რომ არსებობდა იმპერატორ იოზეფ II-ის განკარგულება დაკრძალვებთან დაკავშირებით, რომელიც დათარიღებულია 1784 წლის 23 აგვისტოთი. ეს სამეფო კარის დეკრეტი წარმოადგენდა იმხანად პროგრესულ მოვლენას, რადგან იგი საღ და რაციონალისტურ აზროვნებაზე მეტყველებდა, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ პიგინა ასე უფრო დაცული იქნებოდა. შემდგომ კი შთამომავლობამ არასწორი შეფასება მისცა მოცარტის ამგვარი წესით დაკრძალვას. ასეთი დაკრძალვა კი სულაც არ იყო სიღარიბით გამოწვეული. ამ წესით იკრძალებოდა იმ პერიოდში ყველა. დეკრეტის ტექსტი სრულად არის მოყვანილი ფოლებმარ ბრაუნბერენსის მონოგრაფიაში „მოცარტი ვენაში“.

პიტერ შეფერის პიესას „ამადეუსის“ ძირითადი ინტენცია მიმართულია მოცარტის სიკვდილში ანტონიო სალიერის ბრალეუ-

ლობასა და მის თვითალიარებაზე. პიესაში ლეოპოლდ მოცარტს ნაკლები ყურადღება ეთმობა, ვიდრე ფილმში. პიესაში არ ჩანს კონფლიქტი ზალცბურგის არქიეპისკოპოსთან. პიესაში აღწერილი არ არის რეკვიემზე მოცარტისა და სალიერის ერთობლივი მუშაობის ეპიზოდი და ასევე მოცარტის დაკრძალვის სცენა. პიესაში სალიერი ურჩევს მოცარტს მასონების გამოყვანას ზინგბპილში „ჯადოსნური ფლეიტა“, რითაც ბარონ ვან სვიტენის წყრომას იწვევს. სალიერი არ უგზავნის მოცარტს მოახლეს – მას აგნტები არ სჭირდება. სალიერის პაქტი აქვს დადებული თავად ლმერთთან.

მილოშ ფორმანის ფილმში „ამადეუსი“ აქცენტები გადანაცვლებულია. თუ პიესის პირველი სიტყვაა „სალიერი“, ფილმის პირველი სიტყვაა „მოცარტი“. ფორმანი ფილმში ოპერირებს ორივე ლეგნდით: იმითაც, რომ სალიერიმ მოკლა მოცარტი და იმითაც, რომ მოცარტს ვინმე „შავმა კაცმა“ შეუკვეთა რეკვიემი, რომელზე მუშაობამაც მისი სიკვდილი გამოიწვია. ლეოპოლდ მოცარტი მთელ ფილმში ლაიტმოტივურ-მე-

ტაფორულ ფიგურად გვევლინება: მასთან არის ასოცირებული მოცარტის შიშები, ავადმყოფობა და ფინანსური ნარუმატებლობა. ფილმში დამატებულია მოცარტის პოლემიკა კაიზერთან ბომარშეს აკრძალული პიესის, „ფიგაროს ქორწინებასთან“ და-კავშირებით.


მილოშ ფორმანი აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ მოცარტს, როგორც ხელოვანს, უჭირდა ჯერ ზალცბურგის ეპისკოპოსის კარზე მოღვაწეობა, შემდეგ კი ვენაში იმპერატორის კარზე ჯეროვანი აღიარების მოპოვება და მაღალანაზღაურებადი სამუ-

შაოს მიღება.

ფორმანის ფილმში სალიერი თავს „ყველა დროისა და ხალხის საშუალო ნიჭით მორქმულთა“ („თეატრი და ცხოვრება“, 1992 წ. №1. გვ. 100.) რიცხვს მიაკუთვნებს და ცოდვებს მიუტევებს ყველა სხვა საშუალო ნიჭით მორქმულებს, როგორც მათი თავკაცი, ლმერთი. „Mediocrities everywhere — now and to come — I absolve you all! Amen!“ (Peter Shaffer. Amadeus. A Play. Fremdsprachentexte. Philipp Reclam jun. Stuttgart. 2002. პ. 168.) – ეს არის ბოლო სიტყვები პიესაშიც და ფილმშიც, მაგრამ ფორმანის ფილმში ამ სიტყვების შემდეგ, ფინალური აკორდის მსგავსად, ისმის მოცარტის განუმეორებელი და განმაირალებელი სიცილი დასტურად მისი უკვდავებისა, დასტურად იმისა, რომ იგი ყოველივე ნათქვამზე მაღლა დგას.

პიტერ შეფერის და მილოშ ფორმანის „ამადეუსში“ ოსტატურად არის შერწყმული ფიქცია და ისტორიული სინამდვილე. ფილმში ნაჩვენებია ვენა, მაგრამ არც ერთი კადრი არ გადაულიათ ვენაში – მთელი ფილმი გადაღებულია პრაღაში.

ფილმის არც ერთ მსახიობს არა აქვს პორტრეტული მსგავსება მათ პროტოტიპებთან, გარდა ორისა. ესენია ზალცბურგის არქიეპისკოპოსი კოლორედო და ავსტრიის იმპერატორი იოზეფ II. ფორმანი თავისი ფილმის ფიქციონალურობაში იყენებს ისტორიული სინამდვილის ელემენტებს, რითიც მაყურებელში კიდევ უფრო აძლიერებს იმ გრძნობას, რომ ფილმი ისტორიულ, ნამდვილ ამბად აღიქვას, მაგრამ ეს ფსევდორეალობაა, ფსევდოისტორია. ეს მხოლოდ მოცარტის სიკვდილის შესახებ არსებული ლეგენდების ერთ-ერთი ვერსიაა.



ანტონიო სალიერი (1750 წ. 18 აგვისტო, ლენიანო, ვენეციის რესპუბლიკა – 1825 წ. 7 მაისი, ვენა) გენიალური იტალიელი კომპოზიტორი, დირიჟორი და პედაგოგი იყო. ქრისტოფ ვილიბალდ გლუკის მოსწავლე. 1766 წლიდან მოღვაწეობდა ვენის სამეფო კარზე. არის ორმოცზე მეტი ოპერის ავტორი. მისი ოპერით „აღიარებული ევროპა“ – “L'Europa riconosciuta” გაიხსნა მიღანის ლასკალას ცნობილი თეატრი 1778 წლის 3 აგვისტოს.

სალიერის მოსწავლები იყვნენ: ლ. ბეთჰოვენი, კ. ჩერნი, ი. ნ. შუმელი, ფრ. ლისტი, ჯ. მეიერბერი, ფრ. შუბერტი, ფრ. ქს. ზიუსმაიერი, მოცარტის უმცროსი ვაჟი ფრანც ქსავერლი.

1823 წლს ანტონიო სალიერის ფსიქიკური აშლილობის ნიშნები დაუდგინეს და მოათავსეს ნერვულ დაავადებათა კლინიკაში, სადაც ის გარდაიცვალა კიდეც. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე სალიერი მოინახულა მისმა ყოფილმა მოსწავლემ, კომპოზიტორმა და პიანისტმა იგნაც მოშელესმა. სწორედ მას დააბარა სალიერიმ თავისი უკანასკნელი თხოვნა: „ხომ იცით, ამბობენ, რომ მოცარტი მე მოვწამლე. არა, ეს რა ბოროტება! ასე უთხარით მთელ მსოფლიოს, ძვირფასო მოშელეს, რომ ეს თქვენ გითხრათ მოხუცმა სალიერიმ, რომელიც მალე აღესრულება“

(Aus Moscheles' Leben, Nach Briefen und Tagebüchern. Hersg. Von seiner Frau. Erster Band, Leipzig, Verlag von Duncker & Humblot, 1872. S. 84-85.).

1825 წლის 25 მაისს ლაიფციგის მუსიკალური გაზეთის №27-ში (სვეტი 408) გამოქვეყნდა ანონიმი ავტორის პატარა ნერილი სალიერის ბოლო დღეებთან დაკავშირებით (ამ დროს სალიერი უკვე ორი კვირის

მკვდარია – იგი 7 მაისს გარდაიცვალა): „ჩვენი სასიქადულო სალიერი, როგორც ხალხში იტყვიან, კვდება და ვერ მოკვდა. მისი სხეული შეპყრობილია ხანდაზმული ასაკისთვის დამახასიათებელი ყველა სხეულებით, ხოლო გონებამ მისი სხეული დატოვა. თავის დამახინჯებულ ფანტაზიებში ის, მართლაც, დროდადრო იდანაშაულებს თავს მოცარტის ადრეულ სიკვდილში: სიგიჟე, რისიც არავის სჯერა, გარდა თავად გონებაარეული მოხუცისა“. სწორედ ეს ცნობა დაედო საფუძვლად ალექსანდრ პუშკინისეულ ლიტერატურულ ვერსიას სალიერის ბრალეულობის შესახებ. აქედანვე იწყება ყველა იმ ლეგენდის სიცოცხლე, რომლებსაც დღევანდელ დღემდე მოუღწევია.

რამდენად მართლები ვართ დიდი კომპოზიტორის და პედაგოგის, ანტონიო სალიერის ხსოვნის წინაშე, როდესაც მას ვაბრალებთ ასეთ დანაშაულს?! მეტიც, სულ ახლახან გავიგეთ, რომ სალიერისა და მოცარტს ერთობლივი თხზულებებიც ჰქონიათ, მათ არა მარტო უთანამშრომლიათ, არამედ უმეგობრიათ კიდეც. ვინ იცის, კიდევ რა ცნობებს შევიტყობთ ამ ორი ხელოვანის ცხოვრების შესახებ, მაგრამ, რაც უნდა იყოს, მათ შემთხვევაში ლეგენდამ თავისი როლი შეასრულა და ამიტომ ამოქმედდა ცნობილი პარადიგმის ბულგაკოვისეული მხატვრული ფორმულა:

„– Мы теперь будем всегда вместе...  
Раз один – то, значит, тут же и другой!  
Помянут меня – сейчас же помянут и тебя!“  
Мастер и Маргарита гл. 26. – „ამიერიდანჩვენ მუდამ ერთად ვიქნებით... სადაც ერთი, იქაც მეორე! მომიგონებენ მე, მაშინვე მოგიგონებენ შენც!“ – „ოსტატი და მარგარიტა“, თ. 26.

## 353ლები, როგორც ქვეყანა

დიმიტრის დიმიტრიადისი



(...) „და იმ წელიწადს ვერ დაორსულდა ვერც ერთი ქალი. ვერც მომდევნო წელს. ვერც იმის მერე, ვერც შემდგომ წლებში და ამნაირად ალესრულა მთელი თაობა, ახალი კი სამყაროში აღარასდროს გამოჩენილა. (...) ეს იყო მარცხი, დიდი მარცხი და ამ მარცხის უამს, რაიც მერე „საშოს ბნელ წლებად“ მოინათლა, მორჩილებას მისცემოდა უკლებლივ ყველა, თუ არ ჩავთვლით ძალადობრივი ამბოხისა თუ გაშმაგების გამოვლინების სულ რამდენიმე გამონაკლისა ოდეს სახალხო დარბაზები ცეცხლს მისცეს ანდა ეროვნულ სიმბოლოებს და ძეგლებს მიადგნენ, თუ მოსაკლავად დაედევნენ იმ პირებს, ვისაც მოძალადენი მათ თავს დამტყდარი ყველა ჭირის მიზეზად თვლიდნენ). აი, სხვები კი, ისინი, ყველა, ვინც მორჩილებას დაჩვეულიყო, სასოწარკვეთას საკუთარ თავში იმარხავდა და ერთ კაცსაც კი ვერ ნახავდით, გულში ჩაგროვილ ბრაზზე ხმამაღლა რომ ესაუბრა, ბოლმის საქვეყნოდ ამონთხევა რომ გაეპედა, თუმცა კი, როცა მარტოდმარტოდ აღმოჩნდებოდნენ, მათში ჩათესილ პანიკასაც გზა ეხსნებოდა და იფრქვეოდა იმგვარად, რომ დამღამობით ბალიშებზე ჩაფრენილები ქვეშსაგებლებს კბილებით გლეჯდნენ, უაზრო და დამაბნეველ წერილებს სწერდნენ ღმერთს

თუ სატანას, რომელსაც ხან შენდობას სთხოვდნენ, ხანაც, ბოროტთან მორკინალი წმინდა გიორგის მაგალითით, მუქარასა და წყევლას უთვლიდნენ ან საათობით იდგნენ ხოლმე, გრძნობაგამქრალნი და ძეველ სიმღერებს ბუტბუტებდნენ ან გაშმაგებით, ძირებამდე იჭამდნენ ფრჩხილებს, ღრმა ჭრილობებით ისერავდნენ სხეულის ფარულ, მგრძნობიარე ორგანოებს იქამდე, სანამ კაცთშენირვისა თუ თვითდასჯის სქესობრივი ინსტინქტების დასაცხრობად საჭირო სისხლს არ გადმოღვრიდნენ და ეს ხდებოდა მუდამ ჩარაზულ კარებს მიღმა, სრულ სიბნელეში, მთელი სინათლე კი უმონყალო ხოცვა-ულეტის ემბლემად ქცეულ ჭრილობაზე მომართულიყო. ამგვარ რიტუალს სულ თან სდევდა კანიბალური მუსიკის ჰანგი და იქვე, ქვემოთ, უძირო ლაქად დაჩჩნეულიყო ჩამოდენილი სისხლი ისე, რომ მერე ეს ლაქა ყოველ სახლში რაღაც სახის სამსხვერპლოდ ჩადგა, ზოგან – ტუალეტში ან სადმე სხვაგან – საძინებელსა თუ სასადილო თახებში, სადაც კი შვებას იპოვიდა თითოეული ადამიანი მაშინ, როდესაც სხეულს უკვე აღარ ძალუძღა სხვა სხეულის სიმძიმის ზიდვა, იმ მრავალთავა სხეულისა, იმ მწყურვალი და დაუსაბამო, უჟამო და მხოლო სხეულის, რაც ყველა სხვა სხეულში ფეთქავს უმონყალო და შლეგ განწყობებად. (...) ვინაიდან ომი, რომელიც, ვითომდა ზავის მოკლე-მოკლე პაუზებითურთ, ათას წელზე მეტ ხანს გაგრძელდა, ბოლო თვეების განმავლობაში დასკვნით ეტაპზე გადასულიყო და ისეთი პირი უჩანდა, რომ დაჩქარებული და ალალბედზე დამდგარი დასასრულისაკენ უნდა მიღეულიყო (თუმც არც აქამდე მოდიოდა ცნობები იმის შესახებ, რომ: „ლირსეულად წარვემართენით ომისაკენ“, „ვხარობთ ომსა ზედა“ ანდა „გამარჯვება ვპოვეთ აგრეთვე მესამესა ომსა შინა“). უკვე ისედაც ყველასთვის ცნობილი იყო, რომ სამხრეთის საზღვარი, აგე, დღე-დღეზე მოიშლებოდა: სიკვდილისწინა დნობასავით, რომელსაც რაღაც განუკურნელი სენი განაპირობებს ხოლმე, სრულიად მოულოდნელად და უდროო დროს. ამგვარი სენი, თუმცა კი ყოველთვის უცაბედად გამოვლინდება დასწეულებული

სხეულის ზედაპირზე, ხორცსა და ძვალს ერთმანეთისგან იმგვარი ვიბრაციით აცალ-კევებს, რომ გეგონება, ადამიანის სხეულის სახსრები საყოველთაო, ორგანულ სიშმა-გეს შეუპყრიაო (...) და როდესაც ერთ მშვენიერ დღეს ორი მხედარითმთავრის თანადროული თვითმკვლელობის ამბავი გამოცხადდა, რომელთაგანაც ერთ-ერთმა პირდაპირ ჯარისკაცების თვალწინ, დილის დათვალიერებისას დაიხალა ტყვია შუბლში, კაციშვილს აღარ შეჰპარვია ეჭვი იმაში, რომ მტრის ჯარი წუთი-წუთზე გადმოკვეთდა ქვეყნის საზღვრებს და ამგვარად დაასრულებდა საქმეს, რის გამოც უკვე მრავალი წლის განმავლობაში გაურკვეველ მდგომარეობაში იმყოფებოდა საკუთარი ისტორიის მახშივე გაბმული მთელი ერი: ერი, რომელსაც იმის უნარიც კი წართმეოდა, რომ წინ აღსდგომოდა იძულებით ბრძანებებს, ნაკარნახევს რაღაც ინსტინქტური ეგოიზმითა და უკონტროლო, მაგრამ სრულიად გაცნობიერებული უგულებელყოფით ყოველივე იმისა, რასაც სულ მცირე წვლილი მანც უნდა შეეტანა ქვეყნის გადარჩენის საქმეში. ეს კი უკვე სამშობლოს წინასწარგანზრახულ მკვლელობას უთანაბრდებოდა და იმის მანიშნებელი იყო, რომ, არც მეტი, არც ნაკლები, ერის ცნება იმ წუთიდან უკვე საბოლოოდ დაკარგულიყო. უმრავლესობამ ბარგი-ბარხანის შეკვრა დაინ-



ყო. ეზიდებოდნენ ყველაფერს, რისი ტარებაც კი შეიძლებოდა და სულ რამდენიმე საათში უზარმაზარი რიგები ჩამოდგა, ჭიანჭველათა მწკრივების სიჯიუტით ჩრდილოეთისაკენ რომ აეღოთ გეზი: ერთდღიანი სასკოლო ექსკურსის განხყობით მოცულ ქარავანთა მთელ სიგრძეზე ისმოდა სიმღერების ხმა, ერთობლივად რომ გაჰკიოდნენ იმ საერთო აურზაურში. ბევრს ნახავდით ამჩატებულს, შუა გზაზე რომ ცეკვავდა, სახეზე მიხატული გამომეტყველებით ადამიანისა, რომელმაც ეს-ესაა ვებერთელა ტვირთი ჩამოიხსნა მხრებიდან (და ყველამ მშვენივრად იცოდა, რაც წარმოადგენდა ამგვარ ტვირთს). ვიღაც იფიქრებდა, რომ დროის უმცირეს მონაკვეთში (თუმცა კი საუკუნეები გასტანა ამ პროცესმა), მას შემდეგ, რაც სამხრეთის საზღვრის მორღვევაც გამოცხადდა, რაღაც ძირებული და შეუქცევადი ცვლილება მომხდარიყო მთელი ამ სამყაროს ეროვნულ ბირთვში. ეს ცნობა მოგვიანებით მკაცრი და თითქოს ამაღლებული ტრნით დაადასტურა დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა. იმ ყოფილი იმპერატორივით, რომელიც თავისი ქეციანი ქედმაღლობით უჩვენებს ხალხს ჩამოქცეულ ფარდულს და იმპერიუმს უწოდებს, მაშინ როდესაც ყველა სახის ძუნა ნეხვში ამოთხვრილ მის მოსასხამს კბილებით ექაჩება და ყოფილ ეროვნულ ჰიმნს გუნდად შეყმუის დედოფალს, ყალბ ანდრომაქედ რომ ქცეულა და უნამუსოდ დაეთრევა ლოგინიდან ლოგინში, რადგანაც მისი ამოკალავებული საშოვერაფრით ძლება დედამინის ახალ მბრძნებელთა რკინის პენისებით) და კიდევ ერთხელ შეახსენა თითოეულს მათი ვალდებულებაც – რომ მართებთ, იყვნენ კეთილსინდისიერნი წარსულის შეფასებისას და ეროვნული საჭიროებაც, რომ ქვეყნის ღირსება მაინც აუცილებლად უნდა გადარჩეს. მათ კი, ვინც საპრეზიდენტო გამოსვლა მოისმინა (არცთუ ისე ცოტანი იყვნენ ღილაკს თითო რომ დააჭირეს და გადართეს), ყველაზე უფრო საშინელი გინებები აღმოხდათ ცალკე პრეზიდენტის, ცალკე მისი სიტყვისა და ცალკე კიდევ ქვეყნის მისამართით, თან ისე, რომ პატარა ბავშვებსაც

აქეზებდნენ აჟყოლოდნენ გინებაში, რიტ-მული ტაშისკვრის თანხლებით. ის ბებრები კი, აქამდეც რომ უთვალავჯერ შესწრებოდნენ მსგავს მოვლენებს, ვისაც თავად გამოეცადათ ათასგვარი ხოცვა-ქლეტა, ძარცვა-გლეჯა, დევნილობა, ყველა სახის ბარბაროსთა თუ ცივილიზებულთაგან დაწიოკება, განდევნა და კვლავ დაბრუნება, რომლებსაც საკუთარი თვალით ენახათ, აყვავებული ქალაქები, შეფოთლილი ტყეები და ნაყოფიერი ყანები ანთებული ჩირალ-დნებივით რომ გიზგიზებდნენ და ისიც იცოდნენ, თუ ვით ხდება, რომ თაობათა და თაობათა ნაჯაფარისგან აღარაფერი რჩება მთელი, ისიც ეხილათ, დანგრეული სახლების შიგნით აღვირასნილი ჯარისკაცები როგორ ხმარობდნენ სულ პატარა გოგოებს საათში ათჯერ, ოცჯერ და მეტჯერ და მერე როგორ უფატრავდნენ მუცელს, თუ ვით აცლიდნენ თავებს – ხანჯლის ერთი მოქნევით – სულ თოთო ბავშვებს ანდა პირდაპირ დედის მკლავებში ახლიდნენ ტყვიას, როგორ ტოვებდნენ მამაპაპეულ სახლებს მთელი საგვარეულოები და ვით გვრიტები მძიმე სეტყვისგან, ერთიანად იულიტებოდნენ – „მაშინ პირველად მშობელთაგან შვილნი, შემდეგ ქმართაგან დედაკაცნი, მეგობართაგან მეგობარნი და ყოველნი სისხლეულით მსგავსნი ერთურთს საწყალობლად განეშორვიდნენ“, ენახათ პატარა ბიჭები, რომელთაც ჯერ ერთ მილიმეტრზე თუ ამოღინღლოდათ მკერდზე ბეწვი და ზევსის ელვის მთელი ძალა იმ ორგანოებში დაგროვებოდათ, შეგრძნებათა ყველაზე უფრო მძლავრ ამოფრქვევათა ცდუნებას რომ დაიჩნევენ ხოლმე, თუ ვით ჯგუფ-ჯგუფად წარსდგებოდნენ აღმასრულებელ ბრიგადათა წინაშე, მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ გამქრალიყო მათში სიცოცხლის თესლი, ენახათ წყალი სისხლისაგან ვარდივით როგორ წითლდებოდა, თუ ვით ცდებოდა ხალხი ჭუიდან ყოვლად აუტანელი უბედურების ნიადაგზე, ცრემლებისაგან სახესულმთლადგამავებულნი როგორ გარბოდნენ, აწყდებოდნენ ღობე-ყორეს და ტურებივით გაჰკიოდნენ, ღოყებს იხოკდნენ ცხოვრების ცარიელი ბირთვის აღმოჩენით უმოწყალოდ თავრეტ-

დასხმული და მუდმივად იმ საზღვრის გადალახვის კოშმარში მყოფნი, რომელიც სიცოცხლეს ისევე აუტანელს ხდის, ვით პირში ჩაყრილი მთელი მუჭა, აგიზგიზებული ნაკვერჩხალი; დიახ, ეს ბებერი ქალები, რომლებიც უკვე თავადაც ვერ გატყოდნენ საკუთარ ასაკს და მანქანებზე შემოდებული ისე გადასვენდებოდნენ ადგილიდან ადგილზე, ვით საუკუნეთა წინათ მოღვაწე უსახელო მონამეთა წმინდა ნაწილები, იმის ნაცვლად, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის აგონიური მიმართვების მოსმენისას ხელი აღმართათ და პირჯვარი გადაესახათ, ხელისგულზე დაიფურთხებდნენ და თავის ქნევით, ყველანი ერთად, იმ მოძრაობას იმეორებდნენ, რასაც ძირითადად, კაცები – დიდებიც და პატარებიც – აკეთებენ ხოლმე მარჯვენა ხელით, როდესაც უნდათ სიტყვების გარეშე გამოხატონ, რომ ვიღაცის სიჩრუნეზე უკვე ყელში აქვთ ამოსული. (...) ამასობაში კი უკვე შეუძლებელი გახდა რამის დამალვა და, მიუხედავად იმისა, რომ მოღწეული ახალი ამბები ერთმანეთის საპირისპირო და გაურკვეველი იყო, რაც ურთიერთგამომრიცხავ რეაქციებს იწვევდა ხალხის მასებში, იმედის ნიშანწყალიც კი არასდროს მოჰყოლია ამ ახალ ამბებს, პირიქით, იმედები უფრო და უფრო მცირდებოდა (და იმ წუთებში არაფერი იყო უფრო განუსაზღვრელი, ვიდრე სიტყვა იმედი და არაფერი უფრო ბნელი, ვიდრე ამ სიტყვის მნიშვნელობა) მანამ, სანამ არ გაცხადდა, რომ აღმოსავლეთის საზღვარიც მორღვეულიყო, რამაც ხალხს უბიძგა, დაეჩქარებინა სვლა ჩრდილოეთის მიმართულებით: საყოველთაო ქაოსში ამგვარ მოძრაობას განსაკუთრებული როლი ეკისრებოდა, ვინაიდან ეს იყო ქმედება განპირობებული სრული სასონარკვეთით, რომელიც ერთდროულად თვითგანადგურებისა და თვითგადარჩენის ტენდენციებს ავლენდა. აკი, ქვეყანაც ყოველი მხრიდან ალყაშემორტყმული იყო, თუმცა მაინც შემორჩენიდა რამდენიმე მიუდგომელი მწვერვალი ჩრდილოეთისაკენ, რაც ხალხში მცირე ხნით სულისმოსათქმელი თავშესაფრის ფსევდოშეგრძებას ბადებდა, მაგრამ, ვინაიდან იქიდან ზღვაზე

გასასვლელი არ ჩანდა, უცაბედად ასფიქ-სიისა და გამოუვალი მდგომარეობის, ხაფუნგში გაპმის, ზღუდეებში მოქცევის, გუდვისა და ხრჩობის შეგრძნებამ ხალხი – ისინიც, ვინც ქალაქებში დარჩენილიყვნენ და ისინიც, ვინც მთებში, ულელტეხილებს შეჰქედლებოდნენ, აიძულა, უჩინრად ეწყოთ ბორიალი საკუთარი თავის გარშემო მანამ, სანამ უცრად ყველა ერთად არ შედგა და ლოდინი არ დაიწყო მსგავსად კაცისა, რომელსაც ძილი არ ეკარება და უძილობის თავდაწერების მცდელობაში, ყველა მიმართულებით წრიალებს ლოგინში, თუმცალა პირიქით გამოსდის – მუდმივად ინვეს ამ უძილობას მისი მარად უკმარი, ტრაგიკულად ამამ ეგზორციზმებით, ვიდრე ქანცგანყვეტილი, აქოშინებული, პირზე დუუშმორეული და ლამის ხავერდის ბასრ სამართებელზე ტვინშემართული, საკუთარი უძლურების დაბურდულ ძაფში გაბმული შედგებოდეს და მაშინ მოდის, ვით გამოცხადება, ის, რაც უფრო ადრე, თავის დროზეც დადგებოდა, მის განმდევნელს ასე გაშმაგებით რომ არ ეცადა, გადაერჩინა სული შუალამის წამებისაგან და სისხლის ბოლო წვეთამდე არ შერკინებოდა მას. (...) და იმ წუთებში არაფერი არსებობდა სხვა, გარდა საზიარო შეგრძნებებისა და ყველა ერთად, ვითარცა ერთსულ, შეიგრძნობდა, რომ ერთადერთი, რაც ახლა მათ სულს სჭირდებოდა, იყო რაღაც იმგვარი, რაც თავს მეხივით დაატყდებოდათ, რაც სახეებზე წარუშლელ დამლად დააჩნდებოდათ. დიახ, ახლა მათ სჭირდებოდათ, რწმენა ეცვალათ, მეტამორფოზა განეცადათ, უარეყოთ მშობლიური ენა და სადღაც – სირცევილსა და სიმდაბლეში ჩაძირულიყვნენ. მათ სჭირდებოდათ, შიშველ-ტიტველნი წარმსდგარიყვნენ სხვათა წინაშე და ჩაედინათ ყველაფერი ის, რაც კი უწინ სამარცხვინოდ მიიჩნეოდა: ღრმად შეესუნთქათ აყროლებულ წინდათა სუნი, ამოქოცათ მშობლები და მათი მშობლები, დაემსხვრიათ, თუკი რამ ჰქონდათ სახსოვარი და გადაეწვათ ყველა მოწმობა, რაღაც კი მათსავ ვინაობას განაცხადებდა. უნდოდათ, ერთად შესწრებოდნენ ყველაზე უფრო შოკისმომგვრელ სანახაობას, რაც კი მომხდარა

სამყაროს დასაბამითგან – ველურ მხეცებად ქცეულიყვნენ და გზა გაეხსნათ მათ სხეულში ჩაბუდებული ფსიქიკური აშლოლობისთვის, რადგანაც ამ ხალხს უკვე არაფრის აღარ წამდა იმ ყველაფრიდან, რაც აქამომდე ცივილური კაცობრიობის მონაპოვრად იწოდებოდა, რადგანაც ამ ხალხს ველარაფერი აღუდგენდა ნდობას და რწმენას რაიმეს მიმართ, რადგანაც ამ ხალხს ახლა მხოლოდ ერთი რამ სურდა – ცით მოვლენილი კატასტროფის, ერთიანი განაფერების თვითმხილველი და მონაწილე რომ გამხდარიყო. ეს კატასტროფა კი მოჰვავდა იმ უკურნებელ ბოროტებას, რომელიც მხოლოდ მაშინ ხდება, ოდეს გრძელი, გამოუთემელი ავადობის შემდეგ სხეულს დაეუფლება სიკვდილის ღრმა და ორარსიანი წინათგრძნობა, მთელი ეს ხანი, სწორი ერთად რომ იღვწოდა დიერგასის იდუმალებით; წინათგრძნობა მოკვდინებისა, შიგნიდან რომ არყევს მთელ ხორცს უცარი ბიძგების ძალით და ერთიანად შლის, ნანგრევებად აქცევს მას ისე, რომ ცალკეული ამ ნანგრევთაგან თავისთავად არაფერს ნიშნავს, თუმცა კი ხორცის მლვრიე წყალთაგან მხოლოდ ამ გზით თუ ამოსვენდება მზე იგი ბნელი, ნათელი იგი ცხოველმყოფელი, არსი იგი იდუმალი, შუენებას იგი ურყვნელი, ოდენ ამგვარ კატასტროფათა ჟამს, რომელიც აღმოხდების მხოლოდ ერთი დანიშნულებით – რათა თავისი წვლილი გაიღოს იმ სრულყოფილი და საყრდენი წყების დაშლაში, სამუდამოდ რაც ჩაჰპარებია შთანმთემელი სარკის დამაბრმავებელ კაშკაშს, რომელსაც ვერანაირი დანაორთქლი ველარა სწვდება, მაგრამ მუდმივად, ყველა კუთხიდან ემიზნება ჩვენსავ ცხოვრებას, უდაბნოსა შინა მყოფთა სანუგეშო თვითმოტყუების აურაცხელ ბრნყინვალებად რომ გარდატეხოს...

და მიუხედავად იმისა, რომ მათი სულები სრულ უძრაობას აეტანა, სწორედ ისინი ქცეულიყვნენ თავშესაფრად ყველაზე უფრო კონტრასტული შეგრძნებებისთვის და მათ სულებში გაისმოდა: „ყოვლად წყვდიად სამყარო, შენ მოგიტყან ხატ-სალო-ცავნი, ყოვლად მიწაო, შენ წყალ-ხმელეთს ერთად შევეცი, ყოვლად დედაო დედამი-

წავ, შენ დედას შევცემ...“ და მათ სულებში გაისმოდა: „ყოვლად წმინდაო სამებაო, ერთარსებაო, მიხსენ მე ვნებათაგან და ცდუნებათაგან ყოველთა და განმანათლე ღვთაებრივითა ნათლითა შენითა“. ეს სინთეზი კი მათ ისედაც შეშლილ სახეებს მიმიკათა ქაოსში ხვევდა, ყველა ბოროტ და კეთილ შეგრძნებას თანადროულად აბეჭდავდა, რაც მათ მომზირალს უცილობლად ათქმევინებდა, რომ ამ ქვეყნის უსაშელობა ყველა მისი მაცხოვრებლის სულში ბუდობდა და რომ ამ ქვეყნის ბინადართა სულები სხვა არა იყო რა, თუ არ ქვეყნის უსაშვე-



ლობა. იმ დროს კი უკვე საბოლოოდ მომხდარიყო ისტორიის ერთი ციკლიდან მეორეზე გადანაცვლება. (...) და, როგორც ვინმე სულიერი, სისხლს რომ აფურთხებს და იტანჯება, გონზე მოსვლისას იხვენება, მიაშველონ რამე ძლიერი ამ წამების დასავინყებლად, რომ ველარ იგრძნოს ტკივილები ან დაეხმარონ, რაც შეიძლება სწრაფად გასრულდეს მისი ტანჯვა, რადგანაც ამას აღარ ჰქვია უკვე სიცოცხლე, ზუსტად ასე – მთელი ქვეყანა გრძნობდა, რომ უნდა შეჭრილიყო მასში უცხო, ველური ჯარი, მძლავრი პენისის ინერციით შეღწეულიყო,

როგორც ის ძალა, რომელსაც შესწევს უნარი, რომ დაიხსნას იგი იმ კოშმარისგან, საკუთარივე თავისათვის თვით რომ ქცეულა. ამგვარი შეჭრა იქნებოდა იმ შვების მსგავსი, რომელიც მოსდევს ტკიფილისაგან დაკრუნჩეული სხეულის კვეთას, იმ სხეულისა, რომლის ჭარბი სეკრეციების და სისხლდენათა უშლელი კვალი ჯერაც ლაქებად დაჩნევია სუდარადქცეულ, დახეულ ზენარს. სურდა, მიეღო უცხო ჯარი, ვით დაცხრობა ნიმფომანებს და მისტიკოსებს, რომელიც მაშინ ეწვევათ ხოლმე, ოდეს წუთიერ ორგაზმისას აპსოლუტური და ბრმა ვნების ქამრის მოშვება ამოასუნთქებთ, თუმცა კი გვერდით ეგულებათ კაცი თუ ლერთი – მუდამ მზადმყოფი იმისთვის, რომ მსგავსი შოკური კრიზისის შემდეგ კვლავ შესთავაზოს უკიდეგანო ძალა თვისი, რომელიც მხოლოდ სასიკვდილო არყოფნას თუ შედარება. ვისაც კი საკუთარი თვალით არ უნახავს, უხილავი ხელით მოცელილი ადამიანები თუ ვით იხოცებიან პირდაპირ ქუჩებში, ვერ შეძლებს გაიგოს, რა არის, რას ნიშნავს ქვეყნის სიკვდილი, ისევე, როგორც ამას ვერ მიხვდება ის, ვისაც ემოციის შინაგანი ცეცხლისაგან ძირფესვიანად მოთხრილ-მოწყვეტილი, საყოველთაოდ განთქმული, მამოძრავებელი ძალით არ შეუგრძნია უმოქმედო, არარსებული, დამცირებული, არასასურველი, უმატერიო და კაცისგან მიუკარები საკუთარივე სხეული, თუმცა კი პირდაპირ შეეჩებო სიკვდილის ისეთ ფართო ფორმას, როგორიცაა ერის ერთობა, იგივეა, მთელი სიცოცხლე ამოწურო, ოლონდ დღის სიცოცხლე, რადგანაც სხვა სიცოცხლე, რომელიც უბინოდ და მიუკარებლად იწყება ღამის განუხრინელი საშოდან, სხვა არა არის რა, თუ არა განუსრულებელი, ღრმა სიკვდილი – ის, რაც მოჰვავს მშვენიერი ჭაბუკის ბრნყინვას, ოდეს მის სხეულს შეეყრება ვნება, რომელიც ვერცერთი კაცის გულს ვერ დატოვებს აუტოკებლად. ვნება, რომელიც მზირალს უბიძგებს უგუნური ქმედებებისა თუ ეროვნული მახეების, ჩარჩოების მოშლისა და რაღაც ამგვარი გოდებისაკენ: „პოვ, სამრეკლო იქროსაო, პოვ, ქალაქო თორმეტბინო, შენ, ტახტრევანო მზისაო, სას-

წაულო შეუცნობელო, პოვ, ნათელო უქრობელო“, რასაც მზირალი იმ ექსტაზის მოსათოებად მიმართავს ხოლმე, რომელსაც ოდენ მამაკაცური მშვენიერება, თავბრუდამხვევი ბრნყინვალება, ვითარ ტაკუკი სავსე მანანათა განაპირობებს მთელი თავისი საყოველთაო ძალაუფლებით და ისტორიით. (...) მოშლილი საზღვრებიდან დეზერტირობის არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა, არაერთი მხდალი თუ უბრალოდ „მშიშარა“ გამოვლინდა, რომელნიც მტკიცედ იდგნენ აზრზე, რომ საკუთარი სისხლის ერთი წვეთი და სიცოცხლის ერთი წამიც კი არ უნდა გაეღოთ სამშობლოსათვის, რომელსაც წინიდან და უკიდან ხმარობდნენ. სწორედ მაშინ იყო, რომ საყოველთაო ლოზუნგად ქცეულა ეს სიტყვები: „სამშობლოს გაცემა საქმეა საგმირო, ამბორცუოთ სამშობლოს და ამით განვგმოროთ“. ამადაც პირველი დაეჭვების, გაფიცვისა და ამბობის შემდეგ მშვიდობიანი მოსახლეობის მხრიდან, რომელიც გულის სიღრმეში ენით გამოუთქმელ ნეტარებას განიცდიდა ამ ზნეობრივი დაცემის გამო, ეს ყველაფერი ხუმრობაში გადავიდა, რაც ათასობით უწმანური ანეკდოტის შექმნის წინაპირობად იქცა. ეს ანეკდოტები კი მთელ ისტორიასა და თოთხმეტი თაობის დაფინისვირგვინოსან პროტაგონისტებს გადასწვდა და სინამდვილის ენამოსწრებულად და შეშველად ასახვის გამო, თავშეუკავებელ სიცილ-ხარხარს იწვევდა მსმენელებში. სინამდვილეში კი, სწორედ ამ დროს მოხდა ისტორიის ერთი ციკლიდან მეორეზე გადანაცვლება, საბოლოოდ და დამაჯერებლად. სულ სიცილ-კისკისში. ამიტომაც ალარავის გაპეკვირვებია ცნობა, რომ სადაცაა დარჩენილი ორი საზღვარიც მოიშლებოდა და ცხადია, ყოველი მხრიდან მოაწყდებოდნენ დეზერტირები, აყროლებული, ჩამოძონილი, გაბანჯველული, კვირებით გაუპარსავი, დამშეული, გაველურებული, ნაომარი ცხოვრების წურბელისგან სისხლგამოცლილი და მოისაგან ჩანიხლული პარტიზანები, რომლებიც საკუთარ ქმედებებს ყოველგვარი დაფარვის გარეშე, სიტყვასიტყვით, ზედმიწევნით განაცხადებდნენ, გმირის იერით მოყვებოდნენ მებრ-

ძოლების სხვადასხვაგვარ თავგადასავლებს „ასი პროცენტით მართალ“, როგორც თავად ამბობდნენ, ჩასვრისა თუ საძაგლობათა შესახებ და „აი, ფეხებით ჩამოსაკიდი“ იმ არაერთი ოფიცრის ამბავსაც, ყველაფერზე რომ ხელს იღებდნენ და ერთ მშვენიერ ღამეს ჩუმად ითესებოდნენ თავქუდმოგლეჯით – „ვინ აბჯრისა და ვინ პერანგის“ (რაღა თქმა უნდა, ზოგიც ტურფა ჯარისკაცის) ამარა, თუმც უფრო მეტი ჰქონდათ სათქმელი იმ ფსიქიკურ აშლილობაზე, რომელიც უკვე კარგა ხანია მძვინვარებდა უკლებლივ ყველა ეშელობში, ბევრს მოყვებოდნენ ღამლამობით თუ დღისით- მზისით ჩადენილი მკვლელობების შესახებაც. სულ ერთი თევზი სალაფავის ანდა მეზობელ სოფლებში მცხოვრებ ახტაჯანა ტურფების გამო რომ ხდებოდა, გეგონება, რამედ ლირდნენ ის ჩერჩეტები, ჯარისკაცებს შორის განხეთქილებისა და მეტოქეობის საგნად რომ ქცეულიყვნენ და, სურვილის მოსაკლავად, ხან ერთან დაძრებოდნენ, ხან მეორესთან („რა მათი ბრალია, თუკი უძღები მუტელი აქვთო“, – ამართლებდნენ ზოგიერთები). მაშინ, როდესაც ყოველ ჯარისკაცს ის უნდოდა, რომ მარტო მისი ყოფილიყო რომელიმე ამგვარი ტურფა, რათა მუდმივ, პირად ბოზად გამოდგომოდა და მასთან ერთად ეტარებინა დრო, ვინაიდან მაშინ ეს იყო ჯარისკაცთა ერთადერთი თავშესაქცევი (მიუხედავად იმისა, რომ უკლებლივ ყველა, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ სირს უფრთხილდებოდა, რომელსაც ისე უცნაური, ანაქრონული მოწინებით ეპყრობდნენ, რომ იფიქრებდი, აქაც ჩანსო ჯარისკაცური წესრიგის კვალი, ავხორცულ სიამეთაგან მაინც არასდროს მიუციათ პირველობა ჩუკენიბისთვის, ძალიან ხშირად დივიზიურ როკვაში რომ გადადიოდა, რომლის ფერხულშიც ერთად თრთოდა და ცახცახებდა ათასობით მიუსაფარი სხეული – იქნებოდა ეს საპნის ქვეშ თუ ზეზეულად, რომელიმე ხის უკან ანდა საგუშაგოზე, იმგვარი კვნესის თანხლებით, რომ მათთან ერთად თავად ბუნებაც იწყებდა ცახცახს და ამგვარად აბითურებდა თანაყოფას აღგზნებული სხეულებისა, თუმც კი, იმავ დროს, კიდევ ერთხელ ადასტუ-

რებდა თავად სიკვდილის სამეფოში სპერ-მათნთხევის დიდებულებას) და სულიერი საზრდო მათთვის იყო ტყინაური, რათა ვერ ეგრძნოთ გამთანგველი სამხედროობის უსასრულოდ განელილი, გრძელი თვეები, უკვე წლებად რომ ქცეულიყო და ვაკუუმში ირწეოდა. ეს ვაკუუმი გვხვდება მხოლოდ მკვდარ სხეულებში, რომელიც ზოგჯერ ამაზრზენ ხრნნილად ამოსკდება ხოლმე კანის ზედაპირზე, საფლავსა შინა (რადგან სამეფო სიკვდილისა არს ჩაძირული, მოკამაშე და ბნელი ხომალდი, ნყლის ვერცხლის ზოლქვეშ, ათასობით საუენზე, ქვემოთ რომ გვინახავს მის მუცელში გამომწყვდეულებს და აუტანელ, უსაშველო ტკივილის უამს გვიბოძებს უნარს – დავსახოთ რაღაც მსგავსებები, რომელიც წმინდად სიმბოლური მათი არსებით ამოასუნთქებს ხოლმე სისხლს მისი გაშმაგებული წვეთვი-საგან უდაბნოდ ქცეულ ჩვენს შიშველ ძვლებზე. და მათთვის მაინც, ვინც შეგნებით მიიღებს ტყუილს და მატერიის მიმზიდველობას, განა რა არის სამოთხე, თუ არ სულის ესრეთ საწადელი, თითქმის შეუძლო გადანაცვლება ენობრივი აფაზიიდან სიტყვების მფეთქავ, მინისმიერ, განუპობელ და გამოუჩიორენავ სამეფოში, ნათელ-სა შინა. უკვდავება არის სიტყვები. სასუფეველი ცათა არს სული – მოსაუბრე აულაგმავად). (...) მრავალი ტომი დასჭირდებოდა, სამხედროთა ყველა სიზმარი თუ მოლანდება რომ დაეტია, რომელთა გამოც, კრიზისულ კრუნჩხვას თავდალწეული ჯარისკაცები ჩამოსხდებოდნენ და ერთმანეთს უამბობდნენ, რა დაითმინეს, რას გაუძლეს, აღვსებული შმაგი წადილით – სხვისი სულისთვის გადაესხათ ის, რაც მათ სულებს ამძიმებდა, თუმცადა არსებობდა სიზმრებისა და მოჩვენებების რაღაც ერთობა, ყველაზე ხშირი მაინც იყო ის შემთხვევა, ოდეს უეცრად რომელიმე ჯარისკაცი იგრძნობდა, თუ ვით მიცოცავდა მისი ქამარი წელიდან ზემოთ, ყელს აღწევდა და ისე ძლიერ ეჭირებოდა, რომ ზოგი ლამის მართლა დაიხრჩო, იდგნენ სრულიად ფხიზელნი და ცხოველურად ლრიალებდნენ, მიწას განრთხმული იკრუნჩხებოდნენ, როგორც ამბობდნენ, „სანამ, თვით შავი კატა

ზედ არ გადაურბენდათ“. ვიღაცები მოწევის დროს დაინახავდნენ, რომ მათი ხელი რაღაც უმართავ მოძრაობით იწეოდა ზემოთ, სულ ზემოთ, თითქო ხთონური ძალა მართავსო, მერე კი უცეპი, საბედისნერო ბოროტების სიმტკიცით, სახეს ეახლებოდა და ანთებულ სიგარეტებს პირდაპირ მათ თვალში აქრობდა და უყურებდნენ: ქვები, ძელები თუ კარვები, საძილე ტომრები და ყელიანი ფეხსაცმელები, ჩაფეხუტები, მათარები, ფურგონები, იარაღი, რადიომიმღებები, ფანრები, სამართებლები, ქვაბები, ნიჩბები, საბეჭდი მანქანები უეცრად როგორ იქცეოდნენ ხოლმე მშვიდ ცხოველებად, თუმც მტაცებლებად, ყოველ წუთს რომ მზად არიან, თავს დაესხან და გამოფატრონ ყველა, ვინაც კი შინაგანად იგრძნობს მათგან მომავალ საფრთხეს, ამ საფრთხეს კი მთელი ჯარი გრძნობდა იმხანად. ხედავდნენ, როგორ მედიდურად დააბიჯებდნენ ღვთაებრივი ცხენები ირგვლივ, სადაფითა და ხშირ-ხშირი მარგალიტით, ფირუზებითა თუ ძვირფასი თვლებით მორთულ აღკაზმულობით, დაუვლიდნენ ღამდამობით საგუმბაგოებს და შიშს თესავდნენ გუშაგებს შორის, იძულებული რომ ხდებოდნენ, ცეცხლი გაეხსნათ სწორედ იქით, სადაც მშვიდად მიწოლილიყვნენ ჯარისკაცები, მარადიული ძილიდან რომ ან ვეღარასდროს დააღნევდნენ თავს და ამდენად, ბევრი დაადგა საიქიოს გზას. ბევრი სამხედრო შიშით და ძრწოლით ელოდა ღამეს, რადგანაც ღამის წყვდიადში, მათი თავების ქალათა ძვლებს მიღმა, უცეპ იყალყებოდა მუნჯი ტალღა და გრძნობდნენ, თუ ვით ემხობოდა მთელი ცა მათში, გალაქტიკებად იშლებოდა მათ თავებში და ცარიელ სივრცეებად იწყებდა ფეთქეას, რომლის სიჩუმეც, ყურთასმენის წამლები, ყველას აბოდებდა, აყვირებდა და ლოგინებში შეპყრობილივით აძაგდაგებდა. (...) ჯარისკაცთა მთელი თაობები ემსხვერპლა ერთსა და იმავე სიზმრებს, რომლებიც მოდიოდნენ და მოდიოდნენ იმ უსასოო სიჯიუტით, შეყვარებულ გულს რომ მოიცავს, ოდეს სურს ტრფობით განაწყოს ის, მეორე გული, აქამომდე რაც ვერ დაიპყრო და ნახავდით, ჯერ უწვერული ჯარისკაცები როგორ ყვე-

ბოდნენ ზუსტად იმ სიზმრებს, უთვალავი წლის წინ და ახლაც რომ ხედავდნენ სიბერისგან დადალული, ასწლოვანი ჯარისკაცები, რომლებსაც ტანზე შემოღნობოდათ სამხედრო ფორმა და თავადაც ამ სამოსში ჩამომდნარიყვნენ. ხედავდნენ სიზმრად, რომ გარბოდნენ და მათ მოსდევდა მთელი სოფელი, გარბოდნენ, რომ სამალავი რამე ეპოვნათ, გარბოდნენ და სდევდათ მთელი სოფელი უკან. ჰა, სადაცაა მიეწეოდნენ, ძლივდლივობით დაუსხლტებოდნენ, ისევ გარბოდნენ ისე, თითქოს ვერ გარბოდნენ, სულ გარბოდნენ და ვერ გარბოდნენ, სულ ეწეოდნენ და სულ გარბოდნენ და სადლაც, მკერძმი, უფეთქავდათ ზეშმაგი ძრწოლა და უეცრად, რაღაც ტრიუკით, რომელიც მხოლოდ კოშმარში თუ ხდება ხოლმე, თანასოფლელნი მიეწეოდნენ, თავს დაესხმოდნენ და გლეჯდნენ, გლეჯდნენ, მათ ნაგლეჯებს სათითაოდ დაიტაცებდნენ, ძვლებს მიუყრიდნენ ცოფიან ძალლებს და ახლა უკვე ხედავდნენ ძალლებს, მათი ძვლები რომ გაეჩარათ პირებში ავად და ამ ძალლების ძვლებით საცხე, საზარელი, დიდი ხახები იქცეოდა მათი ძილის ციებად, შფოთვად, ერთიანი კანკალის საგნად, რომელიც მერე უძილობად ედებოდა მათ დაღლილ სხეულს და შეგრძნება, რომ საკუთარ ძვლებს საკუთარივე კბილებით ღრღნიდნენ, მათ არ ტროვებდათ. ან ის მეორე სიზმარი: თითქოს, საკლასო ოთახში ისხდნენ, გაკვეთილს ხსნიდა ისტორიის მასწავლებელი, რომელიც იჯდა და ფეხებშორის მოექცია ვება დანა, ფანჯარაზე კი ფარდასავით კონწიალობდა ჩამომხრჩვალი მოსწავლის გვამი, რომელსაც ყველა ადგილიდან, თვით ფეხსაცმლის ლანჩიდანაც კი სპერმა სდიოდა. მერე უეცრად იხსნებოდა ოთახის კარი და მთასავით უზარმაზარი ქალი კლასში შემოდიოდა, იატაკამდე სწვდებოდა და დამპალ ფიცრებზე ეთრეოდა ქალს ძუძუები, მიდიოდა მოსწავლეებთან, სათითაოდ ჩამოუვლიდა და ვნებიანად აკოცებდა შიგ ტუჩებში, შმაგად ლოშნიდა, მერე პროთეზით მოაჭამდა ენის ნაწილს და იატაკზე დააფურთხებდა, პირიდან სისხლს კი წელს მოხვეული დროშით იწმენდდა და ასე, როცა კოცნაობას მოამთავრებდა, მას-

წავლებელს მიადგებოდა, აი, მაშინ კი გო-გირდოვანი უხდებოდა სახე, სხეული გა-ვარვარებულ რეინასავით, ლეშივით ყარდა, დასწვდებოდა მასწავლებლის ფეხებშორის მოქცეულ დანას, დააჩოქებდა მოძღვარს და თავს დანით აჭრიდა, თმებით დათრეულ მასწავლებლის თავს მერე ზემოთ, ისე მაღლა აწევდა, რომ ინგრეოდა ოთახის ჭერი, ისე მჭახედ ელვარებდნენ მოკვეთილი თა-ვის თვალები, მზერას მოჭრიდნენ მაყურე-ბელს და ამის შემდეგ, მოკიდებდა ქალი ხელს და მოკვეთილ თავს პირში ითხრიდა, გაუსაძლისი ცოხნა-ცოხნით იწყებდა ღეჭ-ვას და ღეჭავდა და ღეჭავდა და კვლავ ღე-ჭავდა.... (...) ბევრი გაგიუდა, ბევრი კი უკურნებელმა მარაზმმა მოიცვა, რის გა-მოც დაცემული სულებივით დაფორთხავ-დნენ დაჟანგებულ ტანკებსა და კარვებს შორის და ხელთ არარსებული ყუმბარები ეპყრათ. სუიციდის მცდელობები უფრო და უფრო მატულობდა, ყველას აებნა სათვა-ლავი, მათ რიცხვს უკვე ვეღარავინ იხსო-მებდა. ყველა დიდსა თუ პატარა ბანაკს გვერდით გაუჩნდა სასაფლაო – უზარმაზა-რი ორმო, რომელშიც დროგამოშვებით სულ ახალ-ახალ გვამებს ყრიდნენ, მერე ერთ-ორ ნიჩაბ მიწასაც მიაყრიდნენ მხო-ლოდ და მხოლოდ სვავების გამო, რადგა-ნაც მათი იმ პირობებში უკვე ცოცხლებსაც კი ეშინოდათ, ანუ ჯერ კიდევ უფორმო მკვდრებს, რომლებსაც მხოლოდ სიკვდილი თუ მიანიჭებს ერთადერთ ფორმას – უც-ვლელს და მტკიცეს. (...) უმრავლესობას დაავიწყდა, თუ რანი იყვნენ მანამ, სანამ სამხედროებად იქცეოდნენ. ქვეყანა კი, მტრის ალყის გარდა, გარშემორტყმული იყო თავის ჯარისკაცთა ფსიქიური აშლი-ლობების უმატერიო, თუმც ურღვევი ქსო-ვილის ალყით, გარს ერტყა გულის წას-ვლამდე ნაცემ სულთა ხსნადი ხილვები, თაობიდან თაობას რომ მემკვიდრეობით ერგებოდა. (...) მაშინ სიტყვები საბოლოოდ გათავისუფლდნენ პოლიტიკურ და სამხედ-რო პირთა მორჩილებისგან, რომლებმაც უკვე აღარ იცოდნენ, რით შეენიღბათ ის სინამდვილე, უპირველესად, თავად მათ რომ აგიუებდა და მათ ულმობელ, ქვის გუ-ლებში ქვემძრომ შიშს თესდა უსაზღვროე-

ბის, მარტოობის და სიკვდილის მიმართ. უცებ იფეთქა პრემიერის და მინისტრების ეპიდემიამ, რომლებიც ძილსაც ვერ ბედავ-დნენ, თუ მათ ლაქიებს მათი ხელი ხელში არ ედოთ და მინისტრთა კაბინეტის შეკრე-



ბების დროს, შიშით იფსამდნენ, რადგან ხე-დავდნენ მათ წინ, ოვალურ მაგიდაზე დას-ვენებულ საკუთარ გვამებს, გაცამტვერე-ბის შეუნილბავი სიშიშვლე რომ ემოსათ მხოლოდ და ხრწნის შორს წასულ სტადიაში იმყოფებოდნენ. თავი იჩინა უმაღლესი ეშე-ლონების სამხედრო პირთა ეპიდემიამ, რო-მელნიც მარტო ბნელ ოთახშიც კი ვეღარ რჩებოდნენ და განუწყვეტლივ საუბრობდ-ნენ იმ დაშლადი მტვრის თაობაზე, რომლა-დაც თავად იქცევიან, რათა შეერწყან „უშ-რეტელი ამაოების მარადისობას“. (...)

.....  
(...) და იმ წელს, როცა ვერ დაფეხმდიმ-და ვერც ერთი ქალი, მათი კაცები ქუჩებს წყვილ-წყვილად ედებოდნენ, ყავახანებში დაძვრებოდნენ და შიგ სახეში აფურთხებ-დნენ ერთიმეორეს ისე, თითქოს საკუთარ-სავე თავს აფურთხებდნენ, მერე, ერთმა-ნეთს გადაფსკვნილნი, კარგად გამომთბარ საშრობებსა და ბნელ სარდაფებს მიაშუ-რებდნენ და სიყვარულის უინს იქ იცხრობ-დნენ, სადაც ვერაფრით მიაგნებდნენ მათ ძებნაში დაქანცული ქალები, ვისაც შიგ სა-

შოებში ჩასობოდათ უნაყოფობის პანდემია და გიჟებივით დაექცებდნენ საკუთარ კაცებს ბარებსა თუ ბორდელებში. ეს უშედეგო ძიება კი ქალებს მეტად ალამაზებდა, მშვენებასა და ვნებას პმატებდა და მათ ქმედებებს განბილების თვალისმომქრელ საბურველში ხვევდა, რომელიც მხილველის გულსა და გონებას დაეჭდებოდა და აღარაფრით შორდებოდა. ამ უშედეგო ძიებისას მიხვდნენ ქალები, რომ სამყაროში არსებობს ბევრი განბილება, თუმც კი მხოლოდ ერთია მათგან – საუკუნებს რომ ეკუთხის და აი, სწორედ იმ წელიწადს ყველაზე მეტ შეთქმულებას ჰქონდა ადგილი ქვეყნის უმაღლეს ექველინებში. პარლამენტართა ფარა ცხვრებივით იყიდებოდა – ცხვირაბზეკილი დეპუტატები პარტიიდან პარტიაში გადადიოდნენ მხოლოდ იმისთვის, რათა დაეცხროთ საკუთარი თუ საოჯახო ამბიციები (ამბობენ, ერთი მინისტრობაზე მარტო იმიტომ დათანხმდაო, რომ მომაკვდავი დედისათვის ბოლო ოცნება აეხდინა, რადგან ქალს თურმე სამარეში მიჰყებოდა გულისტყვივილი იმის გამო, რომ მისი შეილი ერთ უბრალო დეპუტატად დაბერდებოდა). ფანატიკოსმა, პატრიოტმა შოვინისტებმა მთელი ქვეყნის საგანძური უცხოეთში გაიტანეს – ცხადია, იმ ერთმანეთის მსგავს რეჟიმთა ხელშეწყობით, რომლებსაც ზოგი ფულით, ზოგიც ნაცნობობით ინარჩუნებდა (...) და მმართველობაც გადადიოდა ერთი ხელიდან მეორეში – თანმიმდევრულ ჩავარდნათა, დანაშაულთა და უთვალავი, სხვადასხვა სახის უუნარობის სწრაფი ტემპით, რაც ყოველგვარი გონებრივი დამბლის საზღვრებს სცდებოდა. უკვე გარდაცვლილ, პოლიტიკურ წინამდლოლთა შეშლილ მიმდევრებს საფლავებიდან ამოჰყავდათ თავიანთი ბელადები, ხელში ატატებული ტალახიანი კუბოებით დაარბენინებდნენ მათ გვამებს და ექსტრემისტული ლოზუნებით მოითხოვდნენ მათ დაბრუნებას ქვეყნის აქტიურ პოლიტიკაში, რადგანაც სწამდათ და ამტკიცებდნენ, რომ მხოლოდ მათ შესწევდათ ძალა, დაეხსნათ ერი ძირფესვიანი გაქრობისაგან. (...) შეპყრობილი მწიგნობარი ბრძნული იქრით გამოდგებოდნენ აივნებზე და მოუწოდებ-

დნენ დაბნეულ მასებს – უარი ეთქვათ ცხოვრებაზე, მხოლოდ ფესვებით ესაზრდოვათ, ამპუტირებულ ქანდაკებებს შეჯვარებოდნენ და გამრავლების მარტო ეს ერთი გზა აერჩიათ. ეს ყველაფერი კი გრძნობიერ-იდეური ფსიქოზის იმავ ხარისხს აღწევდა, რომლითაც მავანი ცდილობნენ, ჩარეულიყვნენ და ძირიანად შეეცვალათ მწარეზე მწარე რეალობა, ამისათვის კი ქმნიდნენ მთელ რიგ პოლიტიკურ პროგრამებსა თუ საარჩევნო დაპირებებს და ზეციური ქვეყნის მომავალს განსაზღვრავდნენ – ეს შემთხვევები შემდეგ „დოგმათა სიურრეალიზმად“ მოინათლა, რაც უსასტიკეს, განზრას ჩადენილ დანაშაულად ითვლება დღემდე. (...) მკვლელობის შემთხვევებმა წარმოუდგენელ სიხშირესა და სიველურეს მიაღწია: სულ ერთ ღამეში სამუდამოდ იყარგებოდა ხალხი, რომელთა შესახებაც ერთი სიტყვაც კი აღარ თქმულა აღარასოდეს; ქალაქების მიმდებარე სასაფლაოებს დაემატა საზიარო საფლავები, რომლებშიც ერთად განისვენებდა მათი გვამები, პარტიზანული სიბრმავის წუთებს ვინც შეეწირა. ყველა კუთხეში ჩამდგარიყვნენ თვითშექმნილი, აღმასრულებელი ბრიგადები, რომლის წევრებიც ხან ეთნიკური თვითმყოფადობის, ხანაც მინა-წყლის მთლიანობის დასაცავად თუ ეროვნული აღმავლობის სახელით ტყვიებს განუკითხავად ისროდნენ ყველა მიმართულებით, (...) და ამგვარად, პ. კარაიანისმა მოკლა ხ. კარაიანისი, ვასილიადისმა მოკლა ნიკოლაიდისი, ანდრიკოპულოსმა მოკლა სოლომონიდისი და ძმანი მისნი, დროსოსმა მოკლა კელისი, ფერენდინოსმა მოკლა გუმასი, ზიკიდისმა მოკლა სმირნეოლლუ და ძენი მისნი, ხაძიპროდრომუ პირველმან მოკლა ხაძიპროდრომუ მეორეს, კოსტოპულოსმა მოკლა დელიპერუ, პალულატოსმა მოკლა ფოტიადისი, გელეკასი და დიმიტრიუ, ვლასოპულოსმა მოკლა აპოსტოლოპულოსი, კონსტანტინიდისმა მოკლა მატთეოსი და ძმანი მისნი, ნოტარას ერთმან მოკლა ნოტარას მეორეს და ნოტარას მესამეს... და ასე დაიწყო მედიუმთა ყველაზე უფრო ავმისნობათა აღსრულება. ბიბლიოთეკის თაროებიდან ერთიანად გაქრა პლატონის დი-

ალოგები, (...) ვეღარც ერთი კომპოზიცია აუღერებდა ვიოლინოს ხმას, ვეღარც ერთი პროექტორი სინათლეს ვეღარ აშუქებდა, (...) რომანებიდან გადარჩა მხოლოდ დიალოგები, თეატრალური პიესებიდან კი – სასცენო მითოებები, (...) ექიმთა მიერ დადგენილი დიაგნოზები სულ ცრუვდებოდა, (...) სამარხები ფრინველების გუნდები-ვით აღიმართა ცაში და ფოსფორული ნათებით იწყო ჰაერში რწევა, ხალხი მთელი დღე შეშლილივით დარბოდა გარეთ და იცინოდა და უკლებლივ ყველა შენობას თავს ტკივილის და გაუცემელი სიყვარულის მარადიული ნათელი ედგა. ეს ნათელი კი მთელ პეიზაჟს სძენდა იერს იმ შესუთული ქალწულისა, რომელსაც სურს, რომ გა-დალახოს ქალწულობის ზღვარი, თუმცალა მამრთან შეხების შიშის გამო, უკონტროლო სასონარკვეთის და სიბრაზის ბიძები არყევს შიგ საშოში ჩა-სობილი რკინის ბერკეტით, ლრია-ლებს „ღმერთო, ო, ღმერთო, ღმერთო“, კაკაბივით მიუქცევია თავი ზეცისკენ და სიცოცხლის ორ-სავ კიდეს სურნე-



ლოვანი სისხლის მჩეული შადრევანში აერთიანებს, რადგანაც უკვე იმდენი რამ დაგროვილიყო კაცთა გულებში, იმდენი, რომ მათ გულებს აღარ შესწევდათ ძალა, ეს ყოველივე აეტანათ. მტრის ჯარის შესვლამ დააჩქარა, საბოლოოდ მომზდარიყო ის, რასაც წინა საუკუნენი ამზადებდნენ – გააცოცხლა ის იმდები, უთვალავჯერ რომ გააცრუეს ადგილობრივმა მმართველებმა. და მოინია აღსასრული უამისაჟ. მტრის ჯარების ქვეყნის სიღრმეში შეღწევის კვალად, ისტორიული ძერები მოხდა, რის შედეგადაც, მრავალსაუკუნოვანი უგულებელყოფის შემდეგ, აღდგა წარმოსახვის მტკიცე და მრავალსახა იმპერია, რომელიც მთელი ძალაუფლებით აღზევდა ყველა სა-

ფეხურზე და საზეიმოდ გამოაცხადა კიდევ ერთი, ახალი ციკლის დასაწყისი. (...) კანონები გაპათილდა თვითლიკვიდაციის გზით. ტრადიციები შეიცვალა, ძველ ჩვეულებებს ჩაენაცვლა მათი სრულიად საპირისპირო ჩვეულებები. (...) ზუსტად ერთ წუთში ასრულდა მთელი თაობების აუხდენელი ოცნება, ანუ ცნობიერი, მრავალსახა შიზოფრენის ათასნლეულში გადანაცვლება (რაჯთა აღესრულოს სიტყუას იგი უფლისაჟ, თქმული წინასწარმეტყუელისა მიერ: აჟა, ესე იქმნეს ჯანი მყოფადისა, რომელ არს თარგმანებით, რომ განქრა საუკუნოდ ერთგანზომილებიანი ადამიანი). (...) გაბატონდა მელანქოლიკთა სამართალი. კანონს ადგენდნენ მდუმარენი და მარტოსულნი. რე-

ლიგიური მოწინებით ისმენდნენ ახლა იმათ აზრებს, ვინაც უწინ ანომალურთა კატეგორიას ამშვენებდნენ. (...) ინსტინქტების გადახრებიც ახლებურად განისაზღვრა და აღარავინდასცინოდა საუკუნოვან, ძველ გადახრებს, რომლებიც ახლა სახელმწიფო, სამინაო და საგარეო პოლიტიკის

ქვაკუთხედად გამოაცხადეს. (...) დაკანონდა დანაშაული და იგი იქცა მთავარ ღერძად, რომლის გარშემოც ეწყობოდა უკლებლივ ყველა დიდი, საჯარო ღონისძიება. (...) ერთიანად იფეთქა შმაგი სიყვარულის გამოვლინებამ, დადასტურდა დაუფარავ, თავბრუდამხვევ, ეროტიკულ აღსარებათა შემთხვევები. (...) ყველა მოკვდავმა საკუთარი თავი წმინდანად შერაცხა და ამგვარად იწყეს ურთიერთის თაყვანისცემა. სიტყვებს მიეცა უპრეცედენტო ძალა ისე, რომ ყოველ მათგანს შეიძლებოდა საბოლოოდ დაეწვა ენა. (...) ეკლესიის განკარგულებით, უმკაცრესი სანქციები გატარდებოდა იმ კაცების და ქალების მიმართ, ვინც საჯაროდ ვერ გამოხატავდა საპირისპირო

სქესას, რომელსაც უკლებლივ ყველა კაცობრივი არსი შეიცავს, რა აც ღმრთისა და ბუნებისგან არს ჩანერგილი ყოველ წევნები და განაცხადებს საიდუმლოს ადამიანის ორსქესოვანი ბუნებისა. ასე გაივსო ქუჩები ქალის სამოსელში გამოწყობილი მამაკაცებით, რომლებსაც გულით სწამდათ მათში ჩანერგილი, ღვთიური ძლვენის არსებობისა, რომლებიც ვნების და თავისუდამხვევ აღგზნებათა მიმღებ-გამცემნი ხდებოდნენ, ხოლო ქალები კი, საბოლოოდ რომ გაქრობოდათ კაცის სურვილი, ფსიქიკური ორსულობის აღფრთოვანებას მისცემოდნენ და სხვა ქალებზე გულშევარდნილი ყველგან, შუა წირვაზეც კი, ტრფობის მორებში იძირებოდნენ. საეკლესიო ლიტურგიებს აღასრულებდნენ გაპარსული მღვდლები, რომლებსაც, ობობის ქსელის მანტიაში გამოხვეულებს და შიგნიდან სრულიად შიშვლებს, (...), თავს უმშვერებდათ ყოვლადწმინდა ქალწულის თეთრი თავსაბურავი, კისერზე კი, ჯვრების ნაცვლად, ცხოველური სიმბოლოები ჩამოეკიდათ. ღვთისმსახურების აღსრულებისას ისინი უცებ მედეას ანდა მესალინას თუ ბრუნ-ჰილდეს იერს იღებდნენ და ღვთაებრივი სპაზმის თანხლებით აკურთხებდნენ პურსა და ღვინოს წმინდა ტრაპეზზე, რომელზე-დაც მიმოდიოდა სისხლიანი ტალახი და ყოველ კვირადეს, ზიარების უამს შეკრებილ მრევლს იმ რჩეული ხალხის კრებულად გადააქცევდა, გამოცხადების ახალ ნიშანთა მეშვეობით საკუთარი თვალით რომ უნდა ეხილა ღმერთი. (...) და აი, ლოცვაც: „ჰო, შენ, თესლო კაცისაო, შენ, ვინაც წყარო ხარ ყოველთა მაცოცხლებელ გარყვნილებათა და სიბილნეთა, ჰო, შენ, ფურთხო, ვინაც სურნელს ჰეთენ მოკანკალე ხორცო და დამღუპველ შვენებისა თუ ეროტიკულ სიშლეგეთა მწვერვალზედ აგყავს, ჰო, სხეულო, ჩემს უკანასკნელ კუბოდ შენ მსგავსს, მთრთოლავ სხეულს მოვისურვებდი, რათა სისხლს შენსას ჩემ გარშემო ამოესუნთქა და წადილი შენი დაპყრობის ჩემი სიკვდილის აპოგეად, დაგვირგვინებად ქცეულიყო. ო, ლაბირინთო ფართოდ განტოტვილ ჩემისა სულის, შენი უძღები სიმრავლე რომ სასჯელად მიჩანს, ჰო, ცხოვე-

ლო, ფესვჭამიავ, მიწაჭამიავ, ჭუჭყის მეტ-როევ, ნეტავ, როდემდე გაგრძელდება შენი ყვინთვა ლპობასა და სამაგიეროს გადახდათა მეჩერ მორევში? ნეტავ, როდემდე და-მაბრკოლებ, მივაღწიო იმ ადგილს, სადაც ძალა შემწევს, მივანიჭო ხმა ყველა სახეს, სახე – ყველა ხმას. ჰო, სიჩუმევ, ვარსკვ-ლავების შორეული ციმციმივით უკიდეგა-ნოვ, მიხსენ, მიხსენ მე...“ (...) და ქალების უნაყოფობას, მთელი ერის ფანტაზიის ერ-თაშად გახსნას, ეროვნული თვითმყოფა-დობის მოშლასა და ერის ერთობის ერთიან რღვევას, სხეულთა და უსასოოთა მომრავ-ლებას, რაც მოჰკვდა „უკანონობის სენს“, თუ გნებავთ, იმ „საზარელ სენს, რომელ-საც ვერა სიტყვა ვერ აღწერს, რადგანაც მისი მხოლოდ ერთი გამოვლინებაც კი აჭარბებს ადამიანურ გამძლეობას“, შედე-გად მოჰკვა დედაქალაქში მტრის ჯარების ტრიუმფალური სვლით შემოსვლა. ამ დროს კი უკვე დედაქალაქს დაბრუნებოდა ყველა, ვინაც კი ქვეყნის ვითომდა საიმედო, მიუდ-გომელ რეგიონებს შეჰქარებოდა, რადგან იცოდნენ, რომ საზღვრებიც მოშლილი იყო და გაქცევის იმედიც უკვე არავის ჰქონდა. სწორედ ამიტომ სწორებიც და მოხუცე-ბიც, რომელთაგანაც შედგებოდა მთელი ქვეყნის მოსახლეობა, მტრის ჯარებისგან მოელოდნენ მხოლოდ სიკეთეს, რადგანაც დიდზე დიდი იყო იმ მეთაურთა ტყუილე-ბისგან, სიბრიუყისა და სიხარბისგან გამოწ-ვეული სასოწარკვეთა, რომლებიც მუდამ, საუკუნეთა განმავლობაში, თავიანთი სი-ბინძურით ამოქმედებდნენ დაუანგებული ისტორიის მრუდე მექანიზმს. შესაბამისად, ცხადი გახდა, რომ ამჯერად ოკუპაცია იმა-ზე უფრო მეტ ხანს გასტანდა, ვიდრე ერ-თად აღებული ყველა ამბოხი, უხსოვარი დროიდან რომ ასაზრდოებდა ლეგენდებსა თუ მითებს, ზღაპრებს, ლექსებს, სიმღე-რებს, სქელტანიან რომანებს, ცეკვებს, პი-ესებსა და რეცენზიებს, სამეცნიერო კვლე-ვებსა თუ ფილმებს, ოპერებს და ასე შემ-დეგ, ყველაფერ იმას, რაც კი დიდი გმირე-ბისა და მათი ბრწყინვალე გამარჯვებების ქებად შექმნილა და რასაც ახლა ერთიანად ისრუტავდა შავი ტალახი. (...) ცეცხლმა დააჭკნო ღრმად ფესვგადგმულ, საგვარეუ-

ლო ხეთა შტოები. ბომბებმა შთანთქეს იუსტიციის სასახლეები. მოროდიორებს დარჩათ ძველი არქივები და ეროვნული მუზეუმები. სამაგიეროდ, მავანს და მავანს ჩამოერთვა საარაკოდ დიდი ქონება და ამგვარი ეროვნული თვითგვემის კრიზისათან ერთვოდა სკანდალთა მთელი სერიალი. (...) გადაიღეს აურაცხელი პორნოფილმი, რომელთა თქმად ქცეულიყო დეტალები ოთხასამდე მინისტრისა თუ მეთაურის ეროტიკული ცხოვრებიდან, რაც უტყუარ მტკიცებულებებს ეფუძნებოდა. ის პირები კი, თანამდებობა რომ ეკავათ და საზღვარგარეთ გაქცევა კი ჯერ ვერ მოესწროთ, აიძულეს, საკუთარი ნებით ეთქვათ უარი სკამზე, მერე კი წრფელი აღსარებებით წარმსდგარიყვნენ აზვირთებული ხალხის წინაშე, რომლის მოთხოვნით, თითოეულ მათგანს ლინჩის წესით გასამართლება და ჩაგრულთაგან ცოცხლად შეჭმა ეწერა ბედად. უწმინდესნი და უნეტარესნი – პატრიარქები და, ცხადია, წმინდა სინოდის სხვა წევრებიც, საკუთარსავე ცოდვებს ემსხვერპლნენ, აღსარებათა თქმაც არ დასცალდათ, ისე წარუძღვნენ მათ ცოდვები თვითმკვლელობისკენ (ბევრმა მათგანმა შუა წირვისას, ზედ სახარების კითხვის პროცესში გამოილადრა ყელი, ბევრმა კი წმინდა ციანიდი მიიღო ბოლო ზიარებად და ამ სურათსაც მუდამ თან სდევდა აღტაცებული მრევლის ტაში, მრევლისა, ვინაც, ბოლოს და ბოლოს, თავისუფლება და შენდობა პოვა იმ უცხო ცოდვების გამო, რომელთაც დედაეკლესია მათ ჰკიდებდა დასაბამითგან). (...) სახე იცვალა ქალაქების ძველმა იერმა – ძირფესვიანად დაინგრა და ახლად აშენდა ყველა ქალაქი. საბადოების განმებლობამ ერთი ხელიდან მეორეში გადაინაცვლა. (...) ქვეყნის სახელი შეიცვალა. ახალი ძველს არაფრით ჰგავდა...“ (...)

ოკუპაციის ხანა მართლაც რომ დიდხანს გაგრძელდა. სწორედ იმდენი საუკუნე, რამდენიც საქმარისი აღმოჩნდებოდა იმისათვის, რომ მოშლილიყო ქვეყნის ტრადიციულად დადგენილი საზღვრები და საბოლოოდ შერწყმოდა იგი ფართო მსოფლწლის არაფრით გადაეფარა, ვინაიდან ერთ მშვენიერ

დღეს, განაზრახისამებრ, ენამ შეწყვიტა სიცოცხლე და იქცა გარდასულ ეპოქათა ისეთ გადმონაშთად, რომლის ფასიც პირდაპირპროპორციულია ამ ენაზე შექმნილ ნანარმოებთა ღირებულებისა. საუბარია კომპაქტურად ჩახლართულ მოცულობაზე, რომელიც არაერთ ფურცელს მოითვლის, დროის ურყყევ ციკლს რომ აუკინძავს და ზეციური ნეტარების შუქში იფარებს. სწორედ ამ ფურცლებზეა გადმოცემული იმ დროის ქალთა უნაყოფობის ამბავიც. ეს არის ფურცლები ერთი მრავალგვერდიანი და მრვალხმიანი თავიდან, სათაურით – „ცნობები დიდი მარცხის ნლებიდან“, რომლებიც აერთიანებს ათასგვარ დოკუმენტს (წერილებს, დღიურებს, თვითმხილველთა ჩვენებებს – პირველსა თუ მესამე პირში, თვით მხატვრულ თუ წამხატვრულო აღწერილობებსაც კი, ფოტოებს, სტატისტიკურ მონაცემებს და ა.შ.) ეპოქიდან, რომელიც თავისი კოშმარებითურთ ყველაზე უფრო სასტიკი ფანტაზიის საზღვრებსაც კი გასცდა და მიუხედავად იმისა, რომ ეს ეპოქა შეუსნავლელია, ვერავინ ახერხებს მის მეცნიერულ ახსნას – საკმარისად მიიჩნევა ოდენ ფაქტი, რომ იგი დასრულდა სრულიად დამაჯერებლად, რაც, ისტორიკოსებს თუ ვენდობით, სავსებით აკმაყოფილებს მეცნიერების მოთხოვნებს – სწორედ ისე, ვით სიკვდილი, რომელიც დგება იმისათვის, რომ გაამართლოს მისი ზუსტი პროგნოზი და ეს ფაქტიც კმარა მათთვის, ვინც ადამიანთა მოდგმაში იმ უნივერსალურ მოვლენას აკვირდება, მარადიულ ციკლებს რომ წარმოშობს, ისევე, როგორც ამ ციკლთა გასრულებაა საკმარისი საიმისოდ, რომ მათი წარმომქმნელის არსებობა დაადასტუროს და მისი ამქვეყნიური დანიშნულების უზენაეს გამოვლინებად იქცეს და ამგვარ ციკლთა მიმოქცევისას ერთეულების გოდება რომ არ ისმის ხოლმე, ეს ყველამ იცის.

(...) „...მძულს ეს ქვეყანა. შიგნეული გამომიტამა. შენ გნერ, რადგანაც ერთად გვნადდა, ნაყოფიერი ყოფილიყო ეს შიგნეული და ეს წადილი გვაერთებდა ჩვენ ღამლამობით... და დღისითაც, იმ დროს, როდესაც სასწაული ხდებოდა უცებ და

გვავიწყებდა ტერორს, ქუჩებში რომ დაძრნოდა, ვით ჩვენს ძალვებში... ის საზარელი სიხლეები, ერთმანეთის ყურებისას რომ გვაძრეოლებდა... შეშლილ დიქტორთა ხმით ნათქვამი... შეკივლებანი, სასწრაფოთა სირენების ხმასაც კი რომ ფარავდნენ ხოლმე... რას ვიფიქრებდი, ადამიანის ხმას თუ იმის უნარი ჰქონდა, ამ სიმაღლეებს მისწვდომოდა... ასე უძირო ყოფილიყო... ამგვარ რყევათა შემოქმედად რომ ქცეულიყო... რაც არის, არის – ადამიანებს მაინც ვერაფრით შევეგუე, თუმცა ეს უკვე ჩემი კიდევ სხვა უუნარობის ამბავია... მე კი ვჩეარობ, რამდენიმე სიტყვის თქმა მინდა შენთვის მოვასწრო და ეს სიტყვებივე იქნება უკანასკნელი. მძულს ეს ქვეყანა. შიგნეული გამომიჭამა. გამომჭამა ყველაფერი. მძულს, დიახ, მძულს, მძულს. აი, ამგვარი შიგნეულით ვერც ერთი ქალი ვერ იცოცხელებს და რაც უფრო მეტს ვფიქრობ ამაზე, მით უფრო მეტად მერევა გული საკუთარ თავზე. თავს ბალლამად ვგრძნობ. იქნება, ვარ კიდეც. ქალი... ქალი ვარ, არ ვარ ქვეყანა, რომ საკუთარი ნანგრევები და სამარხები ფულზე გავცვალო, ყველაფერი ნალდი ფულის სანაცვლოდ მივცე... ამით ვიცხოვო... მე არ მინდა, ვიყო ქვეყანა. არც ვარ ქვეყნა. არ მინდა, ვიყო ეს ქვეყანა. ეს ქვეყანა ნეკროფილია, გერონტოფილი, ნეხვოფილი, სოდომისტი, სუტენიორი, კახპა და მეგლელი. აი, მე კი სიცოცხლე მინდა, მინდა, თავად სიცოცხლე ვიყო, მინდა, ვიცოცხლო, როგორ მინდოდა, რომ მეცოცხლა, როგორ მინდოდა შემძლებოდა, რომ მეცოცხლა, რა ბედნიერი ვიქნებოდი ახლა, სიცოცხლე რომ მდომოდა... მაგრამ არ მაცლის ეს ქვეყანა, არ მანებებს, ვიყო სიცოცხლე, გავცე სიცოცხლე. კიბოსავით მომედო და გამომიხრა ძუძუები, ნაწლავები, ტვინი დამიხრა, მთელი თავისი ქვალორები ჩემს თირკმელებში ჩაალაგა, ლამით ამიგსო ყველა სათავე, საიდანაც კი ჩემი რძე უნდა გადმოღვრილიყო, მთელი თავისი მინა სისხლში ჩამომიგროვა, სისხლი დამილპო, მთელი ძალით დამაწვა გულზე, ინფარქტებითა და თრომბებით დამინაკუნა, თითოეული მისი წყობა – თითო ინფარქტი, ყოველი მისი კანონი – თრომბი, ჩემი

ფილტვები მისმა ავმა ჩვეულებებმა გადაჩრდილა, აი, მისი ისტორია კი სულ ერთიანად, პარკინსონივით მაცახცახებს, მისმა კულტურამ ბოლო ძალა გამომაცალა, მომკლა, დამქანცა. მეტი უკვე არ შემიძლია, ასთმად მექცა მე ამ ქვეყნის მდებარეობა, მთელი მისი მოხაზულობა ხან გიგანტური ჰერპესივით განივრცობა ჩემ სხეულზე და ჭკუიდანა მშლის, ხან ფორმას იღებს ხოლმე – თვალში მესობა, ხან უზარმაზარ ნემსად იქცევა და ქალას მიხვრეტს, ხანაც ვეება კლდის ფორმას იღებს, თმის ბოლოებზე მეყიდება და მიმაცურებს მწარე ცრემლთა უძირო ზღვაში... მიმძიმდება და მიმძიმდება მისი უდელი, უფრო და უფრო მეტად მიბამს ენას მისი ენაბლუობა, სულ უფრო და უფრო მაციებს მისი სიბილნე... მისი ჩაცილვა საკუთარსავე მოჩვენებებზე... მისი თავის დაძვრენები, პლაგიატები, სიჩლუნგები, მისი ცხედრები, კუბოები, კრიმინალები... ეს ქვეყანა ჩვენი ჭლექია. მოგველავს, დაგვმარხავს. ველარაფრით გადავურჩებით. ჩვენს სისხლსა სვამს, სისხლს გვწოვს. ძილსაც კი მპარავს, დაძინებასაც აღარ მაცლის, როგორ ვიცოცხლებ? ვერ ვიცოცხლებ, მორჩა, უკვე ველარ ვიცოცხლებ. სამყაროს ყველა კაცის მთელი სპერმაც არ კმარა საიმისოდ, რომ ჩემი სხეულის ის კუნძული გამოაცოცხლოს, საიდანაც ნარმოიშობა სიცოცხლე... შენ კი ჩაცალე ჩემში შენი სიცოცხლე, მაგრამ უსიცოცხლოდ დამტოვე მაინც, რადგან უკვე აღარც შენ ძალგის, შენც უძლური ხარ. შენ კი ჩათესე შენი თესლი ჩემში, თუმცალა მას არასოდეს უწერია მუცლადღება, თქვენს თესლს უკვე ველარაფერი გააღვივებს... ჩვენგან სიცოცხლე ველარასდროს დაიბადება... ბებერო ძუკნა... ნეტა კი ახლა შენი თავი მომცა, ჩემი ხელებით მოგახრჩობდი... ო, ღმერთო, ნეტა, ნეტა მართლა მომაკვლევინა... ჰა, უკვე ისიც მოახერხა, რომ მაგისი ბანდიტები, კაცისმკვლელები ჩვენს საშობსაც მისწვდომოდნენ, საფლავებივით გაეთხარათ მაგ მართლა ღორებს. ო, ეგ ღორები, ყველა ღორია, არც კი ვიცი, ვისით დავიწყო ანდა ვისით დავასრულო ჩამონათვალი, ყველა მკვლელია... მაგათ გამოა, უდიდე-

სი ცოდვის ჩადენის პირას რომ ვდგავარ, მინდა ვხოცო, დაუსრულებლად ვულიტო, ვხოცო, უსასრულოდ ვხოცო და ვულიტო. აქ რა გვაჩერებს, აქ როგორ ვძლებთ, როგორ ვიტანთ აქაურობას ისე, რომ ჯერაც სრულ ჭაუზე ვართ? ეს მართლა ძუანა, სახრჩობელა, ეს ეშაფოტი, ეს ნამდვილი გილიოტინა... ოფიციალურ ყაჩაღთა ბუდე, ოფიციალურ სიტყვით რომელნიც მიმართავენ თავისნაირ, ოფიციალურ ყაჩაღებს მათსავ იყიდებოდა შეხვედრებზე. მისი ყოველი გასასვლელი, როგორც მძარცველი, ყოველი კუთხე, როგორც დაშნა, მისი ყოველი მეათასედი, როგორც ბებუთი... სავსე სიკვდილის ხაფანგებით, ბასრი დანებით, მკვლელების ბუდე, აფერისტთა და იმპეცილთა თავშესაფარი... არაკაცი დედისმტყვნელების და იმპოტენტ მონათმფლობელთა ბუნაგი... საკუთარ ნეხეს რომ გვალოკინებს და შიგ ყვერებში გვირტყამს წიხლს მერე. ო, შე ჩათლახო, ნაბიჭვარო, შენ, შენ გვაჩლუნგებ, გვჭყლეტ, გვსრეს, შენ გვახრჩობ, შენაზე გვგლეჯ, გვაწყეულებ, შენ გვკლავ, შენ გვხოცავ, გვხოცავ, შე ლორო, შე მედროვე, ბინძურო კახპა, ტილიანო, შე შხამიანო გველთა გველო, გაძალებულო, შე სისხლამღრევო, მანჭვა-გრეხაში რომ გხდება სული, თუთიყუშობას რომ ვერ გასცდი, შე წყეულო, თარს-ნადა-რათო, ველარ გიტან, ვერ გიტან, ვერა, ვე-

ღარ ვიტან ამ მკვლელს, შეილთამკვლელ გონებაჩლუნგს, ამ ავადმყოფს, გონჯი, ეს გონჯი, ბეცზე ბეცი, ტვინქანქარა, ეს ბებ-რუხანა, ბებრუხანა, ჯანდაბამდისაც გზა ჰქონია, ველარ ვიტან, ამისას უკვე ველარა-ფერს ვიტან, ვერაფერს, სულ ველარაფერს, მძულს, მძულს, მძულს, ო, როგორ მძულ-ხარ, მძულხარ, მძულხარ, მოვ-კვდები, მხეცო, მოვკვდები, მაგრამ შენს სიძულვილს მაინც ვერ შევწყვეტ, ზიზლი დუღს ჩემში, მინდა, უკულმა ჰიმნებად ვწე-რო ყველაფერი, რაც კი ოდესმე მისთვის შექმნილა, სიტყვასიტყვით გავაცამტვერო, მერე კი ჩავფლა ძუკნასავით ჩემი ხელე-ბით... ალარ ვარ ქალი... ველარ ვარ ქალი... ველარც შენა ხარ უკვე კაცი... ამან მოგ-ვიშთო ყველაფერი, ამან დაგვცალა... მაგ-რამ მისგან რაღა დარჩება ჩვენ გარეშე, აბა, თვითონ რაღა იქნება, ჩვენგან როცა ალარაფერი გადარჩება? ჩემი ფორმა აქვს უკვე მის მიწას... ჩემი სხეული მის კიდეებს გაუთანაბრდა... ჩემშია მისი ბედისწერა... კვკვდები.... კვკვდები, როგორც ქვეყანა... (...)

1978 წელი

ახალი ბერძნულიდან თარგმნა  
თათია მთვარელიძემ

„ცისკარი“ გთავაზობთ თბილისის მერიის კულტურულ ლონისძიებათა ცენ-ტრისა და საქართველოს მწერალთა კავშირის ერთობლივი ინიციატივით ჩატარებული ახალგაზრდა მწერალთა კონკურსი „მერნის“ თარგმანის კატეგორიაში გამარჯვებულ ნამუშევარს.

### სოსო გოლიაძე

## 1881-ი ვეზევისა და მხატვრისა

### დაბადება

„დავადგინეთ:  
ეს მეტეხი  
ხელოვნების იქნეს  
და ყოფილი  
ტანჯვის სახლი  
მუზეუმად იქცეს...“

გაზეთი „კომუნისტი“, 1933 წლის 18 ნოემბერი

2016 წლის აშკარად უმთავრესი გამო-  
ფენის შესახებ რაიმე უნდა დამეწერა, რამ-  
დენიმე საათი გავატარე ბიბლიოთეკაში და  
არავის გაუკვირდეს, უცნაური ფრაზა თუ  
გამოვიყენე შესავლის ეპიგრაფად. ქართვე-  
ლი კომუნისტების მთავარი გაზითის პირ-  
ველ გვერდზე ეგ სიტყვებიც ეწერა. ზუს-  
ტად ასეა დაყოფილი ტაეპები იმ „ლექს-  
ში“, მაგრამ სალექსო ფორმა და შინაარსი  
კი არ იყო იქ საინტერესო, არამედ საქმე,  
რომელსაც შეეხებოდა მონინავე გვერ-  
დის ეს ჰედლაინი; შეეხებოდა იგი ამხანაგ  
ლ. ბერიას ხელმოწერილ გადაწყვეტილებას  
მეტების საპყრობილის გაუქმების შესახებ.  
პარტიული ამხანაგებისა და სოციალურად  
ახლობელთა ტანჯვის ისტორიული ლოკა-  
ლის გაუქმების დადგენილება აგრეთვე  
გულისხმობდა თბილისის ორი ლეგენდა-  
რული ციხიდან („მეტეხი“ და „გუბერსკი“)  
ერთ-ერთში ხელოვნების მუზეუმის გადა-  
ტანას...

„მეტეხის პლატო“ ძველად ძლიერი ისნის  
უბნის საზღვარი, კალასა და თბილისზე

საგუშავო და სათვალთვალო ადგილი იყო.  
მერე და მერე ნავთლულმა და ავლაბარმა  
გაინაწილეს, გადაარქვეს და წელში გაწყვი-  
ტეს მეამბოხე და ძლიერი ისანი, რომელიც  
შუა საუკუნეებში „ტფილელ ბერებსაც“  
არ უჯერებდა და 1045 წელს, როდესაც  
ბაგრატს მთელი თბილისი დაემორჩილა.  
ისანში ერთი დღეც არ უმეფია მეფეს.

1947 წელს გადაღებულ ფოტოებზე (რო-  
ბერტ კაპა, სხვები...) ხედის გამო კარგად  
არ ჩანს, დანგრეულია თუ არა მთლიანად  
საპყრობილე-კომპლექსი, მაგრამ ძალიან  
ცნობილი და რამდენიმე თაობისათვის  
ნამდვილად საყვარელი შავ-თეთრ ფირზე  
გადაღებული კინოფილმი „სხვისი შვილე-  
ბი“ (1958 წ.) შეიცავს ბავშვების თაბაშის  
40-წამიან ეპიზოდს, სადაც ხიდზე განზრას  
დადგმული ობიექტივიდან აშკარად დისო-  
ნანსურ პირქუშ ფონად ვსედავთ ნაგებო-  
ბას, ნაშთს მეტების საპყრობილისა, ყო-  
ფილ ადმინისტრაციულ კორპუსს. თავად  
საპყრობილე ადრინდელი სახით აღარაა.

მეტეხის ეკლესიას კედლებზე ახლაც



L7

ამჩნევია ამოკანრული გვარ-სახელები, წლები და „ვოლიაზე“ გასვლის მგზნებარე სტრიქონები. უკლებლივ ყველა გაკეთებულია 1819-1933 წლებში, ვიდრე არსებობდა მეტების საპყრობილე და „ბ“ და „ც“ ბლოკების კამერები ებჯინებოდა ეკლესიას.

ამ ადმინისტრაციულ უცნაურ შენობას შემდგომში ხშირად იხსენებდა 1960-იანი წლების დასაწყისში მეტების პლატოს საცხოვრებელ სეგმენტში მობინადრე პატარა ბიჭი, მომავალი დიდი მხატვარი.

„სხვისი შვილების“ გადალების და ბიჭის დაბადების თარიღები თითქმის ემთხვევა ერთმანეთს - ესაა 1957-58 წლები.

- მაშინ მოსკოვში მოეწყო საქართველოს სსრ-ის სახალხო მხატვრის, ლადო გუდიაშვილის, დიდი გამოფენა;

- რობერტ ფრანკემა პარიზში გამოაქვეყნა ფოტოალბომი „ამერიკელები“ ჯეკ კერუაკის წინასიტყვაობით - ფოტოესეი, რომელმაც განაპირობა ათწლეულების ესთეტიკური მიმართულებები თანამედროვე ვიზუალურ ხელოვნებაში;

- 1957 წლის თებერვალში ლივერპულის სამხატვრო კოლეჯში ჩაეწერა ჯონ ლენონი, სადაც ის შეხვდა ჯერ სტიუარტ სატელიფს და შემდეგ პოლ მაკარტნის.

ასეთი ამბებით არის მონიშნული ის წლები საქართველოს და მსოფლიოს ხელოვნების ისტორიაში. აქ რაც გავიხსენეთ, ამათგან ჩვენთვის ერთი უმთავრესია, რადგან დაიბადა მერაბ აბრამიშვილი; მეორე იქნება მხოლოდ ჩემთვისაა საყურადღებო, რადგან ის ბიჭუნა, მეტების პლატოდან რომ აკვირდებოდა შთამბეჭდავ სანახებს, რომლებიც მოგვიანებით, ქალაქური პეიზაჟების გარდა, სხვა, უფრო დიდი თვალსანიერის დაბადების საფუძველიც აღმოჩნდა, მერე ხშირად უსმენდა თავისი დაბადების წელს ლივერპულის სამხატვრო კოლეჯში დაწყებული ისტორიის მუსიკალურ გაგრძელებასაც.



## 30 წელი

„ვეფხვო, ვეფხვო, ბრიალავ,  
დამის უღრანს ღრიალავ,  
ნეტა ვის უცნაურსა, უხილავსა ენება,  
შენთვის ეწუქებინა ეგ საზარი მშენება“.

უილიამ ბლეიკი, „ვეფხვი“

1964 წელს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოაქვეყნა ჯიმ კორპეტის წიგნი „კუმაონის კაციფამიები“. სახელიანი მონადირე ინდიოეთის კუმაონის პროვინციაში თავს გადამხდარ ძალიან სერიოზულ სამონადირეო ამბებში იმასაც წერს, ვეფხვისთვის ადამიანი იმდენად არაბუნებრივი არსებაა საკვებად, რომ ათი კაციჭამია ნადირიდან ცხრა, უბრალოდ, იძულებულია, ეს გააკეთოს, რადგან, ისევ მონადირისგან მიყენებული ჭრილობებით დასახიჩრებულს თუ ასაკით დაძაბუნებულს, აღარ შეუძლია სხვა ცხოველის მონადირებაო...

„ოლონდ კიდევ არსებობს მეათე ვეფხვიც“, – დასძენს ამ მონაყოლს მეორე განთქმული მონადირე.

მერაბ აბრამიშვილს ძალიან უყვარდა კორპეტის „კუმაონის კაციფამიები“ და სხვა სათავეადასავლო სერიის წიგნი, ჯემს შულცის „მარტოხელა ბიზონის შეცდომა“, სადაც ინდიელი, მეტსახელად „მარტოხელა ბიზონი“ აუჯანყდება თანატომელებს და თავის ბიჭუნასთან, – „შავ წავთან“ და ცოლთან ერთად მიატოვებს მათ; ფათერაკებით და ზედმეტად ამაყი კაცისთვის ნიშანდობლივი ჩვევებით და საქციელით აღსავსე რამდენიმე წელიწადს გაატარებს მარტობაში, მაგრამ ბოლოს მაინც უბრუნდება მშობლიურ გარემოს, რომელიც მთელ ოჯახს სიყვარულით და სითბოთი მიიღებს.

კორპეტის წიგნიც და ძალიან ცნობილი სათავეადასავლო სერიის 12-ტომეულიც იმიტომ ღირს გასახსენებლად, რომ მას ვკითხულობდით იმ ასაკში, როდესაც, თავისდა უნებურადაც კი, ბიჭში ყალიბდება მთელი სისტემა ნარმოდგენებისა ჩვენი გარემომცველი მსოფლიოს შესახებ, როგორც ადამიანების, ასევე სამყაროს სხვა დანარჩენი ნაწილების, სხვა არსებათა შესახებ.

ვეფხვის მოტივი ჩვენს კულტურაშიც ძალიან განსაკუთრებული რამ არის.

„ვეფხისტყაოსნიდან“ თუ განთქმული ბალადიდან ვეფხვი არის არა უბრალოდ სასტიკი რამ მტაცებელი ცხოველი, არამედ, ცოტა არ იყოს, მაგიური სახე ლიტერატურაში და მთლიანად კულტურის „სივრცეში“.

რა თქმა უნდა, აქ მართლა ვეფხვი არაა მთავარი. მერაბ აბრამიშვილს აქვს მთელი დიდი და მდიდარი გალერეა სულდგმულთა, ლოკოგინებიდან – ჟირაფამდე. ვეფხვი, შეიძლება, უბრალოდ, წარმოვისახოთ სახედ საშიში სტერეოტიპული პერსონაჟის, რომლის ახლო გასინჯვიდან ან უბრალო მსხვერპლი შეგვრჩება ხელში, ან დანგრეული პირველყოფილი ჰარმონიის ნაშთი.

ამ სათავეადასავლო ტომეულით ვსწავლობდით ჩვენთვის უცხო გეოგრაფიული არეალების და კულტურების განსხვავებულ თვისებებს და ნაკვთებს: გარდა სისხლმოწყურებული, ულმობელი მტაცებელი ცხოველისა, ვხედავდით ადამიანის და მისი მსხვერპლის სიმართლის თანაბარზომიერების სიმეტრიას. ძველისძველი შეგონებები უმოტივაციონ ნადირობის და უმიზნო მკვლელობის დაუშვებლობისა ამ ისტორიებში ცოცხლდებოდა და დასტურდებოდა ძალიან კონკრეტული მაგალითებით.

„ბაგშვილის ვეფხვების მომთვინიერებლობა მინდოდა, – ეს ჩანაფიქრი ვერ განვახორციელე, სამაგიეროდ, ჩემს ბაგშვუროცნებებს ტილოზე ვაცოცხლებ. გარდა ამისა, ბაგშვილის გატაცებული ვიყავი სათავეადასავლო ლიტერატურით, – ეს ლიტერატურა ჩემთვის სოკრატეც იყო და პლატონიც. ასეთი წიგნები ბევრს აქვს ნაკითხული, მაგრამ მათ ჩემზე განსაკუთრებული მთაბეჭდილება მოახდინეს. მოგვიანებით,

როდესაც მხატვრად ჩამოვყალიბდი, ბავშვობაში მიღებულმა შთაბეჭდილებებმა თავი შემახსენეს და ცხოველების ხატვადავიწყე. საერთოდ, ცხოველებს დიდ პატივს ვცემ, ხშირად ადამიანებზე დიდ პატივსაც, ამიტომ მათი ხატვისას დიდ სიამოვნებას ვიღებ...“ – იხსენებდა მერაბ აბრამიშვილი, თავის თავს ხშირად „მარტოხელა ბიზონს“ რომ უწოდებდა.

ასეთი შესავალიც აქვს იმ ოსტატის შემოქმედებას, რომლის 103 ნამუშევარი ახლაც გამოფენილია თანამედროვე ხე-

ლოვნების მუზეუმში და უწყვეტ ნაკადად მოსიარულე ყველა ასაკის, გემოვნების და სოციალური ფენის დამთვალიერებელს სამუდამოდ მოხიბლულს ტოვებს. „მოხიბლული“ არ არის მხოლოდ მხატვრის ოსტატობით აღფრთოვნების სტადია. ადვილად მისახვედრია, რომ ეს მოჯადოებულსაც ნიშნავს.

ოსტატობასა და „მაგიას“ შორის მე „მაგია“ ავირჩიე, რადგან, ჩემი აზრით, პირველზე, თუკი მოახერხებენ, ძალიან კონკრეტული სპეციალისტები უნდა საუბრობდნენ.

## მხატვარი

„საუბარი ხელოვნების შესახებ ძალიან ჰგავს ცეკვას არქიტექტურის შესახებ“.

### ფრენკ ზაპა

ადამიანთა და სხვა სამყაროების მიმართ აბრამიშვილისეულ დამოკიდებულებაში უნდა იღებდეს სათავეს მხატვრისთვის დამახასიათებელი გაგება მსხვერპლისა და მოძალადის, ბოროტისა და კეთილის, დასაწყისისა და დასასრულის მთლიანობის შესახებ.

მასთან საშიში მტაცებლებიც გამოიყურებიან, როგორც ბუნებრივი, ურლვევი შემადგენელი ერთი მთლიანი კოსმოსის, სადაც არ არსებობს იმთავითვე განსაზღვრული ბოროტი ან კეთილი, არამედ ეს დაუბზარავი „ყოვლი პირი ქვეყნისა“ თავს უყრის საკუთარ მრავალფეროვნებაში ყოველ არსს და ყოველგვარ მოვლენას.

მხატვრის „ედემური სერიის“ ნამუშევრები შედგენილია მისეული ჭვრეტი-სათვის დამახასიათებელი ბევრი ელემენტის ჯამით. ეს ელემენტები სხვა ნარატივებში ასრულებენ განსხვავებულ მისიებსაც, უნივერსალური და თანათავსებადი კონსტრუქციების სეგმენტების მსგავსად. მთავარი პარამეტრები ყველა მათგანისათვის კი არის სიღრმე, სიზუსტე და განუყოფლობა მთლიანი ტექსტის შიგნით.

ლოკოკინებიცა და ირმებიც, ცალკალკე, შეიცავენ იმავე მითურ იმპულსა-

ციას, როგორიც იქმნება მერე დიდ მოზაიკებში. მითურისგან განშორება, დატირება პირველქმნილი მაგის კვდომის გამო მკაფიოდ ისახება 90-იანი წლების შესავლის რამდენიმე ნახატში. ამ თვალსაზრისით გამორჩეულია „შავლეგო“, როგორც სისხლდათხეული გამომშვიდობება ჩვენივე ხელით მოკლულ შემკრებ მითთან.

როგორ არ უნდა გაგვახსენდეს აქ მერაბ აბრამიშვილის ხე-მცენარეული მოტივები: „ასკილი“, „გვიმრა“, „მაყვალი“, „იასამანი“, „პალმა“, „ედემი“... ყველა ხე დახატულია ფესვიდან კენწერომდე, ანიდან – ჰოემდე, ბოლქვიდან – ბოლო ფოთლამდე. რაკილა თავიდან დავთქვით, ოსტატობაზე სხვამ უნდა ისაუბროსო, თორემ განა მავინდება მისი ნახევრად სუმრობით ნათქვამი ფრაზა: „ფოთოლს ფოთოლში ვაჯენ“, თუმცა ეს კიდევ სხვა რამეა და ამის აღნიშვნას ჩვენ არაფერი გვიკრძალავს. ეს „ჩუბინობა“, არასოდესაა უნებური: გარდა რუდუნების, შრომისმოყვარეობის, ნებისყოფის, სასურველისათვის სიკერპემდე მისული სიჯიუტისა, ამაში მოჩანს ნამდვილი შთაგონებულობა შემოქმედის, როდესაც ნამუშევარს არ უნდა დააკლდეს „იოტაა ერთი გინა რქად“.

გავიხსენოთ ტკივილით გაუდენთილი დანანების სიტყვებიც 1991 წლის გაზაფხულზე მხატვრის სახლში მესამე სართულზე გაჩენილი ხანძრის დროს დამწვარი მისი 16 წამუშევრის შესახებ. სიტყვები ნალოლიავები, გამოზრდილი და სათუთად ნაფერები 16 „შვილის“ შესახებ.

ასეთი განუყოფლობა არსებათა აღნერისას არასოდეს არის შემთხვევითი. უკლებლივ ყველა ნამუშევარი ემორჩილება ამ ბრწყინვალე გააზრებას სხვადასხვა სამყაროების ოდითგანდელი ნათესაობის. მხატვრის თვალი მთლიანად არის იმ გადმოსახედიდან მაცქერალი ადამიანის მზერა, რომელსაც პერძნულად „კათოლიკე“ ეწოდება.

ერთ-ერთი მთავარი და ღირსშესანიშნავი საფუძველი (საფუძველი, სხვათა შორის, პირდაპირი გაგებითაც) მხატვრის მაგიური „ინსტრუმენტებისა“, რაზეც ახლა უკვე ბევრს საუკონენ, არის თაბაშირით დაგრუნტული ფირფიცარი, რომელზეც იგი ააგებდა საკუთარი ზმანებების სიუჟეტებს. ეს ტექნიკა – „ლევკასის“ მეთოდი – ცალკე აღნიშვნის ღირსაია. ასევე საყურადღებოა მყარ, ცარცით და წებოთი დაგრუნტულ სუბსტანციასთან დაბრუნება.

1967 წელს გურამ აბრამიშვილი სოფელ დიდ ატენში მდებარე მცხეთის ჯვრის ტყუპისცალ ატენის სიონის ეკლესიაში აღმოჩენს სამხაზოვან მხედრულ დაწერილობას. ამ დღიდან მოყოლებული მდინარე ტანის პირად მდებარე ეს განზომილება აბრამიშვილების ოჯახისთვის მუდმივ თანამდევად გადაიქცევა.

მამას ხშირად დაჰყავს მომავალი მხა-

ტვარი ექსპედიციებში, სადაც ფრესკების ასლებზე მუშაობისას იმპრესია პირველად და ნარუშლელად შეეხება მის მომავალ „ტექნიკას“. ლევკასის ტექნიკაზე დაყრდნობა დიდილად უნდა იყოს დაბრუნება და დარჩენა კედლის მხატვრობის ტრადიციაში. დაგრუნტულ ხეზე ხატვა არის მცდელობა „მობილური“, ტრანსპორტირებადი მცირე კედლების შექმნა-მოხატვისა. იშვიათი ექსპერიმენტული ან სამუშაო გამონაკლისების გარდა, მხატვარი აღარ შეეხება თანადროულობის მეინსტრიმულ მეთოდს – ტილოს და ზეთს. ასეთი ბმა-კავშირი იკონოგრაფიულ ტრადიციასთან, შესაძლოა, აგრეთვე გვაბრუნებდეს მხატვრობის გენეზისთანაც – გამოქვაბულების კედლის მხატვრობასთან.

მერაბის მეუღლე და მეგობარი ციცინო ცერცვაძე იხსენებს, ერმიტაჟში ეგვიპტური ნამუშევრების დათვალიერებისას როგორ მიიქცია მხატვრის განსაკუთრებული ყურადღება ცარცით დაგრუნტულ ხეზე შესრულებულმა ნახატებმა.

მკაფიოდ ვხედავთ ორ ფიგურას, რომლებიც განმსაზღვრელად იქცევიან მეტეხის პლატოდან მოცერალისათვის: მამა, რომელიც მუდმივად ცდილობდა, ბიჭს ეხატა და ოჯახის ნათესავი, მერაბ აბრამიშვილის მასწავლებელი და ოსტატი – შურა ბანძელაძე. ამ უკანასკნელს უნდა მიერეოს კლასიკურ მხატვრობაში მიღებული განდობა და ძალიან მნიშვნელოვანი შეგონება, რასაც მერე ბოლომდე განახორციელებს შეგირდი – ისნავლე, დაივიწყე, იპოვე შენი თავი და მერე ხატე – შეგონება, რომელიც მაშინვე გაგვახსენებს ბიბლიის ლათინურ-



ად მთარგმნელის კრედოს: „წავიკითხე – დავივინყე – დავწერე“.

მაინც, რა არის ის განუწყვეტელი, გაბმული გულთსიტყვაობის ჩუმი, მაგრამ მუდმივი მოტივი – თუკი „ჰინდოთ უცხო ქვეყანაში“ მოხმიანე ხანგრძლივ მუსიკალურ-ინსტრუმენტურ ჰანგებთან დაკავშირებული ტერმინოლოგით ვიტყოდით, რა არის „დრონი“, გაბმული ბგერითი ლაიტმოტივი აბრამიშვილთან?

ჩვენს ბრნყინვალე მხატვარზე (ისე, რატომ „ჩვენი“, ნეტავ რას მივყავართ ამგვარ კუთვნილებით-ნათესაობით უშინაარსო ფიქრამდე?!). ალალად რომ ვთქვათ, სად ჩვენ და სად ისინი – თავ-თავიანთ ორიგინალურ გალაქტიკებში მოხეტიალე გენიოსები?!) დაკვირვებისას აშკარა ხდება, რომ, განსაკუთრებულ შემთხვევებში, რჩეულებს თავიანთი სულიერი, გონებრივი თუ კულტურული განვითარების შესაბამისად შეუძლიათ დაინახონ მთელი სურათი იქ, სადაც დანარჩენები მხოლოდ ნაწილს ხედავენ.

როდესაც ადამიანი დაიწყებს არსთა გააზრებას, ყოველდღიური ილუზიის და სიცბიერის დათრგუნვაზე ჩაფიქრდება, „გაკეთილშობილდება“ მითური და რეალური ზნეობრივი მაგალითებისგან შედგენილი

ისტორიის და ბიოგრაფიების გარემოცვაში, შინაგანი მონოლოგის მდგომარეობაში გადადის. ამ დროს მისთვის განსაკუთრებით მტკივნეული გახდება პრაქტიკული კონტაქტი პრაქტიკულ თანადროულობასთან, რადგან არის გახსნილი სულიერი არსებისათვის, რომელიც, იქნება, უმწეოდ და სასაცილოდ გამოიცემორება თანამედროვე ურბანისტულ შუქზე. ეს მედიტაცია თითქოს განწირულია ხანმოკლეობისათვის, როგორც ფარვანა და „რჩეული“, მხოლოდ ძლიერი ნებით ახერხებს გაუმჯობესებს ორდინარულ სამყაროში გადასვლის ცდუნებას.

როცა სამყარო კვერს დაუკრავს ასეთ იშვიათ მომზირალს, დარწმუნებული მის ძალებსა და განზრახვაში, ადამიანური სიძაბუნის ჩრდილებიდან გამოსული, მთელი სისავსით დაენახვება და ნებას დართავს, შეიქმნეს ბიოგრაფი და პორტრეტისტი უსასრულო, დროის მიღმა მოქმედი სიუჟეტებისა, ზუსტად მაშინ და იქ იბადება უნიკალური ჰანგი, რომელიც თან არსებობს და თანაც შეუძლებელია, შევეხოთ, რადგან უხილავია.

ასე მოხდა მაშინაც, როდესაც ფერებმა და ჰარმონიამ უთხრეს მეტების პლატოზე მდგომ ბიჭს: – „აჲა, მხატვარო, დახატე!“



## რატი ქართველიშვილი

●

ადამიანი,  
რომელსაც შესწევს უნარი,  
მოგონებებით გააცოცხლოს ყოველი წვრილმანი  
განვლილი ცხოვრებიდან და ხელმეორედ,  
ძველებური სიმწვავით განიცადოს ყოველივე ის,  
რაც უნინ ათრთოლებდა მის სულს.

ცამეტი წელი...

ოცი..

ოცდაათი...

ო, ეს არ არის სიშორე მისთვის,  
მაგრამ ეს გრძნობა ყველაზე დიდი მტერია მისი.  
რატომ? – ასეთ ადამიანს ყოველთვის უფრო მეტად უყვარს საგანი  
მას შემდეგ, რაც მას დაკარგავს.

გული ივსება მოგონებებით, გული კი ერთია...  
ხოლო, ტალღებმა თუ მოგამორეს

დღევანდელი დღის ნაპირს,

ცხოვრება არარა...

ადიხართ კიბეზე, ალებთ კარს, შედიხართ ოთახში...  
თქვენს ოთახში სიჩუმე და სიცივეა...

და თქვენ თქვენი ბინა გერვენებათ  
სააქაოსა და საიქიოს შუა სამყაროდ.

ჯდებით სარკესთან ჩამქრალი ბუხრის წინ,  
იღებთ ჰამსუნის „ვიქტორიას“

(სიყვარული... ეს ანემონაა,  
რომელიც კვდება ხელის შეხებით.

სიყვარული... მას შეუძლია დაღუპოს ადამიანი,  
მას შეუძლია სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე  
შეპყრობილივით ეჭიროს შენი გული...

ძვირფასო, მე გავჩნდი ამქვეყნად მხოლოდ იმიტომ, რომ შენ  
მყვარებოდი

და შემდეგ ისევ დავმშვიდობებოდი სიცოცხლეს.

მოვა გაზაფხული, რომელსაც მე უკვე

ვეღარ დავინახავ,

ხეები ბალში კი დარჩებიან ჩემ შემდეგაც)...

აღებთ ყუთს...  
საიდუმლო წერილების კონა...  
პირველი, რაც თქვენ გეცემათ, ეს –  
სპეციფიკური სუნი საიდუმლოების  
და ვარდის გამხმარი ფურცლებისა.  
ოთახი სავსეა წარსულის ლანდებით,  
თვალები – სინანულით.  
მიდიხართ სარკმელთან, იქიდან კი გიყურებთ  
გვიანი შემოდგომის წვიმიანი დღე.  
რა ხდება ამ დროს თქვენს გულში?..  
ო, ნუ იტყვით, არა, ამას უკეთ მეტყვის  
ნოემბრის ყვითელი ბალები და  
შემოდგომის დაქანცული გაზონი.  
ის არ იყო ლოთი, არც ჭლექიანი...  
ის დაღუპა მეტისმეტად მგრძნობიარე გულმა  
და შესაძლოა, შეგრძნებამ, რომ ის მარტოა.  
შედიხართ ოთახში...  
პირველი, რაც თქვენ გეცემათ, ეს –  
სპეციფიკური სუნი კვამლისა...

●

ღმერთი ზღვასა ჰეგავს,  
სიზმრად რომ ვნახე  
და გაღვიძებულს გადამავიწყდა,  
მერე კი ცრემლი წამომივიდა  
და მისმა გემომ კვლავ გამახსენა:  
ბავშვობა, ცირკი და ის კლოუნი,  
ჩემს გაცინებას რომ შეეცადა,  
მე კი შემრცხვა და ჩუმად ავტირდი.

## დედას

მინდა, ხელში აგიტაცო  
და მზედ გაქციო,  
რომ შენი სხივით განათდეს ზეცა,  
რომ შენი ნათლით ამენთოს თვალი,  
რომ ჩვენი ძველი, ზაფხულის სახლი  
ისევ აივსოს ჭრელი ფუტკრებით  
და სურნელებით მაისის თაფლის;  
რომ გაბზარული ფანჯრების მინებს  
აზანზარებდეს მტრედის ღუღუნი,  
როგორც ბუზღუნი დილით მოხუცის –  
ძვირფასი ექო ჩვენი წარსულის...  
მინდა, რომ ისევ შემოგვესმოდეს

ჩუმი ჭრიჭინი მარწყვივით ტკბილი ძველი ბალისა,  
როგორც ჭრიალი ჩვენი ბოხვერა კაკლის კარადის  
და მისი სარკის ცისარტყელები  
ზანზალაკივით აწკრიალებდეს  
უცნობი ბავშვის სულის კივილებს,  
მტვრიან ლამპასთან ვიღაც ფურცლავდეს  
ნაცნობი წიგნის ძვირფას სიმღერებს:  
შორი ტყიდან მონაბერი  
სიო ფარდას კვლავ არხევდეს  
და მის კალთის აწევისას  
შენი კაბის ჩრდილს აჩენდეს...  
მინდა, ხელში აგიყვანო,  
როგორც პატარა  
და მზის კოცონში, როგორც კოცნაში, დაგწვა,  
რომ შენი ფერფლის მსუბუქი ფიფქით  
გადაიპენტროს მთელი სამყარო,  
რომ შენი სული, თეთრი კვამლივით,  
ამ ცოდვილ მიწას გადაეფაროს.

●

საოცნებო ზღვა და ცაა,  
ბინდი უყვართ ლიანებს,  
გათენდება სადაცაა,  
შენ კი სულ იგვიანებ.  
დათნისა და პალმის ჩეროს  
ფანტომები გროვდება,  
სიყვარული, დავიჯერო,  
ახლა არ გაგონდება?  
ლამით ზღვა და არა დღისით,  
ჩრდილი ცისფერ აფრისა,  
დასასრული, დასაწყისი  
უშორესი ზღაპრისა.  
საოცნებო ზღვა და ცაა,  
მთვარე ეტყვის ლიანებს:  
გათენდება სადაცაა,  
ის კი დაიგვიანებს.

●

ხშირად ვიხსენებ ამ ბოლო დროს, რა ძვირფასია  
ხანა გრძნობების მოგიზგიზესი,  
რომ სიყვარული ერთადერთი სილამაზეა,  
სილამაზეთა კიდევ მიზეზი.

და ახლა, როცა მე ვიგონებ გულს ცეცხლის ალთა  
დარევას იმგვარს თუ რას არქმევდა,  
დაეცა ბალებს შუქი მკრთალი და აკანკალდა;  
ო, რა მოწყენით ვდგავარ სარკმელთან.

ზამთრის ბნელ დამეს მოგონებას დაეწვეთება

ვარდი, ნაზარდი წყლებით ლეთისა,  
და სიზმრისაა ყვავილები, როცა ედება  
მზე ჩამავალი დასავლეთისა.

●

მენატრები და არ ვიცი, სად ხარ.  
იქნებ, ჰაერი ხარ, რომელსაც ვსუნთქავ  
ან, იქნებ, მზე ხარ, ასე შორიდან რომ მათბობ,  
ან ბეღურა ხარ, ამ ცივ ზამთარში ჩემთან რომ დარჩი,  
ან ლიმილი ხარ უცნობი მგზავრის – ბნელში გამკრთალი,  
ან ტყის ბილიკზე დაფენილი მთვარის შუქი ხარ,  
ან ხმა ხარ ჩემში ჩემი ბავშვობის,  
ან, იქნებ, არ ხარ და მოგიგონე,  
მოგიგონე, რომ ვიყო თვითონ.

## 6-შის ყვავილების მთვერში

ო, ეს სიზმარი...  
ეს სიზმარია, რომ მაშორებს  
დღევანდელ ცხოვრებას.  
მე ბავშვობიდან ყოველთვის მესმის  
შენი ფეხის ხმა.  
შენ მოდიხარ ჩემთან  
ყოველ გაზაფხულს,  
როდესაც ნუშის ყვავილები  
პეპლებივით ცვივა ბილიკზე;  
შენ მოდიხარ ჩემთან შუალამით,  
ბნელი ტყის სტუმარივით  
და ოპიუმივით მათრობ  
შემოდგომის ზღაპრებით.  
მაგრამ მე მაინც არ გიცნობ შენ –  
სიყვარულო!  
მე შენ არ მინახიხარ და, ალბათ,  
ვერც გნახავ ვერასდროს.  
„სიყვარული“ – ეს მე შეგარქვი.  
შესაძლოა, შენ გქვია  
სხვა სახელი ან შესაძლოა,  
სულაც არ არსებობ ამქვეყნად.  
შენ არსებობ მხოლოდ ჩემში,  
მე ყოველთვის ვგრძნობ შენს თანყოფნას  
და არ მეშინია მარტობის.  
შენ მე არასდროს მიღალატებ,  
რადგან ჩემს იქით არ არსებობ.  
ჩვენ სიკვდილამდე ვიქნებით განუყრელნი  
და გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს  
ერთად მივიძინებთ  
ნუშის ყვავილების მტვერში.

### ანდრო ბუაჩიძე

### ლირიკული ხედვის თვალსაწიერი

დასავლეთევროპელი ლიტერატორები XX საუკუნის პირველსავე ნახევარში საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ ამავე საუკუნეში სულ მაღე ალარ იარსებებდნენ ისეთი ფაქტი ლირიკოსები, როგორებიც იყვნენ ჰუგო ფონ ჰოფმანსტალი ან რაინერ მარია რილკე, ფედერიკო გარსია ლორკა თუ ანტონიო მაჩადო, სალვადორე ქაზი-მოდო თუ ეუჯენიო მონტალე. წინასწარმეტყველნი არ განბილებულან. საუკუნის მანძილზე ლირიზმის ხარისხმა მართლაც მკვეთრად იყლო. ორი ტოტალიტარული მონსტრის – ფაშიზმისა და ბოლშევიზმის – ექსპანსია ლირიკის ადგილს უფრო ავინროებდა, ვიდრე აფართოებდა. დასავლური ლირიკის მკვლევარმა ჰუგო ფრიდრიხმა იმდროინდელ პოეზიას „დეპოეტიზირებული ლირიკა“ უწოდა. ორი იდეოლოგიური პანაკის შეჯახებამ და მსოფლიო კატასტროფამ სამყაროს სახე უცვალა. ამ შეცვლილი სახის მეტ-ნაკლებად ტრადიციული ან უკვე არსებული სიტყვიერი ხელოვნების უანრული სახესხვაობების მეშვეობით გადმოცემა თითქმის შეუძლებელი შეიქნა. როგორც დასავლელი მოაზროვნენი ამბობდნენ, ოსვენციმისა და მაიდენეკის შემდეგ მხოლოდ აბსურდული ლექსების წერა თუ იყო შესაძლებელი. მეტამორფოზა მარტო ლირიკას არ შეხებია, რომანსაც შეეხო. აკი დასავლეთგერმანელმა რომანისტმა პილდესპაიმერმა თქვა – ოსვენციმის შემდეგ რომანების წერა შეუძლებელია. აქ, ცხადია, ის არა მარტო ტრადიციულ მწერლო-

ბას გულისხმობდა, არამედ, ზოგადად, იმ ლიტერატურას, რომელიც მოჩვენებითი რეალიზმის ვიწრო საზღვრებში იყო მოქცეული. „ნამდვილი რეალობა არარეალისტურია“ – ეს ნათქვამი კი უკვე ფრანც კაფკას ეკუთვნის. და მართლაც: XX საუკუნის პირველი ნახევარი ის რეალობაა, რომელიც თვითონვე წარმოჩნდა გროტესკული და ფანტასმაგორიული ნიშნით. გროტესკი შეიქრა თვით ლირიკაშიც და გაჩნდა ცნება – გროტესკული ლირიკა. რაინერ მარია რილკე ამბობდა, ირონია საგნების სილრმეში ვერ შეაღწევსო, მაგრამ XX საუკუნის მეორე ნახევარში შეაღწია – ირონია და პაროდია ლირიკის თანამდევ ნიშნებად იქცა. ბოდლერისგან დაწყებულმა ტენდენციებმა, კერძოდ, იმპერსონალურობამ ელიოტის ლირიკაში უკვე სრულიად გამოკვეთილი სახე მიიღო. ელიოტი წერილში „ტრადიცია და ინდივიდუალური ტალანტი“ გამოთქვამდა დაახლოებით ასეთ აზრს, რომ წარსულში მოღვაწე პოეტებიც სხვადასხვა მნიშვნელობას შეიძენდნენ დღევანდელი გადასახედიდან. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან წინა პლაზე წამოინია ანტირომანტიკულმა, ხაზგასმულად პოსტსიმბოლისტურმა პოეზიამ. ევროპაში ეს პროცესი უფრო ადრე განვითარდა, ჩვენში კი უფრო გვიან. XIX საუკუნის ბოლოს ფრიდრიხ ნიცეშემ გააუქმა მეტაფიზიკურ სამყაროში გასვლის პერსპექტივა. ტრანსცენდენციის ვერშეძლების გამო სიტყვა, პოეტური ენა სიმბოლოდ და მინიშნებათა სისტემად იქცა.

სწორედ ეს იყო სიმბოლიზმი. ამავე პერიოდში, რეალიზმისა და ნატურალიზმის შემდეგ, პოზიტივიზმის მოძღვანელების მიუხედავად, მაინც არ განელებულა ტრანსცენდენტურში, მარადისობაში „გაჭრის“ წყურვილი. სიმბოლიზმი გავრცელდა ეპროპაში, რუსეთში, საქართველოში... საქართველოში სიმბოლიზმი, ერთი მხრივ, უშუალოდ ევროპული გამოცდილებიდან იღებდა დასაბამს და, მეორე მხრივ, რუსულენოვანი ლიტერატურული სამყაროდან, სადაც ამ კულტურამ თუ მიმართულებამ სრულიად თვითმყოფადი სახე მიიღო. გრიგოლ რობაქიძემ ლაიფციგში დამთავრა ფილოსოფიური ფაკულტეტი, სამშობლოში დაბრუნდა და ლექციებს კითხულობდა ევროპელი მწერლებისა და მოაზროვნების შემოქმედებაზე. სწორედ მან გააცნო საზოგადოებას ფრიდრიხ ნიცშეს ნააზრევი, რომელმაც განსაკუთრებული როლი ითამაშა სიმბოლიზმის ჩამოყალიბებაში. ქართველმა სიმბოლისტებმა მკვეთრად შეცვალეს ეროვნული ლირებულებების სკალა. ამ მიმართულებით მათი ძიებანი გასცდა ლიტერატურის ფარგლებს და მთელი კულტურის სფერო შემოწერა. მაგრამ ყველაფერი მაინც პოეზიით დაიწყო და პოეზიითვე დამთავრდა. „გავმართოთ ქართული პოეზია მსოფლიო რადიუსით,“ – ასეთი იყო, ათიანი წლებიდან მოყოლებული, ტიციან ტაბიძის მონოდება. ეს მონოდება XX საუკუნის პირველ ნახევარში თვითონ ქართველმა სიმბოლისტებმა, „ცისფერყანწელებმა“, გალაკტიონ ტაბიძემ და მათმა მიმდევრებმა აღასრულეს. მომდევნო პერიოდში ეს უწყვეტი პროცესი სამოციანელებმა და სამოცდაათიანელებმა განაგრძეს. ცალკე კვლევის თემაა ოთხმოციანელების წვლილი ამ საქმეში. ოთხმოცდაათიანი წლების კოლაფსური მდგომარეობა, რომელმაც მთელი ქვეყანა მოიცავა, ცხადია, პოეზიის მსოფლიო რადიუსით გამართვას ხელს ვერ შეუწყობდა – როცა ქვემეხები ჰქეუსან, მაშინ მუზები სდუმან. ისიც უნდა ითქვას, რომ დროის ამ მონაკვეთში საქართველო არა მარტო პოლიტიკურ იზოლაციაში აღმოჩნდა, არამედ ექსისტენციურ კრიზისში ჩავარდა. ეს ვითარება კი პოეტე-

ბისთვის განსჯის საგნად უნდა ქცეულიყო. დამთავრდა XX და დაინტერესული წლეულს, 2016 წელს, 100 წელი შესრულდა ქართველი სიმბოლისტების მთავარი ორგანოს – „ცისფერი ყანწების“ დაარსებიდან. ევროპული რადიუსის პრობლემა დღეს უკვე არა მხოლოდ ქვეყნის კულტურაში, არამედ პოლიტიკურ ცხოვრებაში იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. და რადგან ამჟამად პოეზია ჩვენთვის მთავარი, საინტერესოა, დღეს რა ვითარებაა ქართულ პოეზიაში, არის თუ არა სწრაფვა „მსოფლიო რადიუსისკენ“ და რა ნიშნით ვლინდება ეს. პოეზია ერთი, თუმცა უმნიშვნელოვანესი სეგმენტია მთლიანი კულტურისა, რომელიც მსოფლიო პროცესებში ჩართვას უნდა მიესწრაფოდეს. დღეს თვალშისაცემია მცირერიცხოვნება იმ პოეტებისა, რომლებიც თანამედროვე ფორმითა და შინაარსით პასუხობენ ცხოვრებისეულ გამოწვევებს. ეს პოეტები, მცირერიცხოვნების გამო, ვერ ქმნიან განსხვავებულ ატმოსფეროს და თუნდაც ზოგად, გამოკვეთილ ტენდენციას დღევანდელ პოეზიაში. ვფიქრობ, კრიზისი ოთხმოცდაათიანი წლებიდან დაიწყო. ამ წლებში რეალობა ძალზე მკაცრი აღმოჩნდა, ამიტომაც გაუწილდათ იმედი ფსევდოპატრიოტულ-ეპიგონური პოეზიის ადეპტებს. თითქოს დინამიკურმა და ცვალებადმა ცხოვრებამ გაკვეთილი ჩაუტარა და შეასხენა მათ, რომ პატრიოტიზმი პრიმიტიული გრძნობა არ არის და დროში ისიც უნდა იცვლებოდეს ფორმასთან ერთად. პატრიოტული თემატიკით იმიტომ დავიწყე, რომ საბჭოთა იმპერიის რღვევის შემდეგ დამოუკიდებლობის მაძიებელ ქვეყანაში მოსალოდნელი იყო ამგვარი მოტივების აღზევება, მაგრამ არაორდინარული ვითარება პოეზიაშიც არაორდინარულ ხერხებს მოითხოვდა. ამიტომაც გამოიდევნა სტერეოტიპი და ფსევდოპატრიოტული ტრიგიალობა. ამგვარი მოტივები და მისი თანამდევი პათოსი არათუ ვერ პასუხობდა რეალობას, არამედ მასთან სრულ შეუსაბამობას წარმოადგენდა. ეს უფროსი თაობის მწერლებმაც იგრძნეს და, ვისაც გემოვნებასთან ერთად გამახვილებული ინტუიციაც ჰქონდა, მან პუბლიცისტურ ლირიკას

მიმართა, ყოველ შემთხვევაში, ვითარების შერბილების თუ შელამაზების ცდა, რომელიც საპტოთა ცენტრული პირობებისთვის იყო დამახასიათებელი, უკვალიდ გაქრა. ცხადი გახდა, როგორც ერთი მოაზროვნე ამბობდა, რომ გულისკენ მიმავალ გზას გონებაზე უნდა გაევლო, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, პოეზიაშიც აუცილებელი იყო თვითრეფლექსია. ლირიკული პოეზია ისე-დაც თვითრეფლექსია, საკუთარი თავის, საკუთარი ბედისწერის შეცნობაა და, მითუმეტეს, ოთხმოცდაათიანი წლების თბილისში, ამ ექსისტენციურ სიცარიელეში, მოხვედრილი ადამიანის ბედის გაზიარება და გაცნობიერება აუცილებლობას წარმოადგენდა. ურბანისტული გარემო, რა თქმა უნდა, მანამდეც არსებობდა ჩვენ ირგვლივ, მაგრამ ყოვლისმომცველი სიბნელე და სილატაკე ექსისტენციური გზადაკარგულობის განცდას აღძრავდა. ევროპული ექსისტენციალიზმი, რომელიც წიგნებიდან და კინოფილმებიდან იყო ცნობილი, რეალობად იქცა. გავიხსენოთ თუნდაც ალბერ კამიუს რომანი „შავი ჭირი“. ასეთი ვითარება წლების მანძილზე გაგრძელდა. მწერალს, რომელსაც სანთელი ენთო და სანთლის შუქზე წერდა თავის ნანარმოებს, ბუნებრივია, იმაზეც უნდა ეფიქრა, ვინ ვართ ჩვენ, ქართველები, საიდან მოვედით და საით მივდივართ. მაგრამ ძიებათა სფერო უფრო შემოსაზღვრული აღმოჩნდა და მეტნილად ფორმათმაძიებლობას შეეხო, ვიდრე შინაარსს. ამ პერიოდში თვითგამოცემები უმთავრესად ავანგარდულ ლიტერატურას ეთმობოდა. ეს ავანგარდიზმი XX საუკუნის მეორე ნახევრის ევროპელი, უფრო ამერიკელი და გერმანელი პოეტების მერთალი ანარეკლი იყო. ეს იყო ფორმის ძიება და ხშირად უკვე არსებულის გამორჩება. მკრთალი ანარეკლი ამ შემთხვევაში მწიგნობრულ ელფერს გულისხმობს. არც ეს იყო ცუდი, მაგრამ უფრო მეტად ბუნებრივი გარემოდან მცენარის გადმონერგვას ჰგავდა. პოეტი გარკვეულ დროსა და სივრცეში ცხოვრობს და მისი ლირიკის მკვებავი წყარო მისივე დრო და გარემოა. ის სისხლხორცეულად უნდა იყოს დაკავშირებული თავის გარემოსთან, ცხოვრებასთან

და, უპირველეს ყოვლისა, თავის ენასთან. თუ ეს ასე არ არის, მაშინ პოეტი ამოვარდილია კონტექსტიდან და მის შემოქმედებას ცხოველმყოფელობა აკლია. შინაარსი ბუნებრივად უნდა ბადებდეს ფორმას.


XX საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ პოეზიაში გალაკტიონ ტაბიძემ გამართა თავისი შემოქმედება მსოფლიო რადიუსით. ის წერდა – მსოფლიო ნგრევათა კვლავ მოწმე გავხდებით; მისივე სიტყვებია: „დაისერა მსოფლიო გამოუცნობ წყლულებით“. მისი ხედვის თვალსაწიერი მთელ მსოფლიოს იტევს, ჩვენ კი დღეს, მიუხედავად იმისა, რომ კულტურულ სამყაროსთან, ევროპასთან ინტეგრაციას მივესწრავით, მაინც ამოვარდილები ვართ მსოფლიო სატკივართა თუ საფიქრალთა გლობალური კონტექსტიდან. ეს ამოვარდნა არა მხოლოდ ოთხმოცდაათიანი წლებიდან, უფრო ადრეული პერიოდიდან იწყება. ოთხმოცდაათიანი წლები და მომდევნო პერიოდიც, როგორც უკვე ვთქვით, ფორმალურ ძიებებს ეთმობოდა. ამაში ცუდი არაფერია. ესეც ითქვა, მაგრამ არის კი წარმატებული ცდები? უფრო ზუსტად: მოერგო კი ფორმა შინაარსს? ამგვარ ძიებათა სფერო ინდივიდუალურია, მაგრამ ამ ძიებათათვის მეტ-ნაკლებად შემზადებული ნიადაგი – გარკვეული ტრადიცია და მსოფლმხედველობა უნდა არსებულიყო. არსებობდა? ადამიანი კულტურის შემოქმედი სუბიექტია. ის ამ კულტურის „შიგნით“ ცხოვრობს და ამავე კულტურის კვალად იცვლება. ლირიკა ადამიანის შინაგანი სამყაროს პროექციაა. მაღალმხატვრული ლირიკაც რენტგენის სხივებივით ამჟღანებს ადამიანის შინაგან სამყაროს. XX საუკუნის პირველი ნახევრის ევროპელი ადამიანისგან ბევრწილად განსხვავებული აღმოჩნდა ამავე საუკუნის მეორე ნახევრის ადამიანი. რაინერ მარია რილკეს ლირიკული სუბიექტისაგან განსხვავებულია პაულ ცელანის ლირიკული სუბიექტი, განსხვავებულია ის სტილისტიკაც, რომელიც ამ სუბიექტის შინაგან სამყაროს გადმოგვცემს. XX საუკუნის დასაწყისში არსებობდნენ ისეთი პოეტები, რომელთა გაგება მხოლოდ XX საუკუნის მეორე ნახევარში გახდა შე-

საძლებელი. იმავე პაულ ცელანმა გერმანულ ენაზე თარგმნა და ევროპელ მკითხველს გააცნო რეპრესირებული და ფაქტობრივად მიჩქმალული, დაუფასებელი, უნიკალური პოეტი ოსიპ მანდელშტამი. ეს ფაქტი უზარმაზარი აღმოჩენის ტოლფასი გახლდათ, რამაც ახალი სინათლე მოჰყონა რუსულენოვანი პოეტის შემოქმედებას. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ოთხმოცდაათიანი წლები უფრო ფორმალური ძიებებით იყო აღბეჭდილი. სილრმისეულ, შინაარსის მომცველ ძიებებზე საუბრისას კი დაგვით შეკითხვა: არსებობდა კი საამისო ტრადიცია და მსოფლმხედველობა? დიახ, არსებობდა. ქართული ხელოვნება, მხატვრობა, მუსიკა, თეატრი, კინო სამოცდაათიან და ოთხმოცდაათიან წლებში სწორედაც ევროპული რადიუსით იყო გამართული. იგივე შეიძლება ითქვას ლირიკაზეც: საუკეთესო ქართველი პოეტების ლირიკაში ჩანდა კონკრეტული დროც და სივრცეც, ჩანდა ადამიანი – რთული განცდებისა და ფსიქიკის მქონე. ამ პოეტების ხელნერა მკვეთრი პიროვნული ნიშნით იყო აღბეჭდილი. მათი ლექსების მიღმა იგრძნობოდა ცოცხალი ადამიანის სუნთქვა, მოძრაობა, სწრაფვა, ტანჯვა და

სიხარული. ეს ადამიანი სწორედაც XX საუკუნის მეორე ნახევარში ცხოვრობდა და მისი ადგილსამყოფელი უკვე მიღლიონიანი ქალაქი თბილისი იყო. კულტურის კრიზისზე XX საუკუნის ოციანი წლებიდან საუბრობდნენ არა მხოლოდ მოაზროვნები, არამედ თვითონ მწერლები და ხელოვანები. დღეს, ამდენი ხნის შემდეგ, ყოველივე ეს ჩვენს გარემოში ხელშესახებ რეალობად იქცა. გიუნტერ აიხის გროტესკული და პაულ ცელანის აპოკალიფსური პოეზია, ცხადია, XXI საუკუნის კულტურაზეც ახდენს გავლენას. იოსიფ ბროდსკი გასული საუკუნის ბოლოს გარდაიცვალა. ემიგრანტი რუსი პოეტები ძალზე მაღალ შეფასებას აძლევენ მის შემოქმედებას. მისი რითმიანი ლექსი და ზოგადად მისი მეტრიკა და სტროფიკა კონვენციური ლექსის პაროდირებად აღიქმება. ეს არის ირონიაც და თვითირონიაც პოეზიაში, რაც საყრდენს აცლის არა მხოლოდ პოეტური მეტყველების ტრადიციულობას, არამედ, საერთოდ, სხვა ლირებულებებსაც ახალ მზერას აფენს. ამიტომაც საკვლევია ევროპული ლირიკის დონე და დიაპაზონი, მისი რაგვარობა – საინტერესოა, რას ნიშნავს დღეს „მსოფლიო რადიუსი“.

## უცხოეთის ლიტერატურა

### გიუნტერ აიხი



გიუნტერ აიხი (1907-1972) XX საუკუნის გერმანული პოეზიის ოქროს ხანად წოდებული 50-70-იანი წლების ცენტრალური ფიგურა იყო. მიუხედავად იმისა, რომ აიხი რადიოპიესის კლასიკოსად და შესანიშნავი პროზაული ოპერების ავტორადაც შემორჩინა კულტურის მეხსიერებას, ის, პირველ რიგში, დიდი გერმანელი ლირიკოსია. ლიტერატურის ზოგიერთი სპეციალისტი მის პოეზიას საერთოდაც მომავლის პოეზიას მიაკუთვნებს. აიხის სათქმელმაც და პოეტიკამაც, გარკვეული აზრით, მართლაც გაუსწრო თავის დროს. როგორი ნიუანსებით დატვირთული, ყოველგვარ ამაღლებულ პათოსს მოკლებული, თითქოს კლასიკური ჩინური ფერწერის კანონებით მონესრიგებული (პოეტი განათლებით სინოლოგი იყო) მისი ლირიკა უჩვეულო კონტრასტს ქმნის არაუწყინარ, ანარქისტული კოდებით დახუნძლულ შინაარსთან და მას უაღრესად თანამედროვე ულერადობით მუხტავს, რაც პოეტიკის ფორმალურ სისტემაზეც უპირობოდ ვრცელდება. შესაძლოა, აიხმა ლექსში „იაპონური გრავიურა ხეზე“ სწორედ საკუთარი პოეზიის საიდუმლო გაამჟღავნა: როცა ცხენს ვხედავთ, მხედარი კი იგულისხმება, მნახველს მართლაც განსაკუთრებული სულიერი ძალისხმევა და კულტურული გამბედაობა მართებს იმისთვის, რომ „ალვირს გადასწვდეს“.

### უკვე იზრუნეს

უკვე იზრუნეს,  
რომ ღარიბებმა თავი არ მისცენ ძილს ლოცვების წარმოუთქმელად.  
ხოლო სატვირთო მატარებელი იმას ამბობს, რაც დაუსახეს.  
ნყლის წვეთი სიტყვასიტყვით ეცემა.  
განთიადზე  
გამზმარ ფოთლებს კითხულობს ქარი.

ლოცვანი, იმის ლოცვად, რაც ხდება,  
ყოველდღიური დამცირება,  
მარილმოყრილი ჭრილობები,  
ქვის პური და  
უმოკლესი გზის მონაკვეთი.

ნუგეშნი კი გადამალულან:  
ნაოცნებარ სურნელებას  
გაამრავლებს ნაგავში ვარდი  
მიმოფურცვლილი.

## გახსოვდეს წამი

გახსოვდეს წამი,  
როცა თოკები და ფიცრები მიგდებულია,  
მზიდავები ლუდხანაში ბანქოს უსხედან,  
სამგლოვიარო სახლში ისევ ცეცხლი ანთია  
და პირველი ხარხარი ისმის.

## სხვა ენებზე

რომ დავეკითხე კაჭკაჭთა ფრენას,  
ბოლოქანქარას ბოლოს ქანქარს,  
ჩემს გაჩენამდე ჩავლილ ყველა საუკუნეში,  
მუნჯს რომ ეკითხა,  
ჩემი ყური გასცემდა პასუხს.

დღეს მე მიხსენებს  
ხედი სარკმლიდან.  
ჩავფიქრებივარ ბინდბუნდს,  
პასუხი საიდანაც ამოფრინდება,  
ბუმბულს აიშლის,  
მიმოიძვრის ყურში შეკითხვა.

ვიდრე ირჯება ჩემი სუნთქვა  
განუყრელის სახელდებისთვის,  
მწვანე მინდორმა უკვე მთარგმნა  
და ბინდბუნდიც ჩამფიქრებია.

## შუადღის ორ საათზე

საკრისტიის კარის ზღურბლთან –  
მღვდლის ლეგა შპიცი.  
დაბრმავებულ მის თვალთა წინ  
ბელურები ფრთებით ქვიშას მიმოფერთხავენ.

ისე გრძნობს, როგორც მოგონებებს,  
ის ხოხობთა გამოსანასკვ თოვს,  
სასაფლაოს გალავანში ბზარად რომ დაჩნდა;  
საფლავის ქვების აძაგძაგებას;  
მტანჯველ ჩხვლეტამდე მუხლუხის გრეხას;  
და – აგურის ფერისცვალებას,  
როცა თხუნელა კვდება და ყვირის.  
ის დინჯად ისმენს  
ტყეებიდან მოსულ უწყებებს:  
გახსნილანო კარიბჭენი სამოთხისანი.

## ლურჯქურთუკიანი მამაკაცი

ლურჯქურთუკიანი მამაკაცი  
თოხით მხარზე შინ რომ ბრუნდება,  
მე მას ვხედავ ბალის ღობეცხაურის მიღმა.

ასე ვიდოდნენ ქანაანში ისინი მწუხარზე;  
ბირმაში – ბრინჯის ყანებიდან,  
მეკლენბურგში – კარტოფილის მინდვრებიდან,  
ბურგუნდეთში – ვენახებიდან, კალიფორნიაში – ბალებიდან,  
გზას შინისკენ ისინი ახლაც ასე ადგანან.

დაორთქლილი მინების მიღმა სინათლე რომ გამოჩნდება,  
მე მშურს მათი ბედნიერება, ჩემთვის უკვე ჩარაზული,  
პატრიარქალური მიმწუხრი,  
კერის კვამლით და ბავშვების თეთრეულით და მოკრძალებით.

ლურჯქურთუკიანი მამაკაცი შინ ბრუნდება;  
და ის თოხი, მხარზე რომ უდევს,  
განლევადი მწუხრის ბინდში თოფის მსგავსია.

## დაითვალიერეთ თითის წვერები

დაითვალიერეთ თითის წვერები, უკვე ფერი ხომ არ შეცვლია!

ის – შემუსვრილი შავი ჭირი – ერთ დღეს ისევ დაგვიბრუნდება.  
ფოსტალიონი წერილის სახით ჩააცურებს ულარუნა ყუთში,  
ქაშაყის ულუფის სახით აღმოჩნდება ის შენს თეფშზე,  
ჩვილი მას დედის მკერდით მიიღებს.

რა ვიღონოთ, როცა უკვე აღარავინ დარჩა ისეთი,  
ვინც იცოდა, შავ ჭირს როგორ გამკლავებოდა?  
ვინც საზარელს საიმედოდ დაუმეგობრდა,  
შეუძლია, მის სტუმრობას მშვიდად ელოდოს.  
ჩვენ, როგორც წესი, ხელგაშლილნი ვეგებებით ბედნიერებას,  
მაგრამ ის ამ ჩვენს სავარძლებში თავს კარგად ვერ გრძნობს.

დაითვალიერეთ თითის წვერები! შავად როცა შეიფერება,  
გვიან იქნება.

## ამონარიზი წერილიდან

ერთ წიგნსაც აღარ წავიკითხავ.

მაგონდება  
ხის ტანები – ჩალით მოსილი,  
თაროებს შორის – აგურები, გამოუმწვარი.  
სურათ-ხატები ქრება, მაგრამ ტკივილი რჩება.

ჩემმა სიბერემ, მსურს, ღვინის მწვანე  
ბინდბუნდში განვლოს  
ულაპარაკოდ. ტკაცანებენ კალის ჯამები.

გადაეფარე მაგიდას! ჩრდილში  
პორტუგალიის რუკა ყვითლდება.

## გაცნობიერება

ყველამ იცის,  
რომ მექსიკა გამოგონილი ქვეყანაა.

როცა სამზარეულოს კარადა გავაღე,  
ჭეშმარიტება  
ნარწერიან კონსერვის ქილებში  
დამწყვდეული დამხვდა.

ბრინჯის მარცვლები  
საუკუნეებისგან ისვენებენ.  
სარკმლის წინ  
ქარი თავის გზას აგრძელებს.

## წამი ივნისში

როცა სარკმელი გაღებულია  
და როცა ქარი, წითელი წაბლის უკანასკნელი ყვავილები  
და ათას ცხრაას ოთხი წლის ვალსი „ჯადოქრობა“  
ნარმავლობით ავსებენ ოთახს,  
როცა სარკმელი გაღებულია  
და სატყეო ნაგსაფერი და დახერხილი ფიცრების ხედი  
და აკაციის განუწყვეტლივ მოუსვენარი ფოთლეული მეშლება თვალწინ –  
ჩემთვის ამ დროს შენზე ფიქრი სასიკვდილო განაჩენია.  
ვისი ამბორი დაფარავს შენს მკერდს  
და ვინ მოისმენს შენს ნაჩურჩულევს?

როცა სარკმელი გაღებულია  
და ოთახში დედამიწის შიშის ზარი შემოუბერავს –

ორთავა ბავშვი  
– ერთ თავს რომ სძინავს, მეორე ყვირის –  
ყვირილი მსჭვალავს ქვეყნიერებას  
და შეძრნუნებით ავსებს ჩემი სატრფოს სასმენელს  
(ამბობენ, სიმახინჯეებმა ჰიროშიმას მერე იმატა).

როცა სარკმელი გაღებულია, ვიხსენებ იმათ,  
ვისაც ერთურთი ათას ცხრაას ოთხ წელს უყვარდა,  
და – მესამე ათასწლეულის ადამიანებს,  
უკბილოს, უთმოს.

მაინც ვის ჩუქნი შენს ქრობად მზერას,  
რომელიც ერთ დროს მე მეუფრენოდა?  
ჩვენი სიცოცხლე: სწრაფად ქროდეს ერთ მხარეს თითქოს,  
ჩვენ კი მეორე მხარეს მივფრენდეთ.  
და მალვით სახლობს უფსკრულებში ბედნიერება.

## პითევა ავდარში

ტექსტები, შენზე  
გამოძიების დასაწყებად დადგენილი,  
ასოები, თეთრით მოსილი,  
შავი ტოტები,  
ფოთლეული,  
ბოროტებით წესრიგდასმული –

ვიღრე ელვა დასრულდება,  
შენი თვალი  
კვლავ იქნება ცამდე მართალი:  
ცა  
მოხატული არის ხეებით,  
შენთვის ნაუწყებს თეთრი ფერი აქვს.

## მტრედები

მტრედები ნახნავ-ნათეს მინდვრებს გადაუფრენენ –  
სილამაზეზე უსწრაფესი ფრთებისცემაა.  
მას ვერ ეწევა სილამაზე და გულში შთენილ  
ფორმიაქად ჩამომირჩება.  
სამტრედებს და მწვანედ ნაფერ ამ ჯუჯა სახლებს  
თითქოს შეეძლოთ გაგონებაც მტრედთა ხარხარის,  
და უკვე ვფიქრობ:  
იქნებ, მათთვის ეს ფრენაა მნიშვნელოვანი  
ან, ვთქვათ, რამდენად არსებითია მათთვის, რომ მიწას მოავლონ  
თვალი,  
ან რა ფასი აქვს მათთვის ხორბლის მარცვლების კენკვას  
ან – როცა ქორი ალმოჩნდება თვალსაწირში.

ჩემს თავს ვურჩევ, ვუფრთხოდე მტრედებს.  
ვამბობ: შენ არ ხარ მათი ბატონი, საკენკს რომ უყრი,  
საფოსტო მიზნით რომ იყენებ,  
დეკორატიულ ფორმებად რომ გარდაქმნი და – ახალ ფერებად,  
ახალი ქოჩრით რომ ამშვენებ და ბუბულით უმოსავ ფეხებს.  
ნუ მიენდობი შენს ძლიერებას,  
რათა არ დარჩე გაკვირვებული,  
როცა მიხვდები: უმნიშვნელო ყოფილხარ მათთვის,

რომ, თურმე, აქვე არსებულა იდუმალი სამეფოები  
და უძგერებო ის ენები, ჯერაც რომ არ გამოკვლეულა,  
ძალის არმქონე, მაგრამ მაინც შეუვალი საპრძანებლები,  
და რომ ფრენის დროს მიეცემათ მტრედებს წესები.

## აგვისტოს დასასრული

დაკიდებულან თეთრმუცლიანი მკვდარი თევზები  
ლემნასა და ლელიანს შორის.  
ყვავებს ფრთხი აქვთ სიკვდილისგან თავდასალწევად.  
ზოგჯერ მე ვიცი, რომ ღმერთი ზრუნავს  
ყველაზე მეტად ლოკოკინას არსებობაზე.  
მას სახლს უშენებს. მაგრამ ჩვენ მიმართ სიყვარული არ გააჩნია.

სალამოს, როცა შინ ბრუნდება ფეხბურთის გუნდი,  
ომნიბუსი მტკრის თეთრ დროშას მიაფრიალებს.  
მწუხრის ვარსკვლავთან დაწყვილებული,  
ტირიფებში კაშკაშებს მთვარე.  
რარიგ ახლოს ხარ, უკვდავებავ, ღამურას ფრთებში,  
ავტოფარების იმ წყვილ თვალში,  
დაღმართში გორაკს რომ იახლოვებს.

## ღამლამობით

რომ ჩაგესმოდეს ღამლამობით, რაც არავის მოუსმენია:  
ალაპის მეასე სახელი,  
მოცარტის გარდაცვალების მიზეზით  
არდაწერილი ლიტავრის ჰანგი,  
საუბრები, მოსმენილი დედის საშოში.

## ქოლოს ყლორტები

ტყე – ფიქრებს ამოფარებული,  
მათთანვეა წვიმის წვეთები  
და შემოდგომა, მათ რომ აყვითლებს –

ოჳ, რომ გამოვთქვა უოლოს ყლორტები,  
ხოლო შენ ყურში ჩაგჩურჩულო მაუალოები,  
ღაულაჟები, ხავსიანში ჩაცვენილები.

ვერ გაუგია ისინი შენს ყურს,  
მათ ვერ გამოთქვამს ჩემი ბაგე,  
მათი დაშლის შეკავება სიტყვებს არ ძალუდთ.

ფიქრით მიუგნებ ფიქრებს შორის, ასე, ხელიხელ.  
კვალი ტევრში უჩინარდება.  
თვალს ახელს მთვარე,  
ყვითელს და მუდმივს.

## პაულ ცელანი

XX საუკუნის ავსტრიელი პოეტი პაულ ცელანი (1920-1970) მიჩნეულია ევროპული მოდერნიზმის ცენტრალურ ფიგურად. მისი ლექსების ხაზასმულად ექსპრესიული ესთეტიკა და ენობრივი ძიებები ერთგვარ დისონანსს ქმნის 50-იანი და 60-იანი წლების სოციალურად აქტიურ, ანგაუირებულ ლირიკასთან. ცელანის პოეზია, ერთი მხრივ, ფრანგული სიმბოლიზმისა და სიურრეალიზმის, მეორე მხრივ კი გერმანული რომანტიზმისა და ექსპრესიონიზმის უმდიდრესი ტრადიციებიდან ამოიზარდა. მისი პირველივე პოეტური კრებულები რემბოს, პიოლდერლინის, განსაკუთრებით კი გეორგ თრაკლისა და რაინერ მარია რილკეს შემოქმედების ძლიერი გავლენით არის ნიმანდებული. ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ცელანი მედიცინასა და ბოტანიკაში საფუძვლიანად ჩახედული ხელოვანი იყო, რამაც ასევე დიდი როლი შეასრულა მისი პოეტური ენის ჩამოყალიბებაში. და მაინც, გადამწყვეტი სიღრმისეული გამოცდილება, რომლითაც მისი ურთელესი აზრობრივ-ესთეტიკური სამყარო იქსოვებოდა, მარტინ პაიდეგერის ფილოსოფია იყო. პაიდეგერის ენისა და ხელოვნების ფილოსოფია ცელანის მთელი ცხოვრების თანამგზავრად დარჩა. სავარაუდოდ, ამ ინტერესს აძლიერებდა ცელანთან ძლიერი ინტიმური გრძნობებით დაკავშირებული მეორე დიდი გერმანელი პოეტის, ინგებორგ ბახმანის პაიდეგერიანული სულისკვეთებაც. სიცოცხლის ბოლო ათი წელი პოეტს ჯოვანხეთად გადაუქცია მძიმე ფსიქიკურმა აშლილობამ. ფსიქიატრიულ კლინიკებში ცელანის იძულებითი სტაციონირების შეწყვეტაზე და პოეტის ოავისუფლებაზე კი, როგორც წესი, მისი მეუღლე, მხატვარი ჟიზელ ლესტრანში ზრუნვადა. სამწუხაროდ, მისმა ზრუნვამ ვერ აჯობა შეშლილობას. ცელანმა სენაში დაიხრინ თავი, პოეტის მაგიდაზე კი გადაშლილი დარჩა პიოლდერლინის ერთი ცნობილი ბოგრაფიული წიგნი. წინამდებარე ბუბლიკაცია ნარმოგიღენთ ცელანის იმ ლექსებს, რომლებშიც უკვე მიღწეულია სრული ავტონომიურობა და მათი კითხვისას რჩება განცდა, რომ თითოეული სტრიქონი დუმილის რეპრეზენტაციის მისტიკური მცდელობაა.



## ციურისი, კაზე „ქარყატი“

მრავალზე იყო საუბარი, იყო  
მცირედზე. იყო „შენ“-ზე და  
„მაგრამ-შენ“-ზე,  
დაბინდვაზე ნათლისმიერით,  
იმ ებრაულზე,  
იმ შენს უფალზე.

ამა-  
ზე.  
ეს დღე ამაღლების დღე იყო, მკვიდრად

ალმართულიყო გაღმით ტაძარი, წყალზე  
ოქროდ მოლივლივებდა.

შენს ღმერთზე იყო საუბარი, მე ვმეტყველებდი  
მის წინააღმდეგ,  
აღვავსებდი გულს, რომელიც ჩემი იყო,  
იმედით  
მისი  
უმაღლესი, ნაღაღადები,  
მომჩივანი მისი სიტყვისა –

მზერა მესროლა შენმა თვალმა, მერე მიგანა,  
თვალს გაესიტყვა  
შენი ბაგე, მე კი ჩამესმა:

ჩვენ  
ხომ არ ვიცით; იცი,  
ჩვენ  
ხომ არ ვიცით,  
რა  
ჯობს.

## მანათობელი ხე

სიტყვა,  
რომელსაც მიგაკარგე სიამოვნებით:  
სიტყვა  
არასდროს.

ჰგიებდა,  
და ეს შენც იცოდი ხანით ხანამდე,  
რომ ჰგიებდა  
თავისუფლება.  
ჩვენ მივცურავდით.

ისიც თუ იცი, რომ მე ვიმღერდი?  
მე ვიმღერდი მანათობელ ხესთან ერთად, საჭესთან ერთად.  
ჩვენ მივცურავდით.

ისიც თუ იცი, რომ შენ ცურავდი?  
განხვნილი იწექ შენ ჩემ წინაშე,  
ჩემ წინაშე შენ იწექ, იწექ  
წინაშე  
ჩემი წინ-  
მხლტომი სულის.  
მე მივცურავდი შენთვის და ჩემთვის. არ მივცურავდი.  
ხე მიცურავდა მანათობელი.

მიცურავდა კი? აკი, ზანზარა  
ჰეგიებდა ირგვლივ. უსასრულო ტბორი ჰეგიებდა.  
კუპრისფერი და უსასრულო. ასე ეკიდა,  
ასე ეკიდა სამყაროს თავქვე.

ისიც თუ იცი, რომ მე ვიმღერდი?

ეს დრეიფი –  
ო, ეს დრეიფი.

არასდროს. თავქვე სამყაროსი. მე ვიმღერდი.  
განხვნილი  
იზექ წინაშე ჩემი  
მესაჭე სულის.

## ღლისით

დაბამბული ცა. ისევ და ისევ  
მკაფიო ფრთა ირჯება წერად.

მეც, გაიხსენე,  
მტვრის-  
ფერი, მოველ  
ვითარცა წერო.

•

იდგე ჩრდილში  
ჭრილობისა ჰაერსა შინა.

იდგე-არვის-თვის-და-არაფრის-თვის.  
შეუცნობი,  
შენთვისვე  
მხოლოდ.

ყოველივეთი, სივრცე რაშიც მოიპოვება,  
თუნდაც  
უენოდ.

●

ძაფისმზეები  
ლეგაშავი უდაბნოს თავზე.  
ხე-  
მაღალი აზრი  
იკრებს სინათლის ბგერას: ჰგიებენ  
ჯერაც სიმღერები სასიმღეროდ იმიერ  
კაცთა.

## 0რლანდიური

მომეც უფლება, განვვლო  
ხორბლის საფეხურები შენი ძილისკენ,  
უფლება – განვვლო  
ძილის გზანვრილი,  
უფლება – ტორფის დატეხა შევძლო –  
ციცაპოზე გულისა,  
ხვალვე.

გერმანულიდან თარგმნა და  
წინასიტყვაობა დაურთო  
**დათო ბარბაქაძემ**

### ნატალია ქადაგიძე

### მარადი სიახლე, ანუ გოდოს და გივის გასაშებრება

მინდა, სამუელ ბეკეტის პიესაზე გესა-უბროთ, ნაწარმოებზე, რომელზეც არაერ-თხელ დაიწერა და ითქვა. სათქმელი ყველამ თავისებურად გამოხატა, ზოგმა ესეს საშუალებით, ზოგმა – მოკლე რეცენზიით, ზოგმა – მისი სცენაზე გაცოცხლებით... მაგრამ, მაინც, ვფიქრობ, ყველაფერი არ თქმულა, მით უმეტეს, რომ „გოდოს“ თემაზე დაუსრულებლად შეიძლება ილაპარაკო...“

პირველი, რაზეც მკითხველის ყურადღებას შევაჩერებ, გახლავთ ჩემთვის გარკვეული პერიოდის განმავლობაში რატომ-ლაც თანმდევი ფიქრი, რომ ბეკეტის გოდო და ქართული ხელოვნების წიაღში დაბადებული „ბრწყინვალე“ პერსონაჟი გივი ელდარ შენგელაიას ფილმიდან „ცისფერი მთები“, ახლო „ნათესავები“ არიან. თითო-ეული მათგანი ადამიანთა ცხოვრების მუდმივი დომინანტია. ყველას, განურჩევლად სოციალური, ეთნიკური თუ სქესობრივი ნიშნისა, ჰყავს თავისი გოდო-გივი, მაგრამ, მაინც, არ შეიძლება ამ ორი „ზეპერსონაჟის“ გვერდიგვერდ დაყენება, რამეთუ მათ შორის უფრო მეტი განსხვავება ყოფილა, ვიდრე მსგავსება...“

გოდო, თავისი იდუმალი არსით, უფრო სიდიადის და მიუწვდომლის დიფუზიური მოვლენაა, ნათელი სამყაროს წიაღში არ-სებული შორეული ახლობელია და მოვლინების შემთხვევაში, აუცილებლად გაამართლებს მოლოდინს, გაანათებს გზას, რომელიც აქამდე ვერავის გაუგნია. აქ აღარ გავიმეორებ დაწვრილებით, რაც მრავალჯერ თქმულა – რომ „გოდო“ (Godot) ინგლისურად ღმერთის აღმნიშვნელი სიტყვი-

დან (God) მოდის.

ეს პერსონაჟებით დარიბი ნაწარმოები უფრო „ფართო“ და მრავლისმეტყველია, ვიდრე ბევრი სხვა რომანი თავის პერსონაჟთა „ქვიშისებური“ სიმრავლით. თხზულების გეოგრაფიაც ძალზე მწირია, თითქმის ერთი პატარა გზის მონაკვეთია, რომ ვერ გაიგებ, საიდან მოვიდა და... სადაც წყდება, მართლა წყდება თუ არა... დიდი ლოდი კი, პერსონაჟთა „ჩამოსაჯდომი“, ცხოვრებაში პატარ-პატარა „ჩამოსაყრდნობების“ ასოციაციას იწვევს, ოლონდ, ამ „ჩამოსაყრდნობში“, არამც და არამც, არ მოიაზრება ადამიანი. ადამიანი ადამიანისთვის ამ გარემოში მექანიკური შეჯახების ობიექტია – ისინი შემთხვევით, ერთი და იმავე „გოდოს“ ძიებისას ხვდებიან, ერთმანეთი კი არასოდეს უძებნიათ. იქნებ, აქ არის „ჭიპი“ დიდი გამოცანისა, რაც ასე აწვალებთ და ვერ ამოუხსნიათ?.. სარტრის შემოქმედების თეზაც ხომ იმავეს გვეუბნება, რომ – „ჯოჯონებითი სხვებია“, იქნებ, ამიტომ არიან დაქსაქსულნი პერსონები – ადამიანის კატეგორიით. ისევ ჩვენ მიერ ხსენებულ მწერალს და ფილოსოფოსს თუ დავესახებით, ამ ადამიანთა შორის სიტყვა მუდმივად „ავადაა...“ მუდმივად დუმილი სჭარბობს საუბარს, მხოლოდ – შინაგანი დიალოგები „ისმის“...

პიესაში ამბის მომტანი ბავშვი მათი ფიქრია, გაურკვეველი გზავნილივით მოსული ცნობიერებაში, და ეს ფიქრი მერე მხოლოდ ლოდის ირგვლივ „ბოლთის“ ნაკვალევად ისახება, უფრო კი – საკუთარი თავის ირგვლივ..., ზოგიერთთა აზრით,

„გოდო“ შეიძლება ვუწოდოთ ბევრ „რამეს“, რასაც ველით, ჩემი აზრით კი, მას ჰქვია ჭეშმარიტება ყველაფერში, მაგრამ რატომ გვაწუხებს გოდოს არსებობა თუ არარსებობა ასე? ის ხომ ღმერთი არ არის, ის არის მხოლოდ „გოდო“ (Godot)... რატომ და, გოდო (ჩემი აზრით, მიწიერი ჭეშმარიტება) ისევე საჭიროა ყველასთვის, როგორც ღმერთი. არ ვაპირებ, თეოლოგიური ქვეტექსტი დავუდო მთელ ამ ზედაპირზე მოტივტივე ქვეცნობიერის ეპოქეას – გოდო არის ის, რაც ჩვენ ძალიან გვჭირდება აქ, დედამიწაზე, მაგრამ მის დევნაში, პი-

ნის და ფინის ამბავთან: ძალლი ლოკავს ჯაჭვს, ის კი, გაწყვეტამდე მისული, ისევ მთელდება... აშკარაა უხილავი წრე, სადაც მხოლოდ იწყება რაღაც და ადამიანებიც, გაქცევის დიდი სურვილით აღსავსენი, გამალებით უვლიან გარს საკუთარ ჩაკეტილ სამყაროს და დროსაც, რომელსაც ჰაიდეგერის ტერმინით *Zeitlichkeit*, ანუ ანტიკონსადი მყობადი შეიძლება ვუწოდოთ.

დეკორაციები „გოდოს“ ირგვლივ, სცენაზე თუ ჩვენს წარმოდგენაში, შეიძლება, ათასგვარად შეიცვალოს, მაგრამ გოდო უცვლელია, ის ყოველთვის გოდოა, ანუ,



რიქით, უნებურად, წიხლს ვკრავთ და ისიც კვლავ გვშორდება... ან, შესაძლოა, უფრო ახლოს მივედით, ვიდრე გვეგონა და ვერ დავიჯერეთ ან ვერ ვიცანით. გზაზე, რომელზეც ვდგავართ, ჩვენი მილიონჯერადი მცდელობა სანატრელთან მიახლოებისა მხოლოდ ამაოდ მოლალადე ნაფეხურებად ისახება... ეს უკრძესი პროცესია, ეს მოლოდინია, რასაც დასრულება არც უწერია. ეს არის ემპირიული მრნამსის მძვინვარება – არაფერი და არავინ გასცდეს ცდის ფარგლებს. ბეკეტის ნანარმოები, თითქოს, ერთგვარ პარალელსაც აჩენს ამირა-

როგორც აღვნიშნე, ჭეშმარიტებაა იმ სინამდვილეში, სადაც ვიმყოფებით და სადაც გაურკვევლობისგან სუნთქვა გვიჭირს. ამგვარად, ის არ არის უბრალოდ მიწიერი ოცნება, ის სიდიადის პირმშოცაა, თუმცა გვავიწყდება, რომ ეს სიდიადე ჩვენივე თავში ან ერთმანეთში შეიძლება ვიპოვოთ. გოდოს მოლოდინში მე მატერიალისტური იდეალისკენ სწრაფვას ვხედავ, რომელიც, სამწუხაროდ, მუდამ იდეალად რჩება, რადგან ადამიანს, რაც უნდა ჭკვიანი იყოს, უჭირს ამ მხრივ ზუსტი კოორდინირება.

გივიზე მოგახსენებდით, პერსონაჟზე,

რომელსაც განზოგადებული სახე აქვს. გოდოს არსებობაში თუ დროდადრო მაინც ეჭვი გვეპარება (მოუხედავად მოლოდინისა), გივი დადასტურებული რეალობაა, მაგრამ მოუხელთებელი. მისი მოლოდინის მასშტაბები, შესაძლოა, აჭარებდეს კი-დეც გოდოს მოლოდინის მასშტაბებს. ის არის განსაკუთრებული რეალობა, რომელიც ასე „საჭირდებათ“ მოკვდავთ და რომელიც არასოდეს ჩანს. „გივი, ჩვენ ვართ“ – ეს ფრაზა მიგვანიშნებს, რომ მთქმელი ძალიან ახლობელი უნდა იყოს ამ პერსონის, თუმცა ის მისთვისაც მიუწვდომელია. მიუწვდომელია, რადგან ჩვენს შორის სარეველასავით გამრავლებული ტიპაჟი ასე ჩამოაყალიბა მათზე ბიუროკრატიულმა გარემომ, ასე ასწავლა „ურთიერთობა“ მოძმებთან (ადამიანებთან). მართალია, უთქვამთ – „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო“, მაგრამ ამ შემთხვევაში, „გვარი“ არაფერ შუაშია – მთავარი გარემოა, რომელიც ყველაზე მეტად საბჭოურმა ნიაღვარმა დააყენა თავდაყირა, თავდაყირა დადგა ნეტარი და დიადი აზრებიც, მაგალითად, როგორიც არის ილიასეული „ყველაფერი ძირიდამ დაწყებულაო“... კოლოსალურია ბოლშევიზმის ბოროტი ძალის მასშტაბები, ეს არის ის, რამაც შეძლო სხვადასხვა წარმომავლობის ადამიანთა, და მათ შორის ქართველთა, მენტალიტეტი ისე „დაენერა“ და ჩამოეყალიბებინა, როგორც თვითონ სურდა და დაიბადა იმაზე უარესი „გივი“, ვიდრე ადრე იყო, დაიბადა ისე უჯიშოდ ჯიშიანი, რომ ახლაც ყოველი ფე-

ხის ნაბიჯზე გვხვდება, თუმცა დროა, მას უფრო კონკრეტული სახელი ვუწოდოთ – ბიუროკრატის ამოუძირებელი მეტასტაზი... „გივის“ ელიან ადამიანები კაბინეტის კართან, ტელეფონთან... ელიან თითქმის ყველგან, არსებობის ყოველდღიურობაში... მისგან პასუხი კი, როგორც ერთხელ მახვილგონივრულად შენიშნეს, არ არის და არც იქნება.

გივი არ ჰქვია, მაგრამ, ფაქტობრივად, „გივია“ ქართული პროზის გამორჩეული გმირი ყვარყვარეც – „ძლიერი“, „საჭირო“, აქვე არსებული, მაგრამ არავისთვის მყოფი... ეს არის „გივიობის“ მდგრადი ფორმულა, რომელიც ვერ ხსნის ვერანაირ ამოცანას (გამოცანას), თუმცა მუდამ ჩანს ან იგულისხმება მოცემულობაში.

საინტერესო იქნებოდა „გოდოს“ და „გივის“ შეხვედრა... დიალოგი კი, ალბათ, დაახლოებით, ამგვარი:

გოდო: – გიცანი...

გივი: – ვიცი.

გოდო: – არ მეგონა...

გივი: – ?

გოდო: – არ მეგონა, რომ მიცნობდი, მე არავინ მიცნობს.

გივი: – არც მე.

გოდო: – ახლა გასაგებია.

გივი: – დიდი ხანია, გეძებენ...

გოდო: – ვიცი... შენც...

გივი: – ჰო.

გოდო: – შენ როგორ შემხვდი?

გივი: – იქ დავრჩი, სადაც ვიყავი და ასე გადაგეყარე.

გოდო: – არ მეძებდი?

გივი: – არა, მე არა.

გოდო: – ალბათ, ამიტომ. ჩემი გზა სულ სხვა მიმართულებით მიდის, ვიდრე ეს ადამიანებს ჰერიათ. ისინი მელიან. მე სულ მივდივარ და მივდივარ, მათ კი ჰერიათ, რომ ვდგავარ და ვიგვინებ...

გივი: – მეც სულ სხვა გზით დავდივარ და ჰერიათ, რომ არ ვჩანვარ...

გოდო: – აკი დავრჩიო?

გივი: – მე დავრჩი სხვებისთვის, რადგან მათკენ კი არა, მათში მივიწევ მუდამ, რომ იფიქრონ და მელოდონ.



გოდო: – ჩვენნაირი, ალბათ, არავინ არის... ხომ არ გადაგვედგა ნაბიჯი იმ ადა-მიანებისაენ, ვინც გველოდება?..

გივი: – რას ამბობ, თვითონ უნდა მიხ-ვდნენ...

გოდო: – რას?..

გივი: – რომ არსად მივდივართ.

გოდო: – ჰო, დამავიწყდა ეს არსად რომ მათი გზაა. შენ იდესმე ელოდი რამეს, ვინ-მეს?

გივი: – ვინმეს – არა, რამეს – კი. შენ კი – არასოდეს.

გოდო: – რატომ მეგონა, რომ ერთმა-ნეთს ვგავდით?

გივი: – მეც მეგონა, მაგრამ მივხვდი, რომ არა...

გოდო: – მეც მივხვდი... ჩვენ, ორივე, უბრალოდ, უკაცრიელი გზებით დავდი-ვართ და ვერავინ გვაგნებს.

გივი: – შენ ელოდი ვინმეს?

გოდო: – ახლაც ველი...

გივი: – ვის?!?

გოდო: – მათ, ვინც მელის.

გივი: – ???

გოდო: – კი... და მინდა გავაგებინო... შენ ხომ არ დაგაბარო? – უფრო მათთან ხარ...

გივი: – ვარ... თუმცა არა ვარ.

გოდო: – ეგ უარესია.

გივი: – ისინი სხვანი არიან, მე კი სულ სხვა. დროა, მიხვდნენ.

გოდო: – არც მე და შენ ვგავართ ერ-თმანეთს!

გივი: – ხომ გითხარი, შემთხვევით გა-დაგეყარე!

გოდო: – ჰოდა, წავედი.

გივი: – სად?

გოდო: – აქ, ჩემთან.

გივი: – კარგი, დარჩი, მე არ მჭირდე-ბი...

დიახ, ისინი ჰეგვანან და არც ჰეგვანან ერთმანეთს, თუმცა ორივეს ელიან განუწყვეტლივ და დაუსრულებლად, მაგრამ ამ მოლოდინს, ერთ (გოდოს) შემთხვევაში რაღაც იმედი ასხივოსნებს, მეორე (გივის) შემთხვევაში გაურკვეველია, ბუტავს თუ არა საერთოდ ის – მოლოდინი. აქ უკვე მე-ქანიკური პროცესია, ასე რომ აწუხებს ყვე-ლას და მაინც არავინ „წუხს“.

მოკვდავთა წარმოდგენით, გოდო იშვა

იქ, სადაც ჩვენ არ ვართ, სადაც არც ვი-ცით, ვიქნებით თუ არა ოდესმე. არასწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ თავისი „გოდო“ ყველას ჰყავს, უფრო სწორია, ვთქვათ – სამუელ ბეკეტის გოდო ყველასია და ის ერთნაირად დიადია, მიუწვდომელია, თუმ-ცა შეიძლება წუთი წუთზე გამოჩნდეს...

საზღვარგარეთულ პროზაში გაცხადე-ბული ექსისტენციალიზმის „სახეზე“ ბევ-რმა ერმა საკუთარი მყოფადობის შტრიხე-ბი ამოიცნო... კაპიტალისტური სამყაროს „დანაშაული“ კომუნისტური საზოგადო-ების სენიც აღმოჩნდა. ამ მიმდინარეობის მამამთავართა აზრით, ყოველი უარყოფი-თი ტენდენციის, მოვლენის, პესიმიზმისკენ უკუტრანსფორმირების მიზეზი მათემატი-კური პროგრესია – „ყოველივე უკულმარ-თად წარიმართა.... ტექნოლოგიის გამო,“ – მიაჩნია ცნობილ შვედ კინორეჟისორს ინ-გმარ ბერგმანს და ამ თეზას ადასტურებს ჰაიდეგერიც, ვინც „კაცობრიობის თანა-მედროვე გასაჭირს“, „ახალი დროის ტექ-ნიკის პლანეტარული მოძრაობა“ უწოდა... ეს მოსაზრებები დასტურია იმისა, რომ აქ სახელმწიფოებრივი წყობა და საზოგადო-ებრივი ფორმაციის რაობა არაფერ შუაშია.

მაინც, სად არის გასაღები ამ მხრივ რადიკალურად განსხვავებული მენტა-ლობების ნიადაგიდან დაბადებულ ადა-მიანთა იდენტობისა? კითხვას შეგვიძლია ერთმიშნელოვნად უუპასუხოთ და დარ-წმუნებით ვთქვათ, რომ ის მარტივი მისაგ-ნებია. უბრალოდ, ყველა ადამიანი ამქვეყ-ნად მოვლინების წამიდან ელის გოდოს... უფრო მეტიც, მუცლადყოფნის დრო მო-სამზადებელი პერიოდია ამისთვის, ხოლო დაბადებისთანავე წამსკდარი ტირილი – მეტაფიზიკური კოდის გამუღავნება... და, ამ პროცესთან რაც უფრო ახლოსაა ოცდა-მეერთე საუკუნე, როცა (და სადაც) ცხოვ-რებამ, თითქმის მთლიანად, ფიზიკოსთა და მათემატიკოსთა მიერ შექმნილ რეალურის ალტერნატიულ სამყაროში (ვირტუალურ-ში) გადაინაცვლა, ალბათ, გოდოც უფრო საოცნებო შორეული ახლობელი გახდა ნე-ბისმიერი ქვეყნის და ნებისმიერი წარმოშო-ბის ყველა ადამიანისთვის.

ბოლთის ცემა საკუთარი თავის გარშე-მო გრძელდება და არასოდეს მთავრდება, თუმცა, გვგონია, რომ ჩვენი სისწავე რე-

აქტიულია, აზრი – პროგრესული, ცხოვრება – მრავალფეროვანი, სინამდვილეში კი „იქვე ვდგავართ“. სუბსტანციის ეს სურათი იდენტურია ერთი ნახატისა, ჩაკეტილი კარის წინ ნატერფალების წრეები რომ იკვრება. სამუელ ბეკეტის პერსონაჟებიც ხომ ამგვარად აღბეჭდავენ თავიანთ განწყობებს... ისინი დალამებისას მიდიან სახლში და დილით იქვე ბრუნდებიან... და ასე, მიდიან და ბრუნდებიან, ბრუნდებიან და მიდიან, მაგრამ ეს მხოლოდ წასვლის სურვილია, წასვლის ცდაა, რომელსაც ვერასოდეს სცდებიან... ბეკეტის ნაწარმოები სარკეა მოკვდავთა ემპირიული ყოფისა.

როგორც შევნიშნეთ, „გოდო“ არის ადამიანის გაჩენისთანავე (შესაძლოა – მანამდეც) დაბადებული ნატვრა და, ვგონებ, ერთგვარი აღმნიშვნელიც ადამიანობისა და თუ არსებობენ განსხვავებულნი, ამ ნატვრის გარეშე მყოფნი, მაშინ მათ ნამდვილობას თითქოს ეჭვის საფუძველი ექმნება, რამეთუ „გოდო“ თავად ადამიანშია, ადამიანი კი დაუსრულებლად სცდება საკუთარ თავს და მზერას შორეთს აპყრობს... პოსტულატი რომ „კარგია იქ, სადაც ჩვენ არ ვართ“, ამ შემთხვევაშიც მყარია.

აი, ეს განასხვავებს გოდოს და გივის ერთმანეთისგან, თუმცა გივიც ზოგადია და საზოგადოებრივი განვითარების რომელიმე ფორმას არ ექვემდებარება, მაგრამ ის მანკიერებაა – თაობიდან თაობაზე მემკვიდრეობით გადაცემული, ყველა ერისთვის მეტ-ნაკლებად დამახასიათებელი, იმის მიხედვით, თუ რამდენად „საიმედოა“ მათი მენტალობის ნიადაგი ამ ვირუსის საცოცხლებლად. ადამიანში „გივი“, შესაძლოა, დაბადებისთანავე არ ჩანდეს, მაგრამ ის აუცილებლად იჩენს თავს და „ლვივდება“ პიროვნების კარიერული სვლის იმ ეტაპზე, როცა მას თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა აშკარა იმპერატიულობის ბერკეტს სთავაზობს. პროგნოზირება, ვინ არის პოტენციური „გივი“ ჩვენს შორის, შეუძლებელია, მაგრამ, როგორც კი ადამიანი „გივიდ“ გადაიქცევა, ის სხვებისთვის უჩინარი ხდება. მას არ სურს, აკეთოს ის, რაც ევალება – სხვათა პრობლემებზე ყურადღების გამახვილება, რეაგირება და მათი მოგვარება. ზოგი „გივის“ კომუნიზმის პირმშოდ მიიჩნევს, მაგრამ „გივი“ მუდამ „ცოცხალია“

– კომუნიზმამდე, კომუნიზმის დროს და ახლაც. მეტიც, „გივის“ ჩვენ, „არაგივები“, ვეფოფინებით, თუ არ არის, ველოდებით... არადა, ის არის, მუდამ არის, მაგრამ მხოლოდ საკუთარი თავისთვის. ამ პერსონაჟის და ხალხის ურთიერთობა, როგორც შევნიშნეთ, კლასიკური ნიმუშია ბიუროკრატიზმის მარადიული ყვავილობისა – ისეთი ამოუძირკვავისა, რომ, თუ ერთი გივი გაქრა, შესაძლოა, მის მომლოდინეთა შორის პროგრესირდეს მეორე, მსგავსი და მან წუთითაც არ მიიხედოს უკან, წარსულისკენ. რატომ? იმიტომ, რომ ძალიან მტანჯველი იყო ის მოლოდინი, საიდანაც თვითონ („გაუმართლა“ და...) „დაიბადა“.

როგორც ვთქვით, სამუელ ბეკეტის „გოდოს მოლოდინის“ დიალექტიკა ძალზე თავისებურია და ამავე დროს განზოგადებული, ყველასთვის ნაცნობი და თავისად მიჩნეული. ალბათ, ამიტომ ამ გენიალური ნაწარმოების პერსონაჟებში საკუთარი „ოცნება“ და ცხოვრება ამოიცნო იმდენმა ადამიანმა, რამდენმაც წაიკითხა ის.


ღმერთმა ადამიანები ერთნაირები გააჩინა, ხოლო შემეცნებითი გარემოს რაგვარობამ, კლიმატმა ისინი სხვადასხვად ჩამოაყალიბა – „შავგვრემანებად“, „ქერებად“, „მაღლებად“, „დაბლებად“... – ისე, როგორც მდინარე სათავეს იღებს, მოედინება, მაგრამ ყველგან ერთგვარი არ არის, ზოგან სწრაფია, ზოგან – მდორე, ზოგან – განშტოებული, ხან ბობოქრობს, ხან ღილინებს, ხან ყუჩდება, ადამიანიც, ვფიქრობ, არ უნდა იყოს შინაგანად მთლად კანონზომიერების პრინციპებით „აშენებული“. ის ხან კეთილია, ხან ცინიკოსი, ხან ლმობიერი, მაგრამ არა გამიჯნულად, ცალსახად რომელიმე ამ თვისების მატარებელი და ამიტომაც მასთან მიმართებაში უფრო ოპტიმიზმს უნდა ვეყრდნობოდეთ, ვიდრე პესიმიზმს, რადგან, თითქოს, არასოდეს შეიცვლება, რომ მას ვერაფერი შეცვლის. როდესაც ამგვარ აზრს ვავითარებთ, შესაძლოა, მივაგნოთ სენსაციურ დასკვნასაც – „გივის“ უკან, ადამიანურ სულში დაბრუნების პერსპექტივას... ეს კი თითქმის ეპოქალური გადატრიალების ტოლფასია, რადგან ამ ტიპაჟის ფესვები ლრმა წარსულიდან მოდის... დაახლოებით ამავე აზრს ავითარებდა დიდი მწერალი ლევ ტოლსტოი საუ-

კუნის წინათ და მას შემდეგ ადამიანის დენადობაში (текущество человека) არაფერო შეცვლილა. უცვლელია მისი მოლოდინი და მოლოდინის ობიექტი – გოდო, კონკრეტულიც და შეუცნობელიც. ის, როგორც აქ ჩემ მიერ წარმოდგენილი დიალოგიდანაც დაინახეთ, თავის მხრივ, ეჭვგარეშეა, ისწრაფვის ადამიანებისკენ, თუ „ისინიც ინებებენ“, არადა, მუდამ რჩება მიუწვდომელი. რა ხდება, ადამიანები ხომ ყველაზე მეტად ელიან მას? – დაახ, ელიან, მაგრამ არ ილტვიან სადღაც არსებული ყველაზე ახლობლისკენ, ერთ ადგილას ტრიალებენ და აზრად არ მოსდით გზის გაგრძელება... საკუთარ თავში.

„გივი“ სხვა მოვლენაა. მისი მენტალობის წიაღი ერთნაირად არის საზოგადოებრივი ფორმაციაც, ტექნიკის სწრაფი ევოლუციური პროცესიც და ჩაჭაობებული შეხედულებებისგან თავდაუხსნელობაც... „გივი“ საშინა – ის ადამიანთა ცხოვრებაში წარმოშობილი უსიამოვნებების დიდი მიზეზია, იძულებითი ჯოჯოხეთია, რომელზეც აუცილებლად უნდა გაიარო, რათა შეხება იგრძნო... მას კარი მუდამ ჩაკეტილი აქვს და მიმდინარეობს მანკიერი პროცესი მომლოდინებშიც – რომელიმე მათგანის ნელ-ნელა „გივიდ“ დაბადებისა, თავისიანებს შორის სხვად დაბადებისა, რომელიც, „გივიზმის“ პრინციპების მიხედვით, მაშინ-

ვე უჩინარი ხდება. თუ „გოდოს მოლოდინის“ შემთხვევაში სადღაც სულის მოძრაობის ტრაექტორიასთან გვაქვს საქმე, ანუ პროცესის მიმართულება ირაციონალურ გეომეტრიას ემყარება, „გივის“ შემთხვევაში ნიველირებულია რეალური და აშკარა მოცემულობის ყოველგვარი ამქვეყნიური კანონი და მოძრაობის მიმართულებები.

რომაელი სენეკა სვამს შეკითხვას: „მიმითითებთ კი ისეთზე, ვისაც გაეგებოდეს, რომ ყოველდღე კვდება?..“ ეს ჩვენ ვართ, გვქვია მოკვდავები და არ ვიჯერებთ. არ ვიჯერებთ გათენების სასწაულს, არ ვიჯერებთ მზის ამოსვლის სასწაულს... არ ვიჯერებთ დამის სასწაულს და ჩვენს ძილს – მიკროსიკედილს. არ ვიჯერებთ დილას, როგორც ჩვენს თავიდან დაბადებას... ვიღვიძებთ და ვეძებთ ჩამოსაყრდნობს ან ვინმე მეორეს ჩვენი ოცნების, დიდი მოლოდინის გასაზიარებლად და იშვიათად ვფიქრობთ, პირიქით, ვინმეს ოცნების გაზიარებაზე. ჩვენ, მართალია, უამთასვლას ალვრიცხავთ, მაგრამ ვცხოვრობთ შეუცნობელ დროში, როცა დღეს სამშაბათია, ხვალ კი, შესაძლოა, ხუთშაბათი ან ორშაბათი იყოს. ჩვენ, მომლოდინენი, ვერასდროს მივდივართ იმის იქით, რაც დადგენილია, რომ ვიყუროთ სულ წინ და არასოდეს – მარჯვნივ ან მარცხნივ, უკან... ფიქრი-მაცნე (მესიჯი) კი მოდის და მოდის და ის მუდამ ჩამოუყალი-



ბებლად, გაუგებრად, არასანდოდ რჩება, როგორც ბეკეტის პიესაში – ამბის მომტანი ბავშვი, არაფრის მაცნე და ვერ ეხვდებით ამ ინფორმაციის უშინაარსობას, ჩვენი „კატის ნაბიჯების“ უშინაარსობას... არაფერს ვამბობთ ან, თუ ვამბობთ, ერთმანეთისგან ზურგშექცევით. ეს კაცობრიობის ყველა წარმომადგენლის ყოფაა, ამ თუ იმ გეოგრაფიულ სიბრტყეზე მისი ერთგვაროვნების მანიშნებელია, არადა, იმათ, გოდოდ წოდებულ ჭეშმარიტებამდე შორი რომ ჰგონიათ, წვალებით, მაგრამ მაინც შეუძლიათ მიაგნონ ოცნებას (ოცნების საგანს) – დაუბრუნდნენ საკუთარ თავს, გარეთ უმისამართოდ მზირალნი...

„გოდოს მოლოდინი“ არ არის ხასიათებით დატვირთული ნაწარმოები. მასში მწერალმა ძალიან მარტივად ჩამოაყალიბა ზოგადი ფორმულა მთავარი და უჩინარი პერსონაჟის (რომელიც ყველასთვის ერთია) მისაგნებად – თუ არ ეძებე, მოლოდინი ვერასოდეს შეგახვედრებს მას.

ხშირად, ადამიანებს როცა სჭირდებათ, თავისთავად წამოსცდებათ ხოლმე ფრაზა: „ნამდვილი გოდოს მოლოდინა!“ მაშინაც კი, როცა „გივის“ ელოდებიან. დიახ, ეს კონტექსტში მრავალწერტილივით მრავალმნიშვნელოვანი პერსონაჟები ჰგვანან ერთმანეთს მოლოდინის უსაშველობით, მაგრამ განსხვავდებიან არსით – „გოდო“ მუდმივი ცდაა ერთი და იმავეს მოპოვებისთვის, გივი კი ჯოჯოხეთური აუცილებლობა; „გოდო“ ზოგადია, მაგრამ მკაცრად

პიროვნულიც, ის თვითპროექტირების წყურვილია, ყოფიერების ზღვაში ლალად შეცურვის სურვილია, ის ერთგვარი ორფევსული ზევსის ტოლფასია, ანუ ყველაფერი, მაგრამ სანინაალმდეგო ორფევსული სასწაულის, მე-სა და სხვა-ს შორის მანძილს რომ ამცირებს, თუმცა ინდივიდი ხომ ბოლომდე გამოუთქმელია – *Individuum est ineffabile* – და ეს სამუელ ბეკეტისთვისაც კი ასეა...

„გივი“, როგორც ვთქვით, არ არის რომელიე კონკრეტული სახელმწიფოებრივი წყობის ან რომელიმე ერის პირმშო... მიუხედავად ამისა, შეგვიძლია მტკიცედ განვაცხადოთ, რომ მასში ყველაზე მეტად ყოველგვარი მორალის უარმყოფელი მარქსიზმის სული მძვინვარებს.

ადამიანი, განწირული თავისუფლების-თვის, სურვილების გალაქტიკაში ზოგჯერ ვერ აკეთებს არჩევანს – გოდოს ელოდოს თუ გივის, თუმცა „არჩევანის ვერგაკეთებაც ხომ არჩევანია“...

...და ზოგნი ელიან „გოდოს“ – მხოლოდ წინ მომზირალნი, ზოგნი – „გივის“, დახურულ კარზე თვალმიბჯენილნი... პირველი ჭეშმარიტებაა, მიწაზე გასაძლებად საჭირო, მეორე – რატომლაც აუცილებლობად ქცეული, სიცრუით გაუდენთილი ბოროტება.

ამიტომაც არ შეიძლება, ყოველგვარი უსაშველო მოლოდინი ჰგავდეს „გოდოს მოლოდინს“.

### ალექსანდრე თავაძე

### გაბრიელ გარსია მარკესის „ერთი ტყვეობის ამბავი“

დიდ კოლუმბიელ მწერალს გაბრიელ გარსია მარკესს, რასაკვირველია, ანუხებდა და სტკიოდა თავისი ქვეყნის სატკივარი. ამ ტკივილმა დაანერინა რომანი „ერთი ტყვეობის ამბავი“, რომლის პრობლემა აქტუალურია არა მხოლოდ ამ ქვეყნისთვის, კოლუმბიისთვის, არამედ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნისთვის, ვინაიდან საქმე ეხება ნარკომაფიისა და სახელმწიფოს ურთიერთობას. ასე რომ არ ყოფილიყო, მარკესი, ეს სახელგანთქმული მწერალი, ამ თემაზე წიგნის წერას არ მოჰკიდებდა ხელს. და ისევ კონკრეტიკა – ანუ რომანს აქვს კონკრეტული სახე, ჰყავს კონკრეტული მოქმედი პირები. აი, რას წერს მარკესი: „1993 წლის ოქტომბერში მარუხა პაჩანა და მისმა მეუღლემ, ალბერტო ვილიამისარმა წიგნის დაწერა შემომთავაზეს მარუხას ექვსთვიანი ტყვეობისა და იმ ძალისხმევის შესახებ, რაც ალბერტომ ცოლის გასათავისუფლებლად მოიმოქმედა. შავი პირი უკვე მზად მქონდა, როცა მივხვდით, რომ შეუძლებელი იყო არ გვეხსენებინა ცხრა მსგავსი შემთხვევა, რომელიც ზუსტად იმ პერიოდში მოხდა ქვეყანაში“.

მართლაც ასეა. ადამიანის არაერთი გატაცება თუ მკვლელობა მოხდა კოლუმბიაში. რასაკვირველია, ჩვენთვის, ქართველებისთვისაც ეს პრობლემა საინტერესოა იმ ნიშნით, რომ მარკესი, სახელგანთქმული მწერალი წერს ქვეყნის სატკივარზე. ისიც ნიშანდობლივა, რომ მარუხა პაჩანმა და მისმა მეუღლემ, ცნობილმა პოლიტიკოს-

მა ალბერტო ვილიამისარმა წიგნის დაწერა შესთავაზეს გაბრიელ გარსია მარკესს, მსოფლიოში ცნობილ მწერალს. მისი ნანარმოები, მისი თხზულება უნდა ყოფილიყო „მესიჯი“ მსოფლიოსთვის იმ გაუგებრობების შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა კოლუმბიაში და მართლაც ასე მოხდა: ეს რომანი – „ერთი ტყვეობის ამბავი“ – ითარგმნა მსოფლიოს მრავალ და მათ შორის, ქართულ ენაზე. მე შევეცდები, მოკლედ გადმოგცეთ ამ რომანის შინაარსი, ვინაიდან შეუძლებელია სხვაგვარად წიგნის მიზანდასახულობის გაერება.

კოლუმბიაში დატრიალებული უბედურება, ნარკომაფიის ბრძოლა სახელმწიფოსთან სამოქალაქო ომის ტოლფას მოვლენად გადაიქცა. ამ ბრძოლის დროს დააპატიმრეს და მძევლებად აქციეს ადამიანები, მათ შორის თამამი უურნალისტები, პოლიტიკოსების მეგობრები, სიმართლისმოყვარული მოქალაქეები, რომლებიც თავს ვერ იკავებდნენ და ამბობდნენ სიმართლეს.

მარკესის რომანი, ალბათ, იმითაც იგებს, რომ კონკრეტულ ფაქტებზეა აგებული. მან თავისი წიგნი (შეიძლება ეწოდოს რომანი, ნონფიქშენი) რამდენიმე ადამიანის თავგადასავლად აქცია.

უპირველეს ყოვლისა, ესენია მარუხა პაჩანი და მისი და ბეატრისი, რომლებიც ერთად გაიტაცეს და დაატყვევეს. ფაქტობრივად, რომანი, ანუ ეს მხატვრული თხრობა ამ დატყვევების და ტყვედყოფნის ამბავია. გაბრიელ გარსია მარკესი ცდილობს,

თხრობა გაათავისუფლოს ფაქტოგრაფიის-გან და მხატვრულ-ემოციური დატვირთვა შესძინოს მას.

გაიტაცეს მარუხა და ბეატრისი. მათ-თან ერთად საკანში ზის მარინა მონტოია, რომელიც საბოლოოდ გამტაცებლების მსხვერპლი აღმოჩნდება. ამ ქალის მკვლელობა, უსასტიკესი ამბავია, რომლის მეშვეობით მყაფიოდ წარმოჩნდება ქვეყანაში არსებული შემაძრნუნებელი ვითარება.


მარკესის ოსტატობა უნდა წარმოჩნდეს ტყვედ ჩავარდნილების მდგომარეობის აღწერაში და ასეც ხდება. ის არაჩვეულებრივად აღწერს მუდმივი წინააღმდეგობის სისტემამორდვეული ქვეყნის უკანონო ტუსაღების მდგომარეობას. აქ თვითონ მტანჯველებიც კი ვერ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, ვინაიდან აქ ყველგან თვითნებობა იგრძნობა. ისინი სვამენ, უყურებენ პორნოგრაფიულ ფილმებს, იარაღით თავზე ადგებიან ტყვეებს, ანუ მძევლებს, რომლებსაც სიცოცხლის ნიშანწყალი ძლივსალა ატყვიათ.

ინიციატივას (ფაქტობრივად, გმირობას) იჩენს ალბერტო ვილიამისარი, რომელიც ერთი წუთითაც კი არ ანებებს ბრძოლას თავს.

ბრძოლაში ორი ხაზი ვითარდება ერთმანეთის პარალელურად; ერთი მხრივ, ვილიამისარის და უმთავრესი – ქალების ტყვეობის ამბავი. ამ ქალებთან ხომ მარინა მონტოია არის, რომელსაც ჯერ გამოიყენებენ და მერე დახვრეტენ.

გამუდმებით მიმდინარეობს სახელმწიფოსა და პრეზიდენტის (სხვადასხვა პრეზიდენტის) დავა იმის შესახებ, განხორციელდეს თუ არა ნარკომაფიელი ტყვეების ექსტრადაცია აშშ-ში, ამიტომაც გრძელდება ადამიანების, სახელმწიფოს ადეპტების გატაცებები და მკვლელობები.

ეს თხრობა მაინც ნონფიქშენია, ვინაიდან რეალურ ვითარებას აღწერს. ვილიამისარი ბოლომდე იპრძვის. ის უკავშირდება ნარკომაფიის რეალურ ლიდერს ესკობარს. კონტაქტი ხორციელდება პადრეს მეშვეობით. ესკობარი ჩაბარდება სახელმწიფოს, მერე კი გაიქცევა, თუმცა ეს მაინც ვერ



იხსნის. მძევლები გათავისუფლდებიან და ბოლოს მარუხა ამბობს: „რა საშინელებაა, – ამოთქვა გაოცებულმა, – იმ ყველაფერზე, რაც ჩვენ გადავიტანეთ, ერთი კარგი წიგნი დაიწერებოდა“.

ეს წიგნი გაპრიელ გარსია მარკესმა დაწერა. წიგნი, რომლის თხრობა, როგორც თვითონ ამბობს, „ლაბირინთული მანერის ტექნიკურ სახეცვლას მოითხოვდა“, მან ეს მოახერხა და ბუნებრივია, არც შეიძლებოდა, ვერ მოეხერხებინა...

### ალექსანდრე თავაძე

## ჯუმბერ ხანთაძე

### პატარა ლიახვზე


აგვისტოს ომი ახალი დამთავრებული იყო, ჩვენთან, ინსტიტუტში, ახალი კაცი რომ გამოჩნდა. ლტოლვილი იყო სამაჩაბლოდან ვიღაცამ მადლი მოისხა და დაასაქმა, ჩვენთან გამოგზავნა დარაჯად. დაძარლვული მშრომელი კაცი ჩანდა, გორგი ერქვა. კაპიკებს უხდიდნენ, მაგრამ საოცარი სიბეჭითით გამოირჩეოდა, მუდამ რაღაცას აკეთებდა; ეზოში ტალავერი გვაქეს გაშენებული და განსაკუთრებით იმას უკირკიტებდა. ქალაქელებმა ვაზის მოვლა არ იცით. აბა, შემოდგომის პირზე ეგრე მიშვება როგორ შეიძლებაო, – გვსაყვედურობდა და, ალბათ, სამართლიანადაც. ჩქარა გაგვიშინაურდა, თავიც ყველას შეაყვარა.

ერთხელ სადაურობა გამოვკითხე. პატარა ლიახვის ხეობიდან ვარ, სოფელ ზონ-კარიდან. აბა, საიდან გეცოდინება, დაკარგულში არიო, – მითხრა და მერე დააყოლა, – ეგეთი ლამაზი და საყვარელი ადგილი მსოფლიოში სხვა არსად არის, გინდა ჰაერი თქვი, გინდა წყალი, გინდა ტყე და მინდორი; ჩვენში რომ ხილი იცის, ეგეთს ხო ვერსად გასინჯავ, ლიახვმა კალმახი იცის, არც ეგეთია სადმეო, – ესა თქვა და შევატყვე ყელში ბურთი გაეჩირა.

ყველაფერი ვიცი-მეთქი, ვუთხარი გოგის. თვალწინ დამიდგა ჯეელობაში იმ მხარეში გატარებული დღეები და უფრო იმიტომ, რომ გოგისთვის თანადგომა გამომეცხადებინა, წვრილად ვუამბე ჩემი ყმან-ვილობისდროინდელი თავგადასავალი.



ცნობილი მწერალი მერაბ ელიოზიშვილი და მისი უფროსი ძმა დათო სტუდენტობის



დროს თბილისში, ჩემ მეზობლად, ცხოვრობდნენ. მერაბი უნივერსიტეტში სწავლობდა, დათო – სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. წარმოშობით ცხინვალიდან იყვნენ, მშობლები ცხინვალში სახლობდნენ. მკვიდრად ნაგები მამაპაპისეული ქვიტკირის სახლი, ძვირფასი ეზო და ხეხილის ბალი ჰქონდათ. მერაბს, ჩემი არ იყოს, ნადირობა და თევზაობა უყვარდა ძალიან, ამან მეტად დაგვაახლოვა. სად არ დავდიოდით: მტკვარზე, ალგეთზე, ხრამზე, ლიახვზე.

მისი სცენარის მიხედვით, კინოფილმ „თეთრ ქარავანს“ რომ იღებდნენ, მერაბი ცხენიდან ჩამოვარდა და კისერი მოიტესა. სასწაულად გადარჩა. მერე მთელი წელიწადი ცხინვალში ცხოვრობდა, იქ გამოშუშდა, მაგრამ ნადირობას, თევზაობას და ხეტიალს მაინც ვერ შეეშვა. მოვინახულებდი ხოლმე. ცხინვალში ნაყოფიერად იმუშავა და მალე სახელოვანი კაცი გახდა – „ბებერი მეზურნეების“, „დიდი მწვანე ველის“ და მრავალი პროზაული ნაწარმოების ავტორი.

ერთხელ, შემოდგომის პირზე, პატარა ლი-ახვის ხეობაში მოგზაურობა შემომთავაზა – მოდი, ვულკანურ პლატოზე ავიდეთ და გზადაგზა წავინადიროთო. უკეთესს რას შესთავაზებ კაცს.

ეგრეთნოდებული ვულკანური პლატო სასწაული სანახავია. დაახლოებით 3000 მეტრზე, ზღვის დონიდან, უამრავი ტბაა, რომელთაგან უდიდესია ყელის ტბა. ამ პლატოდან იღებს სათავეს მდინარე ქსანი, პატარა და დიდი ლიახვი, თეთრი არაგვი და მრავალი ნაკადული. შესაბამისად, იქ მოხვედრა შეიძლება ამ მდინარეების ხეობებით. თუ მლეთიდან თეთრ არაგვს აუყვებით და მარჯვენა ნაპირიდან ავლევის ქედს ცხრაძმულას მიდამოებში გადასერავთ, ვულკანურ პლატოზე მოხვდებით. ამ გზით ადრე ნამყოფი ვიყავი და, რადგან ახლა ლიახვის ხეობითაც მეძლეოდა იქ მოხვედრის შესაძლებლობა და თანაც გზადაგზა ნადირობის საშუალებაც, უარს როგორ ვიტყოდი. ავიმგზავრე ჩემი მეგობარი თემო და, შეთანხმებისამებრ, ერთ მშვენიერ სალამოს მერაბს ვეახლე ცხინვალში. ლამე ვიჭუკჭუკეთ, მოვესიყვარულეთ ერთმანეთს და დილაუთენია დათოს გაზ-21-ით დავადექით გზას. ავყევით პატარა ლიახვის ხეობას, გავიარეთ სოფლები: ვანათი, საცხენისი, ხადურიინთკარი, ბელოთი, ზონქარი და ავედით აწრიხევში. ეს ამ ხეობის ბოლო სოფელია, აქ თავდება საავტომობილო გზაც.

მერაბმა ნაცნობ-მეგობრები მოიკითხა. მალე მოგვინახულეს, თათარიახნი სუფრაც გაგვიმალეს და დაგვაკვალიანეს კიდეც: თუ მარდად ივლით, საღამოსკენ ბაგრატამდე ახვალთ და ლამეს ჭერქვეშ გაითენებთ. ძალიან დაბარგულები ხართ, აღმართებში გაგიჭირდებათ და უმჯობესია ცხენი წაიყვანოთო, – გვითხრა ერთ-ერთმა და უმაღლესაზე მოგვარა, თავად ვიკისრებდი თქვენს მეგზურობას, მაგრამ, ღმერთია მონმე, ხელი შემეშალა და პირშავად ვჩინვარო.

შევყევით ხეობას. ბილიკი ხან წყალს მიუყვება, ხან მაღლა ადის, მთის ფერდობზე, უღრან ტყეში. მსუბუქად მივდივართ, ცხენი ძალიან დაგვეხმარა – ამ აღმართებში ეს ამოდენა ბარგი ნამდვილად წელში გაგვწყვეტდა.

საღამო ხანს მივაღწიეთ ბაგრატამდე. ბაგრატა და მისი ცოლი მარგო ყორნისელი ოსები არიან. მთაში ქოხი ჩაუდგამთ და ზაფხულობით საქონელი ამოჰყავთ. ქოხი ცხინვალიდან მთის საძოვრებამდე მანძილს ანახევრებს. ამით სარებლობენ მგზავრები და ბაგრატას ქოხს, როგორც სასტუმროს, ისე იყენებენ: ბარიდან მომავალი აქ ჩამოიქვეითებს, ღამეს გაითენებს და გასამრჯელოდ პურის ფქვილს ან სხვა რამ პროდუქტს დაუტოვებს ბაგრატას; მთიდან წამოსული რძის პროდუქტს მოუკითხავს.

ბაგრატამ და მარგომ გულლად მიგვიღეს. ბაგრატამ ძალლები შეგვიქო და დადაგვამედა – როჭო ბევრია და ამ ძალლებით კარგად ინაღირებთო. ნავახშმეცს ძალლები დავაპურეთ და ჩვენც მივწექით.

უთენია ავიკიდეთ გუდა-ნაბადი და ტყე-ტყე შეუვეძებით აღმართს. დილის სუსხია და თბილად გვაცვია. ინათლა. ტყიდანაც გამოვედით. თვალუწვდენელი ალპური მინდვრებია ირგვლივ, უფრო მაღლა, მწვერვალებისაკენ, დეკიანები ჩანს, იქ იცის ხოლმე ამ დროს როჭო. მალე მზეც ამოიწვერა და აუმალ ჩამოცხა. გავიხადეთ თბილები და ჩემს ზურგჩანთაში ჩავჩურთეთ (მარტო მე მაქვს წამოლებული). გვარიანად დამძიმდა. მივიწევთ მაღლა, დეკიანებისაკენ. სად იყო და სად არა, უცებ ჩვენმა ძალლებმა დიდ, ბომბორა მეცხვარის ძაღლს აუტეხეს ყეფა. იმანაც შემოგვილრინა. დაბმული იყო, მავთულზე სრიალებდა. როგორც ჩანს, პატრონმა საქონლის საჩეხისა და მწყემსების მიწურის სადარაჯოდ დატოვა.

ძალლის ყეფაზე გაღმა ფერდიდან კაცი შეგვეხმიანა – დამიცადეთ, ახლავე ამოვალო. დავუცადოთო, თქვა მერაბმა და შევატყვე, რომ ყველას გვესიამოვნა ასეთი იძულებითი წუთშესვენების მოპოვება. იმ კაცმა საქონლის ფარა მიატოვა, დაბლა ხეობაში გაუჩინარდა და კარგა ხნის შემდეგ აქლოშინებული მოგვადგა. ტყვიაველების საქონელს ვუდგევართ, ორნი ვართ, ჩემს მეწყვილეს ქალი ჰყავს ფეხმძიმედ, ვარაუდით, ამ დღეებში უნდა მოილოგინოს და რამდენიმე დღით დამეთხოვა. სამი დღეა, კაცის ხმა არ გამიგია, თქვენ რომ დაგინახეთ, ვიფიქრე, ამბავი რამე მოიტანეს-მეთქი და გამოვიქცეცი. პურის ფქვილი გამითავდა, თორემ უპატივცემულოდ არ გა-

გიშვებდითო, – გვითხრა. ერთი დიდი თავი ყველი გამოარბენინა მიწურიდან და ზურგჩანთაში ჩამიდო. გადავხედეთ ერთმანეთს და უსიტყვოდ შევთანხმდით, რომ ჩვენი პურის მარაგს აქ დავტოვებდით.

მზემ კიდევ უფრო დააცხუნა, სიარულიც გაძნელდა. სათიბებია ყვავილებით მოჩითული – თვალს ვერ მოსწოვეტ, ისეთი ლამაზი; პეპლები ხო, ამდენი და ასეთი მრავალფეროვანი არც არასდროს მინახავს. თემომ თქვა, ნეტა, პეპლების საჭერი წამოგველოო. მივიწევთ მაღლა, მაგრამ ვატყობ, დეკამდე მისვლის თავი არ გვექნება. თურმე მერაბიც ეგრე ფიქრობს – დეკამდე რომც ავიდეთ, დღისგულ ბაგრატამდე ჩასვლას ველარ მოვასწრებთ, ღამე გაგვყინავს და აჯობებს დროულად დავეშვაოთ – თქვა და, მართლაც, მაღლე ხელცარიელები დავბრუნდით ბაგრატასთან.

ბაგრატამ ვახშამზე გვითხრა, თუ გინდათ, დათვს მოგაკვლევინებთ, ადგილები მაქეს მონიშნულიო. მართლაც, დილით წაგვიყვანა და გვაჩვენა სადათვე ადგილები. ავირჩიეთ ერთი – პატარა ფერდზე, რომელიც ტყეს ებჯინებოდა, ორი პანტა იდგა, ერთი, ქვედა – ტყის პირას, მეორე – ფერდის შუაში. ფერდი ბაგრატას გაუთიბავს და ნათიბი ორ ზვინად დაუდგამს. პანტა ტოლებდამსხვრულია, დათვის ჩორიც ბევრია მის ძირში. აქ გადავწყვიტეთ დათუნიას დადარაჯება. სამი სამალავი ზვინებში მოვაწყვეთ, ერთიც ტყის პირას. საღამოს ვეწვიეთ ჩვენს სამალავს. ერთდროულად შვიდი ლულა დავუმზიზნეთ დათუნიას უაკნითა და მსხვილი კარტეჩით გამართული, ჩვენი ორლულიანი თოფები და ბაგრატას ცალლულიანი 20 კალიბრის. კუნაპეტი ღამე ჩამოწვა, თითს ვერ მიიტან თვალთან. სადღაც, ქვემოთ, ხევში, ტკაცატკუცი გაისმა, ფიჩხზე რომ გადაივლი, ისეთი. ნელნელა ტკაცატკუცს ხვნების ხმაც დაემატა. ხმა მოგვიახლოვდა. ნამდვილად დათვია, ვფიქრობ ჩემთვის. აბა, სხვა რა უნდა იყოს. ხმა ტყის პირას, პანტასთან შეჩერდა. ერთი ხანობა დაისვენა, მერე ხეზე ავიდა და მისი რხევა დაიწყო, რხევა კი არა, მგონი, ფესვებიანად მოთხრას ლამობდა, ტოტები იმსხვრეოდა, პანტა ძირს ცვიოდა. ყველაფერი ჩემგან 20-30 მეტრის დაცილებით ხდება, კარგადაც მაქეს წარმოდგენილი,

მაგრამ ვიზუალურად არაფერი ჩანს – ჩემ წინ სრული სიშავეა. ვერ ვესვრი, აზრი არა აქვს, ასე ფიქრობენ, ალბათ, დანარჩენებიც. ერთადერთი იმედია, თუ გამოვიდა ტყიდან და ფერდის შუაში მდგარ პანტას მიადგა. მაშინ შეიძლება ამ სიშავეში რაღაც გაარჩიო სილუეტის სახით. ხმა ხიდან ძირს ჩამოვიდა და პანტის ჭამა დაიწყო – ითვლიფება ღორივით, ხმაურიანად ჭამს, კარგა ხანს გაგრძელდა ეს ტრაპეზი. გული გამინვრილდა, ველოდები, იქნებ, ტყიდან გამოვიდეს და მეორე პანტას ესტუმროს, მაგრამ არ ინება გამოსვლა, ნაჭამზე ცოტა შეისვენა და მერე ტკაცატკუცით დაეშვა თავქვე. ჩვენც დავტოვეთ სამალავები. ყველა მსაყვედურობს – უნდა გესროლაო.

გვიან დავბრუნდით ბაგრატას ბინაზე. მარგო ისევ ფეხზე იყო, გველოდებოდა. ვივახშემთ. დილით დავემშვიდობეთ ბაგრატას და მარგოს და ვულკანური პლატოსაკენ ვქენით პირი. ბაგრატამ ცხენი შეგვიკაზმა, საპალნე დაადო, მარგომ პური დაგვიცხო და სოკოს შეჭამადი გაგვატანა. მარგოს ჩემი ფერადი სათვალე ვაჩუქე პატივისცემის ნიშნად – თავიდანვე შევატყვე, რომ ძალიან მოეწონა. მერაბმა შეუქო სათვალე – ძალინ გიხდებაო, უთხრა, მაგრამ აქ ნუ გაიკეთებ დათუნიები ვერ გიცნობენ. სალამოს უკვე პლატოზე, მეცხვარების ბინას შევაფარეთ თავი.

●

გოგი ყურადღებით მისმენს და ვგრძნობ, როგორ ხდება ჩემი მონათხრობის მონაწილე, უხარია, რომ მისი მშობლიური მხარის ეს სილამაზე უცხო კაცისათვისაც ასეთი საყვარელი გამხდარა. გოგი გულდაწყვეტილია, რომ ვერა მოვინადირე რა. ვამშვიდებ: ჩემთვის, ჩემო გოგი, ნადირობა მოვლენების მთელი კომბლექსია. იგი უამრავი ელემენტისაგან შედგება: ემზადები, ე. ი. ანესრიგებ თოფუ-იარალს და ტყვია-წამლის მარაგს, იმზადებ საკვებს, ღამე ფხიზლად გძინავს, უფრო სწორად არ გძინავს, უთენია გადიხარ სახლიდან, ხვდები შენს მეგობრებს, მერე პარმონიულად ერწყმი ბუნებას, მერე ისვენებ წყაროსთან, წაიხემსებ, დალოცავ შენს მინა-წყალს, ხატ-სალოცავს, მოესიყვარულები შენს ხალხს. დიდი რამე, თუ ამ ჩამონათვალიდან ერთ-ერთი ვერ შე-

ვასრულე – ვერ მოკალი, სისხლი ვერ ადინე, ჩემთვის ნადირობის აქტი ამ დეტალის გარეშეც დიდი რიტუალია, ისე, როგორც ჩემი დღევანდელი მონათხრობი, რომელიც ნახევარი საუკუნის წინათ გადამხდა, მაგრამ, ნათლად მახსოვს, თითქოს გუშინ შემემთხვა და არც არასოდეს დამავიწყდება. ნამდვილად ეგრეა, სწორად ბრძანებთო, – დამიდასტურა გოგიმ.

•

პლატოდან მარდად დავეშვით. შეთანხმების თანახმად, დათო უნდა ამოსულიყო აწრიხევში ჩვენ წასაყვანად. გზაში ლიახვში წავითევზავეთ. მართლაც, უჩვეულო კალმახი იცის პატარა ლიახვმა – შავზურ-

გა, მსხვილი წითელი ფორაჯებით. ასეთი ნონარულის წყალზე მინახავს მხოლოდ. გზაში ორ ყმაწვილს წამოვენიეთ, ასე 12-13 წლისანები იქნებოდნენ. პრიმიტიული, გლეხურად გაწყობილი ნემსკავებით თევზაობ-დნენ სულ პატარა შენაკადებში, ერთი გუდა მსხვილი კალმახი ჰქონდათ დაჭერილი.

მოიცა, მოიცაო, – თავში შემოირტყა გოგიმ ხელი. თქვენა თეთრი ვოლგა, გაზ-21 გელლდათ აწრიხევში, ის ბიჭები მე და ჩემი ბიძაშვილი ვიყავით, მერე თქვენ დაგვიმგზავრეთ, ჩაგვიყვანეთ სახლამდე, ზონგარამდე. ეს რა გამახსენე, კაცო, სა-და ვცხოვრობდი, როგორ ვცხოვრობდი, რა მინდა აქ, ამ გამდვალ ასფალტზეო, – თქვა და თვალები დაენამა.



Джумбер Хантадзе

## ЧЫСЫЛ ЛЕУАХИГОМЫЛ

Августы хæст ног фæуд уыд, махмæ, институты, ног лæг куы фæзындинс. Лигъдон уыд Самачаблойæ чидæр хæрзиуæг скодта æмæ йын махмæ куист радта, махмæ йæ парвыста хъаъхъæнæгæй кусынма. Нуарджынгонд кусæг лæг зындис, йæ ном Георги хуынд. Цыдæр капеччытæ йын фыстой, фæлæ йæ диссаджы цæрдæгдзинадæй хицæн кодта иинæтæй, æдзухæй цыдаертæ архайдта; кæрты нын сæнаæфиры бæлас уыд æмæ сæйраг зылд уымæ кодта. Горæттæгтæ, сæнаæфиры бæласмæ зилын дам næ зонут. Фæззæджы къæсæрыл аей куыд гæнæн ис афтæ ныуадзын, – уайдзæф нын кодта æмæ, æвæццæгæн, раст уайдзæф дæр уыди. Тагъд рæстæджы немæ схæларис, йæхи алкæмæн бауарзын кодта.

Иухатт аей кæцон уыд æрфарстон. Чысыл Леуахигомæй дам дæн, Зонкъары хъæуæй. Сымах дам æй ныр кæцæй зондзыстут, сæфт у, – загъта мын æмæ ма йæм бафтыдта, – ахæм рæсугъд æмæ зæрдæскъæфт бынат дунейы мидæг æндæр никуы ис, фæнды йæ уæлдæфæй зæгъ, фæнды донæй, фæнды хъæд æмæ быдýрæй; махмæ дыргъ зайы, æмæ ахæм хæрзад дыргъыл никуы фембæлдзынæ, стæй Леуахийы дон цы калмаки-кæсæг зоны, нæдæр ахæм ис никуы, – уый ма загъта æмæ йæ фæхатыдтæн йæ хъуыр куыд æрбаҳгæтда æмæ йæ бон дзурын куыд нал ‘сси.

Зонын алцыдаер-зæгъгæ, загътон Гогийæн. Мæ цæстыты раз слæууыдис ме ‘взонгбонты рæстæджы уышы ‘рдигæй арвиттæ бонтæ æмæ ноджы тынгдæр уый

тыххæй æмæ мæ фæндыдис, Гогийæн æмæххуыс бакæнын. Лыстæггай ын сæ радзырдтон ме ‘взонгбонты рæстæджы æппæт цауты.

Зынгæ фыссæг Елиозашвили Мераб æмæ йæ хистæр æфсымæр Дато студентон рæстæджы Тбилиси, мæ сыхæгтæй цардысты. Мераби университеты ахуыр кодта, Дато – хъæууон-хæдзарадон институты ахуыр кодта. Цхинвалæй рацæугæ уыдьсты, сæ ныйярджытæ Цхинвалы цардысты. Сæ фыдалтæй сын баззад егъяу дурамад хæдзар, зæрдæмæдзæугæ кæрт æмæ стыр дыргъдон. Мераби, мæнау, тынг уарзта цуаны цæуын æмæ кæсæг ахсын, уый næ ноджы тынгдæр æввæхс кодта кæрæдзимæ. Кæдæм иу næ цыдистæм: Къуармæ, Алгетмæ, Храммæ, Леуахимæ.

Йе сценаримæ гæсгæйæ, кинофильм «Урс каравны» куы истой, уæд Мераби бæхæй æрхайдта æмæ йæ бæрзæй асаст. æнахуыр диссаджы ирвæт фæкодта. Уый фæстæ æнæхъæн афæдзы дæргъы Цхинвалы цардис, уым радзæбæх, фæлæ йæ цуаны цæуын, кæсæг ахсын æмæ дыууæрдæм хъеллау кæнын уæддæр næ ныуугъта. Уынынмæ йæм арах цытæн. Цхинвалы фæстиуæгджын куист бакодта æмæ тагъд рæстæджы номдзыд лæг сси – «Зæронд зурнайыл цæгъдджыты», «Стыр цъæх быдýры» æмæ бирæ æндæр прозæйон уацмысты автор у. Иу хатт та мæ, фæззæджы ‘рдæм, Чысыл Лауахигоммæ бæлцуаты фæхуыдта – цом æмæ дам, вулканон платойыл ссæуæм æмæ фæндагыл иу чысыл цуан дæр

акәндзыстәм. Амәй хуыздәр ма цы ис зәгъән ләгән.

Афтәе хонгәе вулканон плато диссаджы фендтаг у. 3000 метрмә ‘ввахс, денджызы әмвәзәй, иттәг бирәе цәйтәе, кәңгәтәй иуыл стырдаәр хууры үад. Ацы платонәй донгуырән исы Ксаны цәугәедон, чысыл әмәе стыр Леуахи, урс Арагви әмәе бирәе чысыл къадатә. Уымә гәсгәйә, уырдәм ссәуын гәнән уыд ацы цәугәдәтты кәмттәй. Кәд әмәе Млетәйә урс Арагвийы фәә-фәә ацәудзынә әмәе рахизфарс былгәронәй Авлевы хохы рагыл фараст әфсымәры алфәемблаймә цәхгәр ахиздзынә, вулканон платомә бахәцца үидзынә. Ацы фәндагыл ма раздаәрдаәр әз үидтаен уым, әмәе ныр Леуахигомәй дәр гәнән уыд уырдәм ссәуын әмәе ноджы гәнән уыд ацуан кәннын дәр, наәй куыд хууамә загътаин. Мемәе ракодтон ме ‘рдхорд Темойы әмәе, куыд ныхасгонд үидзыстәм, уымә гәсгә, иу изәрыгон Мерабмәе ныццыдыстәм Џинвалмә. Әхсәвы фәңыхәстәе кодтам, кәрәдзийыл фәцинтәе кодтам әмәе райсом раджы Датойы газ-21-ыл араст стәм наә фәндагыл. Схызтыстәм чысыл Леуахигомыл, ахызтыстәм хъәуттәй: Ванат, Сацхенет, Хадуриты сыйх, Белот, Зонкъар әмәе ссыдыстәм Ацърысхеумә. Ацы комы уый фәстаг хъәу у, ам фәуд кәнны автомобилон фәндаг дәр.

Мераби йә зонгәе хәләртты әрфарста. Тагъднаә бабәрәг кодтой уыдон, дзаджджын фынг дәр нын әрываәртой әмәе нын фәндаг дәр бацамылтой, дардәр чердәм хууамә ацыдаиккам: кәд дам цәрдәг үайдзыстут, уәд изәрырдәм Баграты онг схәцца үайдзыстут әмәе дам уым бахсәвиат кәндзыстут. Әгәр бирәе уаргътәе дам уәм ис әмәе уын күүлдымтыл схизынән зын үайдзани, хуыздәр дам үайдзани әмәе уемә бәх акәнат, – загъта нын Мерабийы зонгә-хәлар әмәе нын уайтагъд саргъджын бәх әрбакодта, мәхәдәг дәр дам уемә рацыдаин, фәләе дам мәе мәе уавәр наә амоны.

Бахызтыстәм коммәе. Къахвәндаг куы доныл цыд, куы хәрдмә цыд, хохы

фәхстыл, тар хъәдмәе. Рогәй цәуәм, бәх нын стыр әххүис кәнни – ацы хәрдтү үйийас уаргъты цы фәхастаид.

Изәрырдәм бахәццае стәм Баграты онг. Баграт әмәе ўе фсин Марго хьорнисаг ираэттәе уыдышты. Хохрәбын чысыл хъәднын хәдзар сарәзтой әмәе иу сәрдү фос уырдәм аскъәрттой. Хәдзар Џинваләй хохы хизәнтәм дәрдзәг әмбисыл кодта. Уымәй пайда кодтой бәлццәттә әмәе Баграты хәдзары, куыд уазәгдоны, афтәе пайда кодтой: быдырәй ссәүгәе ам әрләудзән, бахсәвиат кәндзәенис әмәе ләварән дзулы ссад, кәнәе аңдәр исты продукт ныууадзәенис Багратән. Хохәй рацәугәйә та, урсаджы продукты әркурдзәенис.

Баграт әмәенә Марго әнәхинзәрдәйә райстой. Баграт нын наә куыттәй раппәльидис әмәе нын банифсытә ‘вәрдта – къуырмагарк дам бирәе ис әмәе ацы куыттимә хорз ацуан кәндзыстут, зәгъгае. Бахсәвәр кодтам, куыттән дәр бахәрүн кодтам, әмәе стәй наәхәдәг дәр архуыссыдыстәм.

Райсом куыддаәр әрбацъәхтәе ис, афтәе сәккәй кодтам наә уаргътәе әмәе хъәд-хъәд уәләмә сфердәг стәм. Райсомы сатәг у әмәе хъарм конд стәм. Хур скастис. Хъәдәй дәр рахызтыстәм. Стәвд и әмәе наә хъарм дзаумәтты раластәм. Әрмәст мәнмәе уыд хызын әмәе сәе уым бағснайдтам. Дзәбәх ссуәззау ис. Хәрдмәе уәләмә цәуәм. Әвиппайды кәңгәйдәр наә куыттәе сүүдтой егъяу, бомбора цуанон куыдзы әмәе йыл рәйин райдыттой. Уый дәр ныл схырныдта. Баст уыди, телыл змәлгәйә. Куыд зынд афтәе йә, хицау фосы къуыхтәгәнәнән әмәе фыййәутты сыйжытбын хәдзары хъахъхъәнәгәй ныууагъта.

Куыдзы рәйдмә фаллаг фарсәй иу ләг әбахъәр кодта – фәгәдзә мәм кәнүт, ныртәккәе уәм әрбацъәудзынән, зәгъгае. Банхъаелмә йәм кәсәм, загъта Мераб әмәе фәхатыдтән, алкәмәндәр куыд ахчон уыди ацы рәстәдҗы чысыл ауләфын. Уыцы ләг йә фосы рәгъяу ныууагъта, бинәй комы әрбатары ис әмәе дзәвгар рәстәдҗы фәстәе ләф-

ләфгәнгәйә нә уәлхүс әрбалауыд.

Тхъвиаугты фосы хизәм, дыууәйә стәм, ме ‘мбалән йә бинойнаг сывәллонмә әнхъәлмә кәсеси әмә уырдаем ацыд ңалдаәр боны әмгъуыдмә. Ныр әртә боны уыздән, адаймаджы хъәлаәс нә фехъуистон, сымах күү федтон, ахъуыды кодтон, әваәцәгән исты хабар счастой, зәгъгә әмә тагъдатагъд ралыгътән. Дзулы ссад мын фәсис, әндәра уә әнә баләггадәй нә аудзин, – загъта нын. Әмә иу егъау цыхт раскъафта сыйджытын хәдзарәй әмәйә мә хызыны авәрдта. Бакастыстәм нә кәрәдзимә әмә әнәсымәй аскъуидзаг кодтам, ңәмәй нә дзулы фәстауәрц уым кәй ныуугътаиккам.

Хур ноджы тынгдаәр нындаевта, ңәуын дәр нын фәзындаәр. Угәрдәнтә дидинджытәй йедзаг – ңаест сәм кәсинаәй не фәседы, ахәм диссаджы рәсүгъд сты; гәләбутә дыууәрдәм ратәх-батәх кәнинц, уыйбәрц әмә ахәм бирахуызджынта никуыма федтон. Темо ма афтә дәр загъта, гәләбу ахсән дам немә күү рахастаиккам. Уәләмә, уәләмә ңәуәм, фәлә յә хатын әмә, бынатмә схәцәйи сәр нын кәй нал уыздән. Кәмдәр Мераби дәр раст афтә хъуыды кодта – бынатмә күү схәцәүәм, уәддәр рухсәй Баграты онг нал ныххәцәе уыдзыстәм, әхсәвү ам уазал уыздән әмә хуыздәр у рәстәгыл аздәхәм – загъта әмә, әңгәдәр, тагъд афтидаәй әрбаздахтыстәм Багратмә.

Баграт нын әхсәвәрыл загъта, қәд уә фәндү, арсы дам уын амарын кәндзынән, бынәттә дам мын ис банисангонд. Әңгәдәр нә, райсом акодта әмә нын фененин кодта арсмарән бынәтты. Равзәрстам иу – къяннәг хохы фахсыл, қәцы хъәдмә хәрз әвваҳс уыд, дыууә қәрдойы бәлас дзы ләууыд, иу, – дәллаг хъәдгәроны, иннае – хохы фахсы астәуы. Хохы фахсыл Баграт әркарста әмә дзы дыууә мәкъуылы самадта. Қәрдойы къалиутә ставдгонд сты, յә бынмаә дәр дзы дзәвгар әрзыгъәлд. Ам аскъуидзаг кодтам арсы размә бабадын. Әртә әмбәхсәны әрцәттәе кодтам

мәкъуылты мидәг, иу та, хъәдгәроныл.

Изәры бацыдыстәм не ‘мбәхсәнмә. Әмраәстәджы авд хәтәл милемә сәвәрдтам арсән жаканәй әмә ставд картечәй арәэлтгөнд, нә дыууәхәтәлон топпигтә әмә Баграты иухәтәлон 20 калибра. Мәйдәр әхсәв уыд, әппындаәр ницы зынд. Кәмдәр, дәле, комы, қъәрццытә рапхъуисти, цыма пыхсытыл исты ахызти, афтә. Сындағгай



къәрццытә гүым-гүымы уынаәр дәр бафтыд. Уынаәр әвваҳсәй-әвваҳсәр кодта. Әнәмәнгәй арс у, хууыды кәнин мәхициән, уәдә, әндәр цы хъумәя уа. Уынаәр хъәдгәрон, қәрдойы цур әрсабыр. Иу чысыл ауләфыд, стәй қәрдобәласыл схылди әмә յә бауыгъта, бәласы әдуидәгтә сымәллын кодта, къалиутә бынмаә цъәлтәй калдысты, қәрдотә бынмаә згъәлдысты. Алышпәт дәр мәнәй 20-30 метры дәрддәзгәмә цыд, фәлә үынгә ницы кәнин мәйдәр у. Йә фехсын дзәгъәлы у нә зыны. Әвәцәгән афтә хууыды кәнинц иннәтә дәр. Иунаәр ныфсдинад уыд, қәд рахиза хъәдәй әмә фахсы астәу ләууәг қәрдобәласмә әрбацәуа. Уәд гәнән ис ацы мәйдәры исты равзарын силуеты хуызы. Уынаәр бәласәй бынмаә әрхызти әмә кордоты хәрын райдытта – хуыйау

йæ цъæлф-цъæлф хъуысти, дзæвгар рæстæг бахъуыд хæрынæн. Бафаэлладтæн æнхъæлмæ кæсынæй. Ёнхъæлмæ кастæн, чизоны, хъæдæй рахиза æмæ инна кæрдомæ бацауа, зæгъгæ, фæлæ йæ нæ бафаэндыдис хъæдæй рацæуын, хæрд куы фæци, уæд чысыл аулæфыди æмæ стæй къæрцытæгæнгæйæ йæхи дæлæмæ ауагъта. Max дæр не ‘мбæхсæнтæй рахызтыстæм. Алчи мын уайдзæф кæны – хъуамæ дам æй фехстаис.

Æрæгмæ æрбаздахтыстæм Баграттæм. Марго нырма къахыл лæууыд, æнхъæлмæ наем кasti. Ёхсæвæр бакодтам. Райсом хæрзбон загътам Баграт æмæ Маргойæн æмæ вулканон платой ‘рдæм нæ ных скодтам. Баграт нын бæх сифтыгъта, саргъыл сæвæрдта, Марго нын дзул сфишта æмæ нын къозодзæхтон немæ ракыста. Маргойæн мæ хуызджын кæсæнцæстытæ балæвар кодтон – хатыдтæн æй, йæ зæрдæмæ кæй фæцыдисты. Мераби дæр ын кæсæнцæстытæй раппæлыди – иттæг хорз дам дыл фидауынц, æрмæст сæ иу ам ма скæн æнæдæра дам дæ æрсытæ нал базондзысты. Изæрырдæм платойыл, фиййæуттæм схæщæ стæм.

Гоги мæм лæмбынаæгæй хъусы æмæ йæ хатын, уйй дæр йæхи куыд хаты мæ радзырды хайадисæгæй, æхсызгонын у, йæ рапгуырæн къуымы уыцы рæсугъддинад æнæзонгæ лæгæн дæр ахæм уарzon кæй сси. Гоги мæты бацыд, кæй ницы ацуан кодтон. Ёз æй сабыр кæнын: мæнæн, мæ хæлар Гоги, цуан кæныны фæзындæ æгас комплекс сты. Уыдон тынг бирæ элементтæй конд сты: дæхи цæттæ кæныс, ифтонг кæныс хæцæнгарзы æмæ нæмыгхосы, цæттæ кæныс хæринаæтæ, æхсæв хуыссæгхъæлдæг кæныс, ноджы растdæр æппындæр нæ фынæй кæныс, райсом

раджы цæуыс хæдзарæй, фембæльис де ‘мбæлттыл, стæй æрдимæ хæлар кæныс, уйй фæстæ суадоны фарсмæ æрулæфыс, чысыл ааходæн кæныс, дæхи бафаæдзæхсæзынаæ, раарфæ кæндзынæ зæдтæн, дауджытæн, дæ уарzon адæмæн. Стыр диссаг нæ уыдзæн, ацы ранымадæй иу куы нæ сæххæст кодтон – ницы амардтон, туг нæ рauагътон, мæнæн цуан кæныны акт æнæ ацы деталæй дæр стыр ритуал у, куыд мæнæ мæ абоны радзырд, кæцы æрдæг æнусы размæ æрцыд, фæлæ йæ тынг хорз хъуыды кæнын, цыма зонн уыдис æмæ мæ никуы дæр фeroх уыдзæнис. Ёцæгæйдæр афтæ у, раст зæгъут, – загъта мын Гоги.

Платонæй цæрдæг нæхи дæлæмæ рauагътам. Куыд ныхасгонд уыдыштыстæм уымæ гæсгæйæ, Дато хъæумамæ ссыдант Ацърысхеумæ max ракæнынмæ. Фæндагыл Леуахийы цъус кæсæгтæ æрцахстам. Ёцæгдæр диссаджы калмаки-кæсаг зоны Леуахи – саубæрзæй, ставд сиyrх тæппытимæ. Ахæм сыгъдæг доны æрмæст уæд федтон. Фæндагыл байяæфтам дыууæ æвзонг лæппуйы, афтæ 12-13 аздзыдтæ уыдаиккой. Примитивон, хуымæтæг араæт кæсаг ахæнæй ахстoy кæсаг чысыл дæтты, иу дзæкъул ставд калмаки-кæсаг æрцахстoy.

Фæлæу-ма, фæлæу, - йæ сæр дыууæ къухæй æрбацавта Гоги. Сымахмæ урс волгæ, газ-21 æнхъæлмæ кастис Ацърысхеуы, уыцы лæппутæ æз æмæ ме ‘рвад уыдыштыстæм, стæй нæ сымах уемæ ракодтат. Хæдзары онг нæ æркодтат, Зонкъармæ. Уый мын мæ зæрдыл цы ‘рлæууын кодтай, «къацо», кæм цардтæн, куыд цардтæн, ныр мæ цы хъæуы ам, ацы тæфтæт асфалтыл – загъта ацы ныхæстæ æмæ йæ цæстистæ доны разылдта.

тæркæлбæ  
тæркæлбæ

### ახალი ქართული კინოს მიმოხილვა

#### ანას ცხოვრება



სცენარი: ნინო ბასილია  
რეჟისორი: ნინო ბასილია  
ოპერატორი: ვახტანგ (ტატო)  
კომეტიშვილი  
როლები: ეკატერინე დემეტრაძე  
პროდიუსერი: ქანა სარდლიშვილი  
წარმოება: სტუდია 99 (საქართველო)

ახალგაზრდა მარტოხელა დედა საკუთარი და აუტისტი შვილის ყოფითი პირობების გასაუმჯობესებლად ამერიკაში წასვლას გადაწყვეტს.

ანა რისკზე მიდის, სახლს ყიდის და მთელ თანხას უხდის მამაკაცს, რომელიც თაღლითი ალმოჩნდება და ანას ფულით თავად გადაწყვეტს საკუთარი ოჯახის საზღვარგარეთ გაყვნას. ანა მას შვილს, ექვსი წლის გოგონას მოსტაცებს, მაგრამ გეგმა ჩაეშლება. იგი იძულებულია სამშობლოში დარჩეს და ცხოვრება თავიდან დაიწყოს.

#### ნინო ბასილია

კინორეჟისორი, დრამატურგი.  
დაიბადა 1968 წელს ფოთში.  
დაამთავრა მოსკოვის უმაღლესი სასცენარო  
და სარეჟისორო  
კურსები (BKCP) და თბილისის პუშკინის  
სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.  
**ფილმოგრაფია:** ანას ცხოვრება (2015); არსებები ცივ სარკეში; როდესაც  
გარდაიცვლებით, თქვენს ფილმებს უჩვენებენ; ყოფიერების ნიუანსები; დევი; ლანდშაფტის მატრიცა (2013 — 2015); ევას ტერიტორია; ფრენა სატრიუქოსთან; აზარტი;  
შთაგონების საძიებლად (2011 — 2012); ნუშის სახლი (2007); ბზარი; ასეთი სიყვარული; 6 ½ წუთი (2006).



## ბედნიერების ლმერთი



**რეჟისორი:** დიტო ცინცაძე  
**სცენარი:** დიტო ცინცაძე  
**ოპერატორი:** რალფ მ. მენ-დლე  
**მონტაჟი:** მარტინ მენცელი  
**მონაწილეობენ:** ლაშა ბაქრაძე, ნადეჟდა ბრენიკე, თინა მელიავა, ელი ჯეიმს ბლიზესი, უფუქ ბოზქურთი

ხელმოცარულ მსახიობს, გიორგის, მოულოდნელად თა-

ვისი 15 წლის ქალიშვილი შეხვდება, რომელიც 10 წელია არ უახავს. ის ამაოდ ცდილობს აჩვენოს შვილს, თითქოს მდიდარი და წარმატებული ადამიანია. გოგონა არც ისე სულელია.

### დიტო ცინცაძე

დაიბადა 1957 წელს თბილისში.

1981 წელს დაამთავრა საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტი. 1996 წლიდან ცხოვრობს და მუშაობს გერმანიაში.

#### ფილმოგრაფია:

ბედნიერების ლმერთი (2015); მედიატორი (2008); კაცი საელჩიდან (2006); რევერსი (2006); გასროლის შიში (2003); ეროტიკული ამბავი (2002); ხელმოცარული მკვლელები (2000); ღვარზე (1993); სახლი (1992); სტუმრები (1990); დახატული წრე (1988); თეთრი ლამე (1984)



### მოირა

**სცენარის ავტორები:** დავით ფირცხალავა, გიორგი ქობალია, ლევან თუთბერიძე

**რეჟისორი:** ლევან თუთბერიძე

**ოპერატორი:** გორგა გომეს ანდრეუ

**პროდიუსერები:** ნიკოლოზ აბრამაშვილი, ლევან თუთბერიძე



**მსახიობები:** პაატა ინაური, გიორგი ხურცილავა, ზაზა მალალაშვილი, ქეთი ცხაკაია, ვანო იზორია, ანი ბებია, დავით ხურცილავა, ლილი ხურითი, ირაკლი სანაია, ბაჩი ლეჟავა, ლაშა გურგენიძე, რამინ კილასონია, გიორგი სურმავა

**წარმოება:** CINE-TECH

**უფლებები ფილმზე:** შპს. მოირა-ფილმი

ეს არის ზღვისპირა ქალაქში მცხოვრები ერთი ოჯახის ამბავი. ახალგაზრდა კაცი, მამუკა, ციხიდან გამოსვლის შემდეგ თავისი გაჭირვებული იჯახის ფეხზე დაყენებას ცდილობს. დედა საზღვარგარეთ არის სამუშაოდ წასული, მამა ინვალიდის სავარძელსაა მიჯაჭვული, უმცროსი ძმა კი კრიმინალების წრეში ტრიალებს. მამუკა ბანკიდან სესხს იღებს და პატარა თევზსაჭერ ნავს ყიდულობს, რომ საკუთარი შრომით საარსებო ფული იშოვოს და დედა ოჯახში დააპრუნოს. ძმები ნავს მოირას, ბედისწერის ქალლმერთის სახელს არქმევენ, მაგრამ ბედისწერა ხშირად დაუნდობელია...

### ლევან თუთბერიძე

1982 წელს დაამთავრა საქართველოს თეატრი-სა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტი კინო-რეჟისორის სპეციალობით. არის პირველი ქართული დამოუკიდებელი კინოსტუდია „აისის“ დამარსებელი, როგორც მსახიობი გადაღებულია რამდენიმე მხატვრულ ფილმში.

#### ფილმოგრაფია:

მოირა (2015); ცხრა მთას იქით (2014); უშენოდ, მგონი, მოვკვდები (2010); ქალალდის ტყვია (2006); მოგზაურობა ყარაბაღში (2005); წარსულის აჩრდილები (1995); ნაზარის უკანასკნელი ლოცვა (1989); მახარე (1984); უბისი (1982); თუშური ყველი (1978)

